

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

3

ტომი ✧ Volume ✧ Том

X

№3, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический
журнал факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного
университета
им. Иванэ Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიასვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** (*მთავარი რედაქტორი*), **თამაზ ზუბიაშვილი** (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი, იოსებ ხელაშვილი

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** (*Editor-in-Chief*), **Tamaz Zubiashvili** (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaiashvili, Ioseb Khelashvili

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** (*главный редактор*), **Тамаз Зубиашвили** (*ответственный секретарь*), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Элгуджа Меквабишвили, Давид Нармания, Автандил Силагадзе (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадური, Элене Харабадзе, Этер Хараишвили, Иосеб Хелашвили

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; გრაჟინა კარმოვსკა - დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი); იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ვიტალი ტამბოვცევი - ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;

ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – Berlin University, Professor; Oleg Karasev – Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor; Grazyna Karmowska, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland); Jan Mikhalek – University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin – Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Vitaly Tambovtsev - head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor; Toomas Haldma – Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг – профессор Берлинского Университета; Олег Карасев – зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор; Гражина Кармовска, д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша); Ян Михалек – декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор; Дмитрий Сорокин – член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор; Виталий Тамбовцев –Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;Томас Халдма – декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისაა
აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“
სერგო ჯორბენაძე. უმრეტი წყარო „ვეფხისტყაოსანი“..... 9

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

თეიმურაზ ბერიძე, ელგუჯა მექვაბიშვილი. კ. მარქსის „კაპიტალი“ და გლობალური
ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი („კაპიტალის“ I ტომის გამოსვლის 150-ე წლისთავთან
დაკავშირებით) 19

უმანგი სამადაშვილი. საქართველოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური
აუცილებლობა და ძირითადი პრიორიტეტები..... 34

ინგა ბალარჯიშვილი. ელიტების ქცევა და არაფორმალური ინსტიტუციონალიზაცია..... 49

ლია სვანიძე. ადამიანის ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძველი 73

მეცნიერებათა დარგები ❖ მკვლევარული საქმიანობა ❖ ეკონომიკური პოლიტიკა

ბადრი რამიშვილი. მილიტარული მეგატრენდის ეკონომიკური ანალიზი და მისი
გავლენა მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაზე 83

თენგიზ ვერულავა. არამომგებიანი საავადმყოფოების როლი ჯანდაცვის სისტემაში:
მსოფლიო გამოცდილება და საქართველო 100

შორენა ტიელიძე. შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები საქართველოში 110

მეცნიერებათა დარგები ❖ მკვლევარული საქმიანობა ❖ ტურიზმი

გიორგი ლალანიძე. ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და
კონკურენტული უპირატესობები ევროკავშირის ბაზარზე 119

იოსებ ხელაშვილი. მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინური კვლევების
აქტუალურობა ტურიზმში (საქართველოს რეგიონების მაგალითზე) 131

ფინანსური ეკონომიკა

მალხაზ ჩიქობავა. უარყოფითი სპროცენტო განაკვეთების წარმოშობის მიზეზები 144

მაია გოგონია. ოფციონები თანამედროვე გლობალურ საფონდო ბაზარზე 154

ნათია ჯიბლაძე. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება 2008 წლის გლობალური
საფინანსო - ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში 160

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ადამიანი

ლევან საბაური. სატარიფო რეგულირების პირობებში აღრიცხვის ზოგიერთ საკითხი 176

ლალი ბურჩუკური. აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის მონიტორინგი
საქართველოში 185

სალომე საყვარელიძე. საჯარო სამსახურის მოხელეების მოტივაციის საკითხები 193

თვალსაჩინო მკვლევარ-ეკონომისტის ბახხანაძე

თეიმურაზ ბერიძე, მიხეილ ჯიბუტი. მეცნიერის ხსოვნას 199

CONTENTS

Ivane Javakhishvili Tbilisi State University is 100 years old

Academician Ivane Javakhishvili and Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" Sergo Jorbenadze. Inexhaustible source "The Knight in the Panther's Skin".....	9
--	---

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

Teimuraz Beridze, Elguja Mekvabishvili. K Marx's "Capital" and the Global Financial and Economic Crisis (Dedicated to the 150th Anniversary of the First Volume of "Capital").....	19
Ushangi Samadashvili. The Objective Necessity for Accelerating Economic Growth of Georgia and the Main Priorities.....	34
Inga Balarjishvili. Behavior of Elites and Informal Institutionalization	49
Lia Svanidze. Physiological Basics of Human Psyche	73

MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

Badri Ramishvili. Economic Analysis of the Military Megatrend and Its Influence on the Formation of the World Geostrategic Landscape	83
Tengiz Verulava. The Role of Non-Profit Hospitals in Health Care System: World Practice and Georgia	100
Shorena Tielidze. The Main Challenges of Labour Market in Georgia.....	110

MARKETING ✧ MANAGEMENT ✧ TOURISM

Giorgi Gaganidze. Export Potential and Competitive Advantages of the Georgian Products on the EU Market	119
Ioseb Khelashvili . The Importance of Transdisciplinary Studies in Sustainable Development of Tourism (in the case of the Georgian regions)	131

FINANCIAL ECONOMICS

Malkhaz Chikobava. Causes of the Emergence of Negative Interest Rates in Some	144
Maya Gogokhia. Options on the Modern Global Securities Market	154
Natia Jibladze. International Trade Financing after the 2008 Global Financial-Economic Crisis ...	160

ACCOUNTING AND AUDIT

Levan Sabauri. Some Issues of Accounting in Tariff Regulation Conditions	176
Lali Buchukuri. Monitoring of Quality Control of Audit Activities in Georgia	185
Salome Sakvarelidze. The Motivation Aspects of Public Servants.....	193

REMEMBRANCE OF THE WELL-KNOWN SCIENTIST-ECONOMIST

Teimuraz Beridze, Mikheil Jibuti. The memory of the scientist	199
--	-----

СО Д Е Р Ж А Н И Е

Тбилисскому государственному университету им. Иване Джавахишвили исполнилось 100 лет

Академик Иване Джавахишвили и «Витязь в тигровой шкуре» Серго Джорбенадзе. Неиссякаемый источник «Витязь в тигровой шкуре»	9
---	---

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

Теймураз Беридзе, Элгуджа Меквабишвили. «Капитал» К. Маркса и глобальный финансово-экономический кризис (в связи 150-летием выхода I тома)	19
Ушанги Самадашвили. Объективная необходимость ускорения экономического роста Грузии и основные приоритеты	34
Инга Баларджишвили. Поведение элит и неформальная институционализация	49
Лия Сванидзе. Физиологические основы психики человека	73

МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

Бадри Рамишвили. Экономический анализ милитарического мегатренда и его влияние на формирование геостратегического ландшафта мира	83
Тенгиз Верулава. Роль неприбыльных больниц в системе здравоохранения: опыт мира и Грузия	100
Шорена Тиелидзе. Основные вызовы рынка труда в Грузии	110

МАРКЕТИНГ ✧ МЕНЕДЖМЕНТ ✧ ТУРИЗМ

Георги Гаганидзе. Экспортный потенциал грузинской продукции и конкурентные преимущества на рынке Евросоюза	119
Иосеб Хелашвили. Актуальность трансдисциплинарных исследований в устойчивом развитии туризма (на примере регионов Грузии)	131

ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА

Малхаз Чикобава. Причины происхождения отрицательных процентных ставок	144
Маия Гогохия. Опционы на современном глобальном финансовом рынке	154
Натия Джибладзе. Финансирование международной торговли после периода 2008 года глобального финансово-экономического кризиса	160

БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЁТ И АУДИТ

Леван Сабаури. Некоторые вопросы учёта в условиях тарифного регулирования	176
Лали Бучукури. Мониторинг контроля качества аудиторской деятельности в Грузии	185
Саломе Сакварелидзе. Вопросы мотивации работников публичной службы	193

ПАМЯТИ ВИДНОГО УЧЕНОГО ЭКОНОМИСТА

Теймураз Беридзе, Михаил Джibuти. К памяти ученого	199
---	-----

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი 100 წლისაა**
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY IS 100 YEARS OLD

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და «ვეფხისტყაოსანი»

უშრეტი წყარო „ვეფხისტყაოსანი“*

სერგო ჯორბენაძე

(1926-1998 წწ.)

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი*

საქართველოში არც ერთ წიგნს არ ჰყოლია იმდენი მკითხველი, რამდენიც „ვეფხისტყაოსანს“, არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გადაწერილა და დაბეჭდილია იმდენჯერ, რამდენჯერაც რუსთაველის ეს უკვდავი ქმნილება.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ლხინსა თუ ქირში ქართველ ხალხს უპირველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსნის“ დაუშრეტელი სიბრძნე აგონდებოდა ამ პოემაში კი „ოქროსავით მიმოხრეულია სოციალური ხასიათის სიბრძნე“. ეს წიგნი შვიდსაუკუნენახევარი აერთიანებდა საქართველოს. მას ზეპირად სწავლობდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის ისინიც ვისაც სხვისი ნაკირთხვით ჰქონდა მოსმენილი პოემა. აქ მასის სალი აზროვნება და მხატვრული გემოვნების მაღალი დონე ჩანდა (მით უფრო, რომ არსებობს ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, ანუ „ტარიელიანი“).

რუსთაველის გარშემო ბევრი რამ მაინც ბუნდოვანი იყო. „ვეფხისტყაოსანს“ ზიანს აყენებდა შეუგნებელი მოყვარულიცა და მოძულეც. ეს თვით ტექსტსაც ეხებოდა. ისტორიამ კი უკიდურესად მცირე მასალა დაგვიტოვა უკვდავი ნაწარმოების ავტორის შესახებ. მართალია, მაგრამ, თუ თამარის ისტორიკოსი საჭიროდ თვლის, იოანე შავთელი არ დაივიწყოს, მას შოთა რუსთაველის უბრალო ხსენებაც კი ზედმეტად მიუჩნევია. ამის მიზეზს ხსნის ივანე ჯავახიშვილი.

დიდ ქართველ ისტორიკოსს წილად ხვდა სიძველის ბინდით დაფარული მოვლენების ახსნა და გაშუქება. ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგში მოღვაწეობის დროს აქტიურად მუშაობდა „ვეფხისტყაოსანზე“. შემდგომ მან ეს მუშაობა განაგრძო თბილისში, სადაც მრავალი პრობლემის შესწავლისას იყენებდა „ვეფხისტყაოსანს“.

* ამონარიდი წიგნიდან - სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, რედ. ა. შანიძე, თბ., 1984, თ. VIII, გვ. 516-524.

მაგრამ ყველაზე შრომატევადი სამუშაო მკვლევარმა „ვეფხისტყაოსანის“ იუბილის პერიოდში შეასრულა. ივ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის რუსთაველოლოგიური ნაშრომები გამოქვეყნებულია 1956 წელს გამოსულ კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის თაობაზე ცნობების სიმცირეს ისტორიული ახსნა და გამართლება აქვს. საქმე ის არის, ივ. ჯავახიშვილის აზრით, რომ შოთა რუსთაველის პოემას ძველ საქართველოში ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შეხვედრიან, მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა და მადიდებელთა გვერდით ძლიერი მონინააღმდეგენიცა და მტრულად განწყობილნიც ყოფილან, უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის. „იმათი გავლენა იმდენად ძლიერი ვერ იყო, რომ შოთას მომხიბლავი ნაწარმოები მოესპოთ, მაგრამ იმდენი ძალა მაინც შესწევდათ, რომ ამ გენიოსი მგოსნის სახელი, ვინაობა და ღვან-ლი საუკუნეთა განმავლობაში წყვედადით ყოფილიყო მოცული და იმდროინდელი ცხოვრების მომთხრობელის საისტორიო თხზულებაში მისი ხსენებაც კი არ გამოჩენილიყო“ (გვ.6). ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მომდევნო საუკუნეების მანძილზე არ იხსენიება შოთა რუსთაველის სახელი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენამდის იმ დროიდან უმთავრესად საეკლესიო დანესებულებათა წიგნსაცავების ხელნაწერებმა მოაღწიეს.

„ვეფხისტყაოსანი“ მისი ავტორის დროსაც და მერმინდელ საუკუნეებშიც თავისუფალი აზროვნების სიმბოლო, საერო ცხოველმყოფელი მხატვრული შემოქმედების მოტრფიალეთა აღტაცების საგანი და ასევე გონებდახშულ ფარისეველ პურიტანისტთა სიძულვილისა და გაკიცხვის საგანიც იყო. „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო მრავალსაუკუნოვანი იდეური ბრძოლა გაიშალა. გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ცხოველმყოფელმა სიბრძნემ. იგი ხალხმა (და არა მარტო ქართველმა ხალხმა) უკვდავევების შარავანდედით შემოსა. თუ ამ პოემის მოძულეებმა მას ზიანი ვერ მიაყენეს, – ვინაიდან ისტორიამ გაამტყუნა ისინი – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს საგრძნობი ზიანი მიადგა პოემის იმ თაყვანისმცემლებისაგან, რომლებიც პოემას შესაფერისი მონინებით არ მოპყრობიან. ზოგ გადამწერს მოსჩვენებია, რომ ტექსტს ცალკეული ეპიზოდი აკლია, ზოგიერთს კი პოემა დაუმთავრებელ ნაწარმოებად მიუჩნევია და მათი აზრით ეს უსრულობა შეუვსია და ხელნაწერში ჩაურთავს. ამ გზით ეს „უკვდავი თხზულება სხვათა ნაცოდვილარით შერყვნილა“ (გვ.7). ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენას დიდი მეცნიერულ-პატრიოტული მნიშვნელობა აქვს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი უდიდესი სიფაქიზით ეპყრობოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას. გადამწყვეტი სიტყვა, მისი აზრით, აქ ფილოლოგებს უნდა ეთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ღრმად განათლებული ფილოლოგი იყო, იგი არ იღებდა უნივერსიტეტის რექტორის წინადადებას, რომელმაც ბრძანებით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარედ და მთავარი სარედაქციო კომისიის წევრთა შორის შეიყვანა ივ. ჯავახიშვი-

ლი. იგი რედაქტორს სწერს: „მოვალეობად მიმაჩნია მოგახსენოთ პირადად ჩემს შესახებ, როგორც კარგად მოგეხსენებათ, მე მწერწლობის ისტორიაში არასდროს მიმუშავნია და ამ საგანს ჩემს სპეციალობად არ ვთვლი. ამის გამო ასეთი პასუხსაგები კომისიის ნევრობა და მით უმეტეს თავმჯდომარეობა, თუნდაც მორიგეობით არ შემოიძლია ვიკისრო და ის დიდი პასუხისმგებლობა გავიზიარო, რომელიც ამ კომისიას, მთავრობის და საქართველოს მკითხველი საზოგადოების წინაშე დაანება. ამ ჩემთვის გადამწყვეტ მოსაზრებას ზედ ის გარემოებაც ერთვის, რომ მე კრებაზე სიარული უკვე აღარ შემოიძლიან, რადგან მოკამათის ნალაპარაკევი თუ მალაქმივ არ არის წარმოთქმული, აღარ მესმის“. ეს ის დროა, როცა ყურთსასმენი აპარატი ჯერ კიდევ არ აქვს გამონერილი საზღვარგარეთიდან.

რასაკვირველია, ივ. ჯავახიშვილი როგორც ისტორიკოს-ფილოლოგი არ შეზღუდულა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის გამოცემის მიმოხილვით. იგი, ამასთან ერთად, უაღრესად ღრმა კომპეტენტურ ფილოლოგიურ დასკვნებს აკეთებს ამ ტექსტის დასადგენად.

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის გამოცემის ისტორიის მიმოხილვას კი ივ. ჯავახიშვილი იწყებს იმ დამსახურების აღნიშვნით, რაც ქართული კულტურის ერთგულ დარაჯს ვახტანგ VI-ს ეკუთვნის. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური გამოცემა არ ყოფილა მართოდენ პირადად განხორციელებული ვახტანგ VI-ის საკუთარი სარედაქციო მუშაობის ნაყოფი. საქმე ისაა, რომ არც საისტორიო და არც სამართლის ძეგლების შეგროვება-გადარჩენისა და გამოცემისათვის მუშაობის დროს, ვახტანგ VI-ს ტექსტის თვითნებური აღდგენა არ უცდია, დასახული მიზნის მიღწევას და განხორციელებას იგი ყველგან და ყოველთვის საუკეთესო ხელნაწერისა და უძველესი ტექსტის გამოყენებით ცდილობდა. როგორც ჩანს, ვახტანგ VI-მ პოემის გენიალური შემოქმედის ყველა საუკეთესო ცნობილი ხელნაწერი შეაგროვა, მათგან სხვებზე უკეთესი და უძველესი რედაქციის გამორჩევა შეძლო და პირველად სტამბურად დაბეჭდა. ამიტომ ივ. ჯავახიშვილს დაუჯერებლად მიაჩნია მტკიცება, რომ ვახტანგ VI-მ თვითნებურად შეამცირა პოემის ტექსტი. ამას ერთვის ისიც, რომ არავითარი მოტივი, საფუძველი არ ჰქონდა ასე მოქცეულიყო ქართული კულტურული განძეულობის ეს სწორუპოვარი მოამაგე.

ის ფაქტი, რომ ფართო გავრცელებისათვის ვახტანგმა სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ აირჩია, ცხადყოფს, თუ რამდენად ძვირფას განძად მიაჩნდა იგი ქართველობისათვის. ეჭვი არაა, ვახტანგისათვის, ადვილი არ იყო კავკასიის პირველ სტამბაში „ვეფხისტყაოსანის“ გამოქვეყნება. კლერიკალური წრეები ხომ ამ წიგნში ქრისტიანულს ვერაფერს ხედავდნენ. მეტიც, მრუშობისა და სიძვის ქებად მიაჩნდათ ის. მათგან თავს იცავდა ვახტანგ VI, იგი თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ როგორც პოემა, „საღმრთოც იყო და საეროც“. მას რომ „შოთას ქმნილების თვითნებური ცვლილებების შეტანა დაესახა მიზნად, „ვეფხისტყაოსნიდან“ უპირველესად სწორედ არაქრისტიანული ადგილებისა და მრუშობა-სიძვის ამბის მოთხრობის

ამოშლას ეცდებოდა და სამაგიეროდ ყოველ წვრილმანს ცნობასაც კი ქრისტიანობისა და სჯულიერი ცოლ-ქმრობისა და სიყვარულის შესახებ თვალსჩინივით გაუფრთხილდებოდან (გვ. 23). ძნელია უფრო გონებაამხვილური ახსნა იმ დროს, როცა პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ხელთ არა გაქვთ!

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ მიმოიხილა პოემის ტექსტის დაზუსტების თაობაზე გამოთქმული შეხედულებები, განსაკუთრებით კი აღნიშნავს აკად. ნ. მარის დიდ ღვაწლს რუსთველოლოგიაში.

ივ. ჯავახიშვილს თვით ვახტანგ VI-ის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასასრულის საკამათო პრობლემის გადაწყვეტა სრულიად არ მიაჩნდა ერთადერთ სწორ ახსნად. მისი აზრით, პოემა ვახტანგისეულ ხელნაწერთა და გამოცემას დაბოლოებაზე უფრო ადრე უნდა წყდებოდეს - „სახელდობრ, ავთანდილისა და თინათინის ქორწილის თავის იმ ტაეპზე, სადაც ნესტან-დარეჯანის თინათინთან გამოთხოვებისა და სამშობლოში გამგზავრების ამბავია აღნიშნული... ამ ტაეპის მომდევნო ტაეპთაგან რომ უკვე მერმინდელი დანართია, იმითაც მტკიცდება, რომ მომდევნო ტაეპში გამგზავრებულთა გამოთხოვებისა და წასვლის ამბავი კვლავ იწყება, მაგრამ უფრო ვრცლად და გაზვიადებით. ქალთა გამოთხოვებისა და გაყრის წუთები შოთას მოკლედ, მაგრამ მისებრი მოხდენილობითა და გრძობით აქვს მოთხრობილი. (გვ. 25).

პოემის დასასრულზე მსჯელობისას ივ. ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურებებიდანაც გამოდიოდა. იგი ასე მხატვრული სიძლიერით ახასიათებდა ამ ნაწარმოების ენას: „რუსთაველს კარგად ჰქონდა შეგნებული მოკლე, ნარნარი თუ ცქრილა, მოსწრებული მკვეთრი სიტყვის უაღრესი მომხიბვლელი გრძელსა და გაჭიანურებულ სიტყვასთან შედარებით. მას ესმოდა, რომ მგოსანი და პოემის, რომანის ავტორი, გმირების თავგადასავლის აღმწერელი და ბიოგრაფი არ არის. ამ შეგნებამ შოთას თავიდან ააცდინა ის უხეში შეცდომა, რომელიც სპარსული სიტყვისა და გრძობათა გამომხატველობის შეუდარებელ ოსტატს გურგანელ მგოსანს მოუვიდა, რომ თავისი „ვისრამიანი“ მოჭარბებული მრავალსიტყვიანობის გამო აქაიქ მოსაბეზრებელი გახადა და თავისი გმირების სრული ბიოგრაფიის დონემდე დაქვეითდა“ (გვ.29).

საავტორო სამართლის ისტორიის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს ივ. ჯავახიშვილს, უარყოს მწერალ კ. ჭიჭინაძის მცდარი დასკვნა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ავტორისეულ გამოცემათა შესახებ.

კ. ჭიჭინაძე ამტკიცებდა, რომ რუსთაველმა რამდენიმეჯერ, შეიძლება სამჯერ, გადაამუშავა თავისი პოემა, რომელსაც ის ათეული წლების განმავლობაში წერდა და რომ თითქოს რუსთაველის პოემის სხვადასხვა რედაქციის არსებობაც თვით ავტორისვე სხვადასხვა დროის მუშაობის ნაყოფიაო, რასაკვირველია, ეს თეორია თანამედროვე პირობების ანალოგიით იყო შეთხზული. მას გარეგნული დამაჯერებლობის მიმზიდველობაც ჰქონდა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, მასთან კერძო

საუბარში ერთ-ერთ ავტორს კიდევ უთქვამს, რომ „ეს დებულება მას მოსწონს და დამაჯერებლად მიაჩნია საკუთარი მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემის შედეგად მიღებული პრაქტიკითონ. აქ კი მკითხველის წინაშე მხატვრული ნაწარმოების ავტორის პასუხისმგებლობის საკითხს შესანიშნავად გამოსთქვამს ივ. ჯავახიშვილი: „რა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოები, ერთი ხელის გაქნევით და კალმის მოსმით არ დაინერება და ავტორს, სანამ თავის თხზულებას დაამთავრებდეს, შესაძლებელია მისი ამა თუ იმ ადგილის სხვადასხვა ვარიანტები, რამდენიმე რედაქციაც კი ჰქონდეს, მაგრამ რანამსაც ავტორი თავის თხზულებას დამთავრებულად მიიჩნევს და გამომცემელს გადასცემს, ის მის შემთხვევლს დასრულებული, სრულებით მნიფე ნაყოფივით უნდა მოსწყდეს, რომელშიც უკვე ვერაფერი შეიცვლება.“

მხატვრული ნაწარმოების მერმინდელი შეცვლა მხოლოდ იმის გამომჟღავნებელია, რომ თხზულება მის ავტორს ნაადრევად ჰქონია დამთავრებულად მიჩნეული და მის გამოქვეყნებას აჩქარებულა. არც ერთი თავმოყვარე და მკითხველის პატივისმცემელი ავტორი თავისი თხზულების საბოლოო ტექსტის უწინარესი ვარიანტებისა თუ რედაქციების გამოქვეყნებას არ შეუდგება. ასეთი მასალა მის ბიოგრაფებისა და მწერლობის ისტორიკოსების, ისევე როგორც შემოქმედების ფსიქოლოგიის მკვლევართათვის არის საინტერესო და მნიშვნელოვანი.

მხატვრული ნაწარმოები სამეცნიერო გამოკვლევა და ნაშრომი არ არის, რომელიც, რაკი საკითხის ყველა არსებული წყაროებისა და მიმდინარეობათა სინთეზს უნდა წარმოადგენდეს, ყოველ მერმინდელს გამოცემაში უეჭველად უნდა შეივსოს და, თუ საჭირო იქნება, გადაამუშავდეს კიდევაც. მხატვრული ნაწარმოები, პირიქით, ყოველმხრივ დამთავრებული და სრული უნდა იყოს. რაც უფრო მეტად შეიგნებენ ამას ჩვენი მწერლები, რომელთაც ასეთი უცნაური აზრი დაბადებიათ, მე მგონია, ქართული თანამედროვე მწერლობისათვის და პირადად მათი სახელისათვის მით იფრო უკეთესი იქნება (გვ. 21). აქ საერთო პრინციპია მხატვრული ნაწარმოების გამოცემისა, რომლის უფლება სიცოცხლეში მხოლოდ და მხოლოდ ავტორს აქვს. რა თქმა უნდა ყველაფერი ეს არ არის საკმარისი იმისთვის რომ დავადასტუროთ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა რედაქციის არსებობის შეუძლებლობა. ივ. ჯავახიშვილი სავსებით დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ავტორის უფლების დაცვა და საავტორო სამართლის შექმნა მხოლოდ გუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ და მრავალტირაჟიანი წიგნის გამოსვლამ წარმოშვა.

რასაკვირველია, მანამდეც ავტორები თავიანთ თხზულებებს ერთბაშად არ წერდნენ, მაგრამ უიშვიათეს შემთხვევა, რომ მათი შავად ნაწერი დედანი გადარჩენილიყოს. რაც მთავარია, მრავალტირაჟიანი წიგნების ბეჭდვამდე, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ავტორს თავისი ნაწარმოების საავტორო უფლების დაცვის საშუალება არ ჰქონდა, რადგან საკმარისი იყო ერთი ადამიანისათვის თავისი დედანი გადასაწერად მიეცა, რომ მისი სხვათაგან გადაწერის აკრძალვა არ შეიძლებოდა. ახალ-ახალი გამოცემისათვისაც მაშინ სტიმული არ არსებობდა

და ერთხელ გამოშვებული ნაშრომის ტექსტის შეცვლის საშუალება ავტორს არ ჰქონდა. მაშინ ავტორისთვის კი არა, არამედ გადამწერათათვის იყო ახალ-ახალი რედაქციების არსებობა ხელსაყრელი. ასეთ პირობებში ყოველი ავტორი ცდილობდა, თავისი ნაშრომი რაც შეიძლება უზადო და სრული გამოსვლოდა. მისი ტექსტის ხელუხლებლად დაცვისთვის, ხელნაწერში მოთავსებული ვედრების გარდა, არაფერი სხვა საშუალება რა მოიპოვებოდა. ავტორს მაშინ თავისი სამწერლობო მუშაობით არსებობა არ შეეძლო და ვინც ამ მოღვაწეობას თავის სპეციალობად გახდას მოინადინებდა, იმას ან კარის მგოსნობა უნდა მიეღო და ეკისრა, ანდა რომელსამე შეძლებულ მეცენატს შეჰკედლებოდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მხატვრული ნაწარმოების ახალ-ახალი რედაქციების ავტორისაგან გამოშვებაზე ლაპარაკი შეუძლებელია დამაჯერებელი იყოს და „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა რედაქციების ამნაირ წარმოშობილობის თეორიაც საფუძვლიანი არ არის“ (გვ.21-22). საავტორო სამართლისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიის ცოდნა მთლიანად აქარწყლებს თანამედროვე წიგნის გამოცემის ანალოგიით წარსულში გადატანილ შედარებას.

ივ. ჯავახიშვილი ქართველი ინტელიგენციისაგან მოითხოვდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის ზეიმში იგი მარტო აღტაცების პასიური გრძნობით კი არ დაკმაყოფილებულიყო, არამედ თავისი წვლილი შეეტანა ნაწარმოების შესწავლასა და მხატვრული საშუალებებით განსახიერებაში. სწორედ ამიტომ 1935 წელს ივ. ჯავახიშვილი წყენით აღნიშნავდა, რომ ქართველმა მხატვრებმა და კომპოზიტორებმა ხომ შოთას თხზულებისადმი სრული უყურადღებობა გამოიჩინეს. თუნდაც ის რად ღირს, რომ „უნგრელ ცნობილ მხატვარს ზიჩს ქართველი მგოსნის პოემის შინაარსის მხატვრული განსახიერება ეკისრა, ქართველ მხატვართაგან კი არც ერთს ასეთი სრულებით ბუნებრივი სურვილი თავისით არ განუხორციელებია“. ძალზე ცოტა იყო იმ დროისათვის გაკეთებული ქართველ კომპოზიტორთა მიერ იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მშვენიერება და სიტყვიერი მუსიკალურობა ჰანგებოდაც აღბეჭდილიყო.

ივ. ჯავახიშვილი ქართველ მეცნიერთა, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა წინაშე ამოცანად აყენებდა უკვდავი პოემის იუბილეს დროს იმ ზნეობრივი ვალის მოხდას, რაც მათ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის წინაშე ჰქონდათ. დასკვნის სახით ეს შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „750 წლისთავის ზეიმის აღსანიშნავად განკუთვნილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა შეუძლებელია მხოლოდ კარგი გამოცემა იყოს: ის უნდა უეჭველად სამაგალითო, უზადო გამოცემა იქნეს. ამგვარადვე ძეგლიც, რომელიც გენიოს მგოსანს დაედგმება, მისი შემოქმედების სიდიადის, აღმაფრენის, ჰაეროვნებისა და მისი იდეალების სიღრმის ამსახველადაც უნდა მოგვეჩვენოს შოთას თხზულებასა და სახელთან დაკავშირებული მუსიკალური ნაწარმოებიც, მისი ლექსის განმაცვიფრებელი სინარწარისა და გამომხატველობითი ნიჭის ღრმა გულწრფელობით უნდა იყოს გამსჭვალული, ჰაეროვანი აღმაფრენის მონაბერად უნდა მოგვევლინოს“ (გვ.12).

კვლავ უნდა გავიმეოროთ: შოთა რუსთაველის იუბილეს რომ ასე დიდი წარმატებები მოჰყვა, ამაში ფრიად მნიშვნელოვანი იყო ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი. ზოგიერთ მხარეს მისი მოღვაწეობისას თბილისსა და საქართველოში ჩვენ უკვე შევხვებით.

ივ. ჯავახიშვილის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის შესახებ საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ ეკითხებოდნენ მას. აკი, ამის გამო სწერდა 1937 წლის 2 ივნისს იგი ვარ. დონდუას: „აუარებელი სამუშაოა, მოსკოვიდან, ხარკოვითგან, ერევნითგან, ბაქოთგან, ვისაც კი შოთას დღესასწაულებთან ან რაიმე კავშირი აქვთ, ან რაიმე მოუვა ფიქრათ, ჩემთან მოდიან და წერილობით მეკითხებიან“.

საპასუხო საგაზეთო წერილები, საუბარი და მსჯელობა საკითხთა თითქმის განუსაზღვრელ წრეზე, დამატებით ენერგიას თხოულობს და ივ. ჯავახიშვილს ეს შემოქმედებითი შრომა ავიწყებს განუკურნებელი ავადმყოფობის ტკივილებს. ასე იცის დიდი მიზნით დაკავებულობამ. რასაკვირველია, თავის ამ საშვილიშვილო მოღვაწეობაში ივ. ჯავახიშვილს მხარის დამჭერიც არ ელეოდა. თვით პარიზიდან არ ივიწყებდა ივ. ჯავახიშვილს ქართულ საგანძურთა ფხიზელი მფარველი ექ. თაყაიშვილი. იგი მომენტით საგებლობდა, კვლავ დაეყენებინა საკითხი მშობლიური ხალხისთვის მისი სიმდიდრის დასაბრუნებლად. იგი საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს არწმუნებდა „... ქართული უნივერსიტეტი და სამეცნიერო დაწესებულებანი აგრძელებენ სამეცნიერო მუშაობას. ასე, მაგალითად, ამჟამად ისინი ემზადებიან სახელგანთქმული მგოსნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის და კერძოდ ამზადებენ მისი ნაწარმოების სამეცნიერო გამოცემას. სამი ყველაზე ძველი და ძვირფასი ხელნაწერი მისი პოემისა იმყოფება ზემოთხსენებულ ყუთებში და უსამართლობა იქნებოდა, გამოცემლობისათვის ამ ძირითადი ხელნაწერის გამოყენების საშუალება წაგვერთმია...“

ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ, ივ. ჯავახიშვილის იმდროინდელი მოღვაწეობის ყველა მხარეს შევხვით, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, ესაა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება წაკითხული 1937 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე თბილისში. ეს მოხსენება მთელი ზეიმის გვირგვინად იქცა. მისი სათაურია „რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმის მონვევა მოსკოვის გარეთ იშვიათი შემთხვევა იყო. მაშინ მხოლოდ იწყებოდა მსოფლიო მწერლობის კლასიკოსების თარიღების საყოველთაო-სახალხო აღნიშვნა. მწერალთა იშვიათად დიდი რაოდენობა თავს იყრის თბილისში, რომ ერთი უკვდავი წიგნის 750 წლისთავი აღნიშნოს. მწერლებთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი მეცნიერებიც. მათ შორის იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია. იგი ჭეშმარიტად ხელდამშვენებული მოვიდა ამ იუბილეზე. სწორედ აკადემიის პრეზიდენტის აკად. ვ. ლ. კომაროვის მიერ ხელმოწერილმა განკარგულებამ განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი

რუსული თარგმანის გამოსვლა. ორი კრებული (აკად. იოსებ ორბელის რედაქციით) შოთა რუსთაველის ეპოქას მიეძღვნა, არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რაც თბილისში გაკეთდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მიერ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთაგან ჯერ მხოლოდ რუსულ ენაზე იყო თარგმნილი სრულად პოემა. იუბილემ დაუდო სათავე შოთა რუსთაველის არნახულ პოპულარობას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხში. სწორედ იუბილეს შემდეგ რამდენიმე ენაზე მთლიანად ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ის ისტორიულ-პოლიტიკური ტრაქტატი ან ისტორიული რომანი როდია, მაგრამ იგი ეკუთვნის თავისი ეპოქის გენიალურად ამსახველ ავტორს, რომლის იდეები სწვდება მომავალ საუკუნეებსაც. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი იყო მოხსენება იმის შესახებ, თუ რა სოციალურმა კულტურამ წარმოშვა „ვეფხისტყაოსანი“.

ივ. ჯავახიშვილზე უკეთ ამის წარმოჩენა არავის შეეძლო. მომხიბლავი იყო არა მარტო ფაქიზი ინტელექტუალური გარემო, რომელიც მის გამოჩენას ახლდა: შორსმჭვრეტელი და თვინიერი თვალები, მშვიდი ნაბიჯები, აკურატული, მაგრამ არა თვალშისაცემი ჩაცმულობა, ცხოვრებითა და შრომით გაჭაღარავებული თმა. სახენათელი მომხსენებლის პირველივე სიტყვიდანვე დარბაზი გაათბო მისმა რუსულმა, ყემმარტმა პეტერბურგულმა რუსულმა გამოთქმამ.

ივ. ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში ღრმად მიმოიხილაეს საქართველოს სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას X-XI საუკუნეებში, რომლებმაც მოამზადეს საქართველოს კულტურის აყვავება XII საუკუნეში. საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა არამარტო გარეგან მტერთან უსასტიკეს შეჯახებებს გულისხმობდა, არანაკლებ მწვავე შეჯახებები იყო თვით ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ფეოდალების მხრივ. დავით აღმაშენებლის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მუდმივი ჯარის შექმნით არამარტო უცხოელ ურდოებისაგან დაიცვა საქართველო, არამედ შეძლო „აელაგმა დიდგვაროვანთა თავნებობაც, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ სახელმწიფო ძალაუფლების ღონისძიებებს“ (გვ. 16). რასაკვირველია, დავითის გარდაცვალების შემდეგ დიდგვაროვნებს ეს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა გიორგი III-ის დროსაც. მის დროს საქართველოს წინაშე პრობლემა დადგა, შეეძლო თუ არა ქალს, მეფის ასულს, დაეკავებინა სამეფო ტახტი. მეფეს ეს შეეძლო გადაენწყვიტა უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თანხმობით და უმაღლესი სამღვდელთა სასწიკით, რომლის ხელში იყო იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრეროგატივა – გვირგვინის საეკლესიო წესით კურთხევა, თამარის მამამ გიორგი მესამემ ამის გატარება შეძლო მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დათმობათა წყალობით.

თამარის მეფობის დროს სახელმწიფო წყობილება ინტენსიური პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შეიქმნა შეზღუდული კონსტიტუციური მონარქია. თამარის სამეფო ხელისუფლების ძალა ვრცელდებოდა მთელს

კავკასიაზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ვასალური სამფლობელოს სახით საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა. ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ჩრდილოეთ სპარსეთი ყაზვინამდე, ხოლო დასავლეთით არზრუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა.

ქართველი ისტორიკოსი შენიშნავს, რომ თამარ მეფე უარს ამბობდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემავალი ქვეყნების ინკორპორაციაზე და მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით იზღუდებოდა. იგი ამგვარი კონსოლიდაციით სრულიად მიღწეულად თვლიდა თავის სახელმწიფოებრივ მიზნებს. ამ ვითარებაში, თუკი წონასწორობის პოლიტიკას დაარღვევდა რომელიმე მეზობელი, სწორედ მაშინ საქართველოს მთავრობა თავის ჯარებს გზავნიდა დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მხედარმთავრები თვითონ იწყებდნენ ომს მეზობლებთან, ისე, რომ მეზობლები მას არ ემუქრებოდნენ.

არ შეიძლება თავისი დროის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მომენტები არ იპოვოს კაცმა „ვეფხისტყაოსანში“. თუმცა იქ დასახელებულია არაბები, სპარსელები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნებენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქაა დასახელებული. „შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს“ (გვ. 19). შოთა რუსთაველი მარტო თავისი საზოგადოებისათვის არ ყოფილა მონინავე, არამედ იგი „იცავდა ისეთ იდეალებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ შვიდსაუკუნე-ნახევარი გავიდა, ძვირფასია ჩვენთვის, საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეთათვის, სადაც ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა განხორციელებულია და თანასწორუფლებიანობის პრინციპი უცილობელ დოგმად არის მიჩნეული“ (გვ.19).

მხატვრულ სახეებში ასახული პოლიტიკური ტენდენციები დღესაც გვხვბლავს თავისი მაღალი ესთეტიკური მიმზიდველობით.

პოემაში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი, ერთი მხრივ, ესაა უხეში ფიზიკური, სამხედრო ძალა, როცა პირადი ვაჟკაცობა, პირადი სიმამაცე წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს, მეორე თუ იშიშვლებს ხმალს, იშიშვლებს მხოლოდ იმისათვის, რომ გაათავისუფლოს ჩაგრულნი. აქ, იგ. ჯავახიშვილის აზრით, გვაქვს ორი სისტემის, ორი მიმდინარეობის, ორი პოლიტიკური დოქტრინის ასახვა, რომლებიც საქართველოში იყო და რომელთა შორის იმ ეპოქის საქართველოში წარმოებდა ბრძოლა. პირველს ტარიელი გამოხატავს, მეორეს ავთანდილი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, შოთა რუსთაველის მთავარი გმირია ავთანდილი. იგი წერს: „ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი მისი საყვარელი გმირია. ეს მცდარი აზრია. საკმარისი გავიხსენოთ ის დახასიათება, რომელსაც იგი ტარიელს აძლევს რათა გავიგოთ, რომ იგი აღტაცებულია მხოლოდ მისი სიმამაცით, ტარიელის მხოლოდ პირადი ვაჟკაცობით“ (გვ.18).

ივ. ჯავახიშვილის მოხსენებას შთაგონებით ისმენს მრავალრიცხოვანი შეკრებულობა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მაშინ, როცა იგი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით საეკლესიო რელიგიური უთანხმოების შესახებ ჰყვებოდა, დარბაზში ატყდა ოვაცია. მომხსენებლისათვის ეს მოულოდნელი იყო ტექსტის თვალსაზრისით. მალე მან შეამჩნია, რომ ეს ტაში დარბაზში ახლადშემოსულ 91 წლის ყაზახეთის სახალხო აკინს ჯამბულ ჯაბაევს ეკუთვნოდა, რომელიც რუსთაველმა და ხალხთა მეგობრობამ მოიყვანა აქ.

მომხსენებელი მაშინვე ტაშით შეუერთდა ოვაციის მონაწილეთ.

ივ. ჯავახიშვილმა მოხსენებაში გადაჭრით გასცა პასუხი კითხვაზე, თუ რა შეადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეას: „რაინდული სიყვარული თუ ძმადნაფიცობის იდეა – ხალხთა ძმობის იდეა“. მისი დასკვნით, სავსებით უეჭველია, რომ „იდეა ძმობისა, ამა თუ იმ ეროვნებისადმი, ამა თუ იმ სარწმუნოებისადმი კუთვნილების დამოუკიდებლად, წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლის გულისათვის დაინერა შოთა რუსთაველის ეს გენიალური პოემა“ (გვ. 18). და სწორედ ამ იდეასთან ერთად არასოდეს მოკვდება ეს დიდი პოემა.

დამსწრენი აღტაცებით ხვდებიან მოხსენებას. ღრმა შთაბეჭდილებები ამ მოხსენების გამო შემდგომაც გამოითქვა. დიდი რუსი მკვლევარი აკად. ვ.თ. შიშმარიოვი ხარობდა პეტროგრაძის უნივერსიტეტის პროფესურიდან მისი მეგობრის ივ. ჯავახიშვილის წარმატებით, იმით, რომ „მან აჩვენა თავისი კვლევითი ნიჭის მთელი ბრწყინვალე და ნათელი მხარეები“. ასევე აღტაცებით წერდნენ ამ მოხსენებაზე აკადემიკოსები ვ.ვ. სტრუვე და ი.ი. მეშჩანინოვი. უფრო გვიან, სამი წლის შემდეგ, ნ. ტიხონოვი, ა. ფადეევი და ვ. გოლცევი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო გამოგზავნილი სამძიმრის ტექსტში საჭიროდ თვლიან, აღნიშნონ ის დაუფინყარი შთაბეჭდილება, რაც მათი მეხსიერების ეკრანზე ივ. ჯავახიშვილის ამ მოხსენებამ დატოვა.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

კ. მარქსის „კაპიტალი“ და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი („კაპიტალის“ პირველი ტომის გამოსვლის 150-ე წლისთავთან დაკავშირებით)

თეიმურაზ ბერიძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი
Teimuraz.beridze@tsu.ge*

ელგუშა მემვაბიშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი
Emekvabe@yahoo.com*

*„თანამედროვე ეკონომიკა რომ გაიგო,
„კაპიტალი“ უნდა წაიკითხო“.
ალექსანდრე გორგასლიძე
მოსკოვში მოღვაწე ქართველი ექიმი,
თერაპევტ-კარდიოლოგი*

სტატიაში მიმოხილულია კ.მარქსის თეორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობა. გამოყოფილია მისი იდეოლოგიური და შემეცნებითი ასპექტები. დახასიათებულია „კაპიტალის“ პირველ და მესამე ტომებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური კრიზისის კვლევის მეთოდოლოგია. დასაბუთებულია, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ქარბნარმოების კრიზისის მარქსისეული ლოგიკის ჩარჩოებში წარმართა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქონლის ქარბნარმოება ფინანსური გლობალიზაციის ეპოქაში ფინანსური ინსტრუმენტების ქარბნარმოებამ შეცვალა.

საკვანძო სიტყვები: საქონლის ქარბნარმოება; გადახდისუნარიანი მოთხოვნა, საკრედიტო ექსპანსია; ფიქტიური კაპიტალი; ფინანსური გლობალიზაცია; ფინანსიზაცია; დერივატივები.

კ. მარქსის თეორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობა თანამედროვე კონტექსტით

კ.მარქსი ერთ-ერთი უდიდესი ინტელექტუალური მოაზროვნეა კაცობრიობის ისტორიაში. დასავლეთის ქვეყნებში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევებში მას ყოველთვის მონინავე ადგილი უკავია. მეოცე საუკუნის ბოლოს BBC-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში კი მარქსი აღიარებული იქნა მეორე ათასწლეულის ყველაზე გამოჩენილ მოაზროვნედ და ისეთ გენიოსებსაც კი გაასწრო, როგორებიცაა ი.ნიუტონი და ა.აინშტაინი [1, გვ. 2]. „ეკონომიკის“ პირველი სახელმძღვანელოს ნობელიანტი ავტორი პ.სამუელსონი ყველა დროის ყველაზე გამოჩენილ ეკონომისტებს შორის ასახელებს ა. სმიტს, კ.მარქსს და ჯ.მ. კეინზს [2, გვ. 32]. მარქსის მოძღვრებისადმი დამოკიდებულება ათწლეულების მანძილზე რთულ მეტამორფოზას განიცდიდა – ე.წ. „საერო რელიგიად“ აღიარებიდან დაწყებული, მისი „შიშველი“ უარყოფით და მსოფლიოში მომხდარი თითქმის ყველა უბედურების მთავარ მიზეზად ჩათვლით დამთავრებული.

გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე პროცესები მარქსის ეკონომიკური მოძღვრების ახლებური გააზრების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. მსოფლიოს ნამყვანი ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ: გლობალური უთანასწორობა იზრდება [3], ცალკეული ქვეყნების მიხედვით კი, პიკურ მაჩვენებელს აღწევს [4]; ტოპმენეჯერების ანაზღაურება ათეულჯერ და ასეულჯერაც აჭარბებს საშუალო რგოლის მუშაკთა ანაზღაურებას [5;6]; განვითარებულ ქვეყნებში მუშაკთა რეალური ხელფასი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სისტემატურად მცირდება [7]; კაპიტალის ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში განუზრებლად იზრდება, შრომისა კი მცირდება [8;9 გვ. 3-28], მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა საგრძნობლად აფერხებს ეკონომიკურ ზრდას [10;11]; მომავალში უთანასწორობის შემდგომი გაღრმავება შეიცავს მწვავე სოციალური კონფლიქტების აღმოცენების რეალურ საფრთხეს [12] და ა.შ.

მარქსის ეკონომიკური მოძღვრების მიმართ ყურადღება განსაკუთრებით გაძლიერდა გლობალური ფინანსური კრიზისის დროს და უშუალოდ კრიზისის შემდგომ პერიოდში. 2010 წელს გამოცემული პოპულარული ჟურნალის „The Economist“ ერთ-ერთი ნომრის გარეკანს „ამშვენებდა“ საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის ნ.სარკოზის კარიკატურა „კაპიტალით“ ხელში. ამ მოვლენას წინ უძღოდა სარკოზის მიერ თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის მწვავე კრიტიკა. G20-ის ბერლინის სამიტზე (2009 წლის თებერვალი) მან განაცხადა, რომ „საჭიროა კაპიტალიზმის შექმნა თავიდან დავიწყოთ“ [13, გვ.12], ხოლო დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (2010 წლის 27 იანვარი) ჩამოაყალიბა კაპიტალისტური ეკონომიკის ახალი მოდელის სამი მთავარი პოსტულატი [14]:

- „ფინანსური ოლიგარქია“ უნდა შეიცვალოს „სამენარმეო კაპიტალიზმით“;

- ფინანსურ სფეროზე უნდა დამყარდეს ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლი, ზოგადად კი უნდა განხორციელდეს „რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე“ საყოველთაო გადასვლა;

- ეკონომიკამ უნდა იმუშაოს არა ფინანსური კაპიტალისთვის, არამედ ადამიანისთვის.

მსოფლიოში უმსხვილესი ინტერნეტმაღაზია Amazon.com-ის მფლობელი ჯ.ბე-ზოსი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ 2009 წელს ინტერნეტქსელით გაყიდულ წიგნებს შორის კ.მარქსის „კაპიტალი“ ლიდერობდა [16]. უთანასწორობასთან ერთად გლობალიზებულ სამყაროში მწვავე რჩებოდა სიღარიბის პრობლემა. 2015 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (დღეში 1,90 აშშ დოლარი შემოსავალი) მსოფლიოში 706 მლნი ადამიანი ანუ მსოფლიო მოსახლეობის 9% ცხოვრობდა [15, გვ.64]. სიღარიბეს უმთავრესად უმუშევრობა განაპირობებს, რომელიც, თავის მხრივ, ბოლო ათწლეულებში მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების დაქვეითებამ გამოიწვია. 2015 წელს უმუშევართა რიცხვმა 197,1 მლნ ადამიანს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემს 1 მლნ-ით, ხოლო გლობალური ფინანსური კრიზისისწინა პერიოდის მაჩვენებელს 27 მლნ-ით აჭარბებდა [15, გვ.65].

უთანასწორობა და სიღარიბე უმწვავეს პრობლემებს წარმოადგენდა თანამედროვე საქართველოსთვის. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების მიუხედავად, სიღარიბე არ შემცირებულა, უთანასწორობა კი უფრო გაიზარდა და 2016 წელს „საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო სახელმწიფო იყო“ [იგივე წყარო, გვ.74]. მაშასადამე, პრობლემები, რომელთა შესახებაც კ.მარქსი წერდა საუკუნუნახევრის წინ, არსად გამქრალა, შეიცვალა მათი გამოვლინების ფორმა იმ თვალსაზრისით, რომ იგი გაცილებით უფრო შენიღბული და დახვეწილი გახდა.

მარქსის თანამოაზრე, თანამოკალმე და მეგობარი ფ.ენგელსი გამოჰყოფდა ორ ფაქტს, რომლითაც კ.მარქსმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ისტორიის მატერიალისტური გაგება და ზედმეტი ღირებულების კანონის აღმოჩენა [17, გვ.31]. პირველის თანახმად, ეკონომიკა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს და ეკონომიკური პროგრესი განსაზღვრავს მთლიანად საზოგადოებრივ პროგრესს. მეორე, კაპიტალისტური ეკონომიკაში უშუალო მწარმოებელი ანუ დაქირავებული მუშა ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც უსასყიდლოდ ითვისებს წარმოების ძირითად საშუალებათა მესაკუთრე - კაპიტალისტი. კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ორი მთავარი სუბიექტის ეს ურთიერთობა ვლინდება წინააღმდეგობაში წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და ითვისების კერძო ფორმას შორის. ესაა ძირითადი წინააღმდეგობა, რომლის გადაჭრა, მარქსის აზრით, კაპიტალისტური სისტემის ჩარჩოში შეუძლებელია [17, გვ. 956-957].

კ.მარქსის უაღრესად მდიდარ თეორიულ-ეკონომიკურ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უკავია „კაპიტალს“, რომელიც ავტორს თავდაპირველად ჩაფიქრებული ჰქონდა ექვსი წიგნისგან შემდგარი გამოკვლევის ერთ-ერთ ნაწილად. ამასთანავე, „კაპიტალი“ იყო მეცნიერის ხანგრძლივი კვლევა-ძიების ლოგიკური შედეგი, რომელიც როგორც ჩანს, 1840-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს კ.მარქსის 1844 წლის ეკონომიკურ-ფილოსოფიური ხელნაწერები [18]. მარქსმა ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის მხოლოდ მცირე ნაწილის განხორციელება მოასწრო „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოცემის სახით (1867) მისი გარდაცვალების შემდეგ (1883) ფ.ენგელსმა გამოსცა მეორე ტომი (1885), ხოლო ცხრა წლის შემდეგ (1894) მესამე ტომი. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებს შორის გაიმართა ფართო დისკუსია „კაპიტალის“ პირველ და მესამე ტომებს შორის წინააღმდეგობის შესახებ. „კაპიტალი“ არის ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების ორგანული სისტემა, რომელიც გვიხსნის კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის ფუნქციონირება-განვითარების სიღრმისეულ კანონზომიერებებს. „კაპიტალის“ კვლევის მეთოდოლოგია ემყარება სოციალურ-კრიტიკული და ლოგიკურ-ისტორიული მიდგომების ერთიანობას. მარქსთან ჩვენ ვხედავთ, ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის ბრწყინვალე გამოყენებას როგორც ეკონომიკური, ასევე მთლიანად საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ანალიზის პროცესში, რომლის საფუძველზეც ეთდება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- კაცობრიობის ისტორია, მარქსის თანახმად, არის საზოგადოებრივი ადამიანის „წარმოება“ - საზოგადოებრივი შრომით ანუ საზოგადოებრივი თვითწარმოება;
- პირველი თეზისიდან გამომდინარე, მარქსისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ნივთებს ან ცალკეულ ინდივიდებს, არამედ ინდივიდებს შორის ურთიერთობებს ნივთების (მატერიალური დოვლათის) წარმოება, გაცვლა, განაწილება, გადანაწილება, მოხმარების პროცესში, ანუ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს;
- კაპიტალიზმის თავისებურება იმაშია, რომ ეს ურთიერთობები საქონელში, ფულში, კაპიტალში და ა.შ. მატერიალიზდება და საგნებს შორის ურთიერთობის გარდაქმნილ (ირაციონალურ) ფორმას იძენს;
- კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნივთური სიმდიდრე კი არ ემსახურება ადამიანის განვითარების ინტერესებს, არამედ ადამიანი ემსახურება ნივთიერი სიმდიდრის შექმნის, დაგროვებისა და გაზრდის მიზანს. აღნიშნულ მოვლენას კ.მარქსი საქონლურ ფეტიშიზმს უწოდებს და მიუთითებს, რომ ეს არის ე.წ. „აუცილებლობის სამეფოსთვის“ დამახასიათებელი კანონზომიერება;
- „აუცილებლობის სამეფოსთან“ ერთად, მარქსის აზრით, შესაძლებელია „თავისუფლების სამეფოს“ არსებობაც. ნამდვილი თავისუფლება ის სივრცეა, რო-

მელშიაც ადამიანს შეუძლია გახდეს საკუთარი თავის და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ჭეშმარიტი შემოქმედი. ეს სივრცე, მეცნიერის ღრმა რწმენით, საკუთრივ „ეკონომიკური აუცილებლობის მიღმა იწყება“ [18, გვ. 262-263];

- „ეკონომიკური აუცილებლობის სამეფო“ ანუ კაპიტალიზმი საკუთარი განვითარების ლოგიკით ამზადებს პირობებს (მატერიალურ წინამძღვრებს) „თავისუფლების სამეფოს“ დასამკვიდრებლად, თუმცა უშუალო გადასვლა ხდება სოციალური რევოლუციის გზით.

ამრიგად, კ.მარქსის თეორიულ მემკვიდრეობაში ამკარად ფიგურირებს სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და იდეოლოგიური მხარეები. ამ ფაქტს ჯერ კიდევ ი.შუმპეტერმა მიაქცია ყურადღება, რომელიც თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942) კ.მარქსს ახასიათებს ორ იპოსტაზში – როგორც „წინასწარმეტყველს“ და „სწავლულ ეკონომისტს“ [19, გვ.120-121]. ამგვარ დაყოფას, ჩვენი აზრით, პრიციპული მნიშვნელობა აქვს კ.მარქსის თეორიული მემკვიდრეობის ისტორიული შეფასებისათვის. „კაპიტალის“ მეთოდოლოგიას ეკონომიკური ანალიზის პროცესში წარუვალა ფასეულობა გააჩნია, ხოლო მისი იდეოლოგია - პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დოქტრინული დასაბუთება - დეტერმინირებულია განვითარების გარკვეული ეტაპით და გარდამავალი ხასიათისაა.

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევა „კაპიტალში“

კ.მარქსის მთავარ ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიკური კრიზისის ფენომენის კვლევას, რომელიც სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენილია „კაპიტალის“ სამივე ტომში. კაპიტალისტური წარმოების წესის ანალიზი იწყება საქონლის, როგორც „კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრის ელემენტის“ სახმარი ღირებულებისა და ღირებულების წინააღმდეგობის განხილვით. მთელი შემდგომი კვლევა ნათლად ადასტურებს, რომ სწორედ აქ არის „ჩაბუდებული“ კაპიტალისტური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც მარქსის აზრით, ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის უპირველესი მიზეზია.

მარქსის თანახმად, ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის ჯერ მიმოქცევის სფეროში ვლინდება, თუმცა მას ღრმა „წარმოებითი“ ფესვები გააჩნია. ამასთანავე, წარმოება-მიმოქცევის სფეროების კრიზისს ჩვეულებრივ წინ უძღვის სერიოზული შეფერხებები ფულად-საკრედიტო სფეროში: საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შემცირება, საფონდო ბირჟებზე აქციების კურსის დაცემა, ცალკეული ბანკების, სადაზღვევო, საინვესტიციო კომპანიების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების გაკოტრება და ა.შ.

ანალიზის პროცესში მარქსი ხაზს უსვამდა ეკონომიკური კრიზისების პერიოდულობას, რომელსაც უკავშირებდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების კა-

ნონზომიერებებს. კრიზისის პირობებში ძირითადი კაპიტალი სწრაფად ცვდება და სწრაფ აღდგენას საჭიროებს, რაც მხოლოდ ტექნიკური პროგრესის საფუძველზეა შესაძლებელი. ტექნიკური პროგრესის როლი აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც, ჯერ ერთი, ძირითადი კაპიტალის განახლების გზით ეკონომიკა იწყებს კრიზისიდან თანდათანობით გამოსვლას, და მეორე, ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის ახალი ეტაპის დაწყების ფაქტორად გვევლინება. ეკონომიკური ზრდის გარკვეულ ეტაპზე საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში ახალი დისპროპორციები წარმოიქმნება, რომლებსაც ახალ კრიზისამდე მივყავართ და ასე ხდება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ენტროპიული ხასიათის მქონე ციკლური განვითარება.

საკითხისადმი ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა შემდგომში არაერთხელ იქნა გამოყენებული მეცნიერების მიერ საბაზრო ეკონომიკის ციკლური რყევების შესწავლისას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია [20, გვ. 3-12]; მოკლევადიანი (3-დან 5 წლამდე) ე.წ. კიტჩინის და საშუალოვადიანი (7-დან 10-12 წლამდე) ანუ ჟუგლარის ციკლების [21, გვ. 97-106] ანალიზი.

ეკონომიკური კრიზისების განმომწვევი მთავარი დისპროპორცია წარმოებას (მინოდებას) და მოხმარებას (გადახდისუნარიან მოთხოვნას) შორის არსებობს. კრიზისების წარმოქმნის ფორმალური შესაძლებლობა მარტივ საქონელწარმოებაშია მოცემული, რომელიც კაპიტალისტურ საქონელწარმოებაში (კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში) რეალობად იქცევა. საქონელთა ერთმანეთზე უშუალო გაცვლა ანუ ბარტერი (ს-ს) ფულის წარმოშობის შემდეგ ორ ნაწილად იყოფა: საქონლის გაყიდვა (ს-ფ) და საქონლის ყიდვა (ფ-ს). ამასთანავე, ეს პროცესები შესაძლებელია დროში არ დაემთხვეს ერთმანეთს, რომლისგანაც გამომდინარეობს საქონლის რეალიზაციისას სირთულეების წარმოქმნის შესაძლებლობა. თუკი გამყიდველი თავისი საქონლის გაყიდვის შემდეგ არ იყიდის სხვის საქონელს, ეს უკანასკნელი არ რეალიზდება და ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შეფერხდება. ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნის მეორე ფორმალური შესაძლებლობა ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქციასთანა დაკავშირებული. არც ერთი საქონელმწარმოებელი არ არის დაზღვეული იმისგან, რომ გადახდის დადგომის მომენტში ის გადახდისუნარო აღმოჩნდეს. ვინაიდან სასაქონლო წარმოება-მიმოქცევაში (საბაზრო ეკონომიკაში) მრავალი საქონელმწარმოებელი ერთმანეთთან საკრედიტო ურთიერთობითაა დაკავშირებული, ჯაჭვის ერთი რგოლის განწყვეტამ შესაძლებელია მთელი ჯაჭვის დარღვევა გამოიწვიოს. მაშასადამე, ფერხდება მთელი მიმოქცევის პროცესი, რომელიც შემდეგ წარმოებაზეც ვრცელდება.

მარტივ სასაქონლო წარმოებაში მოქცეული ეკონომიკური კრიზისის ფორმალური შესაძლებლობა კაპიტალისტურ წარმოებაში რეალობად იქცევა. საზოგადოებრივი წარმოების (მრავალი მუშის ერთობლივი შრომის) შედეგს ითვისებენ კერძო მესაკუთრეები (კაპიტალისტები), რომელთა საქმიანობის წარმმართველია მათი

კერძო ინტერესების რეალიზაცია-მოგების მიღება და მაქსიმიზაცია. მოგების მაქსიმიზაციის მიზანი წარმოებას (მიწოდებას) განუწყვეტელი გაფართოებისკენ უბიძგებს, რაც კ.მარქსის აზრით, შესაძლებელია მუშების ხელფასის შემცირების გზით, ვინაიდან მოგება და ხელფასი ერთმანეთის საპირისპირო კატეგორიებია. მოგების ზრდა იწვევს სამუშაო ძალის ღირებულების შემცირებას, მაშასადამე, გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირებასაც და საქონლის ჭარბწარმოების აღმოცენებას [17, გვ. 792-807]. კ.მარქსის ზემოაღნიშნული მოსაზრებები კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში კრიზისების წარმოშობის მთავარ მიზეზთან დაკავშირებით, ძალიან ახლოს დგას აღნიშნულ საკითხზე ს.დე სისმონდის, რ.ლუქსემბურგის, კ.კაუცკის და სხვათა შეხედულებებთან. მაგალითად, სისმონდის აზრით, ფაბრიკანტისთვის მთავარია პროდუქტების წარმოება-რეალიზების შემდეგ მიღებული მოგება. ამ პროდუქტების უმეტეს ნაწილს მოსახლეობის ის კატეგორია ყიდულობს, რომელიც გამუდმებულ პროლეტარიზაციას და პაუპერიზაციას განიცდის. ამის შედეგად პერმანენტულად მცირდება მნიშვნელოვანი ნაწილის მსყიდველობითუნარიანობა, რაც პერიოდულად განაპირობებს ეკონომიკური კრიზისების დაწყებას [22]. ამავე დროს, მაქსიმალური მოგების მიღების სურვილი კაპიტალისტებს წარმოების მუდმივი გაფართოებისკენ უბიძგებს. წარმოების გადახდისუნარიან მოთხოვნაზე გადაჭარბების საპასუხო რეაქცია ბაზარზე საქონელზე ფასების დაცემა და წარმოების შემცირებაა. ეს უკანასკნელი ნიშნავს დაქირავებულ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას ანუ ასე იკვრება წრე, რომლის გარღვევაც მხოლოდ ეკონომიკური კრიზისითაა შესაძლებელი.

ჭარბწარმოების კრიზისის დაძლევის ყველაზე გავრცელებული მეთოდია საკრედიტო ექსპანსია. მაღალი საბაზრო კონიუნქტურის პირობებში ბანკები და სხვა საკრედიტო ინსტიტუტები ზრდიან კრედიტების გაცემას, რითაც ასტიმულირებენ მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე. მაშასადამე, კრედიტი ის ინსტრუმენტია, რომელიც დროებით არბილებს წინააღმდეგობას წარმოებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის. თუმცა, ამ გზით შექმნილი მოთხოვნა ფიქტიური ხასიათისაა. იგი, ერთი მხრივ, განაპირობებს ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების დავალიანების გაზრდას, რომელიც „არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. რაღაც ეტაპზე იწყება დავალიანების კრიზისი, რომელიც გადაიზრდება ჯერ ფინანსურ, შემდეგ კი ეკონომიკურ კრიზისებში“ [23, გვ. 79-80]. მეორე მხრივ, კრედიტი ყველგან ხელს უწყობს სპეკულაციას, ვინაიდან „შესაძლებელია იყიდო და არ გადაიხადო, გაყიდო ისე, რომ არ ფლობდე გასაყიდ საქონელს“ [24, გვ.14]. აღნიშნავს ნობელანტი ფრანგი ეკონომისტი მ.ალე. სნორედ წრეგადასული სპეკულაცია გახდა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, გლობალური ფინანსური კრიზისის აღმოცენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი.

ამრიგად, საკრედიტო ექსპანსია ხელოვნური გზით მოთხოვნის შექმნით წარმოებას უბიძგებს რეალური გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩარჩოებიდან გასვლი-

საკენ, არნახულად აფართოებს სპეკულაციური ოპერაციების მასშტაბებს და პერ-სპექტივაში კიდევ უფრო ღრმა და დამანგრეველი კრიზისების წარმოშობის შესაძ-ლებლობას წარმოქმნის. თუმცა, სხვა გზა კაპიტალისტურ საბაზრო მეურნეობას არ გააჩნია. არასაკმარისი მოთხოვნა ნიშნავს წარმოების და მამასადამე, მოგების შემცირებას¹. კაპიტალს კი „ისე ეშინია მოგების უქონლობის ან ფრიად მცირე მოგე-ბის, როგორც ბუნებას - სიცარიელისა. სათანადო მოგების დროს კაპიტალი მამაცი ხდება“ [17, გვ.954].

გლობალიზაციის ეპოქაში საქონლის წარმომარაგების ეკონომიკური კრიზისე-ბი ფინანსური ინსტრუმენტების წარმომარაგების ანუ ფინანსურ კრიზისებად ტრან-სფორმირდა. კ.მარქსი სამრეწველო კაპიტალზმის ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვა-ნეობდა. მისი სიცოცხლის მხოლოდ ბოლო პერიოდში იჩინა თავი ფინანსური კაპი-ტალიზმის პირველმა ნიშნებმა, რომლებიც მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მათი ანალიზი გადმოცემულია „კაპიტალის“ მესამე ტომის მეორე ნაწილში. მარქსი მსჯელობს ფიქტიური კაპიტალის შესახებ, რომლის ქვეშ გულისხმობს გარკვეული შემოსავლის მომტან ფასიან ქაღალდებს, რომლებიც საფონდო ბირჟებზე მიმოიქცე-ვა. ფიქტიური კაპიტალის საფუძველი რეალური კაპიტალია, ანუ როგორც მარქსი შენიშნავს: „ფიქტიური კაპიტალი ტიტულურია ნამდვილი კაპიტალის მიმართ“ [25, გვ. 22]. ფიქტიური კაპიტალი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში წყდება თავის საფუძველს (რეალურ ეკონომიკას) და საკუთარ დამოუკიდებელ არსებობას იწყებს. ფიქტიურ კაპიტალში „კაპიტალის ღირებულების ნამდვილი ზრდის პრო-ცესთან კავშირის ყოველი კვალი დაკარგულია და განმტკიცებულია წარმოდგენა კაპიტალზე, როგორც ავტომატურად თვითმზარდ ღირებულებაზე“ [იგივე წყარო, გვ.9]. კ.მარქსი გამოყოფს ფიქტიური კაპიტალის ორ ნიშანს: ილუზორულობას და სპეკულაციურ ხასიათს. ამასთანავე მიუთითებს, რომ ფიქტიურ კაპიტალს კაპიტა-ლისტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაფართოების ტენდენ-ცია ახასიათებს [იგივე წყარო, გვ.25]. იგი გვთავაზობს კაპიტალისა და კაპიტალის-ტური საზოგადოების სიმდიდრის შემდეგ კლასიფიკაციას:

- „საქონლური კაპიტალი“ „ნივთიერი (ნამდვილი) სიმდიდრე“
- „ფულადი კაპიტალი“ „ფულადი სიმდიდრე“
- „მწარმოებლური კაპიტალი“ „ფაქტიური სიმდიდრე“
- „ფიქტიური კაპიტალი“

კ. მარქსისი თანახმად, „ნამდვილი“ კაპიტალი საქონლური კაპიტალისა და მწარმოებლური კაპიტალის ერთობლიობაა, ფულადი კაპიტალი კი გარდამავალი საფეხურია „ნამდვილ კაპიტალსა“ და „ჭეშმარიტად ფიქტიურ კაპიტალს“ – სახელ-მნიფო ქაღალდებს, ხაზინის მონობებს, ყოველგვარ აქციებს, თამასუქებს, ჰიპო-

1 „ჭარბი პულსი, (რომელიც იზომება როგორც დაკრედიტების მატების ტემპი) არღვევს სისტემას, მაგრამ მისი სისუსტე ან სულაც მისი არარსებობა, ისვე როგორც ცოცხალ ორგანიზმშია, აქაც დამღუპველია“ [23, გვ.84].

თეკებს შორის [იქვე]. ერთადერთი, რასაც მარქსი ამ ჩამონათვალში არ ასახელებს – დერივატივებია, რომლებიც მოგვიანებით, უფრო ზუსტად, 1970-იანი წლების შუა პერიოდში აღმოცენდა. კ.მარქსის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ჩვენი აზრით, გარკვეული ფასეულობა გააჩნია თანამედროვე ფინანსური კრიზისების შესწავლის საქმეში. ეს მომენტებია:

- ფიქტიური კაპიტალის ფენომენის გამოყოფა;
- ფიქტიური კაპიტალის ილუზორულ და სპეკულაციურ ბუნებაზე მინიშნება;
- ფიქტიური კაპიტალის განუხრელი ზრდის კანონზომიერების დაფიქსირება;
- ფიქტიური კაპიტალის ჭარბწარმოების ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირება¹.

თანამედროვე ფინანსური კაპიტალის უმეტესი ნაწილი შეიძლება განხილული იქნეს კ.მარქსის პერიოდის ფიქტიური კაპიტალის მემკვიდრედ, თუმცა რიგი ფაქტორების – უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების, საკომუნიკაციო საშუალებების, კორპორატიულ-ქსელური ბაზრების და ა.შ. ზემოქმედებით, იგი განსხვავდება „ძველი“ ფიქტიური კაპიტალისაგან. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს ვირტუალულობის გაცილებით მაღალ ხარისხში, რომელიც თანამედროვე ფიქტიურ კაპიტალს ახასიათებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა თანამედროვე ვირტუალური კაპიტალი, როგორც ფიქტიური კაპიტალის განსაკუთრებული ფორმა. ვირტუალური კაპიტალი ასევე წარმოდგენილია ვირტუალური ფულით, რომელიც მთლიანად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტია. ვირტუალურ კაპიტალს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ წარმოებული(მეორეული) ფინანსური ინსტრუმენტი-დერივატივები, რომლის სახეობებია: ოპციონები, სვოპები, ფიუჩერები, ვარანტები და ა.შ. ვირტუალური ფინანსური კაპიტალის ბაზაზე ყალბდება ეკონომიკის ფიქტიური (ვირტუალური) სექტორი, როგორც განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, რომელშიც ფუნქციონირებს გარდაქმნილი (ირაციონალური) ფიქტიური აგრეგატების ერთობლიობა. მასში არ იქმნება მატერიალური დოვლათი და კულტურული ფასეულობები. თანამედროვე პირობებში ფიქტიური კაპიტალის და ეკონომიკის ფიქტიური სეგმენტის გადაჭარბებული მოცულობის არსებობა ბევრი ეკონომისტის მიერ XX-XXI საუკუნის ფინანსური კაპიტალიზმის არასტაბილურობის მნიშვნელოვან მიზეზადაა მიჩნეული [26; 27; 28, გვ.124].

გლობალური ფინანსური კრიზისი მოასწავებდა ვალების დაგროვებასა და ფინანსური ბუშტების გაბერვაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მოდელის კრახს. ვალების დაგროვებას კი ძირითად ორი გარემოება განაპირობებდა; ერთობლივი მოთხოვნის საკრედიტო სტიმულირება და აქტივების შექენა შემდგომში მათი

1 კ.მარქსი წერს: „ფიქტიური კაპიტალის ზრდა ჭარბწარმოებასთან და უზომო სპეკულაციასთან ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს“ [25,გვ.22].

სარფიანი გაყიდვის ანუ სპეკულაციის მიზნით. ერთობლივი მოთხოვნის საკრედიტო სტიმულირება კანონზომიერებაში გადაზრდილი იმ ტენდენციის შედეგი იყო, რომელიც აშშ-ში და სხვა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში 1970-1980-იან წლებში ჩამოყალიბდა. იგი გამოიხატა დაქირავებული მუშაკების ხელფასის ზრდის ტემპის შემცირებით და მოგვიანებით მისი ფაქტობრივი შეწყვეტით [29, გვ.144]. პრაქტიკულად, ყველა მაღალი და საშუალო შემოსავლიან ქვეყანაში ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში ხელფასის წილი მშპ-ში განუხრელად მცირდებოდა [30].

როგორც ცნობილია, აშშ-ში მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 3/4 დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე მოდის [31, გვ. 584] და ამ შემთხვევაში ხელფასის 5 პროცენტული პუნქტით შემცირება, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ პერიოდში, უარყოფითად მოქმედებდა მოხმარებაზე, ამცირებდა რა ერთობლივ მოთხოვნას [32]. იმავე პერიოდში აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, ძირითადად „ტექნოლოგიური შოკის“ ზეგავლენით ადგილი ჰქონდა ერთობლივი მიწოდების საგრძნობ ზრდას, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას (გადახდისუნარიან მოთხოვნას) შორის. ასეთ პირობებში საკრედიტო ემისიით დამატებითი გადახდისუნარიანი მოთხოვნის შექმნა იყო ერთადერთი გამოსავალი, თუმცა ამ გზით მოხდა არა ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილება, არამედ მისი დროში გადავადება.

გლობალური ფინანსური კრიზისი უკავშირდება სპეკულაციურ ოპერაციებს, რომლებიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1990-იანი წლების ბოლოს 2000-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე ეკონომიკური ბუმის გავლენით და პირველ რიგში გამოვლინდა უძრავი ქონების, კერძოდ, საცხოვრებელი ფართის ბაზარზე. უძრავ ქონებაზე ფასების განუწყვეტელი ზრდის გამო მოქალაქეები ბინებს ძირითადად ყიდულობდნენ არა საკუთარი საჭიროებისთვის, არამედ მომავალში მათი უფრო ძვირად გასაყიდად და ამ გზით წელიწადში დაახლოებით 20%-იან მოგებას იღებდნენ. უძრავ ქონებაში ინვესტირების წყაროს არ წარმოადგენდა მოქალაქეთა დანაზოგები. პირიქით, აშშ-ის მოქალაქეთა 80%-ზე მეტი კი არ ზოგავდა საკუთარი შემოსავლების ნაწილს, არამედ ვალებით ცხოვრობდა. „დიდი რეცესიის“ (გლობალური ფინანსური კრიზისის) წინ ვალების მომსახურების ჯამური დანახარჯები 10%-ით აღემატებოდა ჯამურ შემოსავლებს [33, გვ.13]. ასეთ პირობებში ინვესტირების თითქმის ერთადერთ წყაროს ნაყიდი სახლების გირაოში ჩადებით აღებული საბანკო კრედიტები წარმოადგენდა, რასაც ხელს უწყობდა აშშ-ის ფულად სფეროში აღმოცენებული ჭარბი ლიკვიდურობა. „იაფი ფული“ ადვილად ტრანსფორმირდა „იაფ კრედიტად“ და უპირატესად გადაედინა უძრავი ქონების (საბინაო) ბაზარზე. ფულის სიიაფის და ადვილი ხელმისაწვდომობის გამო ბანკების მიერ ჰიპოთეკური კრედიტები ხშირად გაიცემოდა მსესხებლის გადახდისუნარიანობის შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, საგრძნობლად გაიზარდა დაბალხარისხიანი ე.წ. subprimes კრედიტების რაოდენობა, რომლის ხვედრითმა წილმა

2002 წლის 6%-დან 2006 წელს 20%-მდე მიაღწია [34, გვ. 21], ხოლო აბსოლუტურ გამოხატულებაში ფანტასტიკური თანხა – 1,3 ტრლნ დოლარი, ანუ აშშ-ს მაშინდელი მშპ-ს ზუსტად 10% შეადგინა [35, გვ. 39]. 2005-2006 წლებში 7,5 მილიონმა ამერიკელმა აიღო იპოთეკური კრედიტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ეს მოგვიანებით გამოჩნდა, არ იყო გადახდისუნარიანი. 2006 წლის შუა პერიოდის აშშ-ის საცხოვრებელი ფართის ბაზარმა „გაგრილება“ დაიწყო, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ეკონომიკური აღმავლობის პიკი განვლილი იქნა. ინფლაციის მოლოდინით, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის ხანგრძლივი (თითქმის 15-წლიანი) ზრდის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა, შემფოთებულმა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედ-მა) სადისკონტო განაკვეთი 2004 წლის 1%-დან 2006 წელს 5,2%-მდე გაზარდა. ამან, ერთი მხრივ, განმოიწვია უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირება და ფასების საგრძნობი დაცემა, მეორე მხრივ კი მკვეთრად იმატა კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევებმა, 2,5 მლნმა მსესხებელმა ვერ შეძლო ვალის დროულად გადახდა და დაიწყო კრედიტებით ნაყიდი სახლების ბაზარზე გატანა, რამაც კიდევ უფრო შეამცირა მათი ფასები და აშშ-ის საცხოვრებელი სახლების ბაზარი დეფოლტის მდგომარეობაში ჩააყენა.

იპოთეკური ბაზრის კრიზისიდან გამომდინარე ბანკებს, საინვესტიციო, სადაზღვევო კომპანიებს, ჰეჯფონდებს ლიკვიდურობის შემცირების გამო რთული პრობლემები გაუჩნდა. ფაქტობრივად შეწყდა ეკონომიკის დაფინანსება და წარმოიშვა ე.წ. „ფინანსური ტრომბი“, რომელიც მწვავე ფინანსური კრიზისის დაწყების მანიშნებელი იყო. კრიზისი არ შემოფარგლულა მხოლოდ ფინანსური სექტორით და გადავიდა ეკონომიკის რეალურ სექტორში. 2008 წელს აშშ-ის ეკონომიკაში მესამე და მეოთხე კვარტალში ეკონომიკური ზრდის ტემპის შესაბამისად 0,5%-ით და 6,2%-ით შემცირება ნიშნავდა ეკონომიკური რეცესიის დაწყებას მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით. 2009 წლის იანვარში უმუშევრობის დონე 7,6%-მდე გაიზარდა, როცა წინა ათი წლის განმავლობაში იგი 4-5%-ის ფარგლებში მერყეობდა. მოხდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის შემცირება(თვეში იგი შეადგენდა 1%-ს) და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო აშშ-ში 1949 წლის შემდეგ [36, გვ.17-31]. აშშ-დან ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გადაინაცვლა ევროპაში, მათ შორის, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში, ბალტიის ქვეყნებში, გამოიწვია ჩინეთის და ინდოეთის ეკონომიკების ზრდის ტემპების შემცირება და, მასასადამე, გლობალური ხასიათი მიიღო.

* * *

ამრიგად, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობისა და განვითარების ლოგიკა მთლიანად „ენერება“ კ.მარქსის მიერ XIX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე შემუშავებულ ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების თეორიაში იმის გათვალისწინებით, რომ სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქი-

სათვის დამახასიათებელი საქონლის წარმომადგენლობა ფინანსური ინსტრუმენტების წარმომადგენლობამ შეცვალა. აღნიშნული გარემოება ნათლად ადასტურებს მარქსის თეორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობის აქტუალურობას და მის მაღალ შემეცნებით-ანალიტიკურ პოტენციალზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

1. К.Маркс – мыслитель тысячелетия // Парламентская газета (1999), №93; К.Маркс по прежнему первый // Культура (1999), №36;
2. სამუელსონი პ. ეკონომიკის (1994). მთარგმნელთა ჯგუფი პროფ. კ.ლურნკაიას ხელმძღვანელობით;
3. Milanovich B. (2016) Global Inequality. A new Approach for the Age of Globalization. Cambridge, MA: Harward University Press;
4. Atkison A.B., (2015) Inequality: What Can Be Done? Cambridge, MA: Harward University Press;
5. Джомо К., Попов В.В. (2016) Долгосрочные тенденции в распределении доходов // журнал Новой экономической ассоциации. №3;
6. Интервью П.Самуельсона немецкой газете "DeWelt", (2011). Декабр.;
7. Любимов И.Л. (2016) Неравенство и экономический рост : теоретические аспекты зависимости // М.: РАНХ и ГС;
8. Piketty T., (2014) Capital in the Twenty-First Century, Cambridge, MA: Harward University Press;
9. Acemoglu D., Robinson D.A., (2015) The Raise and Decline of General laws of Capitalism || Journal of Economic Perspectives, vol.29, №1;
10. Zucman G. (2016) Global Inequality and Growth: The Interplay Between Inequality and Growth. Unpublished manuscript. <http://www. Gabriel-zucman. Eufiles|econ133-lecture8.pdf>
11. Stiglitz J. (2008) Markets Can't Rule Themselves || neusweek.2008. 31 december. URL: <http://www.neusweek.com/id|177447>
12. Стиглиц Дж. (2016) Глобализация и её новые тревожные результаты // <https://www.project-syndicate.org>; Стиглиц Дж. Цена неравенства. М., 2015;
13. Известия (2010). 28 янв.
14. Мировая экономика (2010), №1;
15. ბერიძე ე. (2017); ინკლუზიურობა - ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი || ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი X, №1;
16. ეკონომიკური პალიტრა (2010), 2-8 გვისტო;
17. მარქსი. „კაპიტალი“ (1954). პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი პირველი. ფენგელსი. წინასიტყვაობა მესამე გამოცემისთვის;
18. Маркс К. Энгельс Ф. (1974). Соч-ия. изд. Второе. Т. 42;
19. მექვაბიშვილი ე. (2012) თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები;

20. მექვაბიშვილი ე.(2014) დ.კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის კონტექსტით|| ეკონომიკა და ბიზნესი, №6;
21. კაკულია ნ.(2012). ეკონომიკური რყევების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით || ეკონომიკა და ბიზნესი.№1;
22. Сисмонди С. (1937) Новые начала политической экономии или о богатстве в его отношении к народонаселению. Т. 1-2;
23. ჩიქობავა მ. (2012). თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქმიანი ციკლის თეორიის თვალსაზრისით || ეკონომიკა და ბიზნესი, №4;
24. Белянин А. , Егоров Е. (2011). О творческом наследии выдающегося экономиста. 100-летию с дня рождения Мориса Алле // Вопросы экономики. №10;
25. მარქსი კ. „კაპიტალი“ (1959), ტომი II, ნაწილი 2;
26. Киндлбергер Ч; Алибер Р.,(2010) Мировые финансовые кризисы: мании, паники и крах. СПб.: Питер;
27. Sammers L. (2009), International Financial Crisis: Causes, Prevention and Cures || American Economic Review. Vol.90, №2;
28. ლარუში ლ.(2000) მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ზრდის პრობლემა || ნიგნში - მსოფლიო შეთქმულება;
29. Milanovich B. (2014). The Return of “Partimonal Capitalism“ A Review of Thomas Piketty’s Capital in the Twenty-First Century||journal of Economic Literature. Vol. 52, №2;
30. [https://www.project-syndicate.org/commentary/long-term-global-economic-projects-by-kaushik-basu-2017-06;](https://www.project-syndicate.org/commentary/long-term-global-economic-projects-by-kaushik-basu-2017-06)
31. მენქიუ გრ. (2008) ეკონომიკის პრინციპები;
32. Сафронов С. (2012). Неравенство доходов как тормоз экономического роста // Независимая газета, 12 октября;
33. Cecchetti S.G., Keller M., Upper C. (2009). Financial Crisis and Economic Activity || NBER Working Paper;
34. Супян В. (2009). Кризис в США:Экономический контекст // Вестник института Кенана в России, Выпуск 15;
35. Данилов-Данильян (2009). Глобальный кризис как следствие структурных сдвигов в экономике // Вопросы экономики. №7.

K. Marx's `Capital` and the Global Financial and Economic Crisis (Dedicated to the 150th Anniversary of the First Volume of “Capital”)

Teimuraz Beridze,

*Doctor of Economic Sciences, Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

Elguja Mekvabishvili,

*Doctor of Economic Sciences, Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

K. Marx is one of the greatest intellectual figures in human history. Now, when there is no longer a “socialist” system based on the main postulates of Marx, its great merit as a research scholar is acknowledged by modern visible authors. They name Marx among the most prominent economists of all time, along with A. Smith and J. M. Keynes.

Interest in Marx’s theoretical heritage became especially strong in the global financial crisis and post-crisis period. At that time, K. Marx’s “Capital” became the best-selling book, and the influential magazine “The Economist” published the French President N.Sarkozy’s caricature holding “Capital” in his hands. This fact was preceded by a number of acute public speeches of Sarkozy, including the EU summit in October 2008, where he said that ultra liberal capitalism suffered a collapse and it was necessary to change it with the model of social market economy. Marx had supposed to publish his main work “The Critique of Political Economy” in six books, but managed to realize only a small part of this idea as the first volume of “Capital.” The second and third volumes of “Capital” were published by his like-minded and friend F. Engels.

In all three volumes of the “Capital” there is presented economic crisis research in different aspects. Marx notes that formal likelihood of the emergence of economic crises is given in a simple commodity production that becomes a reality in the capitalist market economy. According to the scientist, capitalism is characterized by excessive production crises, which generate a chronic excess supply of solvency demand. Marx makes this interaction with classical content. He wrote on the controversy between the public character and the private capitalist form of misappropriation, which is the main obstacle to the rule of capitalist production. S. Sismondi, J. Hobson, K. Kautsky and R. Luxemburg’s views are close to Marxist theory of economic crises.

K. Marx worked in the industrial epoch of capitalism and naturally studied the overproduction crises of goods and capital taking place in the real sector of the economy. Later, especially in the epoch of globalization, the crises moved into financial sphere and emerged primarily in the form of overproduction crises of produced financial instruments. In addition, overproduction of goods in industrialized and post-industrial countries has

not disappeared. Moreover, through the credit emission, it was the attempt to solve the problem in the US at the beginning of the second millennium. The “cheap money” was transformed into a “cheap credit” and “flew into” the housing mortgage market which led to a mortgage debt, and then the country’s financial system crisis and its spread throughout the world.

In the third volume of “capital,” there are formulated the theoretical and methodological foundations of the research of financial capital. Marx argues here about the “fictitious capital” which, in his opinion, is only a “ghost” of real capital, is illusory and does not create real wealth of society. The main difference of modern fictitious capital from the fictitious capital analyzed by Marx is in much high quality of virtualization. Through the use of the latest information-communication tools, especially the Internet, it became possible to make billion worth of deals and process intercontinental transactions in real-time. In the decisive segment of the global financial market, trading is like a computer game whose participants show interest in not real goods and services, but in produced financial instruments that are symbolic values. The growth of the financial sector in the modern world (global) economy is significantly ahead of the growth of the real sector and at the same time the virtualization of financial sector is going very rapidly. There is a deformation of the global economy structure that acquires the shape of overturned pyramid and is more vulnerable to any kind of shocks. The global financial crisis was due to this reason.

Thus, on the basis of impartial and objective analysis of K. Marx’s “Capital” it is possible to separate two theoretical-methodological and ideological aspects. The ideological aspect is to justify the class struggle of the proletariat and its importance from the modern perspective is equal to zero. Theoretical-methodological aspect implies the use of a dialectical method in the study of economic events and processes and still maintains its importance. The problem of global financial and economic crisis is a good illustration for this case. The logic of origin and development of crisis is totally “fit” into the Marxist methodology of economic crises research.

Keywords: K. Marx’s theoretical and economic heritage; global financial crisis; economic crises of overproduction; overproduction of financial instruments; fictitious capital; virtual economy

JEL Codes: E11, E65, G01

საქართველოს ეკონომიკური ზრდის დანაშარების ობიექტური აუსილვალობა და ძირითადი პრიორიტეტები

უშანგი სამადაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
u.samadashvili@mail.ru*

სტატიაში, მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზისა და შედარების საფუძველზე, დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა. ნაჩვენებია მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის დაბალი მაჩვენებელი, ანუ ცხოვრების არასაკმარისი დონე და ევროკავშირისგან სერიოზული ჩამორჩენა.

სათანადო გათვლებისა და აბსტრაქციის მეთოდის საფუძველზე დასაბუთებულია ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლისა და ევროკავშირთან ეტაპობრივი დაახლოებისთვის ეკონომიკის წლიური არა 3%-ით, არამედ უფრო მაღალი ტემპით, სტაბილური და გრძელვადიანი ზრდის ობიექტური აუცილებლობა. განსაზღვრულია დაჩქარებული ზრდის ძირითადი პრიორიტეტები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდის ტემპი; ცხოვრების დონე; მშპ მოსახლეობის ერთ სულზე; დროის ყიდვა; პრობლემები და შესაძლებლობები; ხარვეზები და რეზერვები; ძირითადი პრიორიტეტები.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა

ამთავითვე ისმის კითხვა – რა მდგომარეობაა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში? გარეშე თვალით, საქართველო, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის გამოირჩევა თავისი საბაზრო-ინსტიტუციონალური გარდაქმნებით, ხოლო, მეორე მხრივ, მან ვერა და ვერ გადაწყვიტა თავისი ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები [1].

უფრო კონკრეტულად მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკების ანალიტიკურ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით კატეგორიები ეფუძნება ქვეყნის სიმდიდრის განსაზღვრის შედარებით უფრო ზუსტ, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მეთოდს. ახალი კლასიფიკაციით ქვეყნები ასე განაწილდნენ: დაბალი შემოსავლების ჯგუფი - მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 1025\$ ან ნაკლები; ქვედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი – მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 1025\$-დან 4035\$-მდე; ზედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი – მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4036\$-დან 12476\$-მდე; მაღალი შემოსავლების ჯგუფი - მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 12476 \$-დან მეტი.

ახალი კლასიფიკაციის მიხედვით, მართალია, საქართველომ მოსახლეობის ერთ სულზე 4160 აშშ დოლარით ქვედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნიდან ზედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა (ზედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი-მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4 036 დოლარი-დან 12 476 დოლარამდე), მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლით ის მაღალი შემოსავლების ჯგუფის ქვეყნების მინიმალურ ზღვარს (12476 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე) მაინც ჩამორჩება დაახლოებით სამჯერ, ხოლო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (32000 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე)-დაახლოებით 7,7 ჯერ. **საქართველო ქვედა საშუალო შემოსავლების ქვეყნების კატეგორიაში გასული თხუთმეტი წლის მანძილზე იმყოფებოდა, იქამდე კი ის დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში მოიაზრებოდა [2].**

ცნობილია ისიც, რომ უსაფრთხოების ინდიკატორებიდან გამომდინარე, ქვეყანა მყარად ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარსებო მინიმუმს დაბლაა მოსახლეობის მაქსიმუმ 10%-ის შემოსავლები და მისი მოქალაქეები გამოიმუშავენ იმდენ შემოსავალს (მოსახლეობის ერთ სულზე არა ნაკლებ 12476 დოლარი), რომლითაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ ბაზარზე მდგრად მოთხოვნას და, მეორე მხრივ, ქმნიან დანაზოგებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი მფლობელების სასარგებლოდ და ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასაფინანსებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საარსებო მინიმუმზე (არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები მინიმალური ფასებით) დაბალია, ადამიანებს ნაკლებ მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, უწევთ შიმშილობა, არასათანადოდ ჩაცმა-დახურვა და ავადმყოფობა. ცხადია, ბევრი ამ სიღარიბესა და დუხჭირ ცხოვრებას ვერ უძლებს და კვდება, რის შედეგადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალო სიდიდე გარკვეულად მატულობს.

ხაზგასასმელია, რომ საშუალო შემოსავალი გარკვეულწილად მაცდური მაჩვენებელია. რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად ზოგს 4160 დოლარზე მეტი და ზოგს ნაკლები შემოსავალი აქვს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 2016 წელს რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებელი, ანუ სახელმწიფო საარსებო შემწეობის მიმღები

მოსახლეობა შეადგენს 10,1%-ს. ე.ი. საქართველოში ყოველი მეათე ადამიანი ღარიბია. მოსახლეობის 20% კი ფარდობით სიღარიბეშია, ანუ საქართველოში საშუალო შემოსავლის 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს მოსახლეობის 20%, ხოლო 40%-ზე ნაკლებს – 7,1% **[რეგისტრირებული და ფარდობითი სიღარიბე, 3]**.

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20%-ის ფარდობითი სიღარიბე ბიზნესის დაბალგანვითარებულობის არამხოლოდ შედეგი, არამედ მიზეზიცაა, რადგანაც ღარიბი, არასაკმარისად გამოკვებილი და ჩაცმულ-დახურული, არასათანადო განათლებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი ადამიანებისაგან ეკონომიკური უკუგება დაბალია. სწორედ ამიტომ, სიღარიბის შეზღუდვის პრობლემა უნდა განვიხილოთ არა- მხოლოდ ჰუმანურობის, არამედ ეროვნული მეურნეობის აღმშენებლობის უდიდესი პოტენციალის შენარჩუნებისა და ეფექტიანად ამოქმედების პოზიციებიდანაც.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი საქართველოს მაჩვენებლის ტოლი ან ნაკლებია და მის მოქალაქეებს არ აწუხებთ უმუშევრობის, სიღარიბის, დაბალი ხელფასების, განათლების დაბალი დონის, ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი კი ეკონომიკის ზრდაა [4].

აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, საქართველოში 1990 წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 2684 დოლარს, ხოლო 1994 წელს შემცირდა 252 დოლარამდე. დამოუკიდებელ საქართველოში მშპ-ის ზრდა დაიწყო 1995 წლიდან. **1990-2015 წლებში საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა ტოლი იყო 3,3%-ის.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 1996 წელს საქართველოში წარმოებული იქნა 3 062 მლნ დოლარის მშპ მიმდინარე ფასებით, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა იყო 5 მლნ. შესაბამისად, 1996 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-მა შეადგინა 629 დოლარი. 2015 წელს საქართველოში წარმოებული იქნა 14 068 მლნ დოლარის მშპ მიმდინარე ფასებით, ხოლო მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 3 713 000 კაცი. შესაბამისად, 2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ ტოლი იყო 3 789 დოლარის (2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები!), ხოლო 2016 წელს – 3852 დოლარი. როგორც ჩანს, საანალიზო პერიოდში (1996-2015წწ.) მოსახლეობის რაოდენობა (5 000 000-3713000)=1 287 000 კაცით შემცირდა [5].

მაშასადამე, საქართველოში, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, ცხოვრების დონე გარკვეულად ამაღლდა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ხარჯზეც. თავის მხრივ, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განაპირობა, ჯერ ერთი, ქვეყნის

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო შრომითი ემიგრაციამ და, მეორე, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო სიკვდილიანობის ზრდამ და შობადობის შემცირებამ. ჩვენი აზრით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სამუშაო ადგილების ზრდას, შრომითი ემიგრანტების უკან დაბრუნებასა და მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიანმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ხოლო შობადობის ზრდას – გონივრულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ.

საინტერესოა საქართველოში როგორი ტემპებით იზრდებოდა რეალური მშპ 2006-2016 წლებში: ბოლო ათი წლის განმავლობაში მშპ-ის ზრდის დინამიკა ასე გამოიყურება: 12% – 2005წ., 9.4% – 2006წ., 12.3% – 2007წ., -2.3% – 2008წ., 3.8% – 2009წ., 6.3% – 2010წ., 7.2% – 2011წ., 6,2% – 2012წ., 3,4% – 2013წ., 4,6% – 2014წ., 2,8% – 2015წ., 2,7% – 2016 [5]. მარტივი გამოთვლით, საანალიზო პერიოდში ეკონომიკის საშუალოწლიური ზრდის ტემპი იყო 5,3%. ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი (12,3%) დაფიქსირდა 2007 წელს. მშპ-ის მაჩვენებელი შემცირდა 2008 წელს და შეადგინა (-2,3%), რაც განაპირობა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა და ამავე პერიოდის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა.

როგორია ეროვნული მეურნეობის თითოეული დარგის წილი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში 2016 წელს? 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (17,1%) და ვაჭრობა (16,3%). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,1%), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9,3 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (9,1%), მშენებლობა (8,3%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განევა (6,6%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,8 %), დანარჩენი დარგები 17,5% [5].

რაც შეეხება საქართველოს რეალურ მშპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე, იმავე საანალიზო პერიოდში (2006-2015 წწ), ასეთი დინამიკით ხასიათდებოდა: 1763.5 დოლარი – 2006წ., 2314.6 დოლარი – 2007წ., 2921.1 დოლარი – 2008წ., 2455.2 დოლარი – 2009წ., 2623.0 დოლარი – 2010წ., 3230.7 დოლარი – 2011წ., 3523.4 დოლარი – 2012წ, 3596.6 დოლარი – 2013წ., 3681 დოლარი – 2014წ., 3 789 დოლარი (მსოფლიო ბანკის მონაცემებით – 4160 დოლარი) – 2015წ., 3852 დოლარი – 2016წ. [5].

ქვეყანაში არსებულ მაკროეკონომიკურ ფონს კარგად ახასიათებს უმუშევრობის ნორმაც. უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით უმუშევრობის ნორმა 5-6%-ია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2012 წელს, როდესაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, უმუშევარი იყო 305 100 კაცი და უმუშევრობის დონე შეადგენდა 15%-ს. 2013 წელს კი საქართველოში უმუშევრობის დონე გაუტოლდა 14,6%-ს,

ხოლო უმუშევართა რაოდენობა-291 800 კაცს. 2014 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედრებით 12,4%-მდე შემცირდა და უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 246 000 კაცი, ხოლო 2015 წელს უმუშევრობის დონე 12%-მდე შემცირდა და უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 241 600 კაცი, 2016 წელს კი უმუშევრობის დონე 11,8 %-მდე შემცირდა და უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 241 000 კაცი, [5]. ე.ი. საანალიზო პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 64 100 კაცით, ანუ 21%-ით. თუმცა, საქართველოში უმუშევრობის დონე ჯერ კიდევ დაახლოებით ორჯერ მეტია უმუშევრობის უსაფრთხოების ნორმაზე. ეს კი ზრდის ფაქტობრივი მშპ-ის პოტენციური მშპ-დან ჩამორჩენას, უმუშევრობას, სიღარიბესა და სიღატაკეს.

ზაზგასამელია ისიც, რომ უმუშევრობის მთლიანად აღმოფხვრა თვით ქვეყნისთვის არახელსაყრელია, რადგანაც უმუშევართა გარკვეული არმია ყოველთვის აიძულებს მომუშვე პერსონალს მაღალ დონეზე შეასრულოს თავისი სამუშაო, რათა მისი ადგილი უმუშევარმა არ დაიკავოს; უმუშევრობა დამქირავებელს საშუალებას აძლევს არჩევანი გააკეთოს დასაქირავებლებიდან; უმუშევრობის აღმოფხვრა, ანუ სრული დასაქმება წაახალისებს ინფლაციას და სხვ.

საქართველოში, ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში, საბჭოთა ბაზრის დაკარგვისა და პოსტსოციალისტური გარდაქმნებისას ადამიანთა ერთმა ნაწილმა დაკარგა არა მხოლოდ სამუშაო, არამედ პროფესია, სპეციალობა და კვალიფიკაციაც. ე. ი. საჭიროა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად მათი პროფესიული მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, დატრენინგება და სხვა. ნურც იმას დავივნიყებთ, რომ განვითარებულ, დინამიკურ ქვეყნებში ადამიანები თავიანთი შრომით ბიოგრაფიის მანძილზე სულ ცოტა სამჯერ იცვლიან პროფესიას და იმაღლებენ კვალიფიკაციას. უმუშევრობის შემცირებაში ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, სამუშაოს მიმცემთა განთავისუფლება ბიუროკრატიული მარნუხებისაგან, რადგანაც დამქირავებლებზე ზიანის მიყენებით ვვინებთ სამუშაოს მაძიებლებსაც. ამასთან, საჭიროა არა უბრალოდ დასაქმება, არამედ ეფექტიანი დასაქმება, რათა კორუფციას, ჩრდილოვან ეკონომიკას და სიღარიბეს საფუძველი გამოეცალოს. აშშ-ი პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი მაღალია იმიტომ, რომ იქ მუშებიდან დანყებული, მენეჯერით დამთავრებული, ყველა ექვემდებარება უწყვეტ განათლებას. შესაბამისად, საქართველოში უმაღლესი განათლება ორგანულად უნდა ერწყმოდეს უმაღლესამდე და უმაღლესის შემდგომი განათლების საფეხურებს და ერთიანი სისტემის ორგანულ შემადგენელ ნაწილს შეადგენდეს.

ცნობილია, რომ საქართველო ესწრაფვის გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკაში დაბალანსებულ ინტეგრაციას. ცალსახაა ისიც, რომ საქართველოს სტრატეგიული ორიენტირია ევროკავშირთან ინტეგრაცია. ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია კი გულისხმობს არა ტერიტორიული, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, ცხოვრების სტანდარტებისა და ფასეულობების

(დემოკრატიული, საკანონმდებლო, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა) მიხედვით დაახლოებას, ანუ ევროპეიზაციას [6, გვ.127].

სწორედ ამიტომ, ბუნებრივად ისმის კითხვა – როგორ დგას ევროკავშირსა და მის ეკონომიკურად ყველაზე სუსტ ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონით დაახლოების საკითხი?

ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 32000 დოლარი) საქართველო ჩამორჩება დაახლოებით 7,7 ჯერ; ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერიუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 12476 დოლარი) - დაახლოებით სამჯერ. ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე სუსტი ქვეყნის, ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 7530 დოლარი) – დაახლოებით 1,7-ჯერ [8, გვ.84].

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულად მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროკავშირს (განსაკუთრებით ბოლო გაფართოების შემდეგ, როდესაც მასში განევრიანდა რუმინეთი და ბულგარეთი) და 2014 წლის 27 ივნისს მასთან გაფორმდა ასოცირების შეთანხმება, ეკონომიკური განვითარების დონით მას მაინც საგრძნობლად ჩამორჩება.

ისმის მორიგი კითხვა – საქართველოს, აღნიშნული ჩამორჩენის დაძლევისთვის, ანუ ცხოვრების ცივილიზებულ დონეზე გასვლისთვის, რამდენი დრო დასჭირდება? -

ეს დრო დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკის მოძრაობის „სიჩქარეზე“, ანუ ზრდის ტემპზე. **როგორ გავარკვიოთ მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავალი რა პერიოდის განმავლობაში გაორმაგდება?** ამისათვის ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს ე.წ. „70-ის წესი“, რომლის თანახმად, თუ რაიმე ცვლადი წელიწადში $X\%$ -ით იზრდება, მაშინ ეს ცვლადი ორმაგდება დაახლოებით $70/X$ წელიწადში. მაგალითად, თუ საქართველოში ეკონომიკა საშუალოდ 7% -ით იზრდება, მაშინ საშუალო შემოსავალი გაორმაგდება $70/7=10$ წელიწადში. ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ ცნობილი „70-ის“ წესის გამოყენებით, თუ ამოვალთ ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცდახუთი წლისთვის დამახასიათებელი საშუალო ეკონომიკური ზრდის $3,3\%$ -იანი მაჩვენებლიდან, მაშინ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს საქართველო მიაღწევს 69 წელიწადში. გაანგარიშების სიმარტივისთვის 4160 დოლარი დავამრგვალოთ 4000 დოლარად, ხოლო საშუალო ეკონომიკური ზრდის $3,3\%-3\%$ -ად. ეკონომიკის 3% -ით ზრდის შემთხვევაში 4000 დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 8 000 დოლარამდე გაზრდას დასჭირდება $70/3=23$ წელი; 8 000 დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 16 000 დოლარამდე გაზრდას დ 23 წელი; 16 000 დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 32 000 აშშ დოლარამდე გაზრდას კვლავ -23 წელი. საბოლოო ანგარიშით, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის

ერთ სულზე მშპ 32000 დოლარი) საქართველო მიაღწევს 69 წელიწადში. იგივე პრინციპით, ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერიუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთ სულზე 12 476 დოლარი) საქართველო მიაღწევს დაახლოებით 30 წელიწადში, ხოლო ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 7530 დოლარი) და დაახლოებით 13 წელიწადში.

ჩვენი აზრით, საქართველოს პერსპექტივის შესახებ რეალური სურათის მიღებისთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მხარეების ეკონომიკური განვითარების არამხოლოდ სასტატო მდგომარეობა, არამედ მათი ეკონომიკური ზრდის თითოეული პროცენტის „ხვედრითი ნონა“ და მოსახლეობის ზრდის ტემპიც, რომელიც განვითარებადი ქვეყნის კვალობაზე, როგორც ითქვა, საქართველოში დაბალია. ამგვარი მიდგომით, თუ ამოვალთ იქიდან, რომ საქართველოში 2015 წელს რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4160 ამერიკული დოლარია და ეკონომიკური ზრდა 1990-2015 წლებში საშუალოდ 3,3%, ხოლო ევროპის ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანაში, გერმანიაში კი, შესაბამისი მაჩვენებლები ტოლია 44 000 დოლარისა და 2%-ის. მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში 125 დოლარით გაიზრდება, ხოლო გერმანიაში – 880 დოლარით. აქედან გამომდინარე, წლიური 3,3%-იანი ეკონომიკური ზრდით საქართველო არამხოლოდ ვერ დაენევა განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც კი დაშორდება მათ და დარჩება ჩამორჩენილი ქვეყნების რიგებში.

ამგვარად, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლებისა და განვითარებული ქვეყნებისაგან ჩამორჩენის დაძლევისთვის აუცილებელია არა ბოლო ოცდახუთი წლისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის საშუალოწლიური 3,3%-ით ზრდა, არამედ, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ვექტორების ქვეყნობრივი (საბაზრო), სასაქონლო სტრუქტურის და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის საფუძველზე გაცილებით მაღალი, 7 და მეტი პროცენტული მაჩვენებლით სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის საშუალო შემოსავალი ყოველ ათ წელიწადში გაორმაგდება. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 32000 აშშ დოლარი) დაუახლოვდება 30 წელიწადში, ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერიუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 12 476 დოლარი) – 15 წელიწადში და ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის, ბულგარეთის 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 7530 დოლარი) – 7 წელიწადში.

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული 7-პროცენტის ტემპით ეკონომიკის ზრდა სავსებით რეალურია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, **ჯერ ერთი**, იმი-

ტომ რომ არსებობს ამის პრექტიკა. მაგალითად, ოთხჯერადი ვარდნის შემდეგ, 1996-1997 წლებში მოხერხდა 11%-იანი ზრდა. ასევე, 2003-2007 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 10,1%-ით იზრდებოდა: 8,6% – 2003წ; 8,4% – 2004წ; 12% – 2005წ; 9,4% – 2006წ; 12,3% – 2007წ. [53], და, მეორე, იმიტომ, რომ არსებობს სერიოზული რეზერვები, კერძოდ: გამოუყენებელია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დაახლოებით 75%, დაუმუშავებელია სახნავი მიწების დიდი ნაწილი, სოფლად გასატარებელი კოოპერირება, ინდუსტრიალიზაცია და მოდერნიზაცია გაზრდის მწარმოებლურობას და გამოანთავისუფლებს შრომით რესურსებს მომსახურების სფეროსათვის, ასევე კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის, რომელიც სუსტად არის წარმოდგენილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, დიდი პოტენციალია საწარმოო მშენებლობაში, ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობის ფაქტობრივი ნორმა და არაეფექტიანია დასაქმება, ჩამოსაყალიბებელია მცირე და საშუალო ბიზნესის დინამიკური განვითარების გარემო, რაც დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ადაპტაციის პროცესს, ახალი საწარმოების ჩამოყალიბება-ფუნქციონირებას, ეკონომიკის შიდა მოთხოვნაზე რეაგირებას და შეამცირებს არაგონივრულ იმპორტს. ამასთან, პერმანენტულად იზრდება ბაზრის მასშტაბები და საგარეო მოთხოვნა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, თურქეთთან, ჩინეთსა და დსთ-ს ქვეყნებთან. საქართველო შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით სარგებლობს, აგრეთვე, ეკონომიკურად განვითარებულ ისეთ სტრატეგიულ ქვეყნებთან, როგორცაა აშშ, კანადა, იაპონია. ქვეყანა სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებთან. ეს, საერთო ჯამში, ორ მლრდ-ზე მეტი მომხმარებლის ბაზარია, რაც აყალიბებს ვებერთელა საბაზრო პოტენციალს, რომლის გონივრული გამოყენების შემთხვევაში საგრძნობლად დაჩქარდება საქართველოს ეკონომიკური ზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია ე.წ. „დროის ყიდვა“ ანუ განვითარებული ქვეყნების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გონივრული გამოყენება, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მოსახლეობითა და ტერიტორიით საქართველოზე გაცილებით ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორცაა: ბალტიიპირეთის რესპუბლიკები, მალტა, კვიპროსი, ლუქსემბურგი და სხვა, რომლებიც უკვე ეზიარნენ ევროპულ მშვიდობას, სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობას.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ძირითადი პრიორიტეტები

არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ექსპორტის ამჟამინდელი სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგებს. სწორედ ამიტომ, ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შესაძლებელია საქართველოში გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობის მქონე

შემდეგ სექტორებში: ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტირება, უნინარეს ყოვლისა, ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე – სოფლის მეურნეობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, არამხოლოდ საბინაო, არამედ სანარმოთა მშენებლობაც, ტურიზმი და ფინანსური სექტორი [9, გვ. 76.].

უფრო კონკრეტულად, საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაში ყველაზე მეტი წვლილის შეტანა შეუძლია შემდეგ პრიორიტეტულ სექტორებს:

ჰიდროენერგეტიკა. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დღეს პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიული წარმოების შექმნას, რაც, თავის მხრივ, ენერგეტიკის განვითარებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო დარჩება ჩამორჩენილი ქვეყანა. ბოლოდროინდელი კვლევებით საქართველოს ჰიდროპოტენციალი ათვისებულია დაახლოებით 25 %-ით. **ეს პრობლემაც არის და გამოუყენებელი შესაძლებლობაც.** აი, ამ გამოუყენებელი პოტენცილის ამოქმედება ხელს შეუწყობს ქვეყნის არამხოლოდ ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას, არამედ, ერთი მხრივ, ელექტროენერჯის ექსპორტს და, მეორე მხრივ, ამ ენერჯიაზე მომუშავე სანარმოების ჩამოყალიბებას, მათ საბინაო და საგარეო ბაზარზე ორიენტირებას და ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოში ამჟამად ელექტროენერჯის 75% ინარმოება ჰიდროელექტროსადგურებზე, 20% თბოელექტროსადგურებზე კი 800 მლნ კვტ/სთ ელენერგია შემოდის რუსეთიდან. ამოცანა ისაა, რომ იმპორტული რუსული ელენერგია, რომელიც ყოველწლიურად 5%-ით მატულობს, ჩავანაცვლოთ საკუთარი ენერგორესურსებით. ამ მიმართულებით გარდაბანში შენდება ორი თბოელექტროსადგური, საიდანაც 500-600 მგვტ ახალ სიმძლავრეებს მივიღებთ. მაგრამ ეს თბოელექტროსადგურები მუშაობს გაზზე. გაზი კი არ არის სამამულო ენერგორესურსი. ამ მიმართებით საჭიროა გაზის ალტერნატივები და მათი სწორად შერჩევა. **გაზის რაც უფრო მეტი მილსადენი და წყარო იქნება (თურქმენეთი, ირანი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და სხვა), მით მაღალი იქნება დივერსიფიკაცია და ნაკლები – რისკები. თუმცა, ყველა მილსადენი და ყველა წყარო სანდო არ არის.** აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მინისქვეშა გაზსაცავი არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის გაზის მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტის, აგრეთვე, მოწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსის გამო. სწორედ ამიტომ, ხსენებული საფრთხეებისა და რისკების შემცირებისათვის მიზანშეწონილია აშენდეს მინისქვეშა გაზსაცავი, რომლის ტევადობა იქნება წლიური მოხმარების მინიმუმ 15%. გაზსაცავები მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანას გააჩნია. სულ მსოფლიოში 635 გაზსაცავია. ამიერკავკასიის რეგიონში სამი მინისქვეშა გაზსაცავია – ორი აზერბაიჯანში და ერთი-სომხეთში.

საქართველოში თანდათან იწყება განახლებადი, ადგილობრივი რესურსების ათვისება და გამოყენებაც. ამას ადასტურებს ქალაქ გორში 20 მგვტ სიმძლავრის

ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით შენდება. 150 მეგავატის სიმძლავრის ნახშირის ქვსადგური, რომლის პროექტიც ტყიბულში უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, მზის გამოსხივებაც საქართველოში საკმაოდ მაღალია: ბევრ რაიონში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს. შესაბამისად, მზის ელექტროსადგურის მშენებლობაზეც არის მსჯელობა. თუმცა, ამ ეტაპზე, ჰიდრორესურსი ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი იმედია და მას მზის, ან ქარის ენერჯია კონკურენციას ვერ გაუწევს [10].

სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ძირითადი წყარო უნდა იყოს სამამულო ჰიდროენერგოსურსი. საქართველოს აქვს 63 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა სიმძლავრეები ძირითადად ათვისებულია, ისინი მაქსიმუმს გამოიმუშავენ. ამიტომ, აუცილებელია მათ დაემატოს ახალი ჰიდროელექტროსადგურები. არსებობს ორი ტიპის ჰიდროელექტროსადგური: მდინარის მოდინებაზე მომუშავე და რეზერვუარიანი. იმისათვის, რომ ხსენებულ იმპორტს დავალწიოთ თავი, საჭიროა: ერთი თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და ახალი 230-500 მგვტი-ანი ახალი თბოელექტროსადგურის აშენება. ასევე, საჭიროა აშენდეს 1500-2000 მგვტი-ანი სიმძლავრის მცირე და საშუალო მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგური, საიდანაც ელექტროენერჯიის მიღება მხოლოდ სეზონურად არის შესაძლებელი. უნდა აშენდეს, ასევე, 1800 მგვტი-ანი რეზერვუარიანი სტრატეგიული პროექტები: ხუდონჰესი, ნენსკრაჰესი, ენგურის კასკადი, რომლებიც ჰიდროენერჯიას გამოიმუშავენ შემოდგომა-ზამთარში, მაგრამ ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს ინფრასტრუქტურის განვითარება. ყოველივე ამის საფუძველზე, ელექტროენერჯიის ტარიფებმა (ფასებმა), ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას და, მეორე მხრივ, შეინარჩუნოს ქვეყანაში ჯანსაღი სოციალური გარემო;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ტვირთებისა და ენერგოპროდუქტების გადაადგილებისათვის. აღმოსავლეთ-დასავლეთსა და ჩრდილოეთ-სამხრეთს შორის საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობისა და ლოგისტიკურ და სავაჭრო ჰაბად გადაქცევის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამ პოტენციალის რეალიზაციისაკენ არის მიმართული არსებული და მშენებარე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: ევროპა-კავკასია-აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ევროპის ყაზახეთთან და ჩინეთთან დამაკავშირებელი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, სავაჭრომობილო მაგისტრალი. ასევე, ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტი, რომლის მშენებლობის დამთავრება 2019 წლისთვის არის დაგეგმილი, რაც საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკურ და სავაჭრო ჰაბად ჩამოაყალიბებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქარ-

თველოს საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციის რეალიზებას, რეექსპორტის ახალი შესაძლებლობების გაჩენასა და ექსპორტზე ორიენტირებული სამამულო, თუ უცხოური სანარმოების მშენებლობას. ეს, ერთი მხრივ, გამოაჯანსაღებს საქართველოს მიძიმე სავაჭრო ბალანსს და მეორე მხრივ, გაზრდის დასაქმებას, შემოსავლებსა და კეთილდღეობას. ამ მიზნით, აუცილებელია, ასევე, ფართო რეკლამა და ბრენდირება, რომ საქართველო რეგიონში არის ღია, ყველაზე უსაფრთხო, ეკონომიური და მოკლე გზა ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა უნდა ეცადოს უკეთ გამოიყენოს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რათა ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას. ამ მიმართებით მშენებარე ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტი ხელს შეუწყობს ერთიანი ეკონომიკური ინტერესების მატარებელი ბლოკის ჩამოყალიბებას, რომელშიც თითოეული ქვეყანა შეძლებს მეტი სარგებელი მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას. მაგრამ ამისთვის მათ აუცილებლად უნდა შექმნან ერთიანი ინფრასტრუქტურა, რათა შეძლონ დააკავშირონ ბაზრები და შესაძლებელი გახდეს საქონლისა და მომსახურების რეგიონის ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილება. ამერიკული კომპანიები ამ რეგიონში შეიტანენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სერვისს, სათანადო გამოცდილებასა და ცოდნას [11];

სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა მთავარი მიმართულებაა, რომელიც საჭიროებს განვითარებას საქართველოში იმიტომ, რომ საქართველო არის აგრარული ქვეყანა. პარადოქსია, რომ აგრარულ ქვეყანაში პროდუქციის 85% იმპორტირებულია და ამავდროულად სახნავი მიწების 40% არის დაუმუშავებელი. **ეს სერიოზული ხარვეზია, მაგრამ ამავდროულად სერიოზული რეზერვიც.** აი, ამ რეზერვების ამოქმედება და დარგის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, რეგიონებში შექმნის სამუშაო ადგილებს, გაზრდის დოვლათს, შემოსავლებს და წახალისებს მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. მიუხედავად ბოლო წლებში ამ დარგის ბენეფიციარებზე გაცემული 300 მლნ ლარზე მეტი სუბსიდიებისა და ათასზე მეტი შექმნილი კოოპერატივისა, დარგს შიგნით და ქვედარგობრივი ძრილით მაინც შეიმჩნევა ასიმეტრიულობა და არასაკმარისი ეფექტიანობა. კერძოდ, 2015 წელს 2012 წელთან შედარებით მეცხოველეობის ზრდის ტემპი არის დაბალი, ხოლო მემცენარეობაში და მომსახურებაში უმნიშვნელო წინსვლაა, რაც, გარკვეულწილად, იმით უნდა აიხსნას, რომ სოფლად მომსახურების წილი ისედაც მეტად დაბალია, სოფლის მეურნეობა შედარებით ინერტულია და დაბანდებული კაპიტალის უკუგება დიდ დროს მოითხოვს. აგრეთვე იმით, რომ ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები არც საკმარისად განვითარებულია და არც იმ მასშტაბისაა, რომ ქვეყანაში არსებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს. სწორედ ამიტომ, ბაზრის ძალიან დიდი ნაწილი სწორედ იმპორტირებულ ხორცს უჭირავს

[12]. ამჟამად საქართველოში 1,745 მლნ ადამიანია დასაქმებული. აქედან უმეტესობა, 888 ათასი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, 744 ათასამდე – მომსახურების სფეროში, ხოლო 113 ათასი – მრეწველობაში. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო მასშტაბით, დასაქმებულთა უმეტესობა მომსახურების სფეროში მუშაობს [13]. მაშასადამე, თუ სოფლის მეურნეობაში არ ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, არ გამოთავისუფლდა აქედან სამუშაო ძალა სხვა დარგებისათვის, ვერ განვითარდება მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი, კვების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა, სადაც სამრეწველო პროდუქციის 50-60% ინარმოება სოფლის მეურნეობის მიერ მიწოდებული ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების საფუძველზე და სადაც გაბატონებულია მცირე და საშუალო ბიზნესი. შესაბამისად, ვერ განვითარდება ტურიზმი და მომსახურების სხვა დარგებიც. მნიშვნელოვანია, ასევე, პერსპექტივაზე გათვლილი, სოფლის მეურნეობის თითოეული დარგის განვითარების სტრატეგია. საქართველოში უნდა არსებობდეს სამსახური, რომელიც მოეხმარება სამამულო მენარმეებს უცხოურ ბაზრებზე შესვლასა და იქ დამკვიდრებაში. უსაჭიროა ნახალისდეს ის ფერმერული მეურნეობები და პროდუქცია, რომელიც უფრო მოთხოვნადია საზღვარგარეთის ბაზრებზე;

ტურიზმი. საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის, მდიდარი ბუნებრივ-სოციალურ-კულტურული რესურსებისა და ქართველთა სტუმართმოყვარეობის გათვალისწინებით, ტურიზმი ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი (და არაერთადერთი!) პრიორიტეტული მიმართულებაა. ტურიზმი ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას, რადგანაც მასში ერთი სამუშაო ადგილის შექმნა უშუალოდ მომიჯნავე დარგებში (ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა) ქმნის 3 ახალ სამუშაო ადგილს; ტურიზმი აჩქარებს მრავალი მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგების განვითარებას, ზრდის მშპ-ს, სავალუტო ნაკადების შემოდინებას და სხვა. **ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში, სადაც ტურიზმი იმპორტზეა დამოკიდებული, მისი ეფექტიანობა ერთობ დბალი და სარისკოა. სწორედ ამიტომ საჭიროა ტურიზმი საქართველოს სოფლის მეურნეობამ უზრუნველყოს და არა იმპორტულმა პროდუქციამ.** აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტული პროდუქტი არ არის პირველადი მოთხოვნის საქონელი. ტურისტული მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ გარკვეული შემოსავლების, დანაზოგების მქონე ადამიანებს, რომელთაც ამავდროულად აქვთ მზარდი დროის ბიუჯეტი და მოგზაურობის სურვილი (მოტივი). ეს ტურიზმს უაღრესად მგრძობიარეს ხდის პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ;

ფინანსური სექტორი. ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ნათელი წერტილია საბანკო სექტორი, რომელიც ორგანიზებულობის დონის მიხედვით წინ უსწრებს ეკონომიკის სხვა სექტორებს. ეს განაპირობა საბანკო სისტემის ორბუნებოვნებამ. ერთი მხრივ, ის არის ეროვნული ეკონომიკური სისტემის და, მეორე მხრივ, მსოფლიო ფინანსური სისტემის ნაწილი. სწორედ ეს ორბუნებოვნება აიძულებს მას განვითარ-

დეს უფრო სწრაფი ტემპებით, დანერგოს საბანკო საქმის გაძღოლის, რეგულირებისა და კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები. სწორედ ამიტომ, საქართველოში საბანკო სისტემა უნდა მოგვევლინოს მთელი ეკონომიკის ლოკომოტივად, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის სუბიექტებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. სამწუხაროდ, საქართველოს ფინანსური ბაზარი, ფაქტობრივად, დგას ერთ ფეხზე. არის ბანკი და არ არის კაპიტალის ბაზარი. ბანკებს არა აქვთ კონკურენცია კაპიტალის ბაზრის მხრიდან. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ბანკოცენტრისტული სისტემიდან პოლიცენტრისტულ სისტემაზე გადასვლა, საჭიროა კრედიტის ალტერნატივები, ანუ დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნება: დაგროვებითი საპენსიო სისტემა; საფონდო ბირჟა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აქციების შექნით საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს სხვა კომპანიაში; დეპოზიტების დაზღვევის სისტემა; ექსპორტის დაკრედიტება; ვენჩერული კაპიტალი და საინვესტიციო ფონდები; ფერმერთა ერთი ნაწილის მიწის ნაკვეთების დარეგისტრირება, რათა მათი ბანკში უზრუნველყოფის საშუალებად ჩადებით შესაძლებელი გახდეს კრედიტის აღება; ლიზინგი; გრანტი; ბიზნესანგელოზები; ჯეროვან დონეზე შესრულებული, კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის მიმზიდველი მომგებიანი ბიზნეს-გეგმა და სხვა. **ვითყვით იმასაც, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებულ გამოწვევებზე ორიენტირებული, მოძველებული ქართული საბანკო სისტემის მოდელი უნდა შეიცვალოს ამჟამინდელ პრობლემებზე ორიენტირებული საბანკო მოდელით. კერძოდ, მიზანშეწონილია საბანკო სექტორი, იმპორტმასტიმულირებელი სამომხმარებლო სესხიდან და ვალუტის კურსიდან, გადაერთოს ეროვნული წარმოების მასტიმულირებელ სანარმოო ბიზნეს-სესხსა და ვალუტის კურსზე, რაც ხელს შეუწყობს საქონლისა და ფულის ყიდვა-გაყიდვის ბიზნესიდან საქონლის წარმოებით მოგების მიღების ბიზნესზე გადასვლას.**

ზემოთ განხილული პრიორიტეტები ის სექტორებია, სადაც შეფარდებითი უპირატესობა უკვე გამოკვეთილია. დროთა ვითარებაში, ახალი და გაფართოებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად, სავარაუდოდ, გამოვლინდება ახალი საექსპორტო შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგები და სანარმოებიც, როგორც ეს ხდებოდა განვითარებით ჩვენზე წინ მდგომ ქვეყნებში. **საქართველოს საგარეო ბაზრების გეოგრაფიული და სასაქონლო დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება), ბადებს ახალ ბიზნესიდეებს. სწორედ ამიტომ, კომპანიები თუ დამწყები მენარმენი უნდა დააკვირდნენ ახალი ბაზრების მომხმარებლების საჭიროებებს და პრობლემებს და მათი საჭიროებები და პრობლემები საკუთარი ბიზნესის შესაძლებლობად აქციონ.**

* * *

დაბოლოს, ის, რომ ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი არ არის გამოყენებული სრულად; ის, რომ სახნავი მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია; ის, რომ დიდია უმუშევრობა და არაეფექტიანია დასაქმება; ის, რომ კვებისა და მსუბუქი მრეწველობა ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩანწული შრომის სართაშორისო დანაწილებაში; ის, რომ სახეზეა საბინაო და არა საწარმოო მშენებლობა; ის, რომ შესაცვლელია საბანკო სისტემის მოდელი და სხვა. ეს არის სერიოზული პრობლემა და ხარვეზი. ახლა ამოცანა ისაა, რომ ყველა ეს პრობლემა შესაძლებლობად და ყველა ეს ხარვეზი რეზერვად ვაქციოთ და ამის საფუძველზე დავაჩქაროთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: ევროკავშირში განეწიანებაზე ორიენტირებული საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა ეკონომიკური ზრდა ანუ მშპ-ის მაღალი ტემპით, სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა და ნაზრდი შემოსავლის არა ე.წ. საყოველთაო, არამედ მიზნობრივი, მისამართიანი განაწილება. სხვაგვარად, საჭიროა არა შემოსავლების განაწილებაზე, არამედ შემოსავლების გამოუმუშავებასა და ზრდაზე ორიენტაცია. ამის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის თითოეულ სულზე მონმარებული საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა ანუ ცხოვრების დონის ამაღლება, უმუშევრობის შემცირება, სიღატაკის დაძლევა და სიღარიბის შეზღუდვა, ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურის ჯეროვნად განვითარება, ახალი ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად წარმოების მოდერნიზაცია და შემდგომი გაფართოება, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, განვითარებული ქვეყნებისაგან ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და საქართველოს ავტორიტეტისა და ცნობადობის ამაღლება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოველთაო, დიფერენციულ კეთილდღეობას და თითოეულ მოქალაქეში კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა:

1. Пылин А. Экономика постсоветской Грузии: тенденции и проблемы (окончание). Российский экономический журнал 2 / 2013.
2. <http://blogs.worldbank.org/ New country classifications by income level>.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostat. ge/?action=page&p-id=133&lang=geo>
4. ნამჩავაძე ბ. როდის გახდება საქართველო მდიდარი? | Forbes Georgia | ივნ. 22, 2015].
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostat. ge/?action=page&p-id=133&lang=geo>.
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020. file:///C:/Users/comp/Downloads/Strategy24%2012%2013%20(2).pdf]

7. ბიულეტენი #13. 1998წ. ივლისი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
8. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, 2012.
9. Papaphilippou A. Risks for the Sustainability of Georgia's Economic Growth. Georgian Economic Trends, February, 2008.
10. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=306&lang=geo>
11. ენდრიუსი ბ. ამერიკის კომერციის მდივნის მოადგილე, <http://medianews.ge/11.03.2016>.
12. იმპორტირებული გაყინული ხორცი – რა შემონმებებს გადის პროდუქცია ქართულ ბაზარზე მოხვედრამდე? commerciant.ge 24.03. 20015.
13. commerciant.ge 06.10.2015. მსოფლიო მასშტაბით, დასაქმებულთა უმეტესობა მომსახურების სფეროში მუშაობს.

The Objective Necessity for Accelerating Economic Growth of Georgia and the Main Priorities

Ushangi Samadashvili,

*Doctor of Economics, Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
u.samadashvili@mail.ru*

In the article, based on the analysis and comparison of macro-indicators, there is characterized the unfavorable situation in the Georgian economy. There is also shown a low real per capita gross domestic product or an insufficient living standard and a serious backwardness in comparison to the European Union.

On the basis of the appropriate calculations and the method of abstraction, it is justified that in order to get out of this situation and a gradual rapprochement with the European Union, it is objectively necessary not annual three percent growth of the economy, but higher rates, stable and long-term growth. The main priorities for accelerated growth are identified.

Keywords: economic growth, living standard, GDP per capita, time buying, problems and opportunities, shortcomings and reserves, main priorities

JEL Codes: F43, F44, F49

ელიტების ქსევა და არაფორმალური ინსტიტუციონალიზაცია

ინგა ბალარაჯიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Inga.balarajishvili@tsu.ge

სტატიაში ნეოინსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების თანა-არსებობის წინააღმდეგობრივი ხასიათი, არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის პროცესის ლოგიკა და მისი გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. დადგენილია, რომ „გარღვევა“ ფორმალურ ინსტიტუციურ მოდელსა და ელიტების რეალურ პრაქტიკებს შორის, განაპირობებს „არა-ფორმალური ინსტიტუციური ხაფანგის წარმოშობას“. ელიტების მიერ ფორმალური ინსტიტუტებით მანიპულირება, მათი მონოპოლია ფორმალური წესების შექმნასა და ინტერპრეტაციაზე კანონის შესრულების კონტროლის სელექციურობის საფუძველია.

არაფორმალური ინსტიტუტების ანალიზისადმი ჩვენი მიდგომა ეფუძნება იმ თეზისს, რომ მანკიერი არაფორმალური ინსტიტუტების განმტკიცება წინასწარგანზრახულ ქმედებათა შედეგია. ქართული „არაფორმალურობა“, როგორც ქრონიკული, „არასაყმაწვილო“ სენი, ერთდროულად „კულტურული მემკვიდრეობის“, „პოსტტრავმული სინდრომის“ და „ელიტური“ თვითნებობის თავისებურ სიმბიოზად წარმოგვიდგება თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებით (ნეპოტიზმი, ფავორიტიზმი, კრონიზმი, ელიტური და სხვ.).

ნაშრომში პოსტსაბჭოთა „არაფორმალური ინსტიტუტების“ რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე წამოყენებულია არაფორმალური ინსტიტუტების „პოპულაციის“ „მემკვიდრეობითობის“ და „ცვალებადობის“ ჰიპოთეზა. ტრადიციული არაფორმალური ინსტიტუტები, ერთი მხრივ, შენარჩუნდება, მეორე მხრივ, „მუტაციას“ განიცდის, ტრანსფორმირდება ახალ ფორმებში. არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის ამგვარი სცენარი განაპირობებს განუსაზღვრე-

ლობის მაღალ დონეს ეკონომიკაში და ნეგატიური ინსტიტუციური მოლოდინების ფორმირებას, ეკონომიკურ აგენტთა უნდობლობას წესთა ლეგიტიმური სისტემისადმი.

საკვანძო სიტყვები: ელიტა; ფორმალური წესები; არაფორმალური ინსტიტუციონალიზაცია; ინსტიტუციური „ხაფანგი“; კულტურული დეტერმინიზმი; ინსტიტუციური ტრანსფორმაცია.

არაფორმალური ინსტიტუტების პრობლემა უკანასკნელ ათწლეულებში პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი პოპულარული სადისკუსიო თემაა. „არაფორმალურობა“, თავისთავად, ნებისმიერი საზოგადოების იმანენტური მახასიათებელია [1, გვ. 6], მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა შედეგი ინდივიდთა ქცევასა და ფორმალურ ინსტიტუტებზე ზემოქმედების თვალსაზრისით [2, გვ. 728–730]. მაგრამ, მკვლევართა ყურადღების ცენტრში უფრო ხშირად ხვდება სწორედ ის „კონკურირებადი“ (competing) არაფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც არა მარტო ანაცვლებენ ფორმალურ წესებს, არამედ ნეგატიურ ეფექტებსაც იწვევენ. კორუფცია, კლიენტელიზმი, კლანური პოლიტიკა, სახელმწიფო აპარატის მიერ სამართლის სელექციური გამოყენება ასეთი ნეგატიური ეფექტებია, რაც სრულიად სამართლიანად ექვემდებარება კრიტიკას ლათინური ამერიკიდან [3] ცენტრალურ აზიამდე [4]. ამ თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა საქართველო შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური ინსტიტუტების ბატონობის თავისებურ „ბუნებრივ ექსპერიმენტად“, მრავალრიცხოვანი ნეგატიური გამოვლინებით პოლიტიკაში, ეკონომიკაში და საზოგადოებაში. საკმარისია დავასახელოთ „კანონიერი ქურდის“ ფენომენი, პრივატიზაციის მანიპულაციური მექანიზმები, კერძო ბიზნესის მიტაცება, პარტიების და არჩევნების გაუმჭვირვალე დაფინანსება და სხვ.

„გარღვევა“ ფორმალურ ინსტიტუციურ მოდელსა და ელიტების რეალურ პრაქტიკებს შორის, დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოთა უმეტესობისთვის, სადაც „დემოკრატიული და კონსტიტუციური „ფასადი“ ეხამება პრეზიდენტის (ან ელიტის სხვა წარმომადგენლის) პირად ძალაუფლებას“. ინსტიტუტების ასეთი სისტემის ჩამოყალიბების თავისებურება ისაა, რომ ისინი აღმოცენდებიან არა სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების კონსენსუსის შედეგად, არამედ სიტუაციაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „თამამი ნულოვანი ჯამით“. ინსტიტუციონალიზაციის პროცესი წარმართება დიდი დაბრკოლებებით, როდესაც თამამის წესები ყალიბდება მცირერიცხოვანი პოლიტიკური ძალების ინტერესებისთვის. ვ. გელმანის სიტყვებით, ხდება „ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების კონსტელაცია, რომელიც ძირს უთხრის და, ფაქტობრივად, ამახინჯებს დემოკრატიის საფუძვლებს, სამართლის უზენაესობას და ეფექტიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ მართვას“ [5, გვ. 7].

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინსტიტუტების (მათ შორის არაფორმალურის) ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ელიტა, რომ არაფორმალური ინსტიტუტებიც შეიძლება შეიქმნას და განმტკიცდეს სახელმწიფოს და მისი ცალკეული წარმომადგენლების მიერ „მართვადობის“ ამალების ან კორპორატიული თუ პერსონალური მიზნების მიღწევისათვის. მსგავსი მოვლენები ამცირებს საზოგადოების ნდობას ელიტისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. არსებული მდგომარეობის თავისებურება და არაფორმალური ასპექტია შეუსაბამობა მმართველი ფენის იერარქიაში ფორმალურად დაკავებულ მდგომარეობასა და ცალკეულ აქტორთა რეალურ უფლებამოსილებებსა და პოლიტიკურ წონას შორის. არაფორმალური ინსტიტუციონალიზაცია დამახასიათებელია, აგრეთვე, ელიტების კვლავწარმოების მექანიზმისთვისაც. საპასუხისმგებლო პოსტებზე კანდიდატთა შერჩევაში დომინირებს პერსონიფიცირებული პრაქტიკა და არაფორმალური ურთიერთობები.

პოსტსაბჭოთა „არაფორმალურობის“ პრევალირების ამკარა სურათის მიუხედავად, მისი თეორიული ანალიზი გარკვეულ ფუნდამენტურ პრობლემებს აწყდება: რამდენად ეფექტიანია არაფორმალური ინსტიტუტების ანალიზის არსებული ინსტრუმენტები შემეცნებითი საშუალებების თვალსაზრისით? რა მიზეზები განაპირობებს არაფორმალური ინსტიტუტების პრევალირებას თანამედროვე საქართველოში? როგორია პოსტსაბჭოთა „არაფორმალურობის“ გენეზისი? არსებობს თუ არა მისი ნეგატიური შედეგების დაძლევის გზები? - პასუხები ამ კითხვებზე არც ისე ცხადია.

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები: თანაარსებობის წინააღმდეგობრივი ხასიათი

ინსტიტუციური მიდგომით, პოლიტიკურ პროცესში ინსტიტუტები არ არის ნეიტრალური ტრანსლატორი და აგრეგაციის მექანიზმი. ინსტიტუტების შექმნის წესები განსაზღვრავს პოლიტიკური ინტერესების შეფარდებით ძალას და კონკურენციას. ქცევითი (უტილიტარული) ვერსიისგან განსხვავებით, რომელიც პოლიტიკური წონასწორობის სპონტანურად მიღწევას ვარაუდობს (დაახლოებით ისევე, როგორც ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში - ზოგადი წონასწორობა), ინსტიტუციური თეორია პოლიტიკურ ბაზარზე წონასწორობას განიხილავს როგორც ადამიანური ნების არტეფაქტს. ინსტიტუტებს შეუძლია წონასწორობის (ან წონასწორობის პრობლემების) გენერირება პოლიტიკურ ბაზრებზე და გავლენას ახდენენ პოლიტიკურ შედეგებზე. ვ. მარჩის და ი. ოლსენის სიტყვებით, „ადამიანის ქმედებები, სოციალური კონტექსტი და ინსტიტუტები საკმაოდ რთულად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და ურთიერთქმედებათა ეს კომპლექსი გავლენას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე“ [6, გვ. 742].

როგორც დ. ნორტი აღნიშნავს, „მესამე სამყაროს“ ბევრ ქვეყანაში ...პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელმძღვანელებს შესაძლებლობათა შერეული ნაკრები აქვთ, მაგრამ ეს შესაძლებლობები დიდწილად წახალისებს უფრო გადამანაწილებელ საქმიანობას, ვიდრე მატერიალური დოვლათის წარმოებას, უფრო მონოპოლიების, ვიდრე კონკურენტული გარემოს ფორმირებას და უფრო ზღუდავს, ვიდრე აფართოებს არჩევანს. ამ ინსტიტუციურ ჩარჩოებში განვითარებადი ორგანიზაციები უფრო ეფექტიანი ხდება, მაგრამ ეფექტიანი საზოგადოების საერთო პროდუქტიულობის შემცირებასა და ისეთი საბაზო ინსტიტუციური სტრუქტურის განვითარებაში, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებად კეთილსასურველია პროდუქტიული საქმიანობისთვის. განვითარების ასეთი ტრაექტორია შეიძლება ხანგრძლივი და მყარი იყოს, რადგან „მსგავს ეკონომიკებში პოლიტიკური და ეკონომიკური ბაზრების ტრანსაქციური ხარჯები, „აქტორთა“ აღქმაში გაბატონებულ სუბიექტურ მოდელებთან ერთად, ხელს არ უწყობს ამ საზოგადოებების თანდათანობით წინსვლას უფრო ეფექტიანი შედეგებისკენ“ [7, გვ. 25].

დ. ნორტის მიხედვით, „ის, რომ არაფორმალური შეზღუდვები მნიშვნელოვანია თავისთავად (და არა როგორც დამატება ფორმალური წესებისადმი) აშკარაა იქიდან, რომ ერთსა და იმავე ფორმალურ წესებს და/ან კონსტიტუციებს სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა გამოვლინებები აქვს. დისკრეტულ ინსტიტუციურ ცვლილებებს, მაგალითად, რევილუციებს ან სამხედრო დაპყრობებს, უდავოდ, მოაქვს ფორმალური წესების ახალი სისტემები. მაგრამ, საინტერესოა... რომ საზოგადოებები შეუპოვრად ინარჩუნებენ ძველ ელემენტებს: იაპონური კულტურა გადარჩა ამერიკული ოკუპაციის პირობებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; ამერიკული საზოგადოება რევოლუციის შემდეგ დიდწილად ისეთივე დარჩა, როგორც კოლონიურ პერიოდში... თვით რუსული რევოლუცია - შესაძლოა, ჩვენთვის ცნობილი ფორმალური ტრანსფორმაციებიდან ყველაზე სრული - შეუძლებელია ბოლომდე გავიგოთ, თუ არ გავერკვევით მრავალი არაფორმალური შეზღუდვის გადარჩენის და შენარჩუნების საკითხში“ [7, გვ. 56-57].

დ. ნორტისთვის ფორმალური ინსტიტუტები წინასწარგანზრახულია (intentional), ხოლო არაფორმალური - აღმოცენდება და იცვლება სპონტანურად. „საიდან ჩნდება არაფორმალური შეზღუდვები? ისინი წარმოიშობა სოციალური მექანიზმების მეშვეობით გადაცემული ინფორმაციიდან და წარმოადგენს იმ მემკვიდრეობის ნაწილს, რომელსაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ... კულტურული ფილტრი უზრუნველყოფს უწყვეტობას, რომლის წყალობითაც გაცვლის პრობლემების არაფორმალური გადანაცვება, ნაპოვნი წარსულში, გადმოდის აწმყოში და წინანდელ არაფორმალურ შეზღუდვებს უწყვეტობის მნიშვნელოვან წყაროდ აქცევს“ [7, გვ. 57]. მისივე აზრით, არაფორმალური წესები არანაკლებ ლეგიტიმური და ქმედითია. ისინი არქაულია, დიდწილად მემკვიდრეობით გადმოეცემა, ვიდრე კონსტრუირდება, ე.ი. უფრო მეტად ისტორიული განვითარების პროდუქტია და არა - რაციონალური არჩევანის ან ინტერესთა შეთანხმების. არა-

ფორმალური შეზღუდვები თანდათანობით ყალიბდება წინა პერიოდში, როგორც ადრე არსებული ფორმალური წესების გაგრძელება. თუმცა, ფორმალური წესების სრულად შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ ბევრი არაფორმალური შეზღუდვა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება იმიტომ, რომ ისინი კვლავ დაეხმარება საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთამაშეებს გაცვლის ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტაში.

ინსტიტუტების განაწილებითი თეორიის თანახმად, ისინი აღმოცენდება არა როგორც კოორდინაციის და კოლექტიური მოქმედებების პრობლემის გადაწყვეტის საშუალება, არამედ როგორც ძალაუფლებისა და რესურსების განაწილებისთვის ბრძოლის თანამდევ კონფლიქტი („დისტრიბუციული ტრადიცია“ ინსტიტუტების გაგებაში ჯერ კიდევ, კ. მარქსთან და მ. ვებერთან შეიძლება ვიპოვოთ). ჯ. ნაიტის მიხედვით, ინსტიტუტები „ორადი ხასიათისაა“. ერთი მხრივ, ისინი იძლევა კოლექტიურ სარგებლობას, მეორე მხრივ, სხვადასხვაგვარად ანაწილებენ მოგებებს ინდივიდებს შორის. ნაიტი ასაბუთებს, რომ „სოციალური ინსტიტუტების შექმნისას თავდაპირველი მოტივაცია არ შეიძლება იყოს კოლექტიური მიზნების მიღწევა. ინსტიტუციური წესები იქმნება რაციონალური აქტორების მოქმედებით... ინსტიტუტებისგან მათ სურთ, რომ ეს უკანასკნელნი ფოკუსირდებოდნენ არა იმდენად კოლექტიურ შედეგებზე, რამდენადაც აწარმოებდნენ მათთვის, როგორც რაციონალური აქტორებისთვის, ყველაზე ხელსაყრელ სოციალურ შედეგებს. ჩვეულებრივ, ძალაუფლება განისაზღვრება „ურთიერთქმედების ფაქტით“ (ex post). თუმცა იმის განსაზღვრა, თუ ვისა აქვს ძალაუფლება, შეიძლება წინასწარაც (ex ante), თუ ამ ურთიერთქმედების წესები უკვე დადგენილია: „A-ს აქვს ძალაუფლება B-ზე, თუ მას შეუძლია მიაღწიოს იმას, რომ B-მ მოიწონოს ინსტიტუციური წესი, რომელიც დისტრიბუციულად ხელსაყრელია A-სთვის [8, გვ. 38]. მაშასადამე, ინსტიტუტების წარმოშობა შეიძლება ძალაუფლებისთვის ბრძოლის შედეგადაც ჩაითვალოს. სხვების მოქმედებების შეზღუდვით ძალაუფლების სუბიექტი იღებს ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან სხვები, რაც ამცირებს განუსაზღვრელობას ურთიერთქმედებაში.

ამგვარად, მანკიერი არაფორმალური ინსტიტუტების შენარჩუნების დისტრიბუციული არსი საზოგადოებრივი რესურსების (ფულის, ძალაუფლების, სტატუსის, კავშირების და სხვ.) ელიტური ჯგუფების სასარგებლოდ გადანაწილებაა, დარჩენილი ნაწილის „სოციალური აუტსაიდერებისთვის“ გადანაწილებასთან ერთად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური ინსტიტუტები არა მარტო ელიტების ხელში „სარგებლიანობის უთანაბრობის შენარჩუნების იარაღია“, არამედ, უფრო ფართო ფენების ქცევის წესი და აზროვნების ინერციაც.

ვ. გელმანის აზრით, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები ურთიერთგადახლართულია ერთი და იმავე ინსტიტუტის ფარგლებში. ეს არის ფორმალური „გარსი“ და არაფორმალური „ბირთვის“ „მავნებლური“ სიმბიოზი [9]. თუ პრობლემას განვიხილავთ რეტროსპექტივაში, საბჭოთა პოლიტიკის და ეკონომიკის მთელი ინსტიტუციური ორგანიზაცია ანალოგიური კონტექსტით შეიძლება აღინეროს. საბჭოთა ინსტიტუტების ერთი ნაწილი ატარებდა არანაირი მნიშვნელობის

მქონე ფასადის ხასიათს (როგორც, მაგალითად, კონსტიტუცია, რომელიც გულისხმობდა პარლამენტარიზმს და საყოველთაო არჩევნებს ერთპარტიული ბატონობის ფონზე), მეორე ნაწილი, სისტემის ნგრევასთან ერთად, დაინგრა.

გ. ჰელმკემ და ს. ლევიტსკიმ გააანალიზეს თითქმის მთელ მსოფლიოში შეკრებილი მონაცემები არაფორმალური „თამაშის წესების“ შესახებ. მათი აზრით, გამოკვლევები აჩვენებს, რომ მრავალი „თამაშის წესი“, პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურა არაოფიციალურია - იქნება, კომუნიცირდება (ვრცელდება და გადაეცემა) და რეალიზდება მაიძულებელი სანქციებით ოფიციალურ არხებს გარეთ. არაოფიციალური სტრუქტურები, ხშირად, მოულოდნელი სახით ჩნდება. „მაგალითად, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა ყოველთვის ვერ აიხსნება კონსტიტუციური დიზაინის თვალსაზრისით. ნეოპატრიმონიალური ნორმები, რომელიც უშვებს არარეგულირებად საპრეზიდენტო კონტროლს სახელმწიფო ინსტიტუტებზე აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, ხშირად განაპირობებს აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებულობის ისეთ ხარისხს, რომელიც დიდად აჭარბებს პრეზიდენტების კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს... ფართოდ გავრცელებული კლიენტელიზმის კონტექსტით (მოსახლეობის) პირველადი მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში შეზღუდულია: ადამიანები იძულებულნი არიან, ხმა მისცენ ადგილობრივ საქმოსნებს. ასეთ არჩევნებს იგებენ არა იდეოლოგიური კანდიდატები, არამედ ისინი, რომელთაც აქვთ ყველაზე მსხვილი პოლიტიკური მანქანა (ქართული ტერმინოლოგიით - ადმინისტრაციული რესურსი) [2, გვ. 726]. მეცნიერთა აზრით, შესაძლებელია საპირისპირო სიტუაციაც: არაფორმალური ინსტიტუტები ზემოქმედებენ ფორმალურზე ადეკვატური წესების დაცვისათვის სტიმულების შექმნის ან გაძლიერების გზით. ამგვარად, ფორმალური ინსტიტუტების მიმართ მათი „ჩრდილოვანი თანამგზავრები“ შეიძლება როგორც კეთილსასურველი (ხელშემწყობი), ასევე შემაკავებელი (წინააღმდეგობაქმედი) იყოს.

ნილს ბოესენის მოხსენებაში - „მმართველობა და პასუხისმგებლობა - როგორ ურთიერთქმედებენ და იცვლებიან ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები?“ (მოხსენება ნაკითხულ იქნა სემინარზე „არაფორმალური ინსტიტუტები და განვითარება - რა ვიცი და რა შეგვიძლია გავაკეთოთ?“, რომელიც ჩატარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეგიდით, 2006 წ.) - მინიშნებულია არაფორმალური ინსტიტუტების არსებობის პრაქტიკულ პრობლემებზე. პირად ურთიერთობებზე დამყარებული მართვის არაფორმალური ინსტიტუტები, - აღნიშნავს ექსპერტი, - მართვის იმ ფორმალური მოდელების წინამორბედი არიან, რომლებმაც OECD-ის განვითარებულ ქვეყნებში დომინირება დაიწყეს მხოლოდ ცოტა ხნის წინ. ნ. ბოესენის აზრით, არაფორმალური ინსტიტუტების გადარჩენის მიზეზი ისაა, რომ არსებობს განსხვავება დაწერილ წესებზე დაფუძნებულ მართვასა და ადამიანებს შორის ურთიერთობებზე დამყარებულ მართვას შორის. პირველ შემთხვევაში, აქტორები ურთიერთქმედებენ კანონისადმი

ნდობის, მეორეში კი - პიროვნებებისადმი ნდობის საფუძველზე. სწორედ, ეს განსაზღვრავს არაფორმალური წესების ეფექტიანობას და, მაშასადამე, მათ სიცოცხლისუნარიანობას. „...მართვის არაფორმალური მექანიზმების სიმრავლე, დაფუძნებული პერსონებისადმი და არა ფორმალური შეთანხმებებისადმი ნდობაზე... არსებითი ნიშანია იმისა, რამაც ურთიერთობებზე დამყარებული მართვის სახელწოდება მიიღო. ასეთი მართვა, თავისი ბუნებით, არაფორმალური ხასიათისაა“ [9]. ნ. ბოესენის აზრით, „როდესაც ურთიერთობებზე დაფუძნებული მართვა დომინირებს, მაშინ არ არსებობს ძლიერი ფორმალური სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც შეძლებდა ბაზრის ეფექტიანად რეგულირებას, კონტრაქტების შესრულების გარანტირებას და საკუთრების უფლებების უზრუნველყოფას... მართვა (ამ შემთხვევაში) განხორციელდება, ძირითადად, პერსონალიზებული ურთიერთობების გზით. იბატონებს ისეთი პოლიტიკური კურსები, რაც აღმოცენდება მორიგების - ე. ი., ოჯახების, კლანების და ა.შ. პატრონ-კლიენტურის სისტემის მიხედვით ორგანიზებული ინტერესებისა და ძალის დაბალანსების შედეგად“ [9].

მოდერნიზაციის ტერმინებით, ეს არის „განუფითარებლობის“, „არაბოლომდემოდერნიზებულილობის“ ნიშანი. მოდერნიზაციულ პარადიგმაში გააზრებული ძლიერი არაფორმალური ინსტიტუტები რამდენიმე საფართის ერთობლიობაა: 1) პრინციპული დაბრკოლება კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებისთვის, დოვლათის არასამართლიანი, არასაჯარო განაწილების და მაღალი ტრანსაქციური ხარჯების შედეგად; 2) არსებითი შეზღუდვა პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის, რომელსაც მაღალი სოციალურ-ეკონომიკური „ვიტალურობა“ ექნება, რადგან არაფორმალური ინსტიტუტები ვერტიკალური ბატონობა-მორჩილების არალეგალური კავშირების კულტივირებას ახდენენ (ზოგჯერ ყველაზე ველური ფორმებით), სოციალური უთანასწორობა, პარაზიტობა და სამართლებრივი ნიჰილიზმი; 3) არასასურველი ჯგუფების (მაფიოზური კლანები, ბიუროკრატიული ოლიგარქია და სხვ.) მიერ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობა; 4) ბიუროკრატიის ფუნქციონირების ვებერიანული, მერიტოკრატიული პრინციპების ჩანაცვლების გამო პატრონაჟული, ნეპოტიზტური და ა.შ. პრინციპებით სახელმწიფოს ქმედუნარიანობის ტოტალური დაცემა. აქედან გამომდინარე, „არაფორმალურობასთან“ ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი მათი „ღირებულების“ გაზრდაა.

არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის ლოგიკა: ელიტების როლი

ვ. რადავის განმარტებით, წესების დეფორმალიზაცია - ეს არის „ინსტიტუტების განუწყვეტელი ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც ფორმალური წესები მნიშვნელოვანწილად ჩანაცვლდება არაფორმალური და ჩამენდება არაფორმალურ ურთიერთობებში“. ასეთი ტენდენცია წარმოიშობა იმ სიტუაციაში, როდესაც აქტორები მეტ-ნაკლებად

ინფორმირებულები არიან არსებული ფორმალური წესების შესახებ, მაგრამ ყოველთვის არ ასრულებენ მას [10, გვ. 63]. არსებითად, საქმე ეხება ამ წესების შეუსაბამობას ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან, რაც იწვევს მათ ჩანაცვლებას არაფორმალური ნორმებით.

გ. ჰელმკეს და ს. ლევიტსკის მიხედვით, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთქმედების კლასიფიკაცია შესაძლებელია ორი კრიტერიუმით: 1) ფორმალური ინსტიტუტების ეფექტიანობა, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემორჩილებიან აქტორები მის მითითებებს და ხორციელდება თუ არა მათი შესრულების რეგულარული კონტროლი; 2) შეთავსებადობის ხარისხი არაფორმალური ინსტიტუტების მეშვეობით რეალიზებად მიზნებსა და იმ შედეგების მოლოდინებს შორის, რომელიც ევენტუალურად მიღწევადია ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებში. ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ისინი გამოყოფენ ურთიერთქმედების ოთხ წესს: კომპლემენტარული, შემთანხმებელი (accommodating), კონკურენტული და ჩამნაცვლებელი.

ბოლო ორი წესი განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ანალიზისთვის, ვინაიდან სწორედ ისინია ყველაზე მეტად დამახასიათებელი პოსტკომუნისტური საქართველოსთვის 1990-იანი წლებიდან დღემდე. როგორც გ. ჰელმკე და ს. ლევიტსკი აღნიშნავენ, კონკურენტული არაფორმალური ინსტიტუტები აქტორებისთვის ფორმალურ წესებთან შეუთავსებელ სტიმულებს ქმნიან - თუ დაიცავ ერთს, შეუძლებელია არ დაარღვიო მეორე, მაგალითად, კლიენტელიზმი, პატრიმონიალიზმი, კლანური პოლიტიკა და სხვა. ამგვარი კონკურენტული ურთიერთქმედება აღმოცენდება იმ შემთხვევაში, როდესაც სუსტი ან არაეფექტიანი ფორმალური ინსტიტუტების დანაწესები ეწინააღმდეგება აქტორთა მიზნებს. თუ ასეთი წინააღმდეგობა არ არსებობს, მაგრამ ფორმალურ ინსტიტუტებს არ შეუძლია უზრუნველყოს ის შედეგები, რასაც მათგან მოელოდნენ, იქმნება „ჩამნაცვლებელი არაფორმალური ინსტიტუტები [2].

გ. მერკელის და ა. კრუასანის აზრით, არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის გზაზე დამდგარი საზოგადოება შეიძლება განვითარდეს სამი ჰიპოთეტური სცენარის მიხედვით: 1) რეგრესი, ე. ი., სულ უფრო მეტი „დეფორმალიზაცია“; 2) პროგრესი, ანუ არაფორმალური პრაქტიკის თანდათანობითი შევიწროება; 3) სტაბილურობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, „ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების და არაფორმალურად გადაგვარებული დემოკრატიული დეფექტების გადახლართვა გადადის თვითკვლავწარმოებად წონასწორობაში, რაც იწვევს დეფექტური დემოკრატიის სტატუს-კვოს სტაბილიზაციას. სტაბილურობა შენარჩუნდება მანამდე, სანამ დემოკრატიის სპეციფიკური დეფექტები სახელისუფლო ელიტის ბატონობის გარანტიას იძლევა და ხელს უწყობს მოსახლეობის (სისტემის მხარდამჭერი ნაწილის) ინტერესების დაკმაყოფილებას“ [11, გვ. 27-28]. მაშინაც კი, როდესაც კანონის მითითებები მეტ-ნაკლებად ცნობილია, აქტორები მათ ანაცვლებენ ან ჩააშენებენ ჩვეულ არაფორმალურ ურთიერთობებში. აღმოცენდება პარადოქსული სიტუაცია: უნივერსალური ნორმები ათვისებულია, მაგრამ მოკლებულია პრაქტიკულ აზრს. ასეთი სიტუაციის ახსნა შესაძლებელია კოგნიტური მიდგომის საფუძველზე.

ინსტიტუტების იმპორტირებისას (ან პროექტირებისას) რეფორმატორთა დისკურსის ლოგიკა ხშირად არ ემთხვევა ამ ინსტიტუტების „გამომყენებელთა“ (ჩინოვნიკების და რიგითი მოქალაქეების) დისკურსის ლოგიკას - შეხედულებებს სოციუმის მოწყობაზე. როგორც ვ. დრაიზეკი აღნიშნავს, ინსტიტუტების „დასესხების“ მომხრეთა ლოგიკის საფუძველია წარმოდგენა პიროვნების რაღაც უნივერსალურ ტიპზე, აგრეთვე, ზუსტი წესების არსებობაზე, რომელსაც ექვემდებარება ადამიანთა ურთიერთქმედება. ასეთი ლოგიკა დედუქციური ხასიათისაა: ინსტიტუციურ დანაწესებთან დაკავშირებული დასკვნები გამოიყვანება იმ ვარაუდზე დაყრდნობით, თუ როგორ იმოქმედებენ ადამიანები ამა თუ იმ წესთა სისტემაში [12]. მსგავსი ლოგიკის გამოყენების მაგალითია საქართველოს სამართლებრივი სისტემა, როდესაც კანონები, ნაწილობრივ, გადმოწერილია „უცხოური ნიმუშებიდან“, ხოლო ნაწილობრივ, სპეციალურადაა შექმნილი იმისათვის, რომ დაამსხვრიოს საზოგადოებაში არსებული ქცევის ნიმუშები. თუმცა, ისინი ხშირად არ შეესაბამება, ჯერ ერთი, აქტორთა ნორმატიულ წარმოდგენებს სამართლიანობაზე, მეორე, კონფლიქტების დარეგულირების მათთვის ჩვეულ წესს. წინააღმდეგობა დადგენილ ფორმალურ წესებსა და რეალურ პრაქტიკას შორის მეტ-ნაკლები ნორმატივით გადაილახება ინსტიტუტების „გამომყენებელთა“ არაფორმალური დისკურსის ფარგლებში. არაფორმალური მიდგომა ადვილად „უმკლავდება“ ადამიანთა ურთიერთქმედების დროს აღმოცენებულ ორაზროვნებას.

ფორმალურ და არაფორმალურ დისკურსებს შორის განსხვავება ინსტიტუციური ხაფანგების წარმოშობის წანამძღვრებს ქმნის. მისი სიმყარე განპირობებულია „**გარღვევით**“ რეალურ პრაქტიკასა და ფორმალურ წესებს შორის. „საკუთარ“ მიზნებთან შეგუებისთვის, გვერდის ავლისთვის ან დარღვევისთვის აქტორები იძულებულნი არიან, „ათვისონ“ ეს წესები. ამასთან, ამგვარი ჩანაცვლებით დაინტერესებულ აქტორებს გარკვეულ ხაფანგში აღმოჩენის რისკი ემუქრებათ: წესების დეფორმალიზაციის დროს, იმპორტირებული ინსტიტუტი სუსტდება და აღარ შეუძლია არც ნორმატიული და არც სოციალიზაციის ფუნქციის შესრულება.

იმპორტირებული ინსტიტუტის დანერგვის პროცესში ამ ფუნქციების მჭიდრო კავშირის შესახებ მიაჩნებს კლაუს ოფეც: „მაშინაც კი, თუ იმიტაცია (მაგალითად, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მარეგულირებელი ინსტიტუციური წესებისა) რაიმე ნორმატიული ნიმუშის წუნდაუდებელი ასლის გაჩენას გამოიწვევს, ღიად რჩება კითხვა: შეძლებენ კი ახალი ინსტიტუტები იგივენაირად და იგივე შედეგებით ფუნქციონირებას, როგორც „დედანი“, ისინი ხომ, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მხარდაჭერილი არ არის სათანადო „სულით“ და კოლექტიური მეხსიერებით იმ პროცესის შესახებ, რომლის წყალობითაც ეს „სული“, ანუ „ეთოსი“ ინსტიტუციური წესების ერთობლიობად გადაიქცა? კონსტრუქტივისტული მიდგომა ეჯახება, სულ მცირე, ერთ სახიფათო პრობლემას მაინც, რომელიც უცნაურად გვაგონებს „სოციალისტური პიროვნების შექმნასთან“ დაკავშირებულ ცნობილ შეცბუნებას... კაპიტალიზმის „სული“ უნდა განმტკიცდეს მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმის ინსტიტუტები უკვე აღმოცენდა [13, გვ. 213]. თუ მოცემული

ფორმალური ინსტიტუტი არაფორმალურთან კომპლემენტარულობის რეჟიმში კი არ ურთიერთქმედებს, არამედ კონკურირებს მასთან, დიდია იმის ალბათობა, რომ აქტორთა მიზნები, რომელთა მიღწევასაც ისინი არაფორმალური ინსტიტუტების მეშვეობით ცდილობენ, წინააღმდეგობაში იქნება ფორმალური ინსტიტუტებით მიღწევადი შედეგების მოლოდინებთან. რაც უფრო ღრმაა ეს წინააღმდეგობა, მით უფრო ძლიერია იმედაცრეუბა ინოვაციებში და მით უფრო ცუდად ასრულებენ კოპირებული ინსტიტუტები ნორმატიულ და მასოციალიზებელ ფუნქციებს.

კ. ოფეს აზრით, ინსტიტუტებსა და სოციალურ ნორმებს შორის კავშირი არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი და ციკლური ხასიათისაა: „სოციალური აქტორები აყალიბებენ და მოქმედებაში მოჰყავთ ინსტიტუტები, ხოლო ისინი, თავის მხრივ, აყალიბებენ აქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ სოციალური ნორმების დაცვა. ინსტიტუტები აწესებენ ნორმატიულ და კოგნიტურ ნიმუშებს იმისა, რაც უნდა ჩაითვალოს ნორმალურად, რასაც უნდა ველოდეთ, რასაც უნდა დავეყრდნოთ, რომელ პოზიციებზეცაა განაწილებული ესა თუ ის უფლებება-მოვალეობები და რაც სჭირდება იმ საზოგადოებას, რომელშიც მოცემული ინსტიტუტი მოქმედებს. ინსტიტუტები ასრულებენ მასოციალიზებელ ფუნქციას ეტალონების შეთავაზებით და იმის შეხსენებით, თუ როგორ უნდა „მოიქცნენ“ ადამიანები სხვების მიმართ და რას უნდა ელოდნენ მათგან“ [13, გვ. 200].

მნიშვნელოვანი მიდგომა არაფორმალური პრაქტიკების აღწერისათვის არის უ. ბეკის „რისკის საზოგადოების თეორია“. არაფორმალურ საზოგადოებას, როგორც რისკის საზოგადოებას, თავისი კანონები აქვს, რომელსაც, საბოლოო ანგარიშით, ყველა ემორჩილება. თუ დემოკრატიულ საზოგადოებებში საყოველთაო სოციალური წესრიგის ელემენტი ბაზარია, რისკის საზოგადოებაში მას ცვლის პირადი კავშირების ქსელი, რომელიც მიმართულია კერძო ან კორპორატიული ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. თანამედროვე არაფორმალურობა არის არა ინტელექტუალური კაპიტალი პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისათვის, არამედ საყოველთაო გაურკვევლობის და შიშის პირობებში ინდივიდუალური გადარჩენა [14, გვ. 260].

ე. ოსტრომის მიხედვით, ინსტიტუტები არის არა ის, რაც დაწერილია კანონებში ან „მორალურ კოდექსებში“, არა ის, რასაც ადამიანები ამბობენ მათზე ტრიბუნებიდან ან კულუარებში, არამედ ის, რაც რეალურად არეგულირებს სოციალურ ურთიერთქმედებას. ეს არის „მოქმედი წესები“ (working rules, rules-in-use). ისინი „უხილავია“ (invisible) და „წარმოადგენენ ფუნდამენტურად გაზიარებულ ცნებებს, რომლებიც, უფრო ხშირად, მონაწილეთა გონებაში იმპლიციტური ცოდნის ფორმით არსებობს“ [15, გვ. 37]. თუმცა, იმპლიციტური ხასიათი (მისი გამოყენება უფრო ადვილია, ვიდრე არტიკულირება) არ ამცირებს წესების, როგორც ურთიერთქმედების რეგულატორის, პრაქტიკულ მნიშვნელობას, ოღონდ ერთი პირობით: არა ერთმა ინდივიდმა, არამედ საზოგადოების (ჯგუფის) ყველა წევრმა უნდა იცოდეს, რომ მოცემული წესი არსებობს და გამოიყენება მათ მიმართ ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. როგორც აღნიშნავს ჯ. ნაიტი, „წესების

უნივერსალურობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი განაპირობებენ არა მარტო ჩვენს საკუთარ მოქმედებებს, არამედ იმათი მოქმედებების მოლოდინებსაც, ვისთანაც კონტაქტში შევდივართ“ [8, გვ. 70-71].

აქტორთა მიერ ქცევის ახალი წესების რეალურობის მიღების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ნორმის შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ წარმოდგენებზე. ჯ. ნაიტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის „მომავალ მოქმედებათა ორიენტირი, სახელმძღვანელო პრინციპი. როგორც გამოკვლევები აჩვენებს, კანონმორჩილება არ არის ამა თუ იმ ელიტისათვის გავლენის მქონე ფასეულობა. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ფარისევლობის „კულტურა“, ანუ ორმაგი სტანდარტები. „კანონის უზენაესობა ოფიციალურად გაცხადებული ფასეულობაა, მაგრამ რეალურად, კანონების ჩამნაცვლებელი სხვა ნორმები უფრო ფუნქციონალურია“ [16]. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა ცნობიერებაში ფორმალური წესი აღიქმება არა იმდენად როგორც ორიენტირი ან ნიმუში, რამდენადაც რაღაც „დისტანცია“, რომელიც უნდა შეინარჩუნო, „ზღვარი“, რომელსაც ან არ უნდა გადახვიდე, ან ფრთხილად გვერდი აუარო (კანონისადმი მსგავსი დამოკიდებულება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც დასტურდება). კანონის ამგვარი აღქმა მას განსაკუთრებული რეალობის სტატუსს აძლევს: **კანონის ფარგლებში დარჩენა ნიშნავს, შეძლო მისი ნორმებით მანიპულირება**. სწორედ, მსგავსი მანიპულაციების პროცესში ხდება წესების დეფორმალიზაცია. ფორმალური წესები იმ სახისაა, რომ არ ვარაუდობს მათ სრულ და უპირობო შესრულებას. ელიტის ამოცანა არც არის ასეთი შესრულების მიღწევა, რაზეც მეტყველებს ფორმულირებებში შეგნებულად დაშვებული ორაზროვნებები. ეს კი კანონებს აახლოვებს დაუნერგლ ნორმებთან, რომელთა გამოყენებაც თითქმის ყველა მოქალაქეს ათვისებული აქვს ინტუიციურ დონეზე. ყალიბდება აზროვნების ონტოლოგიური სტილი - აქცენტი ინტუიციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. აქტორთა უმრავლესობისთვის ფორმალური სამართლის ეფექტიანობის სასარგებლო „დასავლური არგუმენტები“ სრულიად გასაგებია, მაგრამ ლოგიკურად არაცხადი.

დეფორმალიზაციის ლოგიკის ერთ-ერთი ელემენტია გაურკვეველობა **ფორმალური წესების ინტერპრეტაციაში**. ოფიციალური ორგანოები „თითქმის ყოველთვის ან ადგილს ტოვებენ განუსაზღვრელობისთვის და შეუძლებელია ყველა საკანონმდებლო სიცარიელის შევსება, ან სრულიად შეგნებულად ქმნიან განუსაზღვრელობის არეალს... ფორმალური წესების სხვადასხვაგვარი განმარტებისთვის შესაძლებლობების შემონახვით“ [10, გვ. 64]. ასეთი პრაქტიკა ახასიათებს სახელისუფლო ელიტების კოგნიტურ კომპეტენციას - სიტუაციების განმარტების მათთვის დამახასიათებელ ხერხს, არაცხადად ან ორაზროვნად ფორმულირებული წესები შეადარონ დაუნერგლ, ანუ არაარტიკულირებულ ნორმებს.

აქტორთა მიერ ახალი წესების რეალობის „მიღება“ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩათვლის საჭიროდ ჩინოვნიკი, გამოიყენოს მის ხელთ არსებული სახელისუფლო რესურსი და დაადგინოს არსებული დანაწესიდან გადახრის ზღვარი.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის პროცესის შემდეგი ელემენტი - სამეურნეო აგენტების მიერ ფორმალური წესების რეალიზაციის კონკრეტული პირობების შეთანხმება მაკონტროლებელ ორგანოებთან - არაფორმალური შეთანხმებების დადება. ელიტის მიერ მითვისებული მონოპოლია კანონის შინაარსის განმარტებასა და „მოქმედების“ საზღვრების განსაზღვრაზე **კანონის შესრულების კონტროლის სელექციურობის** საფუძველია. შედეგად, რიგითმა მოქალაქეებმა ხშირად არაფერი იციან ფორმალური წესების პრაქტიკული გამოსადევობის შესახებ და არც მათი ქმედითობის იმედი აქვთ.

ამა თუ იმ ფორმალური წესის არაფორმალური ნორმით ჩანაცვლების პროცესი მიმდინარეობს „ელიტური თვითნებობით“, როდესაც **„წესების მიხედვით თამაში“** იცვლება **„წესებთან თამაშით“**. მისი შედეგი დეტერმინირებულია აქტორთა დისკურსების თავსებადობით. მათი არასრული თავსებადობის შემთხვევაში კი ხდება საერთო რეციპროკულობის ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობის დევალვაცია, როდესაც რიგით მოქალაქეს აიძულებენ პატრიმონიალური ბატონობა/მორჩილების ყველაზე მარტივ და უხემ ურთიერთობას „მთხოვნელის“ მოდელის მიხედვით. „თავდაპირველად იგი დემონსტრაციული უხეშობით, მრავალჯერადი უარით და მსგავსი საშუალებებით დაჰყავთ „ჩვენი ადამიანის“ დონემდე, ე.ი. ადამიანისა, რომელიც შეჩვეულია ასეთ ურთიერთობას და მზადაა, დაემორჩილოს ამჯერადაც. შეთანხმებაში დარწმუნების შემდეგ, მას უკვე აძლევენ შესაძლებლობას, გამოიყენოს პრობლემათა გადაწყვეტის პრაგმატული საშუალებები: დაიმონმოს საჭირო ნაცნობობა, გამოიყენოს ფული და ა.შ. ესე იგი, მოიქცეს როგორც „მათი ადამიანი“ [17, გვ. 35-36]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმალური წესების ინტერპრეტაცია დამოკიდებულია კომუნიკაციურ რაციონალურობაზე, რომელიც გამოიხატება **არაფორმალური ურთიერთქმედების მეშვეობით განუსაზღვრელობასთან გამკლავების უნარით**.

აღსანიშნავია არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის ერთი საინტერესო პარადოქსი: ადამიანთა გაერთიანებისთვის მზადყოფნა კონტრაგენტისადმი ნდობის არქონის შემთხვევაშიც. ამ პარადოქსის ერთ-ერთ ახსნას იძლევა **„იძულებითი ნდობის“ (enforceable trust) ქსელი**, როგორც სოციალური კაპიტალის სახეობა. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი ემყარება არა ინდივიდთა პიროვნულ თვისებებს, არამედ ჯგუფის მიერ თავისი წევრების ქცევის რეგულირების შესაძლებლობას [18, გვ. 54]. გარდამავალი ეკონომიკების კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ თანასაზოგადოება, რომელიც ინტეგრირებულია „იძულებითი ნდობის“ საფუძველზე, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მიკროგარემოს ქმნის.

არაფორმალური ურთიერთქმედების იმანენტური შემადგენელია **შეთანხმების სტრატეგია**. უმეტეს შემთხვევაში, მსგავსი შეთანხმება ელიტის წარმომადგენლებსა და სამეურნეო აგენტებს შორის მორიგების ფორმას იღებს, ვინაიდან მიღებული ნორმის, დადგენილი წესრიგის გარკვეულ დარღვევას გულისხმობს. სამეურნეო აგენტები ცდილობენ, „ჩრდილოვანი“ ლობირების გზით, წესრიგი თავის სასარგებლოდ შეცვალონ.

ყალიბდება **ინსტიტუციური კომპრომისი**, როდესაც აგენტებს, გარკვეულ ფარგლებში, დადგენილი ფორმალური წესების დარღვევის უფლება ეძლევათ. ამგვარი ინსტიტუციური კომპრომისი ფორმალური წესების რიტუალურ დაცვას მაინც გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, რთული და დაფარული არაფორმალური სტრატეგიების საფარველად გამოიყენება [10, გვ. 66]. გარდა ამისა, წესების რიტუალური დაცვის აუცილებლობა აქტორებს უბიძგებს, მსგავსი მოქმედება „უცხოების“ „თავისიანებად“ გადაქცევის სტრატეგიად გამოიყენონ. ქცევის ფორმალური და არაფორმალური „კოდების“ პარალელური გამოყენება დანერგილ ინსტიტუტებს „თავისიანებისთვის“ ეფექტიანს, ხოლო „სხვებისთვის“ არაეფექტიანს ხდის, ხელს უწყობს სოციალური ნესრიგის ფრაგმენტულ ინსტიტუციონალიზაციას. ამავე დროს, ფორმალური წესების მოჩვენებითი დაცვა, მათით მანიპულაცია, **ინსტიტუციური ხაფანგის** არსებობაზე მიუთითებს. „თავისიანებს“ შორის დამყარებული ნდობითი ურთიერთობები საჯარო როლებს ფარგლებს გარეთ, ელიტის წარმომადგენელთა გაუმართლებელი ჩარევისგან კერძო ცხოვრების უსაფრთხოების დაცვის საშუალებასაც იძლევა. ხოლო უთანხმოება მოქალაქეთა მოთხოვნებებსა და მათი დაკმაყოფილებისთვის განკუთვნილ ინსტიტუციურ სტრუქტურას შორის მსგავსი სიტუაციის კვლავწარმოებას განაპირობებს, ასტიმულირებს არაფორმალური კავშირების ექსპანსიას მაკროგარემოში.

არაფორმალურობის „არასაყმაწვილო სენი“ საქართველოში: პოსტსაბჭოთა რეტროსპექტივა

როგორია ქართული „არაფორმალურობის“ მანკი - „მემკვიდრეობითი“ თუ „გადადებული“? ქრონიკული თუ განკურნებადი?

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართული სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისა და პოლიტიკური გადანაცვლებების რეალურად გატარებისთვის იბრძოდა. „რევოლუციამდელი არაფორმალურობის“ ლოგიკური სქემა პირობითად, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- **სხვადასხვა ძალაუფლებრივი ჯგუფების დაბალანსების მცდელობა**, რამაც შედეგად, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული „კორუფციული პირამიდის“ ფორმირება გამოიწვია (პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს ფენომენი ფართოდ იყო გავრცელებული ტრანსფორმაციის პირველ ფაზაში [19; 20];

- **„კორუფციული პირამიდა“** - როგორც სხვადასხვა ძალაუფლებრივ ჯგუფებს შორის ეკონომიკური პრივილეგიების გადანაწილების მნიშვნელოვანი არაფორმალური ინსტრუმენტი. ამ პოლიტიკური პრაქტიკის მასშტაბი იმაში აისახა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ ყველაზე უფრო კორუფციულ ქვეყანათა სიაში მეშვიდე ადგილი დაიკავა;

- კვაზილეგალური **„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის** მეშვეობით კრიმინალების ხელსაყრელი თანამშრომლობა მთავრობასთან და მის წარმომადგენ-

ლებთან [21, გვ. 49–64]. (მათ მიერ საარჩევნო კამპანიების დაფინანსება, არჩევნებში მონაწილეობა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორების (სასტუმროები, რესტორნები, საცალო ვაჭრობა) გაკონტროლება [22, გვ. 53, 56], ეკონომიკური პრივილეგიების გადანაწილების საკითხის „მოგვარება“ საკუთარ ძალაუფლებრივ წყაროებზე დაყრდნობით) [23];

• **ფორმალური (ლეგალური) წესების მრავალრიცხოვნება და წინააღმდეგობრივი ხასიათი, მათი დაცვის სირთულე, როგორც ინსტიტუციური წინაპირობა კორუფციული პირამიდებისათვის.** შედეგად - სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ქრთამის აღება გარკვეული სამსახურის განწევისათვის [24, გვ. 167-184];

• **ეკონომიკური პრივილეგიების სისტემა და პროტექციონიზმი მმართველ ელიტასთან დაკავშირებული მენარმეებისთვის - 1997-2003 წლებში** საგადასახადო კოდექსში შეტანილი 74 ცვლილება „პრივილეგირებულ ბიზნესს“ საშუალებას აძლევდა, გამონაკლისებით ესარგებლათ. შედეგად - ქართული ბიზნესის დიდი ნაწილის გადანაცვლება ჩრდილოვან ეკონომიკაში [25, გვ. 55).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სწორედ, მასობრივი კორუფცია და დისფუნქციური სახელმწიფო წარმოადგენდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ძირითად მიზეზს [26].

„ვარდების ელიტის“ მოდერნიზაციული პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც, „ფუნქციონირებადი სახელმწიფოს“ შექმნასა და საზოგადოებისთვის ეფექტიანი მომსახურების ახალი სისიტემის დანერგვაში“ გამოიხატა [27], არაფორმალური მმართველობის პრაქტიკა, როგორც წინა ხელისუფლების „კულტურული მემკვიდრეობა“, კვლავ გაგრძელდა.

„ვარდისფერი არაფორმალისმი“ მოზაიკური მრავალფეროვნების მიუხედავად, შესაძლებელია მისი არსებითი მახასიათებლებლების გამოყოფა:

• **საკუთრების უფლებების ხელყოფა, გამოხატული: 1) ვითომდა „ნებაყოფლობით ჩუქებებში“** დეპრივატიზაციის საბურველქვეშ, როდესაც პრივატიზებული ობიექტებს, პრივატიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორების საბაბით, მესაკუთრეებს ძალოვანი უწყებების ზენოლით ართმევდნენ, ხელახალი პრივატიზების მიზნით; 2) კეძო საკუთრებაში არსებული **შენობების ნგრევაში, ვითომდა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისთვის.** სინამდვილეში, „საკუთრების უფლების ხელყოფა გამოიყენეს ხელისუფლებასთან დაახლოვებულ ე.წ. ელიტურულ ბიზნესმენტათვის ქონების გადასანაწილებლად“ [28, გვ. 137]. (2011 წლის დასაწყისისთვის, საქართველოს მასშტაბით, დაფიქსირდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების მიტოვების 1563, მთლიანად, 2004-2012 წლებში - ქონების ჩუქების 9860 შემთხვევა, ხოლო ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 163 175 118,86 ლარი, 11 568 836,73 დოლარი და 10 100 ევრო შეადგინა). როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, საკუთრების არაფორმალური წესით ხელყოფა არა მარტო ახალი ეკო-

ნომიკური პოლიტიკის ნაწილი იყო, არამედ სიკეთის ფორმალურად გადანაწილების ახალ შესაძლებლობებსაც ქმნიდა;

- **ბიზნესმენების იძულება**, ძალოვანი სტრუქტურების გამოყენებით, **არა-ადეკვატური ფასი გადაეხადათ** დაზიანებული და უვარგისი ობიექტების შესყიდვაში, უკანონო სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ [29, გვ. 42-43];

- **„იძულებითი ინვესტიციები“ ფორმულით - „ბიზნესის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“**. როგორც ქრისტიან ტიმი აღნიშნავს, „საქართველოს სადაზღვევო ლანდშაფტი კარგი მაგალითია მსგავსი იძულებითი ინვესტიციების საილუსტრაციოდ. საავადმყოფოების პრივატიზებისას სადაზღვევო კომპანიებს მოსთხოვეს მნიშვნელოვანი ინვესტიციები განეხორციელებინათ საავადმყოფოების ბაზარზე. სახელმწიფო და ბიზნესის სამყაროს ეს სიმბიოზური კავშირი ცხადი ხდება იმითაც, რომ სახელმწიფო არანებაყოფლობითი ინვესტიციების კომპენსირებას სადაზღვევო კომპანიებს შორის ბაზრის გადანაწილებით შეეცადა“;

- **სპეციალური „არასაბიუჯეტო ანგარიშები“**, რომელიც შეიქმნა სამინისტროებთან 2003 წ. წინა ხელისუფლების ფუნქციონერთა მიერ „თავისუფლების საფასურის“ შეტანისათვის. ამ თანხების ნაწილი მიდიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში. შემდგომში კი მან არაოფიციალური დაბეგვრის სახე მიიღო. ამ გზით მხოლოდ თავდაცვის სამინისტრომ 2004-2006 წწ. 35 მლნ ლარი (29 მლნ დოლარი) მიიღო. ვინაიდან „არასაბიუჯეტო ანგარიშების გაუმჭვირვალებლობა თავადაა კორუფციის წყარო“ [28, გვ. 136], (მისი ხარჯვა უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო და საზოგადოების მხრიდან კონტროლს არ ექვემდებარებოდა), აღნიშნული მოვლენა ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ როგორ შეუძლია ელიტას კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად თვით კორუფციული ინსტიტუტის შექმნა და გამოყენება;

- **ელიტების მიერ საკუთარი ბიზნესისთვის ექსკლუზიური პირობების შექმნა პრინციპით: „მეგობრებს - წყალობა, დანარჩენებს - კანონი“** (ლათ.: Bonitas in suos, justitia in omnes). სახელმწიფოს მხრიდან ფავორიტიზმის და ბიზნესის ცალკეულ წარმომადგენლებთან შიდა გარიგებების დასტურია, მაგალითად, საგადასახადო წნეხის გამოყენება მედიაბიზნესის მიმართ: 2010 წლის საგადასახადო ამნისტიით სახელმწიფომ ტელეკომპანიებს - „რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი არხი“ - 2010 წლის 36 მლნ-მდე დავალიანება ჩამოაწერა; ტელეკომპანია „კავკასიას“ კი 30 000 ლარის საგადასახადო დავალიანება 2007 წლის გაზაფხულზე ყადაღის გზით გადაახდევინეს. ასევე ყადაღის გზით ამოიღეს მათგან 2,5-ლარიანი საგადასახადო ნაშთი [30].

ამგვარად, „ხელისუფლებისა და საკუთრების ძველი სიმბიოზი დაირღვა, მაგრამ მის ადგილას ახალი სიმბიოზი დამკვიდრდა, რომელიც უმთავრესად **ელიტარული კორუფციით** გამოვლინდა“ [27].

„პოსტვარდისფერი არაფორმალიზმი“, ერთი მხრივ, „რევოლუციამდელი“ და „ვარდისფერი არაფორმალიზმის“ „ტრადიციული“, „მემკვიდრეობითი“ პატერნე-

ბის მატარებელია, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეული უნიკალურობით გამოირჩევა. **ახალმა ელიტამ ბიზნესზე არაფორმალური ზენოლის მავნე პრაქტიკა აღმოფხვრა** [31, გვ.5], მაგრამ თვით „არაფორმალურობის“ მანკიერი სენისგან ვერ განთავისუფლდა, რის გამოხატულებაცაა:

- **ნეპოტიზმი და კრონიზმი საჯარო სამსახურში** - საჯარო სამსახურის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიუხედავად (მაგალითად, საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების ახალი წესის შემუშავება), მთავრობამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, ნეპოტიზმთან ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. მან პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ნეპოტიზმის კრიმინალიზებას ითვალისწინებდა. თუმცა ეს წინადადება არ იქნა მონიშნული და პარლამენტს იგი არ განუხილავს. [32]; (NDI-ს ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, გამოკითხული მოსახლეობის 68% მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში ნეპოტიზმის პრობლემაა. ამ მოსაზრებას მოსახლეობის მხოლოდ 15% არ ეთანხმება, 17%-მა კი - „არ იცის“);

- **გადანყვეტილებათა მიღების კულუარიზაცია** - არასამთავრობო ოპიანიზაციების დოკუმენტში ვენეციის კომისიისადმი - „საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ერთობლივი შეფასება“ - აღნიშნულია: „მიუხედავად იმისა, რომ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო, კრიტიკიუმი, რის მიხედვითაც შეარჩიეს ექსპერტები, ბუნდოვანია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ზოგიერთი შერჩეული დამოუკიდებელი ექსპერტი ან მმართველ გუნდთან იყო აფილირებული ან მმართველი გუნდის წარმომადგენლების მსგავსი შეხედულებები ჰქონდა...კომისიის მუშაობის მანძილზე გადანყვეტილების მიღების პროცესს აკლდა სიცხადე და წინასწარი განჭვრეტა... გაუგებარი იყო, როგორ იღებდა გადანყვეტილებას სამუშაო ჯგუფი იმის შესახებ, თუ რომელი ალტერნატივა უნდა ასახულიყო კანონპროექტში“ [33];

- **არაფორმალური მმართველობა** - ე.წ. „სოლო-კრატია“, რომლის არსია „არაფორმალური და სრული ძალაუფლების თავმოყრა იმ ადამიანის ხელში, რომელსაც რაიმე სახის სახელმწიფო პასუხისმგებლობა და ვალდებულებები არა აქვს“ [27]. როდესაც არაუფლებამოსილი პირები ჩართულნი არიან კონკრეტული სახელმწიფოებრივი საკითხების გადანყვეტაში, ეს უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებაზე, განამტკიცებს „პატრონ-კლიენტური ქსელების“ სისტემას, ამავე დროს, ასუსტებს ლეგალური ინსტიტუტების „სასიგნალო“ ფუნქციას.

არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის ამგვარი სცენარი და ელიტების ინსტიტუციური ვოლუნტარიზმი განაპირობებს, ერთი მხრივ, „განუსაზღვრელობის მალალ დონეს ეკონომიკაში, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიური ინსტიტუციური

მოლოდინების ფორმირებას“, როდესაც ეკონომიკური აგენტები არ ენდობიან წესთა ლეგიტიმურ სისტემას და ცდილობენ ჩაანაცვლონ იგი არაფორმალური წესებით (მით უმეტეს, როდესაც ამგვარი ჩანაცვლების მაგალითს ელიტები უჩვენებენ).

განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობისას, სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება ელიტების პრეროგატივად რჩება, მაგრამ არა მათ „საშინაო საქმედ“, ვინაიდან ელიტებს არ შეუძლიათ საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირება და მასების კონტროლის და ზეწოლის ქვეშ იმყოფებინ. რეჟიმი, ამ შემთხვევაში, ნაკლებად „ელიტოცენტრული“ ხდება [34]. ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმში გადასვლა ხდება თანდათან და გარკვეული სამიჯნე პირობების შესრულებასთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი კანონის უზენაესობის განმტკიცებაა, პირველ რიგში, თვით ელიტებისთვის, რომლებიც ურთიერთქმედებენ ფორმალური წესების და არა კერძო შეთანხმებების საფუძველზე [35]. კანონის უზენაესობის აღიარება ნიშნავს ელიტების ცვლილებასაც, რაც ხელს უწყობს ელიტების და საზოგადოების ინსტიტუციურ პრეფერენციათა დაახლოვებას - ელიტების ლოიალურობას ინსტიტუტებისადმი და არა განსაზღვრული ინდივიდებისა და არაფორმალური ჯგუფებისადმი [36], ინსტიტუტების გამოყენებას თავისი დანიშნულებით და არა როგორც მანიპულირების ობიექტისა [37].

საქართველოში დამოუკიდებლობის მთელი ისტორიის მანძილზე, საზოგადოება არ აკონტროლებდა ინსტიტუტების არჩევის პროცესს, გადასცა რა იგი ელიტებს. ხოლო ელიტების უპირატესობანი ყოველთვის არ შეესაბამებოდა საზოგადოების საჭიროებებს, რის შედეგადაც „ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმის“ (დ. ნორტის ტერმინოლოგიით) ფორმირება და სტაბილური განვითარება ვერ მოხერხდა. თითქმის ოცდაათწლიანი გამოცდილება გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ ქართული ინსტიტუტების და ეკონომიკის „ზემოდან მოდერნიზაციის“ შესაძლებლობაში, მიუხედავად იმისა, თუ რით აიხსნება ამგვარი მიდგომა: ტრადიციით, მასების პასიურობით თუ პოლიტიკური ცენტრალიზაციის უპირატესობებით.

**„არაფორმალში“ - „კულტურული მემკვიდრეობა“,
„ტრანსფორმაციული სინდრომი“ თუ „ელიტური თვითნებობა?“**

ვინაიდან არაფორმალური ინსტიტუტები იდენტიფიცირდება ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებსა და კულტურულ შეზღუდვებთან, მათი ფესვები უკავშირდება წარსულის არაკეთილსასურველი მემკვიდრეობის ეფექტს, დროთა განმავლობაში განმტკიცდება კულტურაში და გადაიქცევა დაბრკოლებად ინსტიტუციური მოდერნიზაციის გზაზე. განვითარების ისტორიული განპირობებულობა (path dependency) გადაულახავ ბარიერებს ქმნის ინსტიტუციური ცვლილებებისთვის მომავალში. ამ მეტად პესიმისტური თვალსაზრისით, საზოგადოება, რომელსაც „მანიკერი“ ინსტიტუტებისადმი ისტორიული იმუნიტეტი არა აქვს, შეიძლება დიდი ხნით აღმოჩნდეს მათი მსხვერპლი.

„კულტურული დეტერმინიზმის“ ლოგიკით, „მანკიერი“ არაფორმალური ინსტიტუტების პრევალირების მიზეზად გამოდის ხელისუფლების ისტორიულად განმტკიცებული თვითნებობა (arbitrary rule), რასაც თან სდევდა რეპრესიული პრაქტიკა და მასების თავდაცვითი რეაქციები. ამიტომ საბჭოთა პერიოდში გავრცელებული კლიენტელიზმი, ჩრდილოვანი ეკონომიკა ან „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტი, „სუსტი“ ინდივიდების თავისებური წინააღმდეგობის იარაღი გახდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ასეთი სიტუაცია კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან არაფორმალური მართვის ამ ინსტიტუტებმა თავისი ფუნქციონალურობა დაამტკიცა, ინდივიდების და ორგანიზაციების ადაპტაციის გარკვეულ რესურსად გადაიქცა.

თუ კულტურული „მემკვიდრეობა“ ეკონომიკური და სოციალური ქცევის დეტერმინირებას ახდენს, შეიძლება დავასკვნათ, რომ „მანკიერი“ არაფორმალური ინსტიტუტების პრევალირება საქართველოში თითქმის ფატალურია. რადგან „მოთხოვნა სამართალზე“ ამ საზოგადოებრივი დოვლათის მომხმარებელთა (ინდივიდების და ორგანიზაციების) მხრიდან, სახელმწიფოსადმი დაბალი ნდობის, ასევე პატრონაჟულ-კლიენტელური კავშირების ღრმად ფესვგადგმულობის გამო, არ არსებობს, ამიტომ საზოგადოებისთვის კანონის უზენაესობის დამყარების ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელი იქნება, ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიან პერსპექტივაში. ზოგიერთი კვლევის მონაცემები ქართველთა განწყობების და ფასეულობების შესახებ ამ თეზისის სასარგებლოდ მეტყველებს [38]. თუმცა, როგორც „ეკონომიკური სასწაულის“ ქვეყნების ევოლუცია გვიჩვენებს, სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში, კულტურული მახასიათებლები შეიძლება ორი-სამი ათწლეულის განმავლობაშიც შეიცვალოს. ეკონომიკური მოდერნიზაცია ბადებს მოძრაობას „გადარჩენის ფასეულობებიდან“ „თვითგამოხატვის ფასეულობებისკენ“ [39]. გარდა ამისა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, „სუსტთა იარაღი“ სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისთვის ბრძოლაში კანონმდებლობის ფორმალური ნორმებია და არა არაფორმალური ინსტიტუტები: სასამართლო სარჩელები და ხმაურიანი საჯარო კამპანიები საქართველოში ამის მაგალითია. ეს ნიშნავს არა „სამართალზე მოთხოვნის“ არარსებობას, არამედ ფორმალური წესების უუნარობას ან მათ ბოროტად გამოყენებას. ამ შემთხვევაში, მასების განწყობები და ორიენტაციები არაფორმალური მმართველობის მიზეზად კი არა, უფრო მის შედეგად უნდა ჩაითვალოს. „კულტურული მემკვიდრეობის“ არგუმენტით ვერ იხსნება ისიც, თუ რატომ არის არაფორმალური ინსტიტუტები ერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი, ხოლო სხვა შემთხვევაში - არა (მაგალითად, ბიზნესის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება და სხვ.).

ვიღებთ თავისებურ ჩაკეტილ წრეს: კანონის უზენაესობას საქართველოში არ შეუძლია დამკვიდრება არაკეთილსასურველი კულტურული „მემკვიდრეობის“ შედეგად, ხოლო განვითარების ეს „მემკვიდრეობით“ განპირობებული ტრაექტორია ვერ შეიცვლება კანონის უზენაესობის არარსებობის პირობებში.

უფრო ოპტიმისტური მიდგომით, მანკიერი არაფორმალური გებატონება „რეგულაციური“ ტრანსფორმაციის თავისებური „პოსტ-ტრავმული სინდრომი“. ახალი ინსტიტუტების ტრანსპლანტაცია „ძველ“ ინსტიტუციურ გარემოში სახელმწიფოს ადმინისტრაციული პოტენციალის დაცემას და ფორმალური ინსტიტუტების შესრულების იძულების უუნარობას იწვევს. ამიტომ, არაფორმალური ინსტიტუტები დროებით ავსებს შექმნილ ვაკუუმს და ასრულებს ტრანსაქციური ხარჯების მინიმიზაციის როლს. მათი გამოყენება ეკონომიკურ და სოციალურ აგენტებს განუსაზღვრელობის შემცირების და ცვალებად გარემოსთან თუნდაც ნაწილობრივი ადაპტირების შესაძლებლობას აძლევს. „არაფორმალურობა“ ამ პირობებში, ვ. გელმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნაკერის ან თაბაშირის სახვევის მსგავსია“, რომელიც გარღვეულ ქსოვილს შეხორცების საშუალებას აძლევს, ხოლო ტრავმირებულ ორგანიზმს - გააძლიეროს თავისი პოტენციალი ახალი ინსტიტუტების „გამოზრდისათვის“ [5, გვ.7].

ამ შემთხვევაში, არაფორმალური ინსტიტუტები გადარჩენის პირობად და განვითარების წყაროდაც კი გამოდის. მაგალითად, ის ეხმარება ბიზნესქსელების ფორმირებას საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში. ამ თვალსაზრისით, „არაფორმალური“ უფრო დროებითია, რაღაც „საყმაწვილო სენის“ მსგავსია, რომელიც შეიძლება დიდხანს გაჭიანურდეს, მაგრამ მაინც განკურნებადია.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, სახელმწიფოს ადმინისტრაციული პოტენციალის ამკარა სისუსტის გამო, ფორმალური ინსტიტუტები თანდათანობით შევიწროვდა და ჩანაცვლდა არაფორმალურით, ხოლო დემოკრატიზაციის პროცესს როგორც ზემოთ ვნახეთ, მოჰყვა სხვადასხვა ტიპის აქტორთა აღზევება, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ სახელმწიფოს სახელით გამოსვლაზე. თუმცა „ვარდების რეგულაციის“ შემდეგ მსგავსი მოვლენები ან განიდევნა, ან ადვილად „ჩაშენდა“ ახალ ინსტიტუციურ გარემოში. ამასთან, ფორმალური „თამაშის წესები“ ელიტების ხელში სელექციური გამოყენების იარაღად გადაიქცა [40, გვ. 328-329] ეკონომიკურ აგენტთა ერთი ნაწილის წასახალისებლად და მეორეთა დასასჯელად. მაშასადამე, თვით ძლიერი სახელმწიფოს პირობებშიც, ტრანსფორმაციის პროცესში აღმოცენებულ მანკიერ ინსტიტუტებს წარმატებით შეუძლიათ „მუტაცია“, ელიტების ანგარებიანი ინტერესების ინსტრუმენტად გადაქცევა. მიუხედავად იმისა, რომ „არაფორმალური“ სუსტი სახელმწიფოს ატრიბუტია, ძლიერი სახელმწიფო შეიძლება არანაკლებ სახიფათო დაბრკოლება აღმოჩნდეს კანონის უზენაესობისთვის. ჩამოყალიბდეს „მტაცებელი სახელმწიფო“ (predatory state).

ამგვარად, მაშინაც კი, თუ „არაფორმალური“ ტრანსფორმაციის პერიოდის „საყმაწვილო სენია“, ძლიერი სახელმწიფო მას ყოველთვის წარმატებით ვერ „კურნავს“. საქართველოს „ვარდისფერი“ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „პოსტტრავმული სინდრომი“ შეიძლება „ქრონიკულ დაავადებაში“ გადაიზარდოს. ბატონობის ფორმებს, რომლებმაც პრაქტიკაში გაამართლეს, შეუძლიათ სტაბილურად კვლავ-

ნარმოება და რეჟიმების ახალი ჰომოლოგიურად მსგავსი ნაირსახეობების წარმოშობა [41, გვ. 64-67]. ასეთ მემკვიდრეობითობას განაპირობებს, პირველ რიგში, ის, რომ ხელისუფლების ფუნქციონირების პრინციპების შესახებ შექმნილი წარმოდგენები თაობათა ცვლის მიუხედავად ნარჩუნდება. შესაბამისად, ყოველთვის რჩება შესაძლებლობა წინა წესრიგის სრული ან ნაწილობრივი რესტავრაციისათვის. (აღსანიშნავია, რომ ავტორიტარული რეჟიმისკენ დაბრუნება დემოკრატიზაციის შემდეგ სულაც არ არის იშვიათი მოვლენა. თითქმის 100 ქვეყნიდან, სადაც მოხდა პოლიტიკური რეჟიმების ლიბერალიზაციის მცდელობა, მხოლოდ 18-მა „შენარჩუნა დადებითი დინამიკა ამ პროცესში“ [42]. დ. ასემოგლუს და მისი კოლეგების კვლევაში არის დემოკრატიზაციის 122 ეპიზოდი და 71 დაბრუნება არადემოკრატიული რეჟიმისკენ [43].

არაფორმალური ინსტიტუტების ანალიზისადმი ჩვენი მიდგომა ეფუძნება იმ თეზისს, რომ „ინსტიტუტები ...იქმნება უფრო იმისათვის, რათა ემსახუროს იმათ ინტერესებს, ვინც ფლობს ძალაუფლებას, რათა გავლენა მოახდინოს ახალი წესების ფორმირებაზე [44, გვ. 360-361]. ამ ინტერესების გავლენა ინსტიტუციური მშენებლობის პროცესზე, გარკვეულ პირობებში, შეიძლება მანკიერი ინსტიტუტების დამკვიდრების საფუძველი გახდეს, გაზარდოს ცალკეულ აქტორთა (ელიტების) კერძო დოვლათი მთელი საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. ამგვარად, **მანკიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განმტკიცება წინასწარგანზრახულ ქმედებათა შედეგია.** განვითარებული საზოგადოებები ამგვარი „მანკის“ საწინააღმდეგო იმუნიტეტს ფლობენ, მაგრამ საზოგადოებისთვის, რომელიც იძულებულია, ინსტიტუტების მშენებლობა „წულიდან“ დაიწყოს, გაცილებით რთულია ეფექტიანი „ანტისხეულების“ გამომუშავება.

დასკვნები და წინადადებები

- საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე ელიტები ინარჩუნებდნენ და აკვლავწარმოებდნენ არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის გარკვეულ პატერნებს, ფორმალური ინსტიტუციური ჩარჩოებისგან დამოუკიდებლად. ეს პროცესი (სახელმწიფოს აღმოცენების მ. ოლსონისეული თეორიის კონტექსტში) ჰგავს მუდმივ მოძრაობს „მომთაბარე ბანდიტსა“ და „სტაციონარულ ბანდიტს“ შორის, რომელიც ქმნის არა სტაბილურ ფორმალურ პოლიტიკურ და სახელმწიფო ინსტიტუტებს, არამედ მხოლოდ მუდმივად ტრანსფორმირებად ინსტიტუციურ „დამლას“ თავის სასარგებლოდ სარგებლობის მიღების არაფორმალური პრაქტიკის შესანიღბად;
- პოსტსაბჭოთა „არაფორმალისმის“ რეტროსპექტივა გვიჩვენებს, რომ საქართველოში არაფორმალური ინსტიტუტების „პოპულაციისთვის“ დამახასიათებელია როგორც „მემკვიდრეობითობა“, ასევე „ცვალებალობა“. ტრადიციული არაფორმალური ინსტიტუტები, ერთი მხრივ, შენარჩუნდება, მეორე მხრივ, „მუტაციას“ განიცდის, ტრან-

სფორმირდება ახალ ფორმებში (მაგალითად, ჰორიზონტალური კორუფცია - ვერტიკალურ (ელიტურ) კორუფციაში; ავტოკრატია - სოლო-კრატიაში და სხვ.);

- ქართული „არაფორმალურობა“ ქრონიკული, ე.წ. „არასაყმაწვილო“ სენია, რომელიც ერთდროულად „კულტურული მემკვიდრეობის“, „პოსტტრავმული სინდრომის“ და „ელიტური“ თვითნებობის თავისებური სიმბიოზია, მრავალფეროვანი, მოზაიკური გამოვლინებებით.

- არაფორმალური ინსტიტუციონალიზაციის არსებული სცენარი განაპირობებს: 1) ეკონომიკაში - ერთი მხრივ, განუსაზღვრელობის მაღალ დონეს, მეორე მხრივ, ნეგატიური ინსტიტუციური მოლოდინების ფორმირებას და „ინვესტიციურ ახლომხედველობას“; სამართლის სფეროში - „მომგებიანი კოალიციის“ (ელიტების გარკვეული ჯგუფის) ინტერესების მომსახურე წესების დადგენას, პატრონ-კლიენტური ქსელების განმტკიცებას; საზოგადოებაში - სოციალურ ანომიას და ნიჰილიზმს, პოლიტიკური ინკლუზიურობის შემცირებას, რაც უზიძვებს „მომგებიანი კოალიციის“ გარეთ დარჩენილებს, პოლიტიკური მონაწილეობის არაკონვენციონალური წესები ეძებონ;

- არსებული ტრანექტორიის შეცვლის ერთ-ერთი გზა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება და „ინკლუზიური ინსტიტუტებია“. გამოცდილება გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ ქართული ინსტიტუტების და ეკონომიკის „ზემოდან მოდერნიზაციის“ შესაძლებლობაში, რადგან საზოგადოების მხრიდან გაუკონტროლებელი ინსტიტუციური არჩევანი „შეზღუდული ხელმისაწვდომობის რეჟიმის“ და ელიტების თვითნებობის მასტიმულირებელია.

ო. ბისმარკის ცნობილი გამონათქვამის თანახმად, „ცუდი კანონებით და კარგი ჩინოვნიკებით სრულიად შესაძლებელია ქვეყნის მართვა, მაგრამ ცუდი ჩინოვნიკების შემთხვევაში, საუკეთესო კანონებიც ვერ გვიშველის“.

ლიტერატურა:

1. North D. Institutions, Institutional Changes, and Economic Performance, Cambridge: Cambridge University Press. 1990.
2. Helmke G., Levitsky S. Informal Institutions and Comparative Politics: A Research Agenda, Perspectives on Politics, 2004, vol. 2, #4, pp. 725–740.
3. Helmke G., Levitsky S. (eds.) Informal Institutions and Democracy: Lessons from Latin America, Baltimore, MD: Johns Hopkins University Press. 2006.
4. Collins K. Clan Politics and Regime Transition in Central Asia, Cambridge: Cambridge University Press. 2006.
5. Гельман В. Я. Подрывные институты и неформальное управление в современной России // Полития. 2010. № 2 (57). С. 6–24.
6. March J., Olsen J. The New Institutionalism: Organizational Factors in Political life // American Political Science Review, 1984, Vol.78, N3. pp.734-749.

7. Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М.: Фонд экономической книги “Начала”, 1997. -180 с.
8. Knight, J. *Institutions and Social Conflict*. Cambridge: Cambridge University. Press, 1992. 234 p.
9. Boesen, N. *Governance and Accountability – How Do The Formal and Informal Interplay and Change?* // *International Seminar on Informal Institutions: What do we know, what can we do?* <http://www.oecd.org/document/7/0,3746,en-2649-33949-37679943-1-1-1-1,00.html>
10. Радаев В. Деформализация правил и уход от налогов в российской хозяйственной деятельности. // *Вопросы экономики*, 2001. №6. С. 60 -79.
11. Меркель В, Круассан А. Формальные и неформальные институты в дефектных демократиях. // *Полис*. 2002. №2. С. 20-30.
12. Dryzek, John S. *The informal logic of Institutional Design* // *Theories of Institutional Design*. Ed. by Robert E. Goodin. Australian National University, Canberra, 1999. pp. 208-236.
13. Offe C. *Designing Institutions in East European Transition*. // *The Theory of Institutional Design*. Ed. by Robert E. Goodin, Cambridge Univ. Press, 1996.
14. Beck, U. 1992. *Risk Society, Towards a New Modernity*. London: Sage Publications. 1992. 272 p.
15. Ostrom E. *Institutional Rational Choice: An Assessment of the Institutional Analysis and Development Framework* // *Theories of the Policy Process*. Ed. by P. Sabatier. Boulder: Westview Press, 1999.
16. ჩარკვიანი თ., საჯარო სექტორში არაფორმალური ინსტიტუტების შექმნის და არსებობის მიზეზები საქართველოში. 2015. <https://idfi.ge/ge/informal-institutions-in-public-sector>
17. Гудков Л., Дубин Б. „Нужные знакомства„: особенности социальной организации в условиях институциональных дефицитов. // *Мониторинг общественного мнения*. 2002. №3 (59). С. 24-39.
18. Барсукова С.Ю. Вынужденное доверие сетевого мира. // *Полис*. 2001, №2.
19. Stefes. Ch.: *Understanding Post-Soviet Transitions. Corruption, Collusion and Clientelism*. New York, 2006.
20. Darden, K: *Blackmail as a Tool of State Domination. Ukraine under Kutchma*, in: *East European Constitutional Review*, #2–3, 2001. pp. 67–71.
21. Nordin, V. Glonti, G. *Thieves of the Law and the Rule of Law in Georgia*, in: *Caucasian Review of International Affairs*, #1, 2006, pp. 49–64.
22. Shelley, L., et al. *Organized Crime and Corruption in Georgia*. London, 2007. 128 p.
23. Slade, G. *Reorganizing Crime: Mafia and Anti-Mafia in Post-Soviet Georgia*. Oxford: Oxford University Press, 2013, xiii, 217 p.
24. Timm, Ch. *From Corruption to Rotation. Politics in Georgia before and after the Rose Revolution*, in: Susan Stewart et al. (Hg.): *Presidents, Oligarchs and Bureaucrats. Forms of Rule in the Post-Soviet Space*. Oxford, 2012, 258 p.

25. Papava, V. *Necroeconomics. The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, 2005.
26. Engvall, J. *Against the Grain: How Georgia Fought Corruption and What It Means*. Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program – A Joint Transatlantic Research and Policy Center, 2012.
27. Меквабишвили Э. „Блеск и нищета“ авторитарного модернизма: опыт Грузии // *Universum: Общественные науки: электрон. научн. журн.* 2017. № 3(33). URL:<http://7universum.com/ru/social/archive/item/4516>
28. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. (ვ. პაპავა. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015. 238 გვ.
29. Григорьев М. С. *Режим М. Саакашвили: что это было*. М.: Кучково поле, 2013. –384 с.
30. ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზენოლის შემთხვევების გამოვლენა. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. 2012.
31. პაპავა ვ., საქართველოს ეკონომიკა - ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017.
32. მე-8 მონვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, თბილისი, 2016. <http://www.transparency.ge/ge/post/report/merve-motsvevis-parlamentis-4-tsliani-sakmianobis-shepaseba>
33. საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ერთობლივი შეფასება, 8 მაისი, 2017. <http://www.transparency.ge/sites/default/files/sakonstitucio-komisiis-mushaobis-shepaseba---arasamtavroboebis-mimartva-veneciis-komisiias.pdf>.
34. Inglehart, R., Welzel, Ch. *Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence*. N.Y.: Cambridge University Press. 2005. 333 p.
35. Норт Д., Уоллис Дж., Уэбб С., Вайнгаст Б., *В тени насилия: уроки для обществ с ограниченным доступом к политической и экономической активности* // *Вопросы экономики*. 2012, № 3. С. 4-31.
36. Greif, A., Tabellini, G. *Cultural and Institutional Bifurcation: China and Europe Compared* // *American Economic Review: Papers & Proceedings*. 2010. Vol. 100, No 2, pp. 1-10.
37. Greif, A., Kingston, Ch. *Institutions: Rules or Equilibria?* // *Political Economy of Institutions, Democracy and Voting* / Schofield N., Caballero G.(eds.). Berlin: Springer-Verlag. 2011, pp.13- 43.
38. ჩარკვიანი თ., ნეოპატრიმონიალური და მერიტოკრატიული მართვის სტრატეგიები ტრანსფორმირებად საჯარო სამსახურში (დისერტაცია). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 200 გვ.
39. Inglehart, R., Welzel, Ch. *Changing Mass Priorities: The Link between Modernization and Democracy. Perspectives on Politics*. 2010, 8 (2), pp. 551-567.
40. Balarjishvili I., *Behaviour of Elites as a Factor of Formation of the „Quasi-Institutional“ Environment in Georgia* // In: *Proceedings SGEM 2015, Sofia, Bulgaria*. Published by STEF92 Technology Ltd., Book 1, Vol. 1, pp. 325-332.

41. Патцельт, В. Эволюция институтов, морфология и уроки истории. Политическая наука. 2012, № 3. С. 64-67.
42. Carothers, T. The End of the Transition Paradigm. Journal of Democracy. 2002, vol. 13, #1, pp. 5-21.
43. Acemoglu D., S. Naidu, P. Restrepo, J. A. Robinson. Democracy Does Cause growth. Working Paper 20004. National Bureau of Economic Research. Cambridge, MA. 2014. 64 pp. <http://www.nber.org/papers/w20004>
44. North D. C. Economic Performance through Time. American Economic Review, 1994, Vol. 84, No3, pp. 359-368.

Behavior of Elites and Informal Institutionalization

Inga Balarjishvili,

*Doctor of Economics, Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Inga.balarjishvili@tsu.ge*

Based on the retrospective analysis of post-Soviet “informalism” in the work there is presented the hypothesis of “population,” “succession” and “variation” of non-formal institutions. Traditional informal institutions will be maintained on the one hand and on the other hand they experience “mutation,” transform into new forms. This scenario of non-formal institutionalization leads to a high level of uncertainty in the economy and the formation of negative institutional expectations, the distrust of the economic agents towards the legitimate system of rules.

Keywords: Elite, formal rules; informal institutionalization; institutional “trap”; cultural determinism; institutional transformation.

JEL Codes: B52, O10, O17

ადამიანის ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძველი

ლია სვანიძე

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

მატერიალური სამყაროსაგან დამოუკიდებლად არ არსებობს ფსიქიკა. იგი ტვინის წარმოშობასთან ერთად ჩამოყალიბდა, როგორც მისი ორგანული თვისება, არამატერიალური ფენომენი, როგორც განცდათა სამყარო, რომელიც სიცოცხლის პროცესს უდევს საფუძვლად და ობიექტური სინამდვილის აქტიურ ასახვას ემსახურება.

რეალური ობიექტური სინამდვილე გრძნობის ორგანოების გზით ზემოქმედებს ტვინზე და ფსიქიკურ პროცესებს, პირველ რიგში, შეგრძნებებს და აღქმებს ინვეს, რაც, თავის მხრივ, სინამდვილის სუბიექტურ ხატს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის და, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკა ტვინის თვისებას წარმოადგენს და, შესაბამისად, გარკვეულ ფიზიოლოგიურ პროცესებს ემყარება, იგი მხოლოდ ამ პროცესებთან ურთიერთობით არ ამოიწურება. ამიტომ, ფსიქიკის მეცნიერული შესწავლა, ტვინში მიმდინარე უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის ფსიქიკა; ფსიქიკური და ფსიქოლოგიური პროცესები; ფსიქიკა და ცნობიერება; ნერვული სისტემა; ფსიქიკა - ტვინის თვისება.

ყოველი ფსიქიკური პროცესი არის ცენტრალური ნერვული სისტემის საპასუხო რეაქცია გარე გამლიზიანებლებზე. ის გარემოება, რომ ფსიქიკა ტვინის მოქმედების თვისებაა, სრულიად არ ნიშნავს, რომ ფსიქიკურ მოქმედებასა და ტვინის მოქმედებას შორის იგივეობაა. ფსიქიკურ მოქმედებას გააჩნია თავისი სპეციფიკური კანონზომიერებანი, რომლებიც არ დაიყვანება ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე.

ძირითადი თავისებურება, რომელიც ფსიქიკას გააჩნია, არის მისი ასახვითი ბუნება. იგი ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სამყაროს ჩვენში სუბიექტურ ასახვას უზრუნველყოფს. მაშასადამე, ჩვენს განცდებში აისახება ობიექტურად არსებული საგნები სუბიექტურად, ჩვენ შევიგრძნობთ მატერიის თვისებებს, ვწვდებით საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ დამოკიდებულებებს. გარე სინამდვილის ჩვენში ასახვის უნარი – ფსიქიკაში აღმოცენდება ცოცხალი არსების გარემოსთან ურთიერთობის, მასთან შეგუების პროცესში; ადამიანი არა მხოლოდ ეგუება გარე სამყაროს, არამედ გარდაქმნის კიდეც მას, და გარდაქმნის პროცესში თვითონაც იცვლება. ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წინასწარვე გარკვეული მიზნები, რომელთა მიღწევისათვისაც საჭიროა სათანადო გეგმები.

ცნობიერება - ფსიქიკის განვითარების უმაღლესი საფეხური

რეალურ სამყაროსთან ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც შეგნებული, წინასწარ დასახული მიზნით განსაზღვრულ მოღვაწეობაში მჟღავნდება, ცნობიერება ეწოდება. ცნობიერება ფსიქიკის განვითარების უმაღლესი საფეხური, სინამდვილის ასახვის ფორმაა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ გარე სინამდვილის ფსიქიკური ასახვა არ არის პასიური აქტი. ფსიქიკა არის გარე სინამდვილის აქტიური ასახვის პროცესი. გარე სინამდვილის ასახვა გარე სინამდვილის ზუსტ შემეცნებას ნიშნავს, ხოლო შემეცნება საზოგადოებრივი მოღვაწეობის პრაქტიკის პროცესში ხორციელდება. მხოლოდ ინდივიდი, პიროვნება არის ფსიქიკის მატარებელი. პიროვნებისაგან იზოლირებული ფსიქიკა და ცნობიერება არ არსებობს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძველია [1] წარმოადგენს თავის ტვინი (კერძოდ, თავის ტვინის ქერქი და ქერქქვეშა ბუდეები).

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა ამერიკელმა ფიზიოლოგმა და ფსიქოლოგმა ჯონ კერიუ ეკკლსმა [1] (მრავალგზის გამოკვლევების შედეგად) დაამტკიცა, რომ ადამიანის თავის ტვინი უნდა განვიხილოთ არა როგორც ფსიქიკური პროცესების გენერატორი – წარმოქმნელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტვინი კი არ წარმოშობს ფსიქიკურ პროცესებს, არამედ ამჟღავნებს მათ. მაშასადამე, ტვინი ფსიქიკური პროცესების დეტექტორი – გამომჟღავნებელია.

თავის ტვინი სულისათვის გამოვლენის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც გვეძლევა სულიერი აქტივობა - სხვაგვარად არ შეიძლება არავითარი განცდა და მოქმედება.

აკადემიკოსმა ცოტნე ჩხიკვიშვილმა [2, გვ. 21,9] შემოგვთავაზა ჩვენთვის მეტად საინტერესო კვლევის შედეგებით მიღებული ინფორმაცია:

თავის ტვინის ქერქში ხორციელდება გარეგანი და შინაგანი სიგნალების რაოდენობრივი და თვისებრივი უნატიფესი ანალიზი. ამის საფუძველზე კი ყალიბდება როგორც გარკვეული შინაგანი მოთხოვნილება და მის დასაკმაყოფილებლად მი-

მართული, ასევე გარკვეული მოქმედების მოტივაცია და ამ მოქმედების რეალური „პროგრამაც“. სწორედ ამ პროგრამის რეალიზაციის ყველა ეტაპზე წარმოქმნილი უკუსიგნალები წარმოადგენს შედეგის შემთხვევაში მოქმედების გაგრძელების სანქციას ან წარუმატებლობის შემთხვევაში, მოქმედების წინა ეტაპის ვარიანტული განმეორების სანქციას, ხოლო მოქმედების პროგრამის მთლიანი დასრულების შემთხვევაში, თუ შედეგი სრულად ემთხვევა მთლიანი პროგრამის მიზანს - მოქმედების შეწყვეტისა და სხვა ახალი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოქმნილი პროგრამის სარეალიზაციო მოქმედებაზე გადასვლის სანქციის საფუძველს .

თუ ამას კიდევ დაუმატებთ ყურადღების ურთულეს სისტიმას, შეიქმნება თავის ტვინის სისტიმური მოქმედების თითქმის ამომწურავი სქემა. ამასთან, ძირითადი ქერქის ყველა არეს შესაბამისი ქერქქვეშა წარმონაქმნებთან ერთად, თავისი სპეციფიკური წვლილი შეაქვს თავის ტვინის სისტიმური მოქმედების ორგანიზაციაში [2, გვ.2].

აღსანიშნავია, რომ ორგანიზმის არცერთ ნაწილს არ შეუძლია არსებობდეს სიცოცხლისთვის აუცილებელი გარემო პირობების გარეშე.

ორგანიზმსა და გარემოს შორის კავშირის დამყარება ნერვული სისტემის ძირითად ფუნქციას შეადგენს. გარედან მიმდინარე ზემოქმედება ნერვული სისტემის საშუალებით გადაეცემა ორგანიზმს და, პირიქით, ორგანიზმის ზემოქმედება გარემოზე ისევე ნერვული სისტემის საშუალებით ხდება. გარემოსთან ურთიერთობაში ორგანიზმი მოქმედებს როგორც მთლიანი ნერვული სისტემა, ერთი მხრივ, აერთიანებს ორგანიზმის ყველა ნაწილს, მეორე მხრივ, აკავშირებს ორგანიზმს გარემოსთან. ი. პავლოვი აღნიშნავს: „ნერვული სისტემა არის ორგანიზმის მრავალრიცხოვანი ნაწილის ურთიერთობის, ორგანიზმის, როგორც ურთულესი სისტემის, გარემოს ურთივრე ზეგავლენასთან კავშირის გამოუთქმელად ურთულესი და უზუსტესი ინსტრუმენტი“. [3, გვ. 253]

ნერვული სისტემის არსი და ფუნქციური ერთეული

საჭიროდ მიმაჩნია ნერვული სისტემის ძირითადი არსის შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის, ძალზე ლაკონურად, ვისაც შეხება ექნება განხილულ პრობლემასთან.

ნერვული სისტემის მორფოლოგიური და ფუნქციური ერთეულია ნეირონი. ნერვულ უჯრედს ყველა თავისი ტოტით, ნეირონი ეწოდება. ტოტები ორგვარია: 1. აქსონები (გრძელი ტოტები) და 2. დენტრიტები (მოკლე ტოტები). აღნიშნული ტოტების საშუალებით ნეირონები უკავშირდება სხვა ნეირონებს და ორგანიზმის სხვა ქსოვილებს. ორი ნერვული უჯრედის შეერთების ნერტილს სინაფსი ეწოდება. ნეირონების ტოტების საშუალებით ნერვული უჯრედების დაკავშირება (სინაფსი) საშუალებას აძლევს ნერვულ სისტემას შეასრულოს თავისი ფუნქცია, გააერთიანოს

ორგანიზმის ცალკეული ნაწილების მოქმედება, დაამყაროს კავშირი გარემოსა და ორგანიზმს შორის.

ცნობილია სამი სახის ნეირონი: 1. ცენტრისკენული (აფერენტული, მგრძნობიარე); 2. ცენტრიდანული (ეფერენტული, მოძრაობითი) და 3. ცენტრალური (შემართებელი). აფერენტული ნეირონი პერიფერიაზე იწყება რეცეპტორით – გრძნობის ორგანოთი. ნეირონის ძირითად თვისებას შეადგენს: გამლიზიანებლის ზეგავლენით აგზნების წარმოშობა, რაც დაკავშირებულია უჯრედის შინაგან ცვლილებასთან, და აგზნების სანინალმდეგო პროცესის შეკავების გაჩენასთან, ვლინდება იჩენს აგზნების შეჩერების, შეწყვეტის სახით. აგზნება შეკავებასთან ორგანულად არის დაკავშირებული. ნეირონი განუწყვეტლივ გადადის აგზნების მდგომარეობიდან შეკავების მდგომარეობაში.

გარე გამლიზიანებლების რეცეპტორებით გამონვეული აგზნება ნერვული ბოჭკოებით გადაეცემა ნერვული სისტემის ცენტრალურ ნაწილს; ცენტრალური ნერვებით აგზნება გადაეცემა ეფერენტულ ნეირონებს. ეს უკანასკნელი გარემოს სიგნალების შესაბამისად იწვევს გრძნობის ორგანოების, კერძოდ მოძრაობების აპარატის ამოქმედებას. ცენტრალური ნერვული სისტემა აფერენტული გზით მიმდინარე ნერვულ იმპულსებს იღებს და ეფერენტულით გადასცემს, ე.ი. ორივე ამ სისტემის დამოკიდებულებას და მათი ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობას აწესრიგებს.

ნერვული სისტემის ძირითად მოქმედებას, როგორც ცნობილია, აწარმოებს რეფლექსი. რეფლექსი წარმოადგენს გარეგან და შინაგან გამლიზიანებლებზე ორგანიზმის რეაქციას. რეფლექსის თავისებურება განისაზღვრება არამხოლოდ გამლიზიანებლის თვისებებით, არამედ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში დამყარებული კავშირებით. გზას, რომელსაც ნერვული სისტემა გაივლის რეფლექსის განსახორციელებლად აგზნების დაწყების მომენტიდან საპასუხო რეაქციამდე, რეფლექსური რგოლი ეწოდება. ყოველ რეფლექსურ რკალში შეიძლება რამდენიმე რგოლის გამოყოფა: რეფლექსური რკალის პირველ რგოლად ითვლება გრძნობის ორგანო – რეცეპტორი და ის ნერვული გზა, რომელსაც აგზნება რეცეპტორიდან მიაქვს ცენტრალური ნერვული სისტემისაკენ. მეორე რგოლია ცენტრალური ნერვული სისტემა, სადაც აგზნება განიცდის რთულ ცვლილებებს და გადადის ეფერენტული ნეირონების უჯრედებში. ეფერენტულ ნერვს ცენტრალური ნერვული სისტემიდან აგზნება მიაქვს იმ ორგანომდე, რომელიც პასუხობს საპასუხო მოძრაობებით. არჩევნ მარტივ და რთულ რეფლექსურ რკალებს. მარტივი რეფლექტური რკალი შეიცავს ორ ნეირონს: აფერენტულს და ეფერენტულს. რთულ რეფლექსურ რკალში კი შედის ორზე მეტი ნეირონი.

ორგანიზმის რეფლექსური რეაქცია შეიძლება წარმოიშვას როგორც გარეგანი, ესევე შინაგანი მრავალფეროვანი გამლიზიანებლობის ზეგავლენით. რეაქციის მიმდინარეობას შეიძლება მოჰყვეს სხეულის ცალკეული ორგანოების მოქმედება ან მათი შეცვლა.

რეფლექსური აქტი წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების – ორგანიზმის გარემოსთან შეგუების, ურთიერთობის ძირითად ფიზიოლოგიურ მექანიზმს.

ი.პ. პავლოვმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ თავის ტვინის მოქმედებაც ძირითადად რეფლექსური მექანიზმით წარმოებს.

განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზეა ორგანიზმი, მით უფრო განვითარებული აქვს მას გარემოსთან ურთიერთობის ნერვული მექანიზმები.

ორგანიზმის შინაგანი ორგანოების რეგულაცია ვეგეტატიური ნერვული სისტემის საშუალებით ხერხდება, მისი საშუალებით რეგულირდება გულის, სისხლის მიმოქცევის შინაგანი სერეციების, კუჭის, ნაწლავების მოქმედება, გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის, კუნთებისა და რეცეპტორების მოქმედებაზე, იგი შესდგება სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვული გზებისაგან. ყველა შინაგანი ორგანოს ინერვაცია ხდება ერთდროულად. შინაგანი ორგანოების ცვლილებები ვეგეტატიური ნერვული სისტემის გზით გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებაზე.

ფსიქიკური პროცესების „ცენტრს“ დიდ ტვინს უწოდებენ, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ადამიანის ორგანიზმში.

ადამიანის ფსიქიკა განუყოფელ ერთიანობაშია თავის ტვინის ქერქის მოქმედებასთან. ტვინის ქერქის განვითარება მიმდინარეობდა გარემოსთან გართულებული ურთიერთობის ზეგავლენით. თავის ტვინი შესდგება 14 მილრდ ნეირონისაგან, ნერვული ბოჭკოებისაგან შესდგება თავის ტვინის თეთრი ნივთიერება. ეს ბოჭკოები ტვინის ქვედა ნაწილიდან, განსაკუთრებით მხედველობის ბორცვებიდან გამოდის და უკავშირდება ტვინის ქერქს, ასევე უკავშირდება ერთმანეთს დიდი ტვინის სხვადასხვა უჯრედები. ნერვული უჯრედების კვანძები წარმოშობს რუხ ნივთიერებას დიდი ტვინის ქერქის სახით და 2000 კვ.სმ ფართობი უკავია და 9 მლნ ნერვულ უჯრედს შეიცავს. მისი ზედაპირი დანაოჭებულია და მთელ რიგ ღარებსა და ნაოჭებს შეიცავს.

თავის ტვინის აგებულების, ფუნქციის გართულებასა და განვითარებასთან დაკავშირებით თავის ტვინის ქერქს და მასთან დაკავშირებულ უმაღლეს ნერვულ მოქმედებას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ნერვული სისტემა - ორგანიზმის არსებობის ფუნქციის შემსრულებელი

ნერვული სისტემა როგორც მორფოლოგიურად, ასევე ფუნქციონალურად ურთულეს სისტემას წარმოადგენს. იგი ემსახურება ადამიანის ორგანიზმის ცალკეული ნაწილებისა და სისტემების მოქმედების შეთანხმებას და გარემოსთან ურთიერთობის მოწესრიგებას.

ისმება კითხვა, როგორ ასრულებს ნერვული სისტემა ორგანიზმის არსებობისათვის აუცილებელ ასეთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას?

ი. პავლოვის მოძღვრების თანახმად, ნერვული სისტემა მუშაობს რეფლექსის პრინციპის მიხედვით. ორგანიზმი ნერვული სისტემის მეშვეობით გარეგანი და შინაგანი გამლიზიანებლების ზემოქმედებაზე გარკვეული რეაქციით პასუხობს.

ცნობილია რეფლექსების ორი ჯგუფი: პირობითი და უპირობო რეფლექსები. პირობითი რეფლექსები ადამიანის თავის ტვინის ქერქის მეშვეობით ხორციელდება. ამ რეფლექსის რკალი, ნერვული იმპულსის გზა, გაივლის თავის ტვინის ქერქს. უპირობო რეფლექსის განხორციელება კი შესაძლებელია ქერქქვეშა კვანძების გზითაც. ის თანდაყოლილია და შთამომავლობას გადაეცემა, იგი მთელი გვარის კუთვნილებაა. რაც შეეხება პირობით რეფლექსს, მისი წარმოშობისათვის აუცილებელია პირობითი რეფლექსის სიგნალისა და უპირობო რეფლექსის მრავალჯერ შეუღლება. პირობითი რეფლექსი წარმოადგენს უპირობო, თანდაყოლილი რეფლექსიდან პირობითი გამლიზიანებლის – სიგნალის ისეთ შეერთებას, რომლის მეშვეობითაც პირობითის გალიზიანება უშუალოდ იწვევს თანდაყოლილი რეფლექსის ამოქმედებას (მაგალითად, საკვები და ზარი), პირობითი რეფლექსების რაოდენობა უსაზღვროა – ბგერები, სინათლის სხივების ინტენსივობა და სხვა, რაც თავის ტვინის აგზნებას იწვევს.

ადამიანში პირობითი რეფლექსის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს დიდი ტვინის ქერქში აგზნების ორ კერას შორის დამყარებული ნერვული კავშირები. ეს ნერვული კავშირი წარმოშობილია უპირობო და პირობითი გამლიზიანებლების შეუღლების შედეგად.

ყურადღებას იმსახურებს შინაგანი შეკავების რიგი თავისებურებანი: შინაგანი შეკავება თავის ტვინის უჯრედებს იცავს ფუნქციური დარღვევებისაგან; დაძაბულ აგზნებაში მყოფი ტვინის უჯრედები შინაგანი შეკავების წყალობით ისვენებს, ახერხებს ენერჯის აღდგენას. შინაგანი შეკავება ტვინის უჯრედის დამცველის როლში გამოდის. შეკავების ეს ფუნქცია მკვეთრად მჟღავნდება ძილის მდგომარეობაში. ძილის დროს შინაგანი შეკავება ვრცელდება, როგორც დიდი ტვინის ნახევარსფეროების მთელ ქერქზე, ისე ქერქქვეშ მდებარე ფენებშიც.

აღსანიშნავია, რომ რთული ქერქული პროცესები დაკავშირებულია ირადიაციის, კონცენტრაციისა და ინდუქციის მოვლენებთან. თავის ტვინის ქერქში განუწყვეტილ მიმდინარეობს აგზნებისა და შეკავების კერების აღმოცენება და ჩაქრობა. ორივე პროცესი განუწყვეტილ რთულ ურთიერთობაშია, რასაც ფუნქციურ მოზაიკას უწოდებენ (ი. პავლოვი).

თავის ტვინის ქერქი გარემოსთან ორგანიზმის ურთიერთობების მომწესრიგებელი ორგანოა. გარემო რთული, ძალზე ცვალებადი და მრავალი განსხვავებული გამლიზიანებლის შემცველია. ასეთ რთულ და ცვალებად გარემოსთან შეგუებას ორგანიზმი იმით ახერხებს, რომ თავის ტვინის ქერქს ანალიზურ-სინთეზური მოქმედების უნარი გააჩნია.

ადამიანის ცხოვრების პირობებისა და მისი ანალოგიური აგებულების გართულებასთან ერთად თანდათანობით ვითარდება ეს უნარიც. წარმოიშვა „მგრძობიარება“ – გარემოდან მომდინარე გამლიზიანებელთა განცდა. ეს განცდა თანდათანობით გარდაიქმნა ადამიანისათვის მნიშვნელოვანი საგნების და მოვლენების თვისებების ასახვის უნარებად – შეგრძნებებად.

ადამიანის ფსიქიკის განვითარების მატერიალური საფუძველია მისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური წყობის განვითარება. ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური წყობის განვითარებასა და გართულებასთან ერთად, იცვლება და ვითარდება განიცდის ფსიქიკაც, როგორც ამ უკანასკნელის თვისება. ფსიქიკის განვითარების ყველა საფეხურს შეესატყვისება ნერვული სისტემის სრულიად თავისებური აგებულება.

ცენტრალური ნერვული სისტემის უნარია გარემოდან გამოყოფა, გამოარჩიოს განსხვავებული სიგნალები, მოახდინოს გარე გამლიზიანებლების დიფერენციაცია, მათი ანალიზი. ამავე დროს, მას შეუძლია ამ გამლიზიანებელთა სინთეზიც.

გამლიზიანებელთა ანალიზი და სინთეზი მჭიდროდ არის დაკავშირებული რთულ ნერვულ აპარატთან – ანალიზატორებთან. ყოველი ანალიზატორი შესდგება სამი ნაწილისაგან: 1. პერიფერიული – მიმღები ნაწილი (რეცეპტორი); 2. გამტარი გზისაგან, რომლითაც ნერვული აგზნება გადაეცემა პერიფერიიდან – ცენტრს და 3. ანალიზატორის ქერქული ნაწილისაგან, რომელიც იღებს გალიზიანების შედეგად წარმოშობილ ნერვულ იმპულსს. ამ ნერვული გზის მთლიანი სისტემით განსაზღვრულია ტვინის ქერქის ანალიზურ-სინთეზური მუშაობა.

ტვინის ქერქი წარმოადგენს ყველა ანალიზატორის კრებადობაა. გამლიზიანებლების მარტივი ანალიზი იწყება რეცეპტორში. მაგალითად, შიდა ყურში მოთავსებული კორტის ორგანო, რომელიც წარმოადგენს ბგერის გამლიზიანებლის რეცეპტორს, ახერხებს მასზე ზემომქმედი ბგერის გამლიზიანებელთა დიფერენცირებას სიმაღლის მიხედვით. მაგრამ, უმაღლესი ანალიზი ხერხდება მხოლოდ დიდი ტვინის ქერქის მეშვეობით. გარემოს რთული ზემოქმედების ზუსტი ანალიზი მიმდინარეობს თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა არეში აგზნების და შეკავების პროცესს შორის ზუსტი ურთიერთობის დამყარების გზით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადიფერენციაციო შინაგან შეკავებას.

ქერქის ანალიზური მუშაობა მჭიდროდაა დაკავშირებული მის სინთეზურ მოქმედებასთან, ე.ი. ტვინის ცალკეულ არეებში აღმოცენებულ აგზნებისა და გაერთიანების უნართან.

ტვინის ქერქის სინთეზური მოქმედების წყალობით ცალკეული გამლიზიანებლები ერთიანდებიან ერთ რთულ მთლიან გამლიზიანებლად.

თავის ტვინის ქერქზე ზემოქმედებს უამრავი დადებითი და უარყოფითი გამლიზიანებელი. ტვინში მიმდინარე ინდექციის პროცესის ნიადაგზე აღმოცენდება ურთიერთსაპირისპირო აგზნებისა და შეკავების აურაცხელი პროცესი, მაგრამ ყველა ეს პროცესი მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება.

ქერქი წარმოადგენს რთულ დინამიკურ ერთეულს, სისტემას, რომელიც მუდამ ისწრაფვის გაერთიანებისკენ, ინტეგრაციისაკენ.

ყოველი რეფლექსური პროცესის განხორციელებას თავის ტვინის ქერქში შეესატყვისება აგზნებისა და შეკავების პროცესების გარკვეული ურთიერთობა.

თავის ტვინის ქერქის სისტემატურობა მის უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებას წარმოადგენს და, შესაბამისად, უმაღლესი ნერვული მოქმედების მექანიზმები ფსიქიკის ფიზიოლოგიურ მექანიზმად გვევლინება.

დიდი ტვინის ქერქში ანალიზატორების რთული სისტემის საშუალებით განუწყვეტლივ მიმდინარეობს გამლიზიანებლების შემადგენელ ელემენტებად დაშლა. ამით ხდება გარემოსთან დიფერენცირებული შეგუება, ამავე დროს ამ ელემენტების გაერთიანება, სინთეზი – ტვინზე ზემოქმედი გამლიზიანებლების ნიადაგზე წარმოშობილი დროებითი კავშირების რთული სისტემის წარმოქმნა.

ტვინის ქერქის ანალიზურ-სინთეზური მოქმედება წარმოადგენს ადამიანის მიერ გარე სამყაროს შემეცნების – შეგრძნების, აღქმის, აზროვნების, მეხსიერების და სხვათა ფიზიოლოგიურ საფუძველს.

უმაღლესი ნერვული მოქმედება განსაზღვრულია ტვინის სამუშაო მდგომარეობით, მისი სტრუქტურით. ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიური ფუნქციების თავისებურება დაკავშირებულია არამხოლოდ სიგნალების ბუნებასთან, არამედ ცენტრალური ნერვული სისტემის აგებულების თავისებურებებთან. ნერვული პროცესი დამოკიდებულია არამხოლოდ გამლიზიანებლის თავისებურებებზე, არამედ განსაზღვრული ტვინის სტრუქტურაზეც.

მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ წარმოადგენს მთლიანი ორგანიზმის ქცევის ფიზიოლოგიას. ამ მოძღვრების მიხედვით, დიდი ტვინის ქერქის მოქმედება ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობის უმაღლესი რეგულატორია, ყოველი მიზანშეწონილი ქცევის ფიზიოლოგიურ საფუძველს, რომელშიც ხორციელდება ორგანიზმის და გარემოს ერთიანობა. რადგან ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკური სინამდვილე, ანუ განცდების სამყარო შეადგენს, მის ამოცანად ამ სინამდვილის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობაში შესწავლა გვევლინება. რაკი ფსიქიკა ტვინის „პროდუქტს“, მის თვისებას წარმოადგენს, უდავოა, რომ ფსიქიკის ახსნა ფიზიოლოგიურ პროცესებში უნდა ვეძიოთ.

სულისა და სხეულის ერთიანობა მათ განუყოფელ კავშირში მდგომარეობს, და ეს კავშირი ყველაზე ამკარად გამოვლინდა ჩვენი ორგანიზმის უფაქიზეს ნაწილში – ტვინში. თავის ტვინი (მისი ქერქი და ქერქქვეშა ნაწილები) ჩვენი სულისათვის გამოვლენის იარაღი, ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც გვეძლევა სულიერი აქტივობა, სხვაგვარად ვერ იარსებებს ფსიქიკური განცდა და ქმედება, არავითარი პიროვნული თვისებები და მდგომარეობა.

მოცემული პრობლემის შესწავლამ და ჩამოყალიბებამ ნათლად დაადასტურა,

რომ ადამიანის ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძველი თავის ტვინის ქერქის მოლი-ანობაა. ამიტომ, ფსიქიკის მთელი არსი განხილული და შესწავლილი უნდა იყოს ფიზიოლოგიური პრობლემების კანონზომიერებების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. Джон Керью Эклс „Тайна человека“, 1959, რუსულ ენაზე. *იხ.* Биография Джона Эклса на сайте Нобелевского комитета, 1963.
2. ც. ჩხიკვიძელი. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის საფუძველები. 1986, გვ. 21, 9.
3. И.П. Павлов. Полное собрание сочинений, т. III, кн. 2, 1951, გვ. 323.
4. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998.
5. ც. ჩხიკვიძელი, კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის საფუძველები, თბ., 1986.
6. Бериташвили И.С. Структура и функции коры большого мозга, М., 1969.
7. Судаков К.В. Тайны мышления, 2009.
8. Бехтерева Н.П. Нейрофизиологические аспекты психической деятельности человека. М., 1971.
9. Павлов И.П. Лекции по работе больших полушарий. М., 1949.
10. Лурия А.Р. Высшие корковые функции человека. М., 1969.
11. Джон Керью Эклс. Тайны человека, 1959.

Physiological Basics of Human Psyche

Lia Svanidze,

Doctor of Psychology, Professor

The work discusses extremely scrupulous problem, which over the centuries was in the center of interest of corresponding sciences – the issue of interrelations and interdependence of soul and body, material and nonmaterial, psyche and physiology. The author absolutely intelligibly considers this extremely complicated problem and from the very beginning informs us that psyche doesn't exist irrespective of material world. It was formed along with origination of brain, as organic brain property, nonmaterial phenomenon, as the world of emotional experience, which underlies a life process and serves subjective, active reflection of objective reality. The author emphasizes: “Despite the fact that psyche is brain property and is based on corresponding physiological processes, it isn't confined only by interrelations with these processes. That's why scientific study of psyche is impossible without knowledge of laws of supreme neural impact taking place in the brain“.

Inappreciable results of research conducted in relation to this issue gave the luminaries of physiology and psychology the opportunity to take a deep look into the state, which seems to be fogged at first sight.

The author of the represented work confidently indicates that the unity of soul and body is most distinctively manifested in the brain – the most delicate part of our organism. Brain – its cortex and subcortical divisions are the tool of manifestation of our soul, with the help of which we acquire activity of spirit, otherwise mental emotions and actions can't exist.

Study and formulation of this problem clearly showed that cortex is the physiological basis of human psyche. That's why all essence of psyche has to be considered and studied taking into account physiological regularities, to which the represented work is devoted.

Keywords: Human psychic; psychic and psychological processes; psyche and consciousness; nervous system, psyche-brain quality.

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

**მილიტარული მეგატრენდის ეკონომიკური ანალიზი და მისი გავლენა
მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაზე**

ბადრი რამიშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი**

XX საუკუნეში დედამიწამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რაც უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის მობილიზების ფონზე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ამ პერიოდში გლობალური სამხედრო ბლოკების დაპირისპირების ტენდეციასაც დაედო საფუძველი. ცივი ომის დასრულებისა და სამხედრო თვალსაზრისით მცირეხნიანი მოდუნების შემდეგ, XXI საუკუნის დასწყისიდან, კვლავ განახლდა გლობალური დაპირისპირების ესკალაცია და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ დაპირისპირების ერთ-ერთი ეპიცენტრი საქართველოა. ჩვენი ქვეყნის მომავლის განსაზღვრისას მუდმივად უნდა გვახსოვდეს ეს და აქედან გამომდინარე გავითავალისწინოთ ისიც, რომ მილიტარული მეგატრენდი გადამწყვეტ როლს ასრულებს გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაში.

საკვანძო სიტყვები: მილიტარული მეგატრენდი; ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია; ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია; კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია; სამხედრო ხარჯები; სამხედრო ხარჯების წილი მშპ-ში.

უხსოვარი დროიდან კაცობრიობა საკუთარი შესაძლებლობების დიდ და საუკეთესო ნაწილს სამხედრო მიზნებს უთმობდა. სადღეისოდ, თვით მშვიდობიანობის პირობებშიც კი, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მნიშვნელოვან რესურსებს წარმართავს თავდაცვისთვის. ეკონომიკური განვითარება პირდაპირ განაპირობებს სამხედრო ძლიერებას, ასევე პირიქით, სამხედრო ძლიერება და უსაფრთხოება საფუძველია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ქვემოთ სწორედ

სამხედრო ხარჯების შესახებ გვექნება მსჯელობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინდიკატორის მეშვეობით შევეცდებით მილიტარული ტრენდის ეკონომიკური საფუძვლების იდენტიფიცირებას.

ციკლის პირველ სტატიამი[1] მსჯელობა გვექონდა ეკონომიკური ტრენდის შესახებ, სადაც გლობალურ ძალთა შორის ეკონომიკური კონკურენციის ძირითადი პარამეტრები განვიხილეთ. მოვახდინეთ ოთხი გლობალური ძალის იდენტიფიცირება, თუმცა, დანვრილებით ვიმსჯელებთ სამის დასავლური, ჩინური და რუსული გლობალური ძალების შესახებ. ასეთი მიდგომა, გარდა პირველ სტატიამი მოყვანილი არგუმენტებისა, გამომწვეული იყო ეკონომიკური კონკურენციის საყოველთაოობით. თუმცა, როდესაც ვმსჯელობთ მილიტარული ტრენდის შესახებ და ამავე დროს ჩვენი კვლევის მთავარი საკითხია საქართველოს ადგილის განსაზღვრა გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, რამდენიმე ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ: პირველია სამხედრო მოკავშირეობის მხრივ არსებული ფორმალური ვითარება, მეორე გეოგრაფიული მდებარეობის საკითხი, ხოლო მესამე კი საქართველოს სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობა. მათი გათვალისწინებით მილიტარულ ტრენდზე მსჯელობისას მოცემულ სტატიამი ყურადღება გავამახვილებთ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციების მზარდი დაპირისპირების შესახებ, თუმცა ეს არ გვზღუდავს სამომავლოდ აღნიშნული პრობლემა უფრო ფართოდ გავანალიზოთ.

XX საუკუნის მეორე ნახევარი, საომარი მოქმედებების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მშვიდი პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში, მიუხედავად რეგიონული თუ ლოკალური სამხედრო კონფლიქტებისა, რადგან გლობალური ხასიათის საომარი მოქმედებები ამ პერიოდში არ წარმოებულა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მილიტარული მისწრაფებები პლანეტარული თვალსაზრისით მეორე პლანზე იყო გადასული. პირიქით, ამ პერიოდში მიმდინარეობდა „ცივი ომისა“ და „გამალეებული შეიარაღების“ სახელებით ცნობილი პროცესები, რასაც ნერტილი საბჭოთა კავშირის დანგრევამ დაუსვა და რომლის დროსაც, ორ ჯგუფად გაყოფილი დედამიწის სახელმწიფოთა დიდი ნაწილი, ერთმანეთს სწორედ თანამედროვე შეიარაღების შექმნაში ეჯიბრებოდა. ეს პერიოდი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებისთვის ოქროს ხანადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, ამ დროს დაპირისპირებული ბანაკების წევრი ქვეყნების და განსაკუთრებით კი აშშ-ისა და სსრკ-ის ეკონომიკებში აშკარად დომინირებდა მილიტარული მიმართულება, რაც ცხადად ჩანდა მათი წილით მშპ-ის სტრუქტურაშიც.

ამჟამად, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ნათლად მიანიშნებს ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის დაპირისპირების განახლებაზე, თუმცა, ძალთა ბალანსი ამჟამად ცალსახად განსხვავებულია და დროთა განმავლობაში კვლავ განიცდის ცვლილებას. ყოველივე ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, დიდად მოქმედებს საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე, მის უსაფრთხოებაზე. სწორედ აღნიშნული

პრობლემის ანალიზს ეძღვნება მიმდინარე ნაშრომიც, რომელიც იმ სტატიათა ციკლის გაგრძელებაა, რაც გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში ჩვენი ქვეყნის ადგილის განსაზღვრისკენაა მიმართული.

რეიგანის სამხედრო-ეკონომიკური პოლიტიკის როლი სსრკ-ის კრახში

საბჭოთა კავშირის სამხედრო ხარჯების შესახებ არც თავის დროზე იყო ნათელი სურათი და ამ საკითხის გარშემო პოლემიკა დღესაც გრძელდება. ჩვენ ქვემოთ რამდენიმე წყაროდან მოვიყვანთ მონაცემებს ამ საკითხის მეტ-ნაკლებად დასაკონკრეტებლად. რაც შეეხება აშშ-ის თავდაცვით ბიუჯეტს, ის ყოველთვის დაზუსტებული და მკაფიოდ განერილი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-მა სამხედრო ხარჯების მკვეთრი შემცირება დაიწყო და მისი წილი მშპ-ში XX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე 5%-ის[2] მახლობლად მერყეობდა, რის შემდეგაც ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და 1950-იანი წლების შუახანისთვის ორნიშნა ციფრი შეადგინა. 1960-იანი წლებში ამ მაჩვენებელმა მაქსიმუმს 8.756%-ს 1967[3] წელს მიაღწია, რის შემდეგაც მან დაიწყო შემცირება, რაც 1980-იანი წლების დასაწყისამდე, ანუ რონალდ რეიგანის გაპრეზიდენტებამდე გრძელდებოდა.

რონალდ რეიგანი ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა აშშ-ისა და მსოფლიო ისტორიაში. სწორედ მან შექმნა სსრკ-ის დემონტაჟის წინაპირობა, რის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი სამხედრო ხარჯების ზრდა იყო. მისი პრეზიდენტობის დასაწყისისთვის აშშ მშპ-ის 4.6%-ს[3] ხარჯავდა თავდაცვაზე. რეიგანმა და მისმა გუნდმა სწორად გათვალეს, რომ თუ ისინი მოახდენდნენ ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით სამხედრო მეგაპროექტის ინიცირებას, სსრკ-ს გაუჭირდებოდა ადეკვატური პასუხი და ან სამხედრო თვალსაზრისით დაირღვეოდა პარიტეტი აშშ-ს სასარგებლოდ, ან ეკონომიკური კრახის წინაშე აღმოჩნდებოდა ბოროტების იმპერია. „1981 წელს რეიგანმა წარადგინა აშშ-ს ისტორიაში არასაომარი დროის თანხობრივად ყველაზე დიდი ბიუჯეტი, რაც მთლიანი ფედერალური ბიუჯეტის თითქმის 30%-ს შეადგენდა. გარდა ამისა მან წამოაყენა წინადადება „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ შემუშავების შესახებ, რითაც კოსმოსში ბაზირებული თავდაცვითი ანტისარაკეტო ტექნოლოგიების მეშვეობით უნდა მომხდარიყო „ბირთვული ქოლგის“ შექმნა, რითაც მოხდებოდა საბჭოთა კავშირისგან მომავალი ატომური საფრთხის აცილება. ძნელია გადაჭარბებულად აღწერო გორბაჩოვის შიში სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის მიმართ, რადგან ის დარწმუნებული იყო, რომ ამ ნომინალურად თავდაცვით იარაღს აშშ შეტევითი სიძლიერე გამოიყენებდა“[4].

არავინ დავობს, რომ ცივ ომში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გამარჯვების საფუძველი მათი ეკონომიკური ძლიერება იყო. ამასთან, სსრკ-ის კრახის ერთ-ერთი

ძირითადი განმაპირობებელი ისიც იყო, რომ მან ვერ გაუძლო სამხედრო ხარჯებს, რამაც სოციალისტური ეკონომიკის გამოფიტვა გამოიწვია. კერძოდ, თავდაპირველად რეიგანის ინიციატივის საპასუხოდ სსრ კავშირმა სცადა თავადაც გაეზარდა სამხედრო ხარჯები, რამაც ყველაზე მოკრძალებული შეფასებებითაც შთამბეჭდავ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, სსრკ-ის მაშინდელმა „საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ 1988 წლის მაისში განაცხადა, რომ ქვეყნის სამხედრო ხარჯები მთლიანი ეროვნული პროდუქტის 19%-ს უდრიდა, ხოლო 1990 წლის აპრილში გორბაჩოვმა ეს ციფრი 20%-მდე დაამრგვალა. 1991 წლის ბოლოს კი გენერალური შტაბის უფროსმა ლობოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო ხარჯები მეპ-ის მესამედს ან მეტს შეადგენდა“ [5]. უფრო მოკრძალებულად აფასებდა ამ მონაცემს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. მისი მონაცემებით, 1989 წლისთვის სსრკ-ის სამხედრო ხარჯები მეპ-ის 15-17%-ს შორის მერყეობდა. სხვა ამერიკული წყაროებიც ამ უკანასკნელი შეფასებისკენ იხრებიან და სსრკ-ის სამხედრო ხარჯებს 1960 წლიდან მოყოლებული მაქსიმუმ მშპ-ის 20%-მდე [2] აფასებენ. ჩვენი აზრით, ეს მონაცემი ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, ვინაიდან ის ემთხვევა სსრკ-ის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადებებსაც. ამ უკანასკნელებმა კი კარგად იცოდნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკა. მაგალითად, გარდა პირდაპირი ხარჯებისა, საბჭოთა კავშირში არსებობდა სამხედრო სფეროს ფარული დაფინანსების პრაქტიკა, როდესაც ეს ხარჯები ბიუჯეტში „სახალხო მეურნეობის“ დასახელებით აისახებოდა. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებსაც, როგორცაა ორმაგი დანიშნულების საწარმოები, რომლებიც ქმნიდნენ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პროდუქციას. ვისაც სიცოცხლის ცნობიერი ნაწილი საბჭოეთში აქვს გატარებული, ახსოვს, რაოდენ ძვირი ღირდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ფასებიც ხშირად რამდენიმეჯერ აღემატებოდა თვითღირებულებას. ამ პროდუქციის ან მისი მაკომპლექტებლების დიდი ნაწილი სწორედ ორმაგი დანიშნულების ქარხნებში მზადდებოდა და ასეთ შემთხვევებში, ხშირად გამოიყენებოდა ე.წ. „ჯვარედინი ფასწარმოქმნის“ მსგავსი მიდგომა და სამხედრო პროდუქციაზე განეული დანახარჯების გარკვეული ოდენობა სამოქალაქო საქონლის ფასებში აისახებოდა. ამ მსჯელობიდან იმ დასკვნის გამოტანა გვსურს, რომ სსრკ-ის სამხედრო ხარჯები ცივი ომის პიკში მშპ-ის 20%-ის მახლობლად იყო, ეს კი მშვიდობიანობის პერიოდისთვის მეტად მძიმე ტვირთია ნებისმიერი ეკონომიკისთვის და სწორედ ეს გახდა სსრკ-ის კრახის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი.

აშშ-ის სამხედრო ხარჯები რეიგანის მმართველობის პირველივე წლებში ნახტომისებურად გაიზარდა და უკვე 1982 წლისთვის მან მშპ-ის 6.39%-ს [3] მიაღწია, რაც აბსოლუტური შეფასებით \$213.6 [3] მლრდ-ს შეადგენდა. ამის შემდეგ თანხობრივად ეს მაჩვენებელი საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციამდე იზრდებოდა და პირველად მხოლოდ 1991 წელს შემცირდა. ეს ფაქტები ნათლად მიუთითებს ძლიერი და სუსტი ეკონომიკების დაპირისპირების მნიშვნელოვან ასპექტზე, კერძოდ, სუსტ

ეკონომიკას სამხედრო თვალსაზრისით მეტ-ნაკლები პარიტეტის შენარჩუნების-თვის გაცილებით დიდი ფარდობითი ტვირთის ზიდვა უხდება, რასაც, ცხადია, აქვს საზღვრები და რაც დროთა განმავლობაში აუცილებლად იწვევს მის გამოფიტვას.

XX საუკუნის ბოლოს ორი სამხედრო ბლოკის დაპირისპირების ანალიზი სამხედრო ხარჯების კონტექსტით

XX საუკუნის მეორე ნახევარში მილიტარული ტრენდის ფორმირება ძირითადად აშშ-ისა და სსრკ-ის დაპირისპირების ფონზე ხდებოდა. მაგრამ, ცხადია, ამ მიმართულებით დიდი როლი ენიჭებოდა იმ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებსაც, რომლებიც ამ ორი შესახელმწიფოს გარშემო ჩამოყალიბდა. ვარშავის ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა და თავიდანვე მათი დანიშნულება ერთმანეთისგან მომავალი საფრთხის არიდება იყო. ამ ფაქტს არამარტო სამხედრო, არამედ იდეოლოგიური საფუძველიც ჰქონდა და პაექრობა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემებს შორისაც მიმდინარეობდა. ქვემოთ, ცხრილის სახით წარმოდგენილია ამ ორი ბლოკის წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები 1988-1990 წლებში, ანუ ცივი ომის გადამწყვეტ პერიოდში, როდესაც, ერთი მხრივ, მაქსიმუმს მიაღწია დაძაბულობამ, თუმცა, მეორე მხრივ სსრკ-ში მიმდინარე პერესტროიკის ფონზე, სწრაფად განიმუხტა ვითარება. ამ მიმართებით 1990 წელი კულმინაციურად ორი მომენტის გამო შეიძლება მივიჩნიოთ, ჯერ ერთი გერმანია გაერთიანდა და მეორე, სსრკ-მ მხარი არ დაუჭირა თავის ძველ პარტნიორს ერასყს და ფაქტობრივად ყოფილი მოწინააღმდეგეების ბანაკში აღმოჩნდა, რამაც შესაძლებელი გახადა ერასყის წინააღმდეგ კოალიციური ძალების გაეროს ეგიდით მოქმედება.

ვარშავის ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციების სამხედრო ხარჯები (მლნ დოლ.) 1988-1990 წლებში. მონაცემები წარმოდგენილია 2016 წლის \$-ში (ცხრილი შედგენილია [6] მასალების საფუძველზე)

ცხრილი 1

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია	1988	1989	1990
სსრკ	253,253	234,826	198,660
ჩეხოსლოვაკია	6,474	9,562	8,341
ბულგარეთი ¹	3,732	3,732	3,015
პოლონეთი	7,257	5,896	6,125
უნგრეთი	3,385	2,682	2,321
რუმინეთი	8,076	8,600	3,788
გდრ	10,014	10,250	-----
სულ	292,191	275,548	222,250
ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია	1988	1989	1990
აშშ	595,063	588,950	562,619

ბელგია	7,315	7,201	7,065
გაერთიანებული სამეფო	60,191	60,722	60,808
დანია	4,100	3,998	4,001
ისლანდია ²	0	0	0
იტალია	32,152	32,405	31,168
ლუქსემბურგი	160	160	152
ნიდერლანდები	11,901	12,014	11,676
გერმანია	58,987	58,825	61,995
საბერძნეთი	5,956	5,586	5,646
თურქეთი	8,041	9,304	11,242
ესპანეთი	16,384	16,296	16,530
პორტუგალია	3,038	3,189	3,278
კანადა	17,143	17,056	17,041
ნორვეგია	4,308	4,423	4,459
საფრანგეთი	58,450	59,166	58,905
სულ	883,189	879,295	856,585

- 1 ვინაიდან ბულგარეთის 1988 წლის მონაცემი არ ფიქსირდება ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში, ჯამურ მონაცემში გავითვალისწინეთ 1989 წლის მაჩვენებელი;
- 2 ისლანდია, მართალია წევრია ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციისა, მაგრამ მას არ გააჩნია სამხედრო ძალები და შესაბამისად არც სამხედრო ხარჯებს გასწევს

1988 წელს, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ, არსებობის მანძილზე მაქსიმალურად \$292.2 მლრდ-ით დააფინანსა სამხედრო სფერო, საიდანაც 86.7%, ანუ \$253.3 მლრდ სსრკ-ზე მოდიოდა. ეს ფაქტი ცხადად მიუთითებს საბჭოთა კავშირის როლზე მოცემულ ალიანსში, სადაც 1987 წელს დეკლარირებულმა ძირეული ცვლილებების პოლიტიკამ, რომელსაც წინ უძღვოდა 1986 წლის ბოლოს რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრა რეიკიავიკში, განაპირობა საერთაშორისო პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობა, რამაც სამხედრო ბიუჯეტებზე რეალური ასახვა 1989 წლიდან ჰპოვა. ამ წელს, 1988 წელთან შედარებით, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯები დაახლოებით 7%-ით, ხოლო 1990 წლისთვის - 21.6%-ით შემცირდა.

ცხრილი 1 ცხადად ასახავს დასავლური ბლოკის გადამწყვეტ უპირატესობას სამხედრო ხარჯების მხრივ. ამ მაჩვენებლით 1988 წელს ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას 3-ჯერ სჭარბობდა, რაც მომდევნო წლებში (ამ უკანასკნელის ლიკვიდაციამდე) კიდევ უფრო გაიზარდა. საინტერესოა ერთი ფაქტიც: აშშ-ის როლი ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის სახმედრო დაფინანსების მხრივ უფრო მოკრძალებული იყო, ვიდრე სსრკ-ისა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში და მასზე 1988 წელს მოდიოდა ალიანსის თავდაცვის ხარჯების 67.4%.

დასავლეთისა და რუსეთის თანამედროვე დაპირისპირების სამხედრო-ეკონომიკური საფუძვლები

ცხადია, ეკონომიკური სიძლიერე ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი სამხედრო დაპირისპირებისას, მაგრამ დროთა განმავლობაში ის სულ უფრო მეტ როლს ასრულებს მილიტარული ტრენდის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეს, ძირითადად უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების შედეგად ხდება, რაც თანდათანობით ამცირებს სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობას თანამედროვე ბრძოლის ველზე, ხოლო განვითარებული ტექნოლოგიები პირდაპირი შედეგია ძლიერი ეკონომიკისა. სწორედ ამიტომაცაა, რომ ჩვენ მიერ განხილულ ხუთ მეგატრენდში ერთ-ერთი ტექნოლოგიურია, რის შესახებაც მიმდინარე ციკლის დასკვნით სტატიაში ვიმსჯელებთ და სადაც სამხედრო ასპექტებსაც შევხებით.

პუტინის ხელისუფლება უკვე აშკარად ცდილობს იმპერიის აღდგენას და სსრკ-ის გავლენისა და პრესტიჟის დაბრუნებას. 2000-იან წლებში ნახშირწყალბადის ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ, რუსეთს საკმაოდ სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა გაუჩინა, რაც ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგად ბოლომდე ვერ იქნა გამოყენებული, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკამ ზრდის გარკვეული ტემპები განავითარა. საკმაოდ გაიზარდა მისი მშპ-იც, რაც პირველ რიგში, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაფინანსებაზე აისახა. ამ მოვლენებმა წარმოშვა კითხვები: რამდენად შეძლებს რუსეთი დასახული იმპერიული მიზნების რეალიზებას? გახდება თუ არა ის დასავლეთის სამხედრო ალიანსის საპირწონე ძალა, როგორც ეს ცივი ომის დროს იყო? რამდენად შესწევს დღეს რუსეთს და მის გარშემო შეკონინებულ სამხედრო ალიანსს გაუნიოს კონკურენცია ძირითად მეტოქეს (როგორც ეს რუსეთში მიაჩნიათ)? ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

ცხრილ 2-ში წარმოდგენილი მაჩვენებლების ანალიზის დაწყებამდე ერთ ნიშანდობლივ ფაქტზე უნდა შევჩერდეთ: 1988 წლისთვის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში, საბჭოთა კავშირის გარდა, გაერთიანებული იყო აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყანა, ხოლო ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში კი 16, სადღეისოდ სსრკ-ის ყველა მოკავშირე ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის წევრია (ერთი როგორც ქვეყნის ნაწილი). უფრო მეტიც, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირიც კი არაა სრულად წარმოდგენილი, გარდა იმისა, რომ ბალტიისპირეთის 3 სახელმწიფო ასევე დასავლური ალიანსის წევრია, აქეთკენ მიისწრაფის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან მინიმუმ 2 (საქართველო და უკრაინა), ხოლო შუა აზიის 2 სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ადგას. სამხედრო თვალსაზრისით რუსეთისგან დისტანცირებულია მოლდოვაცა და აზერბაიჯანიც.

სამხედრო ხარჯების მიხედვით სსრკ-ისა და რუსეთის შედარება მკაფიო დას-

**კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური
ორგანიზაციების სამხედრო ხარჯები (მლნ დოლ.) 2014-2016 წლებში¹
(ცხრილი შედგენილია [6,7] მასალების საფუძველზე)**

ცხრილი 2

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია	2014	2015	2016	2016 პმუ
რუსეთი	62,423	67,282	71,259	210,927
ბელორუსი	747	733	673	2,322
სომხეთი	418	453	428	1,047
ტაჯიკეთი	89	97	0	378
ყაზახეთი	2,014	2,073	1,524	5,578
ყირგიზეთი	226	234	215	815
სულ	65,917	70,872	74,099	221,067
ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია	2014	2015	2016	2016 (პმუ)
აშშ	618,574	603,758	614,114	614,114
ალბანეთი	154	134	144	402
ბელგია	4,414	4,273	4,080	4,406
ბულგარეთი	707	670	766	2,175
გერმანია	39,130	40,331	41,518	47,331
დანია	3,443	3,408	3,533	3,074
გაერთიანებული სამეფო	55,652	54,562	54,922	57,668
ესპანეთი	14,475	15,131	15,189	20,505
ესტონეთი	432	475	500	830
თურქეთი	15,597	16,087	15,169	30,035
ისლანდია	0	0	0	0
იტალია	26,745	25,624	28,330	33,996
კანადა	15,816	15,516	15,707	17,121
ლატვია	251	287	411	830
ლიტვა	359	477	642	1,284
ლუქსემბურგი	237	280	297	285
მონტენეგრო	58	57	68	170
ნიდერლანდები	8,804	8,781	9,369	10,540
ნორვეგია	5,934	5,891	6,159	5,974
პოლონეთი	8,683	10,346	9,918	22,316
პორტუგალია	3,499	3,603	3,799	5,471
რუმინეთი	2,266	2,615	2,853	6,733
საბერძნეთი	4,602	5,012	5,051	7,475
საფრანგეთი	53,887	56,061	56,405	60,917
სლოვაკია	842	999	1,049	1,962
სლოვენია	409	406	410	636
უნგრეთი	1,019	1,146	1,274	2,917
ჩეხეთი	1,614	1,786	1,948	3,526
ხორვატია	766	763	696	1,315
სულ	888,369	878,479	894,321	964,008

¹ მონაცემები წარმოდგენილია 2016 წლის \$-ში, ბოლო სვეტში კი გათვალისწინებულია \$-ის პარიტეტული მყიდველობითუნარიანობა (პმუ)

კვნის შესაძლებლობას გვაძლევს. 2016 წლის რუსეთის სამხედრო ხარჯები 3.5-ჯერ ნაკლები იყო სსრკ-ის 1988 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. იმავე წლებში თითქმის 4-ჯერადი იყო სხვაობა ვარშავის ხელშეკრულებისა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციებს შორის, პირველი მათგანის სასარგებლოდ. ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის სამხედრო ხარჯები კი პირიქით, 2016 წლისთვის დაახლოებით 9%-ით მეტი იყო 1988 წლის მაჩვენებელთან შედარებით. განსახილველ წლებში გაზრდილია აშშ-ის სამხედრო ხარჯებიც.

ცხრილი 2-ის ბოლო სვეტში მოცემულია 2016 წლის სამხედრო ხარჯები \$-ის პარიტეტული მყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით. ამ მაჩვენებლის მიხედვით, აშშ-ის მონაცემი თითქმის 3-ჯერ სჭარბობს რუსეთისას, ხოლო ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციისა კი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისას 4.4-ჯერ. როგორც ვხედავთ დასავლური ბლოკის უპირატესობა რუსეთის გარშემო შექმნილი ალიანსის მიმართ გაიზარდა, ისევე როგორც აშშ-ისა თავად რუსეთის მიმართ.

ცხრილი 3-ში წარმოდგენილი მონაცემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ. მან კატეგორიულად მოითხოვა ევროპელი პარტნიორებისა და კანადისგან სამხედრო ხარჯების გაზრდა მშპ-ის 2%-მდე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი გადანყვეტილება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს უკვე მიღებული ჰქონდა, ტრამპის პოზიციამ, ფაქტობრივად, საბოლოოდ გადანყვიტა ეს საკითხი. აღნიშნულის შესახებ, ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 25 მაისს ბრიუსელში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურების შეხვედრის შემდეგ ჩატარებულ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ ავიღეთ ვალდებულება შევწყვიტოთ თავდაცვის ხარჯების შემცირება, შემდეგ კი დავიწყეთ მისი ზრდა მშპ-ის 2%-მდე. მე ვიცი, რომ პრეზიდენტი ტრამპი ამ საკითხის ევროპელი პარტნიორებისთვის გაცნობის დროს იყო და რჩება უკიდურესად მკაფიო, ხისტი და ადვილად გასაგები. ეს ეხება კანადასაც“ [8]. ფაქტობრივად, უმაღლესი დონის ამ შეხვედრამ განსაზღვრა მომავალი ათწლეულის ძირითადი მილიტარული ტრენდი, რაც თავდაცვის ხარჯების ზრდას გულისხმობს.

ცხრილი 3-ის მონაცემების ანალიზი ცხადად ადასტურებს, რომ პრეზიდენტ ტრამპის აღმოფხვრებას პარტნიორების სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით, ნამდვილად აქვს საფუძველი. აშშ-ის გარდა, განსახილველ პერიოდში, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოებისგან მხოლოდ ოთხი: საფრანგეთი, საბერძნეთი, ესტონეთი და პოლონეთი ხარჯავდა თავდაცვაზე მშპ-ის თითქმის 2%-ს ან მეტს. ამ ნიშნულთან მიახლოებული მაჩვენებლები ჰქონდათ გაერთიანებულ სამეფოს, თურქეთსა და პორტუგალიას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ცხრილში წარმოდგენილი ბევრი ქვეყანა მშპ-ის დაახლოებით 1%-ს, ან ანკლებსაც კი ხარჯავს თავდაცვაზე და ეს იმ დროს, როდესაც 2016 წელს აშშ-ის სამხედრო ხარჯები მშპ-ის 3.29%-ს შეადგენდა და პრეზიდენტ ტრამპის მიერ ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდა იგეგმება.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის სამხედრო ხარჯები %-ულად მშპ-ში. (ცხრილი შედგენილია [3;7] მასალების საფუძველზე)

ცხრილი 3

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია	2014	2015	2016
რუსეთი	4.10	4.86	5.40
ბელორუსი	1.28	1.28	1.27
სომხეთი	3.94	4.25	4.09
ტაჯიკეთი	1.13	1.22	---
ყაზახეთი	1.04	1.11	0.82
ყირგიზეთი	3.378	3.45	3.15
ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია	2014	2015	2016
აშშ	3.51	3.30	3.29
ალბანეთი	1.35	1.16	1.23
ბელგია	0.97	0.93	0.87
ბულგარეთი	1.47	1.32	1.44
გერმანია	1.19	1.18	1.18
დანია	1.15	1.12	1.15
გაერთიანებული სამეფო	1.97	1.88	1.84
ესპანეთი	1.25	1.25	1.21
ესტონეთი	1.95	2.09	2.17
თურქეთი	1.90	1.85	1.73
ისლანდია	0	0	0
იტალია	1.47	1.39	1.51
კანადა	1.00	0.99	0.99
ლატვია	0.94	1.05	1.47
ლიტვა	0.88	1.14	1.49
ლუქსემბურგი	0.42	0.48	0.49
მონტენეგრო	1.47	1.38	1.61
ნიდერლანდები	1.17	1.16	1.20
ნორვეგია	1.47	1.50	1.62
პოლონეთი	1.90	2.14	1.99
პორტუგალია	1.79	1.79	1.84
რუმინეთი	1.35	1.45	1.47
საბერძნეთი	2.34	2.54	2.56
საფრანგეთი	2.23	2.27	2.26
სლოვაკია	0.99	1.13	1.16
სლოვენია	0.98	0.94	0.92
უნგრეთი	0.87	0.93	1.01
ჩეხეთი	0.91	0.95	1.01
ხორვატია	1.59	1.55	1.38

მილიტარული მეგატრენდის განვითარების პერსპექტივები დაპირისპირებული ბლოკების ეკონომიკური პოტენციალის ფონზე და მისი გავლენა საქართველოზე

ეკონომიკური ბაზისი, რომ თანამედროვე სამხედრო დაპირისპირებაში წარმატების მიღწევის საფუძველია, ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რასაც ჩვენც შევხებით. ამიტომ, სტატიის დასკვნითი ნაწილი ჩვენ მიერ განხილული სამხედრო ალიანსების სამომავლო ეკონომიკური პოტენციალის დადგენასა და მასზე დაყრდნობით სამხედრო ხარჯების მობილიზების შესაძლებლობას მიეძღვნება. კვლევა ჩავატარეთ 14 წლიანი პერიოდისთვის - 2030 წლის ჩათვლით და მიღებულ შედეგებს ისტორიული კონტექსტით განვიხილავთ. (იხ. ცხრილი 4)

ცხრილ 4-ში მოცემულია განსახილველი სამხედრო ბლოკების წევრ სახელმწიფოთა მშპ 2016 წლისთვის და იგივე ინდიკატორის საპროგნოზო მაჩვენებლები 2020, 2025 და 2030 წლების ბოლოსთვის. მშპ-ის ზრდის საპროგნოზო ტემპი გამოანგარიშებულია როგორც 2013, 2014, 2015, 2016 წლების მშპ-ის ზრდის ტემპების საშუალოარიტმეტიკული. რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაში, არ გავითავალისწინეთ 2013 წლის მაჩვენებელი, რადგან ის ერთგვარად ამოვარდნილი იყო ტენდენციიდან. ეს ქვეყნებია ყაზახეთი, ყირგიზეთი, ესპანეთი, თურქეთი და საბერძნეთი. ტრენდის გარკვეულ კორექტირებას ვახდენდით დამრგვალების დროსაც. მაჩვენებლები წარმოდგენილია \$-ის პმუ-ის გათვალისწინებით.

რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, რასაც აქვს პოტენციალი პერმანენტულ რეცესიაში თუ არა, ეკონომიკურ სტაგნაციაში გადაიზარდოს, გავლენას ახდენს ყოველ მის ეკონომიკურ პარტნიორზე, რომლებიც ამავე დროს სამხედრო მოკავშირეებიც არიან. ამასთან, რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები (ან მინიმუმ ორი მათგანი): დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები, ნავთობზე დაბალი ფასები [იხ. 9], მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა [იხ. 10] და ქვეყანაში დამყარებული მაფიოზურ-ოლიგარქიული მმართველობითი რეჟიმი, დიდი ალბათობით, საპროგნოზო პერიოდის ბოლომდე შენარჩუნდება, ამიტომ, ვფიქრობთ, მშპ-ის ზრდის წარმოდგენილი ტემპები რუსეთისა და მისი მოკავშირეების შემთხვევაში უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე პესიმისტური, რაც განამტკიცებს ჩვენი კვლევის შედეგებს. ცხრილში წარმოდგენილი გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ რუსეთის მშპ შემცირდება განსახილველ პერიოდში, რაც ანალოგიურ ტენდენციას წარმოშობს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ჯამური შეფასებისთვისაც.

ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა ეკონომიკური განვითარების იმ ფაზაში იმყოფება, რომ მათთვის ექსტრაპოლირების მეთოდი ზუსტი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ, მიღებული შედეგების დამატებით დასაბუთებას არ შევუდგებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციების ეკონომიკური ზრდის პოტენციალი (ცხრილი შედგენილია [3,7] მასალების საფუძველზე)

ცხრილი 4

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია	2016 მშპ (\$ მლრდ ვმუ)	მშპ-ის ზრდის საპროგნოზო ტემპი %	მშპ-ის საპროგნოზო მაჩვენებელი (\$ მლრდ)		
			2020	2025	2030
რუსეთი	3,745.0	-0.4	3,685	3,612	3,541
ბელორუსი	165.4	-1.0	159	151	144
სომხეთი	26.3	3.0	30	34	40
ტაჯიკეთი	25.8	6.5	33	45	62
ყაზახეთი	460.7	1.5	489	527	567
ყირგიზეთი	21.0	3.3	24	28	33
სულ	4,444.2		4,420	4,397	4,387
ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია					
აშშ	18,560.0	2.1	20,169	22,377	24,828
ალბანეთი	33.9	2.2	37	41	46
ბელგია	508.6	1.1	531	561	593
ბულგარეთი	143.1	2.2	156	174	194
გერმანია	3,979.0	1.4	4,207	4,509	4,834
დანია	264.8	1.4	280	300	322
გაერთიანებული სამეფო	2,788.0	2.2	3,042	3,391	3,781
ესპანეთი	1,690.0	2.5	1,865	2,110	2,388
ესტონეთი	38.7	1.8	42	45	50
თურქეთი	1,670.0	4.8	2,014	2,547	3,219
ისლანდია	16.2	3.8	19	22	27
იტალია	2,221.0	0.0	2,221	2,221	2,221
კანადა	1,674.0	1.8	1,798	1,966	2,149
ლატვია	50.7	2.4	56	63	71
ლიტვა	85.6	2.7	95	109	124
ლუქსემბურგი	58.7	4.2	69	85	104
მონტენეგრო	10.6	3.1	12	14	16
ნიდერლანდები	870.8	1.3	917	978	1043
ნორვეგია	364.7	1.3	384	410	437
პოლონეთი	1,052.0	2.9	1,179	1,361	1,570
პორტუგალია	297.1	0.6	304	313	323
რუმინეთი	441.0	3.9	514	622	753
საბერძნეთი	290.5	0.1	291	293	295
საფრანგეთი	2,699.0	1.0	2,809	2,952	3,102
სლოვაკია	168.8	2.8	189	216	248
სლოვენია	68.4	1.7	73	80	87
უნგრეთი	267.6	2.8	299	343	394
ჩეხეთი	350.9	2.3	384	431	482
ხორვატია	94.2	0.5	96	99	101
სულ	40,757.9		44,052	48,633	53,802

სამხედრო ბლოკის ჯამური ეკონომიკური პოტენციალი, 2016 წელთან შედარებით, 2020 წლისთვის გაიზარდება 8.1%-ით, 2025 წლისთვის - 19.3%-ით, ხოლო 2030 წლისთვის - 32%-ით. საინტერესოა, როგორ აისახება ორი სამხედრო ბლოკის ეკონომიკურ პოტენციალებს შორის მზარდი დისბალანსი მათ სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალზე. აღნიშნული საკითხის ირგვლივ გაანგარიშებები მოყვანილია ცხრილი 5-ში.

უპირველესი, რაც ცხრილი 5-ის განხილვის დროს უნდა აღინიშნოს, არის ის, თუ როგორ იქნა მიღებული ამა თუ იმ ქვეყნის მშპ-დან საპროგნოზო სამხედრო ხარჯების პროცენტული წილი. ამისთვის რამდენიმე მიდგომა გამოვიყენეთ, რაც არსებული ტენდენციებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის დავყვარდებით იმ ვითარებას, რომელიც ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შეიქმნა, როდესაც მან, ალიანსში იმ პარტნიორებს, რომლებიც თავდაცვაზე 2%-ზე ნაკლებს ხარჯავენ, კატეგორიულად მოსთხოვა ხარჯების მოცემულ ნიშნულამდე გაზრდა. ამ საკითხს ჩვენ ზემოთ შევხებით და ისიც აღვნიშნეთ, რომ დაფინანსების ზრდის შესახებ ალიანსში დადებითი გადანყვეტილება უკვე მიღებულია. ამიტომ, ყველა ასეთი ქვეყნისთვის, ჩვენ საპროგნოზო პერიოდში თავდაცვის ხარჯები მშპ-ის 2%-ის დონეზე მივიჩნით. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც უკვე ხარჯავენ 2%-ზე მეტს (გარდა აშშ-ისა) და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ყველა ქვეყნისთვის, (გარდა რუსეთისა), საპროგნოზო ნიშნულად მიჩნეულ იქნა მშპ-დან ბოლო სამი წლის სამხედრო ხარჯების პროცენტული წილის საშუალოარითმეტიკული. გამონაკლისია ტაჯიკეთი, სადაც 2016 წლის სამხედრო ხარჯების მონაცემის არ ქონის გამო, საპროგნოზო ნიშნულად აღებულ იქნა 2014-2015 წლების მაჩვენებლების საშუალოარითმეტიკული. აშშ-ში 2018 ფისკალურ წელს ტრამპის მიერ იგეგმება თავდაცვის ხარჯების დაახლოებით 9%-იანი[11] ზრდა, რასაც, დიდი ალბათობით, მხარს კონგრესიც დაუჭერს. შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ზრდის ამ ტემპის ასახვა ჩვენ მიერ დასადგენ საპროგნოზო მაჩვენებლისთვის არ იქნება საფუძველს მოკლებული, განსაკუთრებით თუ იმ ფაქტაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთ შემთხვევაში აშშ-ის თავდაცვის ხარჯები მშპ-ის დაახლოებით 4.5% გახდება, ეს კი გაცილებით ნაკლებია იმ მაქსიმუმზე, რაც ამ ქვეყანას ჰქონია მშვიდობიანობის დროს. რაც შეეხება რუსეთს, გავითვალისწინეთ ამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მზარდი საომარი მისწრაფებები, აგრეთვე სამხედრო ხარჯების ზრდის აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია და გამოვიყენეთ ექსტრაპოლირების მეთოდი. ვინაიდან 2014-2016 წწ პერიოდში რუსეთის სამხედრო ხარჯები წელიწადში საშუალოდ მშპ-ის 0.65%-ით იზრდებოდა, ამ ტემპის შენარჩუნებით 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 8%-ს მიაღწევს, რაც შეეხება მომდევნო წლების სამხედრო ხარჯების ამავე ნიშნულით შეფასებას, ამას ქვემოთ შევხებით.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური
ორგანიზაციების სამხედრო ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლები
(ცხრილი შედგენილია [3] მასალების, სტატიაში მოტანილი მსჯელობისა და
ცხრილი 4-ის მონაცემების საფუძველზე)

ცხრილი 5

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია	საპროგნო- ზორო სამხედ- რო ხარჯები, %-ულად შპპ-დან	სამხედრო ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი (\$ მლრდ)		
		2020	2025	2030
რუსეთი	8.0	294.8	289.0	283.3
ბელორუსი	1.3	2.1	2.0	1.9
სომხეთი	4.1	1.2	1.4	1.6
ტაჯიკეთი	1.2	0.4	0.5	0.7
ყაზახეთი	1.0	4.9	5.3	5.7
ყირგიზეთი	3.3	0.8	0.9	1.1
სულ		304.2	299.1	294.3
ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია				
აშშ	4.5	907.6	1007.0	1117.3
ალბანეთი	2.0	0.7	0.8	0.9
ბელგია	2.0	10.6	11.2	11.9
ბულგარეთი	2.0	3.1	3.5	3.9
გერმანია	2.0	84.1	90.2	96.7
დანია	2.0	5.6	6.0	6.4
გაერთიანებული სამეფო	2.0	60.8	67.8	75.6
ესპანეთი	2.0	37.3	42.2	47.8
ესტონეთი	2.1	0.9	1.0	1.1
თურქეთი	2.0	40.3	50.9	64.4
ისლანდია	2.0	0.3	0.4	0.5
იტალია	2.0	44.4	44.4	44.4
კანადა	2.0	36.0	39.3	42.0
ლატვია	2.0	1.1	1.3	1.4
ლიტვა	2.0	1.9	2.2	2.5
ლუქსემბურგი	2.0	1.4	1.7	2.1
მონტენეგრო	2.0	0.2	0.3	0.3
ნიდერლანდები	2.0	18.3	19.6	20.9
ნორვეგია	2.0	7.7	8.2	8.7
პოლონეთი	2.0	23.6	27.2	31.4
პორტუგალია	2.0	6.1	6.3	6.5
რუმინეთი	2.0	10.3	12.4	15.1
საბერძნეთი	2.5	7.3	7.3	7.4
საფრანგეთი	2.25	63.2	66.4	69.8
სლოვაკია	2.0	3.8	4.3	5.0
სლოვენია	2.0	1.5	1.6	1.7
უნგრეთი	2.0	6.0	6.9	7.9
ჩეხეთი	2.0	7.7	8.6	9.6
ხორვატია	2.0	1.9	2.0	2.0
სულ		1393.7	1541.0	1705.2

რუსეთის მიერ სამხედრო ხარჯების ზრდის ტენდენციის შენარჩუნება შეზღუდულია ეკონომიკის მძიმე მდგომარეობით, თუმცა, გარკვეული რესურსი ამ მხრივ არსებობს. თვალს თუ გადავავლებთ სამხედრო ხარჯების მობილიზების პრაქტიკას, ვნახავთ, რომ დემოკრატიის პირობებში, ასეთი მაღალი მაჩვენებელი 1967 წელს ჰქონდა აშშ-ს 8.7%-ის ოდენობით. ავტოკრატიის პირობებში სსრკ-ის სამხედრო ხარჯები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაახლოებით 20%-ის დონეზე იყო. საერთოდ მიგვაჩნია, რომ ავტოკრატიულ რეჟიმებს მეტი სამობილიზაციო რესურსი აქვთ. ამაზე მეტყველებს სსრკ-ის მაგალითიც. მაგრამ რუსეთში არც დემოკრატიაა და არც ისეთი ავტოკრატიული რეჟიმი, როგორც სსრკ-ში იყო. სადაც ათწლეულების განმავლობაში მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასად ჩამოყალიბდა ხისტი მმართველობითი ვერტიკალი და სამხედრო ინტერესებთან მორგებული სამობილიზაციო ეკონომიკა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რუსეთში არსებული აღვირახსნილი კორუფცია, რაც მეტად ამცირებს განუყოფელი სამხედრო ხარჯების ეფექტიანობას და ეკონომიკური კრიზისის ნიშნები. ამიტომ, ვფიქრობთ, რუსეთს გაუჭირდება სამხედრო ხარჯების პერმანენტული ზრდა და ჩვენ მიერ დაშვებული 8%-იანი ზღვარი მეტად ოპტიმისტურია მისთვის. სამაგიეროდ სამხედრო ხარჯების ზრდის დიდი პოტენციალი აქვს აშშ-ს და ჩვენს მიერ მოტანილი საპროგნოზო მაჩვენებელი 4.5%-ის დონეზე მხოლოდ მინიმალურ მაჩვენებლად შეიძლება განვიხილოთ.

ცხრილი 5-ის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დისპარიტეტი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციების სამხედრო ხარჯებს შორის გაიზრდება. კერძოდ, თუ 2020 წლისთვის ეს მონაცემი იქნება 4.6-ჯერად ნიშნულზე, 2025 წლისთვის ის მიაღწევს 5.2-ჯერადს, ხოლო 2030 წლის ბოლოსთვის კი 5.8-ჯერადს და ეს იმ დროს, როდესაც დისპარიტეტის მაჩვენებელი 1988 წლისთვის, რასაც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის კრახი მოჰყვა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ 3-ჯერადი იყო. აქვე უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ამ სცენარის მიხედვით, დასავლურ ალიანსს სამხედრო ხარჯების კიდევ უფრო ზრდის გაცილებით მეტი შესაძლებლობა რჩება, ვიდრე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას.

ზემოთ მოტანილი ანალიზი ცალსახად ადასტურებს ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის გადამწყვეტ, დამორგუწვევლ უპირატესობას რუსეთისა და მის გარშემო არსებული ალიანსის მიმართ, ეს კი, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტია საქართველოს გეოპოლიტიკური არჩევანის სასარგებლოდ, რაც დასავლურ ორიენტაციასა და ევროპულ თუ ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას გულისხმობს.

ლიტერატურა:

1. ბ. რამიშვილი, საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, #1.
2. <https://nintil.com/2016/05/31/the-soviet-union-military-spending/>
3. <http://data.worldbank.org/>
4. <https://www.reddit.com/r/AskHistorians/comments/4cn9e8/how-actually-responsible-was-ronald-reagan-for/>
5. <http://www.contrtv.ru/common/1089/>
6. <https://www.sipri.org/>
7. <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/>
8. <http://www.nato.int/>
9. ბ. რამიშვილი, ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №2.
10. ბ. რამიშვილი, დემოგრაფიული ტრენდი - თანამედროვე გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი მდგენელი და მისი გავლენა საქართველოზე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2016, #1.
11. <http://comptroller.defense.gov/Portals/45/Documents/defbudget/fy2018/fy2018-Budget-Request-Overview-Book.pdf>

Economic Analysis of the Military Megatrend and Its Influence on the Formation of the World Geostrategic Landscape

Badri Ramishvili,

*Doctor of Economics, Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

The presented article is a continuation cycle aimed at identifying Georgia's position in the global geostrategic landscape. The given paper describes the economic analysis of the military megatrend. Based on the geopolitical location of Georgia and the situation created, the research of this trend is especially important.

The author begins the research of military megatrend with the historic perspective of the post-World War II confrontation between the USSR and the US. In the article, the research continues about the situation created in the late XX century, when two military blocks confronted each other. The author also analyzes the modern confrontation of the West and Russia with the historical context. Russia's military expenditures in 2016 were 3.5 times lower as compared with the analogous indicator of the USSR in 1988. In the

same years the difference between the Warsaw Agreement and the Collective Security Treaty Organization was almost 4-fold, in favor of the first one. While on the contrary the military spending increased in the North Atlantic Treaty Organization and the USA. According to this indicator, the US data exceeds almost three times the size of Russia and the data of North Atlantic Treaty Organization 4.4 times is higher than the Collective Security Treaty Organization.

The final part of the work is dedicated to the prospect of development of military megatrend and its impact on Georgia. The author concludes that the disparity between the Collective Security Treaty and the North Atlantic Treaties' military expenses will increase. In particular, if by 2020 this figure will be 4.6 times higher, by 2025 it will higher 5.2 times, and by the end of 2030 it is will be 5.8 times higher, while the disparity indicator was higher only 3 times in 1988.

All of this is unambiguously confirmed by the decisive, depressing advantage of the North Atlantic Treaty on Russia and its allies around it. This is another important argument in favor of Georgia's geopolitical choice, which implies Western orientation and integration into European and North Atlantic structures.

Keywords: Military megatrend, Warsaw Treaty Organization, North Atlantic Organization; Organization of the Collective Security Agreement, military expenses, The share of military spending in GDP.

JEL Codes: H50, H56, H59

არამომგებიანი საავადმყოფოების რთული ჯანდასავის სისტემაში: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
Tengiz.verulava@gmail.com

ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის რამდენიმე ფორმა არსებობს: არაკომერციული, მომგებიანი, სახელმწიფო, სახელმწიფო-კერძო პარტნიორული. ასეთი მრავალფეროვნება ძირითადად სამედიცინო ბაზრის თავისებურებებითაა განპირობებული. აღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოში უმთავრესად სამედიცინო დაწესებულებების მესაკუთრეობის მხოლოდ ორი ფორმაა განვითარებული: კერძო მომგებიანი და სახელმწიფო.

სტატიის მიზანია გავარკვიოთ თუ რატომ წარმოიშვა თანამედროვე მსოფლიოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მრავალი ფორმა; ამ ფორმათაგან რომელია უპირატესად განვითარებული და რით არის ეს გამოწვეული; რამ განაპირობა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მესაკუთრეობის მხოლოდ ორი ფორმის არსებობა და რა არის მისი უარყოფითი მხარეები, რამდენად სასურველი გარემოა შექმნილი საქართველოში არამომგებიანი საავადმყოფოების განვითარებისთვის; არსებობს თუ არა საქართველოს კანონმდებლობაში რაიმე მასტიმულირებელი მუხლები მსგავსი ინსტიტუტების განვითარებისთვის; რა საკანონმდებლო ბარიერები არსებობს, რაც ხელს უშლის არამომგებიანი საქმიანობის განვითარებას; რამდენად სასურველია და რა დადებით შედეგს მოიტანს საზოგადოებისთვის მათი განვითარება ქართულ ბაზარზე; რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საკვანძო სიტყვები: არამომგებიანი საავადმყოფო; სამედიცინო ბაზარი; სახელმწიფო საავადმყოფო, სახელმწიფო-კერძო პარტნიორული მოდელი, მომგებიანი საავადმყოფო.

არაკომერციული საავადმყოფოების არსი

სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ერთერთი ფორმაა სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები (მათ შორის მუნიციპალური საავადმყოფოები). კერძო, კომერციული სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეები ინდივიდუალური პირებია. ისინი შექმნილია სამენარმეო საქმიანობისათვის, რომლის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა. ასეთი ორგანიზაციების ფორმებია: ინდივიდუალური კერძო (ერთპიროვნული) სანარმო, შეზღუდული პასუხისმგებლობების საზოგადოება, ღია და დახურული აქციონერული საზოგადოებები.


სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არაკომერციული (არამომგებიანი) ორგანიზაციებია. ხშირად სიტყვა „არამომგებიანის“ არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ და წარმოგვიდგენენ ისეთ ორგანიზაციად, რომელიც არ ეწევა მომგებიან საქმიანობას. სინამდვილეში კი არამომგებიან, ისევე როგორც მომგებიან, ან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში ცდილობენ მიიღონ მოგება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიღებული მოგების განაწილების თვალსაზრისით. კერძოდ, არამომგებიან საავადმყოფოებში, მომგებიან საავადმყოფოებისგან განსხვავებით, მოგების განაწილება არ ხდება მესაკუთრეებზე ან აქციონერებზე. არაკომერციულ საავადმყოფოებს მართავენ საბჭოები, რომლებიც წარმოდგენილია ექიმებით, საზოგადოების წარმომადგენლებით. მათი საქმიანობით მიღებული მოგება კი ნაწილდება სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ახალი სადიაგნოსტიკო მოწყობილობა-დანადგარების შეძენაზე, სამედიცინო პერსონალის ხელფასის გაზრდაზე [1].

არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესი განვითარება აღინიშნება როგორც ევროპის ქვეყნებში, სადაც უმთავრესად უნივერსალური ჯანდაცვაა განვითარებული, ასევე აშშ-ი, სადაც ჯანდაცვა უმთავრესად განიხილება როგორც სამედიცინო ბაზარი. ევროპის ქვეყნებში არაკომერციული სამედიცინო ორგანიზაციები შეადგენენ 70-80%-ზე მეტს, ასევე, აშშ-ში - 57%-ს შეადგენს არამომგებიან სამედიცინო ორგანიზაციები, 26% - სახელმწიფო საავადმყოფოები, ხოლო კერძო მომგებიანი საავადმყოფოები - 17 % [2] (იხ. გრაფიკი 1).

საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების მესაკუთრეობის მხოლოდ ორი ფორმა არსებობს - საავადმყოფოთა 88.6% კერძო, მომგებიანი ორგანიზაციებია (მათ შორის 42% სადაზღვევო კომპანიებს ეკუთვნის, ფიზიკურ პირებს - 29 %, სხვა ტიპის კომპანიებს - 18.4%), ხოლო 8% - სახელმწიფოს; სახელმწიფოს საკუთრებაში, ძირითადად, ფსიქიატრიული და სპეციფიკური სამედიცინო მომსახურების გამწევი საავადმყოფოებია [3] (იხ. გრაფიკი 2).


აშშ-ის საავადმყოფოების რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით [2]

გრაფიკი 1




საქართველოში მოქმედი საავადმყოფოების მფლობელობის ტიპები [3]

გრაფიკი 2



სადაზღვევო კომპანიების მფლობელობაში არსებული საავადმყოფოები პროცენტული განაწილება [3]

გრაფიკი 3



იმ საავადმყოფოებიდან, რომლებსაც სადაზღვევო კომპანიები ფლობენ, სამი სადაზღვევო კომპანია - „ალდაგი ბისიაი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი - ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ და „ავერსი“/„ალფა“, ფლობენ საავადმყოფოების 80%-ზე მეტს; სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“ სადაზღვევო კომპანიის მფლობელობაში არსებულ საავადმყოფოთა 49%-ს ფლობს. „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“, რომელიც სადაზღვევო კომპანიების „ჯი პი აი ჰოლდინგისა“ და „ირაოს“ მესაკუთრეა, საავადმყოფოთა 25 %-ს ფლობს, ხოლო სადაზღვევო კომპანია „ალფა“ კი საავადმყოფოების 17%-ს [3] (იხ. გრაფიკი 3).

არაკომერციული საავადმყოფოების განვითარების ისტორია

არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ შუა საუკუნეებიდან მათ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით რელიგიურ ორგანიზაციებს და ადგილობრივ სათემო გაერთიანებებს. ისინი ეხმარებოდნენ მოსახლეობის ღარიბ ფენებს, ობლებს, ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს. მოსახლეობის ამ ნაწილს ბინაზე არ გააჩნდა მკურნალობისათვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რაც მოითხოვდა საავადმყოფოების, ანუ სასნეულოების (როგორც მათ ძველ საქართველოში უწოდებდნენ) აშენებას და შენახვას. ღარიბთაგან განსხვავებით, მდიდარ ფენას თავის სასახლეში ჰყავდა კარის ექიმები და საავადმყოფოებს არ საჭიროებდა. ამრიგად, როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, არამომგებიანი საავადმყოფოები თავიდანვე შეიქმნა ღარიბთათვის სამედიცინო მომსახურების გასანეგად, რომელთა დაფინანსების უმთავრესი წყარო იყო შემონირულობები [4].

XX საუკუნის დასაწყისში სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო საავადმყოფოს ისეთი სახით ჩამოყალიბებას, როგორითაც იგი დღეისთვის არსებობს. შეიქმნა როგორც გადაუღებელი, ასევე გეგმური სამედიცინო მომსახურების საავადმყოფოები, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრები. აღნიშნულის შედეგად შეიცვალა საავადმყოფოების როლი. საავადმყოფო გახდა სამედიცინო პერსონალის საქმიანობის, პაციენტთა სათანადო დონეზე მკურნალობის ადგილი [5].

საავადმყოფოს ფუნქციის შეცვლასთან ერთად, შეიცვალა საავადმყოფოთა დაფინანსების მექანიზმები. თუ წინათ საქველმოქმედო ფონდები, შემონირულობები იყო საავადმყოფოს შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო, შემდგომ პერიოდში გაიზარდა პაციენტების მიერ გაღებული ხარჯების, ასევე სახელმწიფოს და კერძო დაზღვევის წილი. ასე გადაიქცა საქველმოქმედო საავადმყოფოები არამომგებიან, ანუ არაკომერციულ საავადმყოფოებად.

საქართველოსთან მიმართებით არ უნდა დაგვავინწყდეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი. გასაბჭოებამდე საქართველოშიც არსებობდა საქველმოქმედო საავადმყოფოები. ასე, მაგალითად, თბილისში, ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ადგილზე 1908 წლიდან, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ტაძართან განთავსდა ლაზარე-

თი. დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთი იყო განთავსებული, სადაც ვაჟა-ფშაველამ დალია სული. აღნიშნული და სხვა მრავალი საავადმყოფო იყო არაკომერციული. 1921 წლიდან, გასაბჭოების შემდეგ, არაკომერციული საავადმყოფოები გადაკეთდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სამედიცინო ორგანიზაციებად. შედეგად, საბჭოთა პერიოდში საქართველოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მხოლოდ ერთი ფორმა იყო განვითარებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990-იან წლებში მას დაემატა კერძო საავადმყოფოები. შესაბამისად, დღეისათვის საქართველოში საავადმყოფოების საკუთრების მხოლოდ ორი - სახელმწიფო და კერძო ფორმებია გავრცელებული [6].

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ზოგიერთი ნიშნით (სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმები ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელია) განვითარების იმ ხაზს ასცდა, საითკენაც ვითარდებოდნენ ევროპის ქვეყნები. გარდა იმისა, რომ დასავლეთის ქვეყნებში არაკომერციული საავადმყოფოები ხელშემწყობ ისტორიულ გარემოში განვითარდა, არანაკლები როლი ითამაშა სახელმწიფოს უდიდესმა მხარდაჭერამ. რადგანაც არამომგებიანი საავადმყოფოები ემსახურება ღარიბ და დაბალშემოსავლიან პაციენტებს, მათი საქმიანობა განიხილება როგორც საქველმოქმედო. შესაბამისად, მათი შემოსავალი და ქონება უმთავრესად გათავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისგან. არამომგებიანი საავადმყოფოები თავიდანვე შეიქმნა ღარიბთათვის სამედიცინო მომსახურების გასანევადად, მათი დაფინანსების უმთავრესი წყარო საზოგადოების შემონირულობებია, რაც მათ აძლევთ თავისებურ მოტივაციას სოციალურად დაუცველ ფენებს გაუწიონ სამედიცინო მომსახურება. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერაც დაუზღვეველია, არამომგებიანი საავადმყოფოები უზრუნველყოფს იმ ადამიანთა სამედიცინო მომსახურებას, ვინც არაგადამხდელუნარიანია [7]. აღსანიშნავია, რომ საავადმყოფოების შემოსავლებში საგრძნობლად შემცირდა შემონირულობების წილი და დღეისათვის სახელმწიფო და კერძო დაზღვევა გახდა მისი დაფინანსების მთავარი წყარო [8].

არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესობის მიზეზები

ევროპასა და აშშ-ში არამომგებიანი საავადმყოფოების ფართოდ გავრცელება განაპირობა საზოგადოების მხრიდან წლების განმავლობაში გამყარებულმა ნდობის ფაქტორმა. საქმე ისაა, რომ სამედიცინო ბაზარზე, სადაც პაციენტი მცირედაა ინფორმირებული და ნაკლები ცოდნა გააჩნია სამედიცინო მომსახურების საჭიროებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. მომგებიანთან შედარებით, პაციენტები უფრო ენდობიან არამომგებიან საავადმყოფოებს, რადგან ეს უკანასკნელი არ არის დაინტერესებული მოგების მი-

ლებით და არ ცდილობს პაციენტის არაინფორმირებულობის გამო მიიღოს სარგებელი [9].

გარდა ამისა, არამომგებიანი საავადმყოფოს საქმიანობას ზედამხედველობს საზოგადოება, სადაც ექიმებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ საავადმყოფოს პოლიტიკა, შეიძინონ მათთვის სასურველი სამედიცინო მოწყობილობა-დანადგარები, მომგებიანი საავადმყოფოებისგან განსხვავებით, პაციენტებს დაბალ ფასად მიანოდონ ძვირადღირებული სერვისები. შესაბამისად, არამომგებიანი საავადმყოფოები გაცილებით მეტად შეესაბამება ექიმების ფინანსურ ინტერესებს [10].

მოსახლეობაში კერძო, არამომგებიანი საავადმყოფოების პოპულარობაზე მიაწინებებს ის გარემოება, რომ აშშ-ში მათ მიმართავს პაციენტების 70 %, ხოლო მომგებიან საავადმყოფოებს პაციენტების მხოლოდ 13%. სამედიცინო პერსონალიც არაკომერციულ საავადმყოფოებს ანიჭებს უპირატესობას, რაც იმით გამოიხატება, რომ ექიმთა უმრავლესობა საქმიანობას ეწევა კერძო არამომგებიან საავადმყოფოებში [2].

საზოგადოებაში გარცელებული შეხედულებით, კერძო, მომგებიანი ორგანიზაცია ყოველთვის ასოცირდება სამედიცინო მომსახურების უფრო უკეთეს ხარისხთან. თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ განეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, მომგებიან და არამომგებიან საავადმყოფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება, რაც დადასტურდა კვლევითაც [11].

როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, არამომგებიანი საავადმყოფოების უპირატესი განვითარება დაკავშირებულია თავად ჯანდაცვის დარგის თავისებურებებით. ჯანდაცვის ბაზარი არსებითად განსხვავდება ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით. განსხვავებულია ჯანდაცვის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ქცევა სხვა ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ქცევისაგან. ჯანდაცვის ბაზარზე მომხმარებლები, ანუ პაციენტები ნაკლებად არიან კომპეტენტური შეაფასონ მიღებული მომსახურების ხარისხი, განსაზღვრონ მისი საჭიროება, ან შეადარონ მომსახურების ფასი მის ხარისხს. შედეგად, ექიმი (ანუ მიმწოდებელი) განსაზღვრავს პაციენტისათვის (ანუ მომხმარებლისათვის) საჭირო სამკურნალო-დიაგნოსტიკურ სერვისებს, განსხვავებით ჩვეულებრივი ბაზრისაგან, სადაც მყიდველი განსაზღვრავს მიწოდებას. ამგვარად, სამედიცინო ბაზარზე მოთხოვნას განსაზღვრავს მიმწოდებელი (სამედიცინო პერსონალი). სამედიცინო ბაზარზე მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის არსებული ინფორმაციის ასიმეტრიის გამო (მიმწოდებელს უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნია ვიდრე მომხმარებელს), მიმწოდებელს შეუძლია მის ხელთ არსებული ინფორმაციული უპირატესობით სტიმული მისცეს პაციენტისათვის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მომსახურების მოთხოვნას. ამ ფენომენს ჯანდაცვის ეკონომიკაში უწოდებენ მიწოდებით წარმოებულ მოთხოვნას. ოპონენტები, რომლებიც მიიჩნევენ რომ სამედიცინო ბაზარი არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრისაგან, ხშირად, შეგნებულად თუ შეუგნებლად ახდენენ ჯანდაცვის ეკონომიკისათვის დამახასიათებ-

ბელი ამ მნიშვნელოვანი თავისებურებების იგნორირებას [12]. ჩვეულებრივი ბაზრი-სათვის ძირითადად დამახასიათებელია მაქსიმალური მოგებისკენ სწრაფვა. მომ-გებიანი საავადმყოფოები ცდილობენ სამედიცინო მომსახურებაზე ისეთი ფასები დააწესონ, რომ მაქსიმალურად გაზარდონ მოგება. სამედიცინო ბაზარზე გარკვე-ული სერვისები საზოგადოებრივი სიკეთის ნიშნებით ხასიათდება. არამომგებიანი საავადმყოფოები ცდილობენ სამედიცინო მომსახურებაზე ისეთი ფასი დააწესონ, რომ განეუფლი ხარჯების დასაფარად გააჩნდეთ საკმარისი შემოსავლები [12].

საყურადღებოა საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში არსებული შემდეგი პრობლემის გათვალისწინებაც: უმეტეს საავადმყოფოებში სანოლთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია (საავადმყოფოების 34%-ს 11-დან 20 სანოლამდე აქვს, 17%-ს - 21-დან 30 სანოლამდე, ხოლო 41%-ში სანოლების რაოდენობა 31-დან 50-მდე მერ-ყობს). საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, 50 სანოლიანზე ნაკლები საავადმყოფო შეუძლებელია მომგებიანი გახდეს, უფრო მეტიც, 200-სანოლიანზე ნაკლები საავადმყოფო, ხშირად, ვერ ღებულობს ისეთ მოგებას, რომ ყველა სახის სამედიცინო მომსახურება გრძელვადიანად შეინარჩუნოს [3]. ამასთან, გასათვა-ლისწინებელია, რომ სამედიცინო მომსახურების გარკვეული სახეები არამომგებია-ნია, რომლებიც საავადმყოფოების მფლობელებმა შესაძლოა არ დააფინანსონ.

დასავლეთის ქვეყნებში არაკომერციული საავადმყოფოების განვითარებას ხე-ლი შეუწყო მათი შემოსავლებისა და ქონების გათავისუფლებამ სახელმწიფო გადა-სახადებისგან. თუმცა, ამ მხრივ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არასამენარმეო ორგანიზაციები, რომლებიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან, სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით. საქველმოქმედო ორგანიზაციების მო-გება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა, გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გვამძღვეს არაკომერციული ორგანიზაციის განმარტებას: „ორგანიზაცია, რომლის მიზანი არ არის სამენარმეო საქმიანობა და მისი ფუნქციონირების ძირითადი მამოტივირებე-ლი ფაქტორი არ არის მატერიალური მოგების მიღება, არის არასამენარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირი“. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ არასამენარმეო იურიდიული პირი, თავისი არსით, არ შეიძლება იყოს კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებული, მას უფლება აქვს, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქ-მიანობას. ასეთი საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამენარ-მეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას და მისი განაწი-ლება არასამენარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირვე-ლებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია [13].

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში არაკომერციულ ორგანიზა-ციებზე გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, მისი მხოლოდ ჩანაწერის სახით არსებობა არ არის საკმარისი ქვეყანაში არაკომერციული საავადმყოფოების

განვითარების ხელშესაწყობად. საქართველოში სამედიცინო ბაზარზე არამომგებიანი (არაკომერციული) ორგანიზაციების განუვითარებლობა ადასტურებს, რომ არ არსებობს საავადმყოფოების არამომგებიანი სახით ფუნქციონირების საკმარისი მოტივაცია. საჭიროა საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების შემდგომი დახვეწა და ევროპული გამოცდილების გათვალისწინება. მიზანშეწონილია არამომგებიანი საავადმყოფოების როლის გაზრდა საქართველოს სამედიცინო ბაზარზე.

სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ზემოაღნიშნული ფორმების გარდა, განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორული სამედიცინო ორგანიზაციები. ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის თანამშრომლობას ჯანდაცვის განვითარების პრიორიტეტული ამოცანების განსახორციელებლად, სარგებლების, ხარჯების და რისკების ერთმანეთს შორის განაწილების მეშვეობით, გრძელვადიან, ნებაყოფლობით პრინციპებზე. სახელმწიფო-კერძო ბიზნესის პარტნიორული თანამშრომლობის ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფო ქონების იჯარით გაიცემა. ამ დროს სახელმწიფო ახდენს მის საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების, ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური აღჭურვილობების იჯარით გაცემას კერძო ბიზნესზე [14].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში იგეგმება კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის დანერგვა [15]. კერძოდ, ბავშვთა ინფექციური, ონკოლოგიური და რესპუბლიკური საავადმყოფოები სახელმწიფო და კერძო სექტორის თანაარსებობით ჩამოყალიბდებიან [16]. კერძო ორგანიზაცია ვალდებული იქნება კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის პრინციპით, სახელმწიფოსთან ერთად მოახდინოს საავადმყოფოების მართვა, ფლობა და ოპერირება. შესაბამისი რეგულაციების არარსებობის გამო ეკონომიკის სამინისტრო ამჟამად მუშაობს ჯანდაცვის ობიექტებთან მიმართებაში კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების თანაარსებობის შესახებ კანონის შექმნაზე [17].

დასკვნა

ჩვეულებრივი ბაზრებისაგან განსხვავებით, სამედიცინო ბაზარმა მოითხოვა მესაკუთრეობის მრავალი ფორმის არსებობა, სადაც წარმოდგენილია როგორც კერძო არაკომერციული, ასევე კერძო მომგებიანი, სახელმწიფო და სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ორგანიზაციები.

საქართველოს ბაზარზე არამომგებიანი (არაკომერციული) ორგანიზაციები ერთობ მცირედაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, არ არსებობს საავადმყოფოების და საერთოდ ორგანიზაციების არამომგებიანი სახით ფუნქციონირების საკმარისი მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები, მისი მხოლოდ ჩანანერის სახით არსებობა ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგს. საჭიროა მესაკუთრეობის სხვა ფორმების, კერძოდ,

არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობაც. ამით გაიზრდება სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, და რაც მთავარია, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაახლოებას ევროპის ქვეყნების გამოცდილებასთან.

ლიტერატურა:

1. Feldstein P.J. (2011). Health Policy Issues: An Economic Perspective, Fourth Edition Chicago AUPHA press.
2. AHA, 2007. American Hospital Association. Hospital Statistics. Chicago: AHA.
3. საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი (2012). საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. თბილისი.
4. Sloan F. (2000). "Not-for-Profit Ownership and Hospital Behavior. New York North-Holland Press.
5. ვერულავა თ. (2016). ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ვერულავა თ. (2016). სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმები, მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.
7. Folland S., Goodman A.C., Stano M. (2007). The economics of health and health care. New Jersey.
8. McClellan, M., and D. Staiger. (2000). Comparing Hospital Quality at For-Profit and Not-For-Profit Hospitals. Chicago: The University of Chicago Press.
9. Norton E., Staiger. (1994). How Hospital Ownership Affects Access to Care for Nonprofits Different? Health Affairs 18. (3): 167-73.
10. Gruber, J. (1994). The Effect of Competitive Pressure on Charity. Hospital Responses to Price Shopping in California. Journal of Health Economics. 13. (2) 183-212.
11. Walker, D, M. (2005). Nonprofit, For-Profit and Government Hospital Uncompensated Care and Other Community Benefit. Testimony before the Committee on Ways and Means, House of Representatives.
12. ვერულავა თ. (2007). ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. მხეიძე ი, ჩარკვიანი გ, ნაცვლიშვილი ვ. (2012). არასამწარმოო იურიდიული პირების დაბეგვრის თავისებურებები საქართველოში. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი.
14. ვერულავა თ. (2016) სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინოვაციური მექანიზმი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენციის „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ მასალების კრებული. გვ. 130-134.
15. სერგეენკო, დ. „პირველადი ჯანდაცვა სერიოზულ რეფორმას საჭიროებს“. Ipress. გვ. 10. 12. 2015.

16. კვარაცხელია, ვ. 2016 წელს საქართველოს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 4 კლინიკა შეემატება. Ipress. 10. 12. 2015.
17. Verulava, T., Maglakelidze T. (2017). Health Financing Policy in the South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 11 (2), 143-150.

The Role of Non-Profit Hospitals in Health Care System: World Practice and Georgia

Tengiz Verulava,

Doctor of Medicine, Professor

Ilia State University

Tengiz.verulava@gmail.com

The health care market is substantially different from other areas of the economy and therefore the behavior of health care providers operating in the health care market is different, which is mainly related to the form of ownership. If the market is mainly characterized by the pursuit of maximum profit, medical services market has for some public good features. Because of this, non-profit hospitals in Western countries are considered as an alternative form of commercial hospitals. The purpose of the research was to study the role of not-for-profit hospitals in the United States as an example, and in this regard examine the situation of the medical market in Georgia. Methodology: The existing literature about non-profit hospitals, relevant legislation and statistical data, scientific articles, and other related works. Results: The majority of the hospitals in Georgia represents profitable (commercial) organizations. 42% of the hospitals owned by private insurance companies, 29% - by private owners, only 8% of them were under the state ownership. In contrast to this, 50% of the healthcare system of West Europe as well as USA is composed of non-profit (commercial) hospitals. Discussion, conclusion: In Georgia there is no sufficient motivation for operation of hospitals as non-profit organizations. It is necessary to further adjust tax benefits in the Tax Code of Georgia and share European experiences. It is reasonable to increase the role of non-profit hospitals on the healthcare market that will increase accessibility to healthcare services for the population and moreover, it will bring Georgian healthcare system close to the experience of civilized world.

Keywords: Healthcare, non-profit hospital, commercial hospitals, ownership.

JEL Codes: I10, I11, I18

შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები საქართველოში

შორენა ტიელიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი*

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის ძირითადი ფუნქციაა შესაბამისი ადამიანური რესურსებით წარმოებისა და მომსახურების სფეროს უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონე. თუმცა, შრომის ბაზრის განვითარების გზაზე არაერთი პრობლემა არსებობს, რომლის მოგვარება შესაძლებელია შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით.

სტატიაში მსჯელობაა საქართველოს შრომის ბაზრის ძირითად ინდიკატორებზე, შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების კომპონენტებზე და მათ მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. ხაზგასმულია ბოლო პერიოდში არსებული შრომის ბაზრის გამოწვევები და მათზე რეაგირების სათანადო მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: დასაქმება, უმუშევრობა, შრომის ბაზარი


შრომის ბაზრის ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორი გამოიყენება. მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) დონის გარდა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვებს და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს [1. გვ.7]. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, ჩანს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი შრომის ბაზარი ფორმირების სტადიაშია და ამ პროცესში არაერთი გამოწვევა არსებობს.

2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული ორგანიზაციებიდან 16% განიცდის შრომითი რესურსების ნაკლებობას გარკვეულ პოზიციებზე, მათ შორის 1/2-ზე მეტ შემთხვევაში კადრების დაქირავების სირთულე დაკავშირებულია სამუშაოს მაძიებელთა არასათანადო კვალიფიკაციასთან [2. გვ.18], რაც კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას შრომის ბაზრის გამართული ფორმირების საჭიროებასთან დაკავშირებით. ამის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს შრომის ბაზრის ინფორმაციაზე, ასევე, მოთხოვნად პროფესიებსა და სამუშაოს შესაბამის უნარებზე ხელმისაწვდომობის სირთულე.

ბოლო 11 წლის განმავლობაში უმუშევრობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლებოდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის მაჩვენებელმა ყველაზე დაბალ ნიშნულს 11,8%-ს მიაღწია, მაშინ როდესაც 2012 წელს უმუშევრობა 15% შეადგენდა და წინა წელთან შედარებით 0,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

უმუშევრობის დონე საქართველოში [3]



ბოლო მონაცემებით, საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 42,3%-ს შეადგენს. თვითდასაქმებულთა რაოდენობა 57,7%-ია. ასევე, ერთი მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმებულებიდან 14,9% სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 85,1% არასახელმწიფო სექტორში [3], რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შრომის ბაზრის მოქმედების არეალი მკვეთრადაა შეზღუდული. მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წელს ბიზნეს-სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობამ 565

902 ადამიანი შეადგინა, რაც 10%-ით აღემატება 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს [4]. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ბიზნეს-სექტორს განვითარების რეალური შესაძლებლობა აქვს, რაც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას და წახალისებას საჭიროებს. სახელმწიფო დონეზე, დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა 2015-2018 წლების შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის და სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების მყარი საფუძვლის შექმნა [5].

იმისთვის, რომ შრომის ბაზარმა მოახდინოს ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება აუცილებელია არსებობდეს მდიდარი ინფორმაციული რესურსი შრომის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ. საჭიროა მუდმივად განახლებადი ინფორმაცია, რაც, თავის მხრივ, საფუძველს ჩაუყრის სამუშაო ძალის უნარებისა და შესაძლებლობების დაახლოებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. 2015 წლამდე, სახელმწიფო დონეზე არ არსებობდა შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლის მექანიზმი, 2015 წელს ჩატარებულმა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევამ გამოავლინა სამუშაო ძალის მოძიებისას არსებული ძირითადი პრობლემები. საქართველოში მოქმედ 960 ორგანიზაციაში 6004 ვაკანსიის საჭიროება გამოვლინდა. აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად არსებული სამუშაო ძალის არასაკმარისი უნარები და დაბალი კვალიფიკაცია დასახელდა [2. გვ.17]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მიხედვით, უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 5578 ადამიანი [2. გვ.28]. იმ პოზიციებზე, რომელზეც დასაქმებულია უცხოური სამუშაო ძალა, ძირითადად, მოთხოვნადია საშუალო და პროფესიული განათლების დონე. უცხოური სამუშაო ძალის დაქირავების ძირითად მიზეზად სახელდება ადგილობრივი არაკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონში გამოვლენილი დასაქმების ტენდენციების მაგალითზე. აღნიშნული ფაქტი საკამათოს ხდის ორ საკითხს. ერთი მხრივ, შესაძლოა, რომ უცხოელების დასაქმება საფრთხეს წარმოადგენდეს ადგილობრივი სამუშაო ძალისთვის და საფრთხეს უქმნიდეს მათი დასაქმების შესაძლებლობებს, მეორე მხრივ, უცხოური სამუშაო ძალა შესაძლოა პოზიტიურ ეფექტს ქმნიდეს ქვეყანაში ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით.

როდესაც მსჯელობაა შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია შრომის ანაზღაურების საკითხიც, რადგან გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოსთვის საკმაოდ აქტუალურია ე.წ. „ღარიბი დასაქმებულების პრობლემა“. ოფიციალური სტატისტიკით, 2015 წელს დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასი საშუალოდ 904.40 ლარს შეადგენს, აღნიშნული მაჩვენებელი 9,15 პროცენტით გაიზარდა 2014 წელთან შედარებით [4], საქმიანობის სახეების მიხედვით ხელფასებს შორის დიფერენციაცია საკმაოდ მაღალია, რაც ინვესტს იმას, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილისთვის არსებული

ხელფასი არასაკმარისია. ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის პირობებში, როდესაც ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებით სისტემატურად უფასურდება პრობლემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ხშირად უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ბაზრისთვის არასაჭირო პროფესიის კადრების ჭარბი მიწოდებით და პროფესიული განათლების დაბალი დონით. ბოლო მონაცემებით, საქართველოში უმუშევართა თითქმის 1/3-ს უმაღლესი განათლება აქვს [3]. ეს განპირობებულია, როგორც უმაღლესი განათლების მქონე პირთა დიდი წილით მოსახლეობაში, ასევე შრომის ბაზრისადმი მათი გაზრდილი მოთხოვნებითა და მოლოდინებით, ასევე, გარკვეული სპეციალობების უმაღლესი განათლების მქონე კადრების ჭარბწარმოებით, რამეთუ კონკრეტულ სპეციალობებზე დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდულია. ისიც აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლები ხშირად სამუშაოს მაძიებლთა გამოუცდელობით აპელირებენ, რის გამოც უმუშევრობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია 20-29 ასაკობრივ ჯგუფში [3]. ბაზარი განსაკუთრებით გაჯერებულია ისეთი პროფესიებით, როგორცაა მაგალითად, ეკონომისტები, იურისტები და სხვა. ამასთან ერთად, არსებობს პროფესიები, რომელზეც მოთხოვნის მიუხედავად, არ არსებობს შესაბამისი კადრი.

შრომის ბაზრის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა

შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის ანალიზმა განაპირობა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომისა და დასაქმების სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. ამასთან ერთად, გაზრდის ქვეყნების შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას და გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

არსებული შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანია ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა, არსებული შრომითი ძალის პოტენციალის რაციონალური გამოყენება და სრულყოფა საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების საფუძველზე [5]. სტრატეგიის დამტკიცებამ შექმნა მყარი საფუძველი შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემისა [6] და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის [7] შექმნისა და განვითარებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, შრომის ბაზრის ერთ-ერთი პრობლემაა ადეკვატური ინფორმაციის ნაკლებობა. ამ მიზნით, 2016 წელს შეიქმნა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS) ვებპორტალი. იგი ერთი ფანჯრის (one-stop-shop) პრინციპზე დაფუძნებული სისტემაა და აერთიანებს განათლების, დასაქმების, უმუშევრობის, აქტიური სამუშაო ძალის, შრომითი მიგრაციის და სხვა მნიშვნელოვანი ცვლადების შესახებ ინფორმაციას. რაც ყველაზე ყურადსაღებია, არ არსებობს აღნიშნული სისტემის განვითარებისა და გამოყენების გრძელვადიანი ხედვა.

შრომის ბაზრის ინფორმაციის ნაკლებობის გარდა, პრობლემაა მონყვლადი და დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების საკითხიც. აღნიშნულის დარეგულირებისთვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც მიმართულია ახალგაზრდებისა და დაბალკონკურენტუნარიანი მოსახლეობის შრომით ინტეგრაციასა და შრომითი პოტენციალის ამაღლებაზე [7]. ამ ეტაპზე სტრატეგიის ფარგლებში დამტკიცებულია სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა [8]. ამ უკანასკნელის ძირითადი მიზანია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამუშაო უნარების გაუმჯობესების გზით დასაქმების ხელშეწყობა, თუმცა, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული დამსაქმებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური ჩართულობა კურიკულუმების შედგენის პროცესში, ასევე, საკამათოა პასუხობს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნას.

სახელმწიფოში ნებისმიერი რეფორმის განხორციელებას თან ახლავს გარკვეული სირთულეები, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური რესურსების დეფიციტი, ბიუროკრატიული პროცედურები, რომელიც აფერხებს პროცესების თანმიმდევრულ მიმდინარეობას და ა.შ. მიუხედავად ამისა, აუცილებელია სახელმწიფო რეგულარულად ატარებდეს რეფორმებს, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან პერიოდში განვითარებაზე.

სახელმწიფოს როლი შრომის ბაზრის განვითარებაში შესაძლოა გამოხატული იყოს რამდენიმე მიმართულებით:

1. სამუშაო ადგილების შექმნა;
2. სამუშაო ძალის სათანადო მომზადება;
3. შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

1. სამუშაო ადგილების შექმნისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს პერსპექტიული სფეროების განვითარებას, საქართველოს შემთხვევაში ასეთია მაგალითად: ინფორმაციული ტექნოლოგიები, სამშენებლო და ვაჭრობის სფეროს მიმართულებები.

2. სამუშაო ძალის სათანადო მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებში კადრების გადამზადება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მოთხოვნად პროფესიებში, რისთვისაც აუცილებელია რეგულარულად ტარდებოდეს შრომის ბაზრის კვლევები. შემდგომ აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის დაცვას.

3. რაც შეეხება შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით სახელმწიფოს როლს, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა უნდა წარმოადგენდეს შრომის ბაზრის ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროს. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სისტემის დანერგვას თან ახლავს გარკვეული სირთულეები, რაც გამოიხატება მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტში. ყოველივე ეს განაპირობებს უცხოური სამუშაო ძალისა და ექსპერტების მოზიდვას. ამასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ადგილობრივი შრომის ბაზარი დაიცავს უცხოური სამუშაო ძალისგან, რათა კიდევ უფრო არ შეიზღუდოს ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმების შესაძლებლობები. თუმცა, რა მექანიზმით დაიცავს სახელმწიფო ადგილობრივ მუშახელს, ეს მთლიანად ადგილობრივი ბაზრის სფეროში და მოქმედებული. ცნობილია რამდენიმე მათგანი: 1) „შრომის ბაზრის ტესტი“, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია ჯერ ადგილობრივ ბაზარზე მოიძიოს სასურველი კანდიდატი, და მხოლოდ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოიძიოს უცხოური სამუშაო ძალა. 2) კვოტირების სისტემა, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, ერთი წლის მანძილზე ადგილობრივ ბაზარზე წესდება კვოტა უცხოური სამუშაო ძალის მიმართ. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც დასაქმების უფლების მოპოვება ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულად მიიჩნევა ევროპაში, „შრომითი ბაზრის ტესტი“ მოთხოვნა არ ვრცელდება პირებზე, რომელთა ყოველთვიური ხელფასი 3 600 ევროს აღემატება [9]. იმ პირობებში, სადაც ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის ძირითადი პრობლემა დაბალი კვალიფიკაციაა, ვფიქრობ, აღნიშნული კანონი ერთგვარი ბარიერია ბიზნესის განვითარებისთვის, მაშინ როდესაც შესაძლოა უცხოური სამუშაო ძალა გამოყენებული იყოს ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ყოველივე ზემოხსენებულის შესასრულებლად, აუცილებელია, უწყებებს შორის სრულყოფილი კომუნიკაცია და კოორდინირებული მუშაობა, რაც თითოეული მხარის მიერ ვალდებულებების აღებასა და უფლებამოსილების სიღრმისეულ გააზრებას გულისხმობს.

დასკვნა და რეკომენდაციები

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. იმ პირობებში, სადაც უმუშევრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადგილობრივი სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაციაა, აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკა სწორედ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ იყოს მიმართული.

შრომის ბაზრის განვითარებისა და სრულყოფისთვის აუცილებელია:

1. შრომის ბაზრის ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, ანალიზი და ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია როგორც საჯარო

რო, ასევე, კერძო სექტორის აქტიურობა და ჩართვა სამუშაო პროცესში. იმ პირობებში, რომლის დროსაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ძირითადი წამყვანი ძალა კერძო სექტორია, შრომის ბაზრის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება წარმოუდგენელია კერძო სექტორის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. კერძო სექტორმა უნდა უკარნახოს სახელმწიფოს შრომის ბაზარზე ადამიანური, მატერიალური თუ სხვა სახის რესურსების მხრივ არსებული გამოწვევების შესახებ და სახელმწიფომ ადეკვატური რეაგირება უნდა მოახდინოს ყოველივე ზემოაღნიშნულზე. ასეთ პირობებში შესაძლებელი გახდება შრომის ბაზრის ძლიერი ინფორმაციული ქსელის ჩამოყალიბება, სადაც ყველა მოქმედი მხარე (სამუშაოს მაძიებლები, დამსაქმებლები თუ განათლების მიმწოდებლები) ფლობს მისთვის აუცილებელ ინფორმაციას;

2. კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება შესაძლების სახელმწიფო პროგრამების შემუშავებითა და გრძელვადიანი ხედვის განვითარებით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი შრომითი რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას, კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობით კონკურენტუნარიანი შრომითი ძალის მომზადებას, შრომის ბაზრის ცვლადებზე მყარი ინფორმაციული ქსელის შექმნას საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის განვითარების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება უმუშევრობის შემცირებაზე.

3. მონყვლადი და დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების განვითარება. ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა სახელმწიფოსთვის დღესდღეობით არის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი მონყვლად ჯგუფებში, რომელიც დასტურდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებითაც. ამიტომაც, მონყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობისთვის მნიშვნელოვანია დამსაქმებლების მიერ პასუხისმგებლობათა და ვალდებულებათა გააზრება და მოლოდინების შერბილება.

საბოლოო ანგარიშით, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება უზუნველყოფს მოსახლეობის პროდუქტიული დასაქმების შესაძლებლობების ზრდას და კონკურენტული სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, Economic Policy Research Center, თბ., 2011.
2. შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიში, თბ., 2015.
3. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2015. <http://www.geostat.ge/?action=page&p-id=145&lang=geo>.

4. სანარმოთა კვლევა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2015. <http://www.geostat.ge/?action=page&p-id=211&lang=geo> .
5. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N199, თბ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2013.
6. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N733, თბ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014.
7. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N167, თბ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2016.
8. სამუშაოსმაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N238, თბ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2016.
9. მირცხულავა გ., მიგრაციის კანონი ქვეყანას ძვირი დაუჯდება, ჟურნალი Forbes Georgia, თბ., 2015. <http://forbes.ge/news/591/migraciis-kanoni-qveyanas-Zviridaujdeba>
10. Employment Working Paper, No.67. International Labour Organisation , Geneva: ILO, 2010.
11. World Bank Annual Report. Washington, 2013.
12. World Bank, Georgia Skills Mismatch and Unemployment Labor Market Challenges, Policy Note, 2014.
13. მიკრო და მაკრო ფაქტორების გავლენა შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შრომით ეფექტურობაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევის ანგარიში, თბ., 2015.
14. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. 2016. <http://labour.gov.ge/Molhsa/Lmis/Lmis.Portal.Web/Default.aspx>.

The Main Challenges of Labour Market in Georgia

Shorena Tielidze,

Doctoral student,

Iv. Javakishvili Tbilisi State Universit

Labour market is the most significant component of the market economy whose main function is to provide manufacturing and service sector with relevant human resources. The perfect functioning of the labor market largely determines the quality of use of the country's labor and economic potential, as well as the living standards of the population. However, there are many problems in the process of market development that can be solved by developing and implementing targeted state policy in the field of employment.

The article discusses the main indicators of the labor market of Georgia, labor market demand and supply components and their importance for promoting economic development of the country. There are highlighted the recent labor market challenges and adequate response mechanisms.

Keywords: Employment; unemployment; labour market

JEL Codes: E24, J21, J23

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი
MARKETING ✧ MANAGEMENT ✧ TOURISM

ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული
უპირატესობები ევროკავშირის ბაზარზე

გიორგი ლაღანიძე

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

სტატიის ავტორი იკვლევს საქართველოს საექსპორტო პოტენციალი-სა და ქართული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობის საკითხებს ევროკავშირის ბაზარზე. კერძოდ, გაანალიზებულია საექსპორტო პოტენციალის მოცულობა, მისი ათვისებისა და ზრდის შესაძლებლობები. საექსპორტო პოტენციალის ანალიზი ემყარება ევროკავშირის საიმპორტო ბაზრის დეტალურ ანალიზს კონკრეტული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: საექსპორტო პოტენციალი; კონკურენტუნარიანობა; ვაჭრობის ინტენსივობა.

ევროკავშირის ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს საქართველოსათვის. სწორედ ამ ბაზარზე უნდა იქნეს მიღწეული სტაბილური საექსპორტო გაყიდვები და ამ მიზნით პირველ რიგში უნდა შეფასდეს ამ ბაზრის საექსპორტო პოტენციალი. საქართველოს საგარეო ბაზარზე საექსპორტო პოტენციალის ათვისების ანალიზი უნდა დავინყოთ ისეთი ფუნდამენტური ფაქტორის განხილვით, როგორცაა საგარეო ვაჭრობის ნორმალიზაციის ინდექსი. ეს ინდექსი გვაძლევს შესაძლებლობას განვიხილოთ საექსპორტო პოტენციალის ასამალლებლად ყველაზე უფრო პერსპექტიული საგარეო ბაზრები. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი გვიჩვენებს კონკრეტულ პარტნიორებთან საგარეო ვაჭრობის მდგომარეობას, კერძოდ: თუ მისი მნიშვნელობა იცვლება -1-დან 0-მდე, მაშინ ეს ნიშნავს მაღალ იმპორტს, ხოლო 0-დან +1-მდე კი პირიქით, ექსპორტის პრევალირებას იმპორტზე. ჩვენი აზრით, ამ ინდექსის მნიშვნელობა ცალკეული პარტნიორების მიხედვით უნდა იქნეს განხი-

ლული და შედარებული საერთო ინდექსთან. გაანგარიშებისათვის აღებული იქნა საქსტატის მარჯვენებლები.¹

$$N=(X-M)/(X+M) , X \text{ მთლიანი ექსპორტი, ხოლო } M \text{ მთლიანი იმპორტი.}$$

საქართველოს სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი 2010-15 წლებისათვის შემდეგია:

- 2010 წელი (-3580)/6934=-0.52;
- 2011 წელი (-4852)/9225=-0.53;
- 2012 წელი (-5661)/10413=-0.54;
- 2013 წელი (-5102)/10922=-0.47;
- 2014 წელი (-5733)/11454=-0.50;
- 2015 წელი (-5524)/9932=-0.56.

გავიანგარიშოთ ანალოგიური ინდექსი ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორისათვის (იხ. ცხრილები 1-5, ათასი აშშ დოლარი).

ცხრილი 1. სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი

საქართველო - თურქეთი

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (X)	216,799	226,388	140,089	183,796	239,296	186,011
იმპორტი (M)	886,694	1,276,488	1,468,825	1,408,931	1,727,391	1,330,834
N=	-0.61	-0.70	-0.83	-0.77	-0.76	-0.75

ცხრილი 2. სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი

საქართველო - ევროკავშირის ქვეყნები

(EU)

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (X)	309,513	424,342	352,901	607,113	624,086	646,427
იმპორტი (M)	1,467,163	2,048,356	2,425,713	2,263,657	2,369,696	2,518,617
=	-0.65	-0.66	-0.75	-0.58	-0.58	-0.59

ცხრილი 3. სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი

საქართველო - აშშ

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (X)	187,226	143,466	226,219	137,539	207,333	104,181
იმპორტი (M)	180,951	245,584	213,150	253,867	287,092	252,267
N=	0.02	-0.26	0.03	-0.30	-0.16	-0.42

1 სტატისტიკაში მოყვანილი გაანგარიშებები შესრულებულია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგრანტო დაფინანსებით განხორციელებული კვლევის „საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულების“ ფარგლებში.

ცხრილი 4. სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი

საქართველო - ჩინეთი

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (X)	26,762	28,886	25,609	33,862	90,393	125,800
იმპორტი (M)	335,206	525,077	613,587	611,555	732,997	587,021
N=	-0.85	-0.90	-0.92	-0.90	-0.78	-0.65

ცხრილი 5. სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი

საქართველო - დსთ-ს ქვეყნები

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (X)	676,673	1,052,505	1,244,428	1,620,731	1,465,185	839,514
იმპორტი (M)	1,587,618	1,923,383	2,047,037	2,173,277	2,124,317	1,968,586
N=	-0.40	-0.29	-0.24	-0.15	-0.18	-0.40

სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი ცალსახად მეტყველებს საქართველოს მხრიდან ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორის მიხედვით საექსპორტო პოტენციალის უფრო მნიშვნელოვნად ათვისების აუცილებლობაზე. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ძალისხმევის მიმართულება. მცირე რესურსების პირობებში აუცილებელია მათი გამოყენების ეფექტიანობის მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევა. ყოველივე ზემოთქმული პრაქტიკული საქმიანობის ველში ნიშნავს იმ ბაზრების გამოყოფას, სადაც ყველაზე ნაკლებადაა ათვისებული საექსპორტო პოტენციალი და ამის შემდეგ ამ ბაზრებზე ძალისხმევის მაქსიმალური კონცენტრაციით საექსპორტო რეალიზაციის ზრდის მიღწევას. საექსპორტო პოტენციალის ათვისებისათვის გამოყენებულია ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი. უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი აბსოლუტურად ზუსტად არ ზომავს საექსპორტო პოტენციალს, მაგრამ რამდენიმე ბაზრის შედარების შემთხვევაში, ის ძალიან კარგად ასრულებს იმ ფუნქციას, რომ სწორად განისაზღვროს ბაზრები, სადაც საექსპორტო პოტენციალი ყველაზე უარესადაა ათვისებული და ამდენად ამ ბაზრებზე მოხდეს საექსპორტო აქტივობის კონცენტრაციის ხელშეწყობა. განვიხილოთ ვაჭრობის ინტენსივობა საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი გვაძლევს შესაძლებლობას უკეთ შევაფასოთ საექსპორტო პოტენციალი. (იხ. ცხრილები 6-8, ზომის ერთეული ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი 6. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი

საქართველო - თურქეთი

წელი	2011	2012	2013	2014	2015
i ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში (Xij)	226,388	140,089	182,863	239,313	180,575
i ქვეყნის მთლიანი ექსპორტი (Xi)	2,186,715	2,376,155	2,908,444	2,861,189	1,792,719
j ქვეყნის მთლიანი იმპორტი (Mj)	240,838,853	236,544,494	251,661,250	242,223,959	207,203,370
მსოფლიო იმპორტი (M)	18,238,694,336	18,329,977,181	18,705,114,822	18,729,446,763	16,582,021,695
lij=	7.84	4.57	4.67	6.47	8.06

ცხრილი 7. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი

საქართველო - დსთ-ს ქვეყნები

წელი	2011	2012	2013	2014	2015
i ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში (Xij)	1,052,505	1,244,428	1,620,930	1,465,470	623,401
i ქვეყნის მთლიანი ექსპორტი (Xi)	2,186,715	2,376,155	2,908,444	2,861,189	1,792,719
j ქვეყნის მთლიანი იმპორტი (Mj)	523,244,721	546,834,817	542,732,181	486,598,274	217,135,967
მსოფლიო იმპორტი (M)	18,238,694,336	18,329,977,181	18,705,114,822	18,729,446,763	16,582,021,695
lij=	16.78	17.55	19.21	19.71	26.56

ცხრილი 8. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი

საქართველო - ევროკავშირის ქვეყნები (EU 28)

წელი	2011	2012	2013	2014	2015
i ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში (Xij)	424,342	352,901	607,866	620,872	569,487
i ქვეყნის მთლიანი ექსპორტი (Xi)	2,186,715	2,376,155	2,908,444	2,861,189	1,792,719
j ქვეყნის მთლიანი იმპორტი (Mj)	6,125,215,121	5,730,502,560	5,830,239,653	5,908,839,063	5,217,407,003
მსოფლიო იმპორტი (M)	18,238,694,336	18,329,977,181	18,705,114,822	18,729,446,763	16,582,021,695
lij=	0.58	0.48	0.67	0.69	1.01

ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე, დსთ-ს ბაზრებთან შედარებით, გაცილებით უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვს, შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტო ძალისხმევის კონცენტრაცია აბსოლუტურად გამართლებული და რაციონალური გადანყვეტილებაა. ცხადია, რომ ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია ყველა ექსპორტიორისათვის. რა წარმოადგენს წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს ამ ბაზარზე, რა მიმართულებებზე უნდა მოხდეს საექსპორტო ძალისხმევის კონცენტრაცია? იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ საექსპორტო აქტივობების ძალისხმევის მიმართულება და მნიშვნელობა, ჩამოვყალიბოთ შესაბამისი კვლევითი ჰიპოთეზები.

ჰიპოთეზა 1. საექსპორტო გაყიდვების ზრდისათვის, უფრო მნიშვნელოვანია ხანგრძლივადიანი საექსპორტო პრაქტიკა, ვიდრე სავაჭრო რეჟიმი.

ჰიპოთეზა 2. საექსპორტო გაყიდვებში მანძილი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სავაჭრო რეჟიმი.

კვლევის პრაქტიკული მეთოდოლოგია განისაზღვრა შემდეგნაირად: აღებული იქნა საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები საქონლის კლასიფიკაციის ჰარმონიზებული სისტემის 4 და 6-ნიშნა დონეზე. ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად, ყველა მონაცემი აღებული იქნა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემთა ბაზიდან [1]. გარკვეული განსხვავებები საქართველოდან ექსპორტისა და ევროკავშირის წევრ ქვეყანაში აღრიცხულ იმპორტს შორის აიხსნება აღრიცხვის მეთოდოლოგიით, ვინაიდან ექსპორტი აღრიცხება საკონტრაქტო ფასის FOB ბაზაზე, ხოლო იმპორტი - საკონტრაქტო ფასის CIF ბაზაზე. ამის შემდეგ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შეფასებული იქნა საქართველოს საექსპორტო პოზიცია 6-ნიშნა დონეზე. შერჩეული იქნა (ჯერ 4-ნიშნა დონეზე, ხოლო შემდეგ 6 - ნიშნა დონეზე) შემდეგი სასაქონლო ჯგუფები: 0802; 2008; 2201; 2204; 2208; 2603; 3102; 4011; 6202; 7202. ქვემოთ მოცემულია სასაქონლო კოდების გაშიფრვა 4 და 6-ნიშნა დონეებზე:

0802 - თხილი და სხვა კაკალი;

080222 ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Coryus spp.)

2008 - ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული

200819 კაკალი და სხვა თესვები, ერთმანეთში შერეული ან შეურეველი, სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, შაქრის, სხვა დამატკობელი ნივთიერებების ან სპირტის დანამატების შემცველობით ან მათ გარეშე, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი

2201 - მინერალური და მტკნარი წყლები.

220110 წყლები მინერალური და გაზიანი.

2204 - ყურძნის ნატურალური ღვინოები.

- 220421 ყურძნის ნატურალური ღვინოები (ყურძნის ცქრიალა ღვინოების გარდა),
- 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში.

2208 - ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.-%-ზე ნაკლები.

- 220820 სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინისა ან ჭაჭის დისტილაციის
- (გამოხდის) შედეგად.

2603 - მადნები და კონცენტრატები სპილენძის.

- 260300 სპილენძის მადნები და კონცენტრატები.

3102 - სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი.

- 310230 ამონიუმის ნიტრატი, მათ შორის წყალხსნარში (მინერალური ან ქიმიური,
- აზოტოვანი სასუქი).

4011 - რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, ახალი.

- 401110 რეზინის ახალი პნევმატური სალტეები და საბურავები მსუბუქი ავტომო-
- ბილებისათვის (სატივრო-სამგზავრო ავტომობილი-ფურგონებისა და სპორტული ავტომობილების ჩათვლით).

- 401120 რეზინის ახალი პნევმატური სალტეები და საბურავები ავტობუსებისა ან
- ტვირთის გადასაზიდი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

6202 - პალტოები, ლაბადები და ანალოგიური ნაწარმი ქალისა ან გოგონასათვის.

- 620211 ქალისა ან გოგონების პალტოები, მოკლე პალტოები, მოსასხამები, ლაბა-
- დები, ჭურთუქები და ანალოგიური ნაწარმი, მატყლის ნართისა ან ცხოველების წმინდა ბენვის ნართისაგან, გარდა ტრიკოტაჟისა და 6204 სასაქონლო პოზიციის ნაწარმისა.

- 620219 ქალისა ან გოგონების პალტოები, მოკლე პალტოები, მოსასხამები, ლა-
- ბადები და ანალოგიური ნაწარმი, ტექსტილის მასალებისაგან, გარდა მატყლის ნართის ან ცხოველების წმინდა ბენვის ნართისაგან, ბამბის ნართისაგან, ქიმიური ძაფებისაგან დამზადებულისა, ტრიკოტაჟისა და 6204 სასაქონლო პოზიციის ნაწარმისა

7202 – ფეროშენადნობები.

- 720230 ფეროსილიკომანგანუმი.

გაგაანალიზოთ ცალკეული სასაქონლო ჯგუფების ექსპორტისა და ევროკავშირის შესაბამის ბაზრებზე საიმპორტო მონაცემები. სასაქონლო ჯგუფში - 0802 ევროკავშირის მთლიანი იმპორტი 2015 წელს შეადგენდა 8,2 მლრდ აშშ დოლლარს. აქედან ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 2,4 მლრდ; იტალია 1,3 მლრდ და ესპანეთი 1,1 მლრდ. საინტერესოა, რომ 4 - ნიშნა დონეზე მნიშვნელოვანი ექსპორტიორები არიან აშშ, თურქეთი, ჩინეთი, ავსტრალია, ირანი და საქართველო. 6 - ნიშნა დონეზე კი, სადაც საქართვე-

ლო ახდენს ექსპორტირებას, პრაქტიკულად მხოლოდ თურქეთი და საქართველო არიან წარმოდგენილი. მაგალითად, იტალიაში ჩილემაც განახორციელა ექსპორტი 080222 სასაქონლო ჯგუფში 13,8 მლნ დოლარის, მაშინ როცა იმავე პერიოდში ექსპორტი საქართველოდან იყო 43,2 მლნ დოლარი. თხილის მოხმარების თავისებურებიდან შეიძლება მარტივად დავასკვნათ, რომ საქართველოდან ამ პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში არანაირი პრობლემა არ ექნება, პრაქტიკულად გაიყიდება იმდენი, რამდენიც გვექნება თხილის მოსავალი, იმ ხარისხობრივი პარამეტრების გათვალისწინებით, რომელსაც ადგენენ ევროკავშირის ბაზარზე. ამდენად, ამ სასაქონლო ჯგუფში მიზანშეწონილია წარმოების მოცულობის მაქსიმალური ზრდა, რაც მოითხოვს თხილის პლანტაციების გაშენებას. ეს უკანასკნელი უნდა გამოცხადდეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად და შესაბამისად მოხდეს მისი წარმოების მოცულობის ზრდის ხელშეწყობა.

შემდეგი სასაქონლო ჯგუფია 2201, სადაც წარმოდგენილია 6 - ნიშნა დონეზე ერთი პოზიცია 220110, ხოლო ექსპორტის აბსოლუტური უმრავლესობა განხორციელდა ლიტვაში. საქართველო ლიტვაში ამ სასაქონლო ჯგუფში ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიტვაში ექსპორტირებას ხელს უწყობს აღნიშნული პროდუქციის მაღალი ცნობადობა, ჯერ კიდევ სსრკ-ს პერიოდიდან.

2204 სასაქონლო ჯგუფში ასევე ერთი ძირითადი საექსპორტო პოზიცია გვაქვს - 220421, ხოლო ძირითადი საექსპორტო ქვეყანა პოლონეთია. პოლონეთში საქართველოს ექსპორტის მოცულობაა 4,9 მლნ დოლარი, ასევე ექსპორტი განხორციელდა ლატვიაში 2,8 მლნ; ესტონეთში 1,6 მლნ; ლიტვაში 1,5 მლნ. 220421 სასაქონლო ჯგუფის მთლიანი იმპორტი პოლონეთში შეადგენდა 254 მლნ-ს, ხოლო წამყვანი ექსპორტიორები არიან აშშ - 40 მლნ, ჩილე - 18,1 მლნ, მოლდოვა - 9,2 მლნ. არც აშშ-ს და არც ჩილეს საქართველოსთან შედარებით არ გააჩნია რაიმე უპირატესობა ან სავაჭრო რეჟიმის ან მანძილის მიხედვით. ალბათ, ეს სასაქონლო ჯგუფი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტულია საქართველოში, კარგად აჩვენებს სტატიაში წარმოდგენილი კვლევითი ჰიპოთეზების სისწორეს.

2208 ჯგუფში ასევე ერთი პოზიციაა, კერძოდ - 220820, სადაც ძირითადი იმპორტიორია საფრანგეთი, ხოლო ყველაზე დიდი ექსპორტიორი ესპანეთი - 35,1 მლნ, შემდეგია საქართველო - 10,1 მლნ და იტალია - 7,1 მლნ. ამ პროდუქციის მიწოდების თავისებურებები ასევე აჩვენებს, რომ საქართველოს აქვს არა საექსპორტო ბაზრების, არამედ საექსპორტო პროდუქციის პრობლემა.

სასაქონლო ჯგუფში - 2603 ძირითადი პოზიცია არის 260300, რომლის წამყვანი საექსპორტო ბაზრებია ბულგარეთი - 140,9 მლნ; ესპანეთი - 21,9 მლნ, რუმინეთი - 10,3 მლნ. ბულგარეთის იმპორტში წამყვანი ადგილი უკავია ავსტრალიას 156,8 მლნ-ით, ხოლო შემდეგ პოზიციაზეა საქართველო - 143,5 მლნ.

ცხრილი 9.

სასაქონლო ჯგუფი	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	5.00	-	0.03	0.30	0.70	0.06
2013	9.20	-	0.50	0.40	0.40	0.06
2014	7.50	-	0.40	0.30	0.50	0.07
2015	7.60	-	0.30	0.60	0.20	-
სასაქონლო ჯგუფი 2201	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	-	-	1.00	2.00	-	100.00
2013	-	-	0.25	1.50	-	200.00
2014	-	-	0.40	1.60	-	250.00
2015	-	-	0.40	2.20	-	-
სასაქონლო ჯგუფი 2204	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	-	5.00	1.00	1.33	-	15.00
2013	-	2.50	0.50	1.75	-	40.00
2014	-	0.80	0.33	1.70	-	60.00
2015	-	2.00	0.38	2.20	-	-
სასაქონლო ჯგუფი 2603	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	-	-	7.50	-	-	10.00
2013	-	-	4.50	-	-	30.00
2014	-	8.20	3.20	-	-	45.00
2015	-	7.20	2.00	-	-	-
სასაქონლო ჯგუფი 3004	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	-	-	-	2.00	-	2.00
2013	-	-	-	1.50	-	2.00
2014	-	-	-	2.00	-	3.00
2015	-	-	-	2.70	-	-
სასაქონლო ჯგუფი 3102	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	14.00	-	2.40	0.10	0.20	50.00
2013	7.50	-	2.30	0.20	4.30	40.00
2014	4.00	-	1.00	0.20	4.20	50.00
2015	1.50	-	2.00	0.30	0.30	-
სასაქონლო ჯგუფი 2208	RCA აშშ	R C A ჩინეთი	R C A ევროკავშირი	RCA დსთ	R C A თურქეთი	R C A საერთო
2012	0.01	49.05	6.76	3.13	0.17	21.02
2013	0.10	37.40	6.86	2.21	0.05	20.83
2014	1.78	2.30	5.37	2.66	-	20.49
2015	0.35	0.47	2.50	5.00	-	17.32

ესპანეთში უმსვილესი ექსპორტიორები 260300 სასაქონლო ჯგუფში არიან ჩილე - 983,8 მლნ; პერუ - 465,2 მლნ; აშშ - 410 მლნ; ბრაზილია - 222,7 მლნ; ინდონეზია - 159,3 მლნ; არგენტინა - 133,2 მლნ; კანადა - 86,8 მლნ; სომხეთი - 40,4 მლნ; კოლუმბია - 25,2 მლნ. ამ პროდუქციის ექსპორტში მთავარია თვით პროდუქციის რაოდენობა და ამდენად აქაც ექსპორტში პრობლემები არ გვექნება, თუ გვექნა შესაბამისი რაოდენობით პროდუქცია.

სასაქონლო პოზიციაში 3102, რომელიც ყველაზე მაღალი დივერსიფიკაციით გამოირჩევა ევროკავშირის ბაზარზე, კერძოდ 6-ნიშნა დონეზე - 310230 ექსპორტირებულია ბულგარეთში - 14,6 მლნ; რუმინეთში - 3,3 მლნ; საბერძნეთში - 2,7 მლნ; ესპანეთში - 2,3 მლნ; იტალიაში - 1,3 მლნ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, სადაც საქართველო ანხორციელებს ექსპორტს, ის ლიდერია. ამ მოვლენას აქვს ორი ახსნა: პირველი, აღნიშნული პროდუქციის გამოყენების შეზღუდული არეალი, მეორე, აღნიშნული პროდუქციის მწარმოებლების შეზღუდული რაოდენობა. ამდენად, აქ არსებული საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ექსპორტის გარკვეული ზრდა, წარმოების მოცულობის ზრდის კვალობაზე.

სასაქონლო ჯგუფში - 2008, ასევე ერთი პოზიციაა 6-ნიშნა დონეზე - 200819, საქართველოს ექსპორტი გერმანიაში დაბალია 6,6 მლნ, მაშინ როცა თურქეთის ექსპორტი შეადგენს 509,5 მლნ, რუსეთის ფედერაციის 12 მლნ-ს. აქ მიზანშეწონილია განხილული იქნეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საფუძველზე ახალი სანარმოო სიმძლავრეების ფორმირების საკითხები.

სასაქონლო ჯგუფში - 4011, გვაქვს ორი ქვეჯგუფი 6-ნიშნა დონეზე - 401110 და 401120. საქართველოს ძირითადი საექსპორტო ბაზარია ნიდერლანდების სამეფო 12,1 მლნ (ჯგუფი 401110), რომლის მთლიანი იმპორტი შეადგენს 1,6 მლრდს. 401120-ის ექსპორტი განხორციელდა გერმანიაში - 2,6 მლნ, მაშინ როცა გერმანიის იმპორტი შეადგენს 3,1 მლრდს. ამ სასაქონლო ჯგუფებში ამკარა არსებული პოტენციალი, თუმცა საქართველოს ექსპორტი ძალიან მცირეა ამ ეტაპზე. ამდენად, მიზანშეწონილია ექსპორტის წახალისების კონკრეტული მექანიზმების ფორმირება, პირველ რიგში - პუი-ს მოზიდვით.

სასაქონლო ჯგუფი 6202 წარმოდგენილია 6-ნიშნა დონეზე ორი ჯგუფით - 620211 და 620219. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია იტალია და გერმანია, იტალიაში ექსპორტი შეადგენს 5,7 მლნ, ხოლო გერმანიაში 1,4 მლნ. ხოლო, იმავე პერიოდში იტალიის იმპორტში წამყვანი პოზიციები უკავია ჩინეთს - 407,8 მლნ, ვიეტნამს - 26,6; ბოსნია-ჰერცეგოვინას - 24,6 მლნ. ამ პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე, რთული წარმოსადგენია საქართველოს ექსპორტის ზრდა, ვინაიდან ძირითად ექსპორტიორებს ამკარა უპირატესობები აქვთ პროდუქციაზე დანახარჯების თვალსაზრისით.

სასაქონლო ჯგუფში – 7202, წარმოდგენილია ერთი ქვეჯგუფი 6-ნიშნა დონეზე - 720230. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ სასაქონლო ჯგუფში ძლიერი პოზიციები აქვს: ესპანეთსა და საბერძნეთში ის პირველი ექსპორტიორია; ბრიტანეთში - მეორე, მას უსწრებს მხოლოდ უკრაინა; პორტუგალიასა და საფრანგეთში - მესამე, პორტუგალიაში მას უსწრებენ უკრაინა და სამხრეთ აფრიკა, ხოლო საფრანგეთში -ნორვეგია და კორეა, ბულგარეთში საქართველოზე მაღალი ექსპორტი აქვთ უკრაინას, ინდოეთს, ჰონგ-კონგს და ნორვეგიას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ესპანეთსა და საბერძნეთში უფრო მაღალია ექსპორტის აბსოლუტური მაჩვენებლები. აქ მნიშვნელოვანია ორი საკითხის გამოიწვევა: პირველია, აღნიშნული პროდუქციის გამოყენების შეზღუდული არეალი, ხოლო მეორე, აღნიშნული პროდუქციის წარმოების სპეციფიკა. რეალისტური შეფასებით, ექსპორტის ზრდა შესაძლებელია წარმოების მოცულობის ზრდის ხარჯზე. რამდენადაც გაიზრდება წარმოების მოცულობა, იმდენად გაიზრდება ექსპორტი.

საინტერესოა განვიხილოთ აღნიშნული სასაქონლო ჯგუფების (4-ნიშნა დონეზე) კონკურენტუნარიანობა, როგორც ცალკეული ძირითადი პარტნიორების, ასევე საერთო მაჩვენებლების მიხედვით. (იხ ცხრილი 9 – გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობები).

აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბაზრების მიხედვით, რაც ართულებს პროდუქციის ექსპორტირებისას მისი დივერსიფიცირების შესაძლებლობებს.

არ შეიძლება კვლევას დასრულებული სახე ჰქონდეს, თუ არ მოხდება ექსპორტის კონცენტრაციის შეფასება. ამ მიზნით ვიყენებთ საექსპორტო კონცენტრაციის ჰერფინდალის ინდექსს, ინდექსი გააინგარიშება:

$$H_i = \sqrt{\sum(X_{ik}^2)}$$

X_{ik} საქართველოს *k* პროდუქტის ექსპორტია კონკრეტულ ქვეყანაში, რაც უფრო მაღალია ინდექსი, მით უფრო მაღალია კონცენტრაცია.

ცხრილი 10. ჰერფინდალის ინდექსი

წელი	ჩინეთი	აშშ	ევროკავშირი	დსთ	თურქეთი
2010	0.47	0.80	0.17	0.21	-
2011	0.72	0.52	0.19	0.29	-
2012	0.61	0.47	0.15	0.27	0.42
2013	0.61	0.35	0.14	0.20	0.8
2014	0.60	0.46	0.16	0.18	0.77
2015	0.56	0.56	0.15	0.15	0.14

როგორც ჰერფინდალის ინდექსი აჩვენებს, ექსპორტის კონცენტრაცია ევროკავშირში დაბალია, რაც პოზიტიური მოვლენაა.

ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის ანალიზიდან ვაკეთებთ შემდეგ დასკვნებს:

1. საქართველო ევროკავშირში ახორციელებს ნედლეულის ექსპორტს. ნედლეულზე დაბალი ფასების გამო, თავისუფალი ვაჭრობით მიღებული პრეფერენციები უმნიშვნელოა. ევროკავშირი ნედლეულის ყველა იმპორტიორს საკმაოდ კარგ პირობებს სთავაზობს და ამდენად რაიმე უპირატესობის მიღწევა მხოლოდ სავაჭრო რეჟიმის ხარჯზე შეუძლებელი იქნება. თანამედროვე სატრანსპორტო სისტემების განვითარებამ კი მნიშვნელოვნად შეამცირა სატრანსპორტო დანახარჯები, რაც ასევე ართულებს გეოგრაფიული სიახლოვის საფუძველზე რაიმე უპირატესობის მიღებას;

2. საქართველოს მიერ მიწოდებული სამრეწველო პროდუქცია დაბალტექნოლოგიურია და ის თავისი მახასიათებლებით, უახლოვდება ნედლეულის სასაქონლო ჯგუფს. ამდენად, სავაჭრო რეჟიმისა და გეოგრაფიული სიახლოვის ხარჯზე, რაიმე ხელშესახები უპირატესობის მიღწევა ასევე შეუძლებელი იქნება;

3. ანალიზმა დაადასტურა საქართველოსთან მიმართებით წამოყენებული კვლევითი ჰიპოთეზების სისწორე, ვინაიდან უფრო უარესი სავაჭრო რეჟიმის მქონე და საქართველოზე შორს მყოფი ქვეყნებიდან განხორციელებული ექსპორტი აჭარბებს ქართულ ექსპორტს;

4. თხილის ექსპორტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე უპირატესობის მიღება უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივ-კლიმატურ თავისებურებებს. ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მოხდეს ცალკეული პროდუქციის წარმოების შედარება, კერძოდ რამდენად ადრე მწიფდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია საქართველოში, ვიდრე ევროკავშირში, რამდენად შესაძლებელია მაღალი ფასის მქონე პროდუქციის (მაგალითად, კენკროვანი პროდუქცია) ექსპორტირება ევროკავშირში. მიზანშეწონილია ევროკავშირთან მიმართებით შემუშავდეს სექტორალური საექსპორტო სტრატეგიები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საქართველოს უპირატესობები. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს გადამამუშავებელი სიმძლავრეების განვითარებას, ვინაიდან ასეთ პროდუქციას აქვს უფრო მაღალი დამატებული ღირებულება და სწორედ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სავაჭრო რეჟიმის საფუძველზე უპირატესობის მიღება. სამრეწველო პროდუქციასთან მიმართებით კი, მიზანშეწონილია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ინვესტორებს დაუწესდეთ დამატებითი შეღავათები, რათა მოხდეს მათი პუი-ს წახალისება საქართველოში.

ლიტერატურა:

1. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, ITC, www.intracen.org

Export Potential and Competitive Advantages of the Georgian Products on the EU Market

Giorgi Gaganidze,

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Email:giorgi.gaganidze@tsu.ge

In the article the author examines Georgia's export potential and competitive advantages of Georgian products on the EU market. In particular, there is analyzed the volume of export potential, its ability to develop and increase. The export potential assessment is based on the detailed analysis of the EU import market according to specific commodity groups.

Keywords: Export potential; competitiveness; trade intensity.

JEL Codes: F14, F16, M21

**მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინური კვლევების
საქსალსურობა ტურიზმში
(საქართველოს რეგიონების მაგალითზე)**

იოსებ ხელაშვილი,

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი,
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის
კათედრის ხელმძღვანელი*

მდგრადი განვითარების კონცეფცია მიმართულია რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ეფუძნება საზოგადოებრივი პროცესების შესწავლას სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გარემოსთან ურთირთკავშირით. კონცეფციის ეს თავისებურებები განაპირობებს ტურიზმის, როგორც კომპლექსური მოვლენის შესწავლის აქტუალობას.

აღნიშნული კონცეფციის სრულყოფის მიმდინარე ეტაპზე, შემუშავდა ახალი, ე.წ. ტრანს-დისციპლინური მიდგომების მეთოდოლოგია. იგი გამოიხსნა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმაზე, კომპლექსური პრობლემებში სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური კომპონენტების ურთირთკავშირების გამოვლენასა და შესწავლაზე. ეს ხილული თუ ფარული სისტემური კავშირები განაპირობებს პრობლემების არსს, ხოლო მათი წარმატების გადაჭრა - მდგრად განვითარებას.

საქართველოს შავიზღვისპირა, მთიანი და დაცული ტერიტორიების ფარგლებში, გამოიკვეთა პრობლემები, რაც ავტორის აზრით, წარმოადგენს ტრანსდისციპლინური კვლევის ობიექტს. ამავე კონცეფციის თანახმად, მსგავსი პრობლემების იდენტიფიცირება შესწავლის პირველი ფაზის ამოცანაა, რომელიც განსაზღვრავს შემდგომი კვლევების მიმართულებებს.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; ტრანსდისციპლინარული მიდგომა; საქართველოს ტურიზმი.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების გლობალური მასშტაბები, მისთვის დამახასიათებელი ფართო და კომპლექსური კავშირებით გარემოსათან, სულ უფრო აქტუალურს ხდის ამ დარგთან დაკავშირებული პროცესების შესაწავლას თანამედროვე, მდგრადი განვითარების კონცეფციის პოზიციებიდან. ეს აქტუალურობა, ლოგიკურად ვრცელდება საქართველოზეც [1;2;10; 12;17], სადაც ტურიზმი ხდება ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება თავისი მრავალმნიშვნელოვანი თვისებებით და ზემოქმედებით სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებრივ გარემოზე [13; 14].

მდგრადი განვითარება შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელიც ითავსებს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ სამოქმედო გეგმებსა და რეკომენდაციებს. ამ კონცეფციის განვითარების მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ე.წ. ტრანსდისციპლინური მიდგომების შემუშავება და გამოყენება. მისი მიზანია შეავსოს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შორის შექმნილი ვაკუუმი, გამოავლინოს და განაზოგადოს ურთიერთგანმსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები. ამ სისტემური პროცესების ცალკეული ასპექტები ემპირიულად აღიქმება პრაქტიკოსების მიერ, ცალკეულ საკითხებს იკვლევენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, ზოგჯერ ერთობლივადაც კი, მაგრამ არ ხდება მიღებული ცოდნის და გამოცდილების ერთიან სისტემაში გენერირება და ახალი პარადიგმების შემუშავება.

მოცემული სტატიის მიზანია მდგრადი განვითარებისა და ტრანს-დისციპლინური მიდგომების პოზიციებიდან იმ ტიპური პრობლემების გამოვლენა, რომელიც შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ კომპონენტებს. ამისათვის, განვიხილეთ მდგრადი განვითარების კონცეფციის ძირითადი თავისებურებები ტურიზმთან მიმართებით; შევისწავლეთ ტრანსდისციპლინური მიდგომის საკვანძო დებულებები; დაბოლოს, აღნიშნული კონცეფციების პოზიციებიდან, გამოვავლინეთ ცალკეული პრობლემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც განსხვავდებიან თავისი ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური გარემოთი. აღსანიშნავია, რომ კვლევის მიზნიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა იმ პრობლემებზე, რომლებიც ნაკლებად არის აღქმული საზოგადოებაში ან აღქმულია არასისტემურად. სისტემურობაში, მოცემულ კონტექსტში, იგულისხმება კომპლექსური პრობლემების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური შემადგენლების ურთიერთკავშირი.

კვლევის მიმდინარე ეტაპზე, მიღებულ შედეგებს განვიხილავთ ტრანსდისციპლინური კვლევების საწყის ფაზად, რასაც, ამავე კონცეფციის მეთოდოლოგიის თანახმად, უნდა მოჰყვეს პრობლემების სტრუქტურულიზება, ანალიზი და შედეგების გენერირება ახალ ცოდნაში (პარადიგმაში). ამ ფაზებს განვიხილავთ მომავალი კვლევის ამოცანებად.

მდგრადი განვითარების კონცეფციისა და ტრანსდისციპლინური მიდგომის საკითხები

მდგრადი განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ, მრავალკომპონენტურ კონცეფციას. ამან განაპირობა განმარტებების სიმრავლე, რომლებიც ასახავენ მის სხვადასხვა თვისებებს და ასპექტებს. გამოვყოფთ, ჩვენი აზრით 5 საკვანძო დებულებას, რომლებიც განზოგადებულად ასახავენ ამ მიდგომის ძირითად თვისებურებებს. კერძოდ ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს:

1. ტურისტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2. ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას (დაბალანსებას), იგულისხმება - ტურისტების, ბიზნესის, ადგილობრივი მოსახლეობის, სახელმწიფოს და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესები;

3. მოცემული დარგის (ტურიზმის) განვითარების ხედვას გარემოსთან კავშირში. გარემო პირობითად იყოფა სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებრივ შემადგენლებად;

4. გარემოსთან ორმხრივ ურთიერთობას - დარგის ზეგავლენას ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე და ამ გარემოს ზეგავლენას ტურიზმის განვითარებაზე;

5. პროცესების განვითარებას ტურიზმის დანიშნულების ადგილებში (დესტინაციებში).

ტრანსდისციპლინური კონცეფციის წარმოქმნა განაპირობა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პარალელურმა განვითარებამ, ისე, რომ მათ შორის კავშირი დროთა განმავლობაში სულ უფრო იკარგებოდა. შესაბამისად, იზრდება ამ ორი მიმართულების შერწყმის აქტუალობა. ტურიზმის სფეროშიც შეიმჩნევა ცალკე პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმული პირების ემპირიული ცოდნის დაგროვება და ცალკე, მდგრადი განვითარების თეორიული დებულებების განვითარება. მეტიც, ტურიზმი, როგორც გამოკვეთილად კომპლექსური მოვლენა, სხვადასხვა საბუნებისმეტყველო, სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების კვლევის ობიექტია, მაგრამ არ ხდება მიღებული დარგობრივი ცოდნის ერთიან სისტემაში განზოგადება და მოვლენების სისტემური გაანალიზება. ეს კი მნიშვნელოვანია პრობლემების რაციონალური გადაჭრის გზების გამოსავლენად და დარგის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ტრანსდისციპლინური მიდგომის დანიშნულებაა ამ ვაკუუმის შევსება, მეცნიერების პრაქტიკასთან უფრო მჭიდრო დაკავშირებით და მრავალასპექტიანი პრობლემების სხვადასხვა პოზიციიდან ერთიანი და კომპლექსური შესწავლით [16, გვ.4].

ტრანსდისციპლინური მიდგომის განსხვავება სხვა მიდგომებისაგან ვლინდება ავსტრიელი მეცნიერების ქვემოთმოყვანილ განმარტებებში [16]:

მონოდისციპლინური (ანუ ინტრადისციპლინური) მიდგომა - გულისხმობს შესწავლას ერთი კონკრეტული მეცნიერების პოზიციიდან;

მულტიდისციპლინური მიდგომა ნიშნავს ერთი თემის შესწავლას მეცნიერების განსხვავებული დარგების პოზიციებიდან, მიღებული შედეგების სინთეზის გარეშე;

ინტერდისციპლინური მიდგომა ითვალისწინებს კომპლექსური პრობლემის შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოზიციებიდან, მიღებული შედეგების სინთეზით. ამ მიდგომას შეიძლება ეწოდოს: “მეცნიერება - საზოგადოებისთვის”;

ტრანსდისციპლინური მიდგომა გულისხმობს კომპლექსური პრობლემის შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოზიციებიდან და, რაც მთავარია, ამ პრობლემასთან დაკავშირებით პრაქტიკული ცოდნის შერწყმას თეორიულ ცოდნასთან. ეს უკანასკნელი შეიძლება გააჩნდეს და გააჩნიათ ადგილობრივ მოსახლეობას, ორგანიზაციებს და კომპანიებს, მეცნიერებს, რომლებსაც აქვთ კავშირი გამოსაკვლევ პრობლემებთან. ასეთმა მიდგომამ დაიმკვიდრა სახელი - „მეცნიერება საზოგადოებასთან ერთად“. იგივე ავტორები, აღნიშნავენ, ცოდნის შემდეგ კატეგორიებს: მეცნიერული (science-episteme); პრაქტიკული (life-world action - praxis); ტექნოლოგიური (production - poiêsis); და გონივრული (prudence - phronêsis). [15]. გასათვალისწინებელია, რომ ტრანსდისციპლინური მიდგომა არ ნიშნავს სხვადასხვა მეცნიერების მეთოდებისა და მიდგომების კრებულს, იგი უნდა განვითარდეს სპეციალური პარადიგმების შემუშავების გზით [15, გვ. 7].

ტრანსდისციპლინურ კვლევებში ექსპერტები, როგორც წესი, გამოყოფენ 3 ძირითად ფაზას [15, გვ.6,19]:

1. პრობლემის იდენტიფიცირება და სტრუქტურირება (Problem Identification and Structuring);
2. პრობლემის ანალიზი და გამოკვლევა (Problem Analysis);
3. შედეგების მიღება (Bringing Results to Fruition).

მათი დეტალიზაცია და მოდიფიკაცია დამოკიდებულია კონკრეტულ კვლევაზე.

ტრანსდისციპლინური კვლევის ტიპური ამოცანებია:

- პრობლემის კომპლექსურობის გამოვლენა;
- პრობლემის პრაქტიკულ და მეცნიერულ აღქმას შორის განსხვავების გათვალისწინება;
- აბსტრაქტული ცოდნის დაკავშირება პრობლემის კონკრეტულ ცოდნასთან;
- იმ ცოდნისა და პრაქტიკული ქმედებების გამოვლენა, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთო ინტერესებში შემავალი შედეგის მიღებას. ასეთ შედეგს დაერქვა “საერთო პროდუქტი“, ხოლო მის მისაღებად საჭირო თეორიულ და პრაქტიკული ცოდნის ერთობას - „მიზნობრივი ცოდნა“ [15, გვ. 4-5, 19, 428, 430; 16].

მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინური პრობლემები საქართველოს რეგიონების მაგალითზე

საქართველოში ტრანს-დისციპლინური პრობლემების მაგალითების გამოსავლენად, ვიხელმძღვანელებთ ზემოთაღნიშნული მიდგომებით. კერძოდ, აქცენტი გაკეთდა კომპლექსური პრობლემების შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირის გამოვლენაზე და არა მათი ცალკეული ასპექტების სიღრმისეულ ანალიზზე. როგორც აღინიშნა, ტრანსდისციპლინური კვლევის პირველ ფაზას წარმოადგენს ამ სახის პრობლემების იდენტიფიცირება. ქვემოთ განიხილება ამ კუთხით გამოყოფილი სავარაუდო პრობლემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

შავიზღვისპირა რეგიონი. საქართველოს გააჩნია 310 კმ-იანი ზღვის სანაპირო, 4-5 თვიანი საბანაო სეზონით. მის ცალკეულ მონაკვეთში, ტურიზმის განვითარების ტენდენციები შეიცავს კომპლექსური ხასიათის რისკებს. ქვემოთ აღვნიშნავთ იმ თავისებურებებს და პრობლემებს, რომელთა ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ადგილობრივი ბუნებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები.

მთის ფერდობების სიახლოვე სანაპიროსთან აჭარის და აფხაზეთის მონაკვეთებში, დიდ უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ ბუნებას ხედების მიმზიდველობის მხრივ. ამასთან, ზღვასთან ახლოს მდებარე, მკვეთრად დახრილი ფერდობები ზრდიან ჩამდინარე წყლების ენერჯიას და მთიანი დასახლებებიდან ნარჩენი მასალების ჩამოზიდვის ინტენსივობას. ტურიზმზე ზეგავლენის თვალსაზრისით ეს მასალა სულ ცოტა სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

ა) მთიანი სოფლების კომუნალური და სამეურნეო ნარჩენები, რაც იყრება და ისხმება მდინარეებში, ქმნის პრობლემებს სანაპირო კურორტებისათვის. ბუნებრივია, რომ ამ მასალის ერთი ნაწილი ხვდება ზღვის რეკრეაციულ წყლების ზონაში და პლაჟებზე. მთიან სოფლებში, კომუნალური ნარჩენების ადგილიდან გატანას, გადამუშავებას ან შესაბამისი ინფრასტრუქტურის მონაცობას ართულებს და აძვირებს ამ დასახლებების მდებარეობა და გაფანტულობა ძნელად მისაღწევ ადგილებში. დაბინძურების ამ წყაროს ემატება, სანიტარული თვალსაზრისით მოუწყობელი ტურისტთა განთავსების საშუალებები, დამსვენებელთა კვების და სხვა მომსახურების მრავალრიცხოვანი ობიექტები, ასევე თავად ტურისტების მიერ დატოვებული ნარჩენები. შედეგად, დაბინძურება განსაკუთრებით მატულობს ივნის-სექტემბრის საკურორტო სეზონის პერიოდში, რაც პერიოდულად ეპიდემიების გამოვლენებში გადადის. კვლევებმა აჩვენეს, რომ სწორედ აჭარაში შეიმჩნევა ნაწლავური დაავადებების განსაკუთრებულად ხშირი შემთხვევები ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით. მაგალითად, 2014 წელს აქ დაფიქსირდა 2620 შემთხვევა, აქედან 55-60% მოდის ივნის-სექტემბრის ტურისტულ სეზონზე. შედარებისათვის, მეორე ადგილზეა იმერეთის რეგიონი სულ 900-მდე შემთხვევით [4, გვ.55]. ამრიგად, ადგილობრივი მო-

სახლეობა დაინტერესებულია ტურიზმის ინდუსტრიის ზრდით, თუმცა, არსებულ ვითარებაში, იგი პარალელურად გაზრდის აღნიშნულ რისკებს და პრობლემებს, რამაც შესაძლოა საკუთრივ დარგზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა „იმიჯის“ გაურესებით, ტურისტთა ნაკადების მოულოდნელი შემცირებით, პლაჟების დანაგვიანებით.

ბ) მდინარეების მიერ შესართავამდე მოტანილი ნაშალი მასალა, რომელიც აბალანსებს ზღვის ტალღების და დინებების მიერ სანაპიროდან გარეცხილ ქვიშა-ქვას (ანუ აბრაზიის პოცესს). ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პროცესის ინტენსივობის ცვალებადობა იწვევს ზღვის სანაპიროს კონფიგურაციის შეცვლას. ექსპერტებმა შეისწავლეს, რომ მე-XX საუკუნის დასაწყისამდე აჭარის სანაპირო ზოლის მდინარეებს იმაზე მეტი მყარი მასალა ჩამოქონდა, ვიდრე ეს საჭირო იყო ნაპირის დინამიკური ნონასწორობის შესანარჩუნებლად. ამის შედეგად, სანაპიროს თითქმის მთელ ზოლში განვითარებული იყო საშუალოდ 20-40 მეტრის, ზოგ მონაკვეთებზე კი 40-60 მეტრის სიგანის პლაჟები [8, გვ 70]. პლაჟების მატებამ ხელი შეუწყო ტურიზმის სწრაფ განვითარებას. შემდგომში, დამცავი დამბების, ნავსადგურის, ინერტული მასალის ქარხნების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობამ შეცვალა სანაპირო ზოლის კონფიგურაცია. ამის შედეგად, ბევრ საკურორტო და რეკრეაციულ ზონას შეექმნა პრობლემები პლაჟების შემცირების, გაქრობის და კომუნიკაციების დაზიანების გამო [8, გვ 70]. მიდგომა რადიკალურად შეიცვალა 1982-91 წლებში. ამ დროს „...შეტანილ იქნა დიდი რაოდენობის ინერტული მასალა, რამაც პლაჟების ფართობი 54 ჰა-ით გაზარდა [8, გვ 70]. 1992 წლიდან 2007 წლამდე ნაპირდამცავი სამუშაოები შეწყდა რთული ეკონომიკური პირობების გამო და მერე ისევ განახლდა [8, გვ. 70-71]. იმავდროულად, გააქტიურდა პლაჟების გამორეცხვის პროცესებიც. ამის ერთი მთავარი მიზეზია მდ. ჭოროხის ზედა წელში თურქეთის კაშხლების მშენებლობა. ეს მდინარე სანაპირო ზოლის მასაზრდოებელი უმთავრესი წყაროა და ეხლა პრაქტიკულად შეწყდა ნაპირების კვება მყარი ნატანით. მეორე მიზეზია, ტალღების ბუნებრივი გააქტიურება გლობალური დათბობის შედეგად [8, გვ 69-71]. ექსპერტების განცხადებით, ბოლო წლებში წარეცხილი სანაპირო ხმელეთის ფართობმა რამდენიმე ასეულ ჰა-ს გადააჭარბა და აჭარის სანაპირო ზონის განვითარების თანამედროვე მორფოდინამიკა შეფასებულია, როგორც სტიქიური უბედურების მაღალი რისკის შემცველი ზონა. [4, გვ 6-7]. ამასთან, აჭარა დღემდე წარმოადგენს ტურიზმის აქტიური განვითარების რეგიონს, შესაბამისი ინვესტიციებით, შემოსავლებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით და სამუშაო ადგილების შექმნით. ამიტომ, პლაჟების აღდგენას, ერთი მხრივ, დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება. მეორე მხრივ კი, ასეთი აღდგენითი ღონისძიებები დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ბათუმის სამხრეთის, მოკლე, 1,8 კმ-იანი ზონის გამაგრებითი სამუშაოების პროექტი მოითხოვს 12 მლნ ევროს [5].

შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ეს ოდენობა აჭარის ბიუჯეტის 16%-ს შედგენს. შედეგად ვიღებთ კონფლიქტურ ვითარებას ერთმანეთთან დაკავშირებულ ბუნებრივ და სოციალურ და ეკონომიკური პროცესებს შორის.

გ) *შხამ-ქიმიკატები, ნიტრატები და ფოსფატები, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივ სოფლის მეურნეობაში.* მათი ნარჩენები მდინარეს ჩამოაქვს ზღვის სანაპირო ზონის რეკრეაციულ წყლებში, განსაკუთრებით შესართავებში და მერე ზღვის დინებებს გადააქვთ სანაპიროს სხვა მონაკვეთებზე. აღნიშნული ქიმიკატები აფუჭებს რეკრეაციული წყლის ხარისხს და ხელს უწყობს წყლის ევტროფიკაციას (იგივე ჰიპერტროფიზაცია), რაც ნიშნავს წყლის ზედმეტად გაჯერებას ბიოგენური ელემენტებით და ბიოლოგიური ფუნქციების გააქტიურებას. ამ პროცესს წყლების „დაბერებას“ ან „დაჭაობებას“ უწოდებენ. ის აფუჭებს რეკრეაციული წყლის ხარისხს. მართალია, შავი ზღვის დინებებისა და ფსკერის რელიეფის გამო, ეს პრობლემა ამ ეტაპზე ნაკლებად არის მოსალოდნელი, მაგრამ არ გამოირიცხება დაბინძურების შემდგომი ზრდის შედეგად. სპეციალისტების გამოკვლევით, 1970-იან და 1990-იან წლებს შორის პერიოდში ადგილი ჰქონდა ნიტრატის კონცენტრაციის მაქსიმუმის ორ-სამჯერ ზრდას. იმავე პერიოდში შვიდჯერ არის გაზრდილი ფოსფატის კონცენტრაცია ჩრდილო-დასავლეთ შელფზე [8, გვ. 72]. ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კვების პორდუქტებით მომარაგებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი ტურისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, რომ ტურისტთა და ტურისტების მომსახურე კვების ობიექტები მარაგდებოდეს ადგილობრივი ნაწარმით. ეს შეამცირებს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გადინებას იმპორტზე და გაზრდის დასაქმებას. ამრიგად, ისევ ვლინდება ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების წინააღმდეგობრივი კავშირები.

მთიანი რეგიონები, საქართველოს ტერიტორიის 54% უკავია მთიან რელიეფს, ხოლო დაცულ ტერიტორიებს ქვეყნის საერთო ფართობის 8,62%. ზოგადად მთიან რეგიონებს ახასიათებს პრობლემის წარმოქმნის განსაკუთრებულად მაღალი რისკი. ეს რისკები შესაძლოა გამოწვეული იყოს ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის ტურიზმის, განვითარებით ან თვით, განვითარებული ეკონომიკური საქმიანობა მოექცეს ბუნებრივი კატაკლიზმების ზემოქმედების ქვეშ. ასეთი რისკის მატარებელი ბუნებრივი პროცესები და მოვლენებია: ეროზია, ღვარცოფი, მენყერი, ზვავი, მიწისძვრები, წყალდიდობები და სხვა.

მაღალმთიანი რელიეფის სპეციფიკა. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებში (მაგალითად ტურისტულად მნიშვნელოვან მდ.არაგვის შუა და ზემო ნაწილში, მესტიის რაიონში) ხშირია მდინარეების მიერ ფორმირებული მკვეთრად დახრილი ფერდობები, რომლებსაც “V“-სებურ ხეობებს უწოდებენ. განსხვავებით, მაგა-

ლითად, ალპების მთებისაგან, სადაც ხშირია, მცინვარების მიერ გამოძევაზე, ბრტყელ-ძირიანი ტროგები, ე.წ. "U"-სებური ხეობები. ვინრო ხეობები ზღუდავს ტურისტული ობიექტების (სასტუმროების, რესტორნების, ბარების და ა.შ.) განაშენიანების სივრცეს, ამორებს და შესაბამისად აძვირებს ტურისტული არეალების მომსახურე და მომმარაგებელი ობიექტების განლაგებას (კლასტერის სივრცობრივ მონყობას), მათ შორის დასაქმებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებს. დახრილი ფერდობები ზრდის ეკოლოგიურ რისკებს და უფრო მგრძობიარეს ხდის სტიქიური მოვლენების მიმართ. კვლევებმა გამოავლინა, რომ „90-იანი წლებიდან მოყოლებული პროცესების საშუალო ფონს ზემოთ გააქტიურება აღინიშნება თითქმის ყოველ წელს, ხოლო მათი ექსტრემალური გამოვლინების ინტერვალები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. აღნიშნული პროცესების უარყოფითი მოქმედების არეალში ექცევა სულ ახალი და ახალი ტერიტორიები, დასახლებული პუნქტები, საინჟინრო-სამეურნეო ობიექტები და სხვ.“ [6, გვ 44]. მაგალითისთვის აღვნიშნავთ ხულოს ხეობაში ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის ზეგავლენას გარემოზე. ამ მშენებლობამ გამოიწვია გრუნტის წყლების რეჟიმის შეცვლა, რის შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას შეუწყდათ და მნიშვნელოვნად შეუმცირდათ წყაროს წყლები, რომლებსაც იყენებდნენ როგორც, პირადი მოხმარებისთვის ასევე, სარწყავად. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, დარჩენილი წყაროები ნაკლებადაა გამოსადეგი დასაღვად. ამას გარდა, ცალკეულ უბნებში გამოიფიტა ნიადაგი, გამეჩხერდა მცენარეული საფარი, შემცირდა მოსავლიანობა, ხელი შეეწყო მენყერების განვითარებას, ხოლო გახშირებულმა მენყერებმა დააზიანეს რამოდენიმე საცხოვრებელი სახლი, რაც ბევრი მოსახლისათვის წარმოადგენს მამა-პაპისეულ კულტურულ ღირებულებას. ბუნებრივია, ყველაფერი ეს არ არის მარტო გვირაბის მშენებლობით გამოწვეული, მაგრამ მისი როლი ამ მოსახლეობის მიერ განცხადებული პრობლემების განვითარებაში უდავოა. ეს იმიტაც დასტურდება, რომ კომპანიამ და მთავრობამ ადგილობრივ მოსახლეობას გარკვეული კომპენსაცია გადაუხადეს [9]. ზოგადად, ქვეყნის მთიან რეგიონებში რთული სამეურნეო პირობების გამოძახილია მთელი რიგი საკანონმდებლო და ეკონომიკური შეღავათების დაწესება და სახელმწიფოს მიერ მთიან რეგიონებში გზების გაყვანის და გაფართოების ამბიციური გეგმების მიღება. ამრიგად, ვლინდა პროცესები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკის და ბიზნესის გააქტიურებისათვის, რაც თავის მხრივ შეიცავს კომპლექსური პრობლემების გამოვლენის რისკებსაც. ეს უკანასკნელი ზრდის კვლევების გაგრძელების აქტუალობას, მათ შორის მდგრადი განვითარების კუთხით.

მთიანი ტერიტორიების ეკოლოგიური პრობლემები, ხშირად განპირობებულია სხვა სახის სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებითაც. ერთი ასეთი გავრცელებული პრობლემაა ტყის უკანონო გაჩეხვა, რომელიც ხდება ზამთარში სახლების

გათბობის, ასევე შუშის გაყიდვის მიზნით. ამის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია მთის რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდული არჩევანი. სხვა მიზეზებს შორის აღსანიშნავია გარკვეული ობიექტების მშენებლობა, მათ შორის ტურისტული ან ტურიზმის მომსახურებასთან დაკავშირებული ნაგებობების, სათხილამურო ტრასების მოწყობა და სხვა. ეს მშენებლობა ზოგჯერ ვრცელდება საძობრების ტერიტორიაზე, რაც შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფრო მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდეს ვიდრე მოკლევადიანი ტურიზმი. სწორედ ამ პრობლემამ იჩინა თავი, მაგალითად, აჭარის მთიან სოფელში - გომარდულში. ამასთან, ტურიზმმა, მისი რაციონალური განვითარების პირობებში, შეიძლება შეასრულოს არსებული პრობლემების გადაჭრის ფუნქცია, სამუშაო ადგილების და ალტერნატიული შემოსავლების შექმნით. ტურიზმის თავისებურებაა ის, რომ მისი განვითარებისთვის ხშირად გამოიყენება ისეთი რესურსები, რაც არ მოიხმარება ეკონომიკის სხვა დარგებში. იგულისხმება მთის მწვერვალები, ე.წ. „სათავგადასავლო ბილიკები“, ხედები და პეიზაჟები, კულტურულ-ისტორიული ძეგლები, ადგილობრივი კულტურული ტრადიციები.

კლიმატის ცვლილების, ანუ გლობალური დათბობის ზეგავლენა მთიან რეგიონებზე ვლინდება ზვავების, ეროზიების, მენყერების, ღვარცოფების, წყალდიდობების, ტყეების თვითაალების და სხვა სტიქიური მოვლენების კიდევ უფრო გააქტიურებაში. ექსპერტების აზრით „სტიქიური კატასტროფული პროცესების განვითარების მასშტაბით, დროში განმეორებადობითა და მიყენებული ეკონომიკური ზარალის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს მთიან მხარეთა ურთულეს რეგიონს წარმოადგენს“ მათივე დასკვნით „...გამონვეული უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და გეოეკოლოგიური შედეგები მუუზნეობის ყველა სფეროს მოიცავს“ [3, გვ 28-29].

სტიქიური მოვლენების რისკები შედარებით მაღალია სვანეთში, ყაზბეგის რაიონში, მთიან აჭარაში, სადაც ვითარდება ახალი საკურორტო ინფრასტრუქტურა და ფართოვდება ტურისტთა აქტივობა. (შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივ პრაქტიკულად ურისკო ადგილის მაგალითია კურორტი ბაკურიანი). ბიზნესზე ზეგავლენის თვალსაზრისით, სტიქიური მოვლენების ტიპური შედეგებია გზის ჩახერგვა, შენობების დაზიანება, ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლა. მაგალითისათვის აღვნიშნავთ ტურისტთა მოთხოვნების ზრდის შედეგად საკალმახე მუუზნეობის პოპულარიზაციას გასულ წელს. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაება ამ ბიზნესში, მათ შორის სახელმწიფო პროგრამების ხელშეწყობით. მაგრამ, მალე ბევრი მენარმე გაკოტრდა ან მიატოვა ეს საქმიანობა. ადგილობრივი ექსპერტებისა და თავად მენარმეების განცხადებით, მიზეზთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყი გახშირებული წვიმა და წყალდიდობები. ერთი მხრივ, არასათანადოდ აღჭურვილი მუუზნეობები ადვილად ზიანდებოდა ამ ბუნებრივი მოვლენებით. მეორე მხრივ, მე-

ნარმეები არ ან ვერ იღებდნენ საკმარისი რაოდენობის სესხებს მეურნეობის უკეთ მოწყობისთვის და არ ან ვერ აზღვევდნენ თავიანთ ბიზნესს. ამის მიზეზი არის კერძო ბანკებისა და სადაზღვეო კომპანიების ნაკლები დაინტერესება მაღალი რისკის შემცველი ბიზნესით ან მათი მომსახურების სიძვირე. შედეგად, 2017 წელს დასაწყისში არსებული 64 ფერმიდან, 7 თვეში შემორჩა სულ 24. ამასთან, ტურისტთა მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იზრდება ამ პროდუქტის იმპორტი [9]. ამის საპირისპიროდ, ადგილობრივი პირობების დადებით მხარეთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთელ საქართველოში თითქმის არ არსებობს ტყეების თვითაალების პირობები, განსხვავებით, მაგალითად, ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონისგან ან კალიფორნიის მთის ტყეების ზონისგან, სადაც ჰაერის ტემპერატურის მაქსიმუმი ემთხვევა წლის ყველაზე მშრალ პერიოდს. ამ ვითარებაში ხშირია ტყეების თვითაალება).

დაცული ტერიტორიების პრობლემები. საქართველოში დღეისათვის არის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 41 ბუნებრივი ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი [7]. აქ ვლინდება არაერთი ურთიერთდაკავშირებული ეკოლოგიური სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემა. საქართველოში მათ არა აქვთ მიღებული მწვავე ფორმები, მაგრამ ტურიზმის შემდგომი განვითარების გათვალისწინებით, არსებული სირთულეები უკვე იმსახურებს ყურადღებას. დღეისათვის გამოვლენილ პრობლემებს შორის აღინიშნება (სიმწვავის თანამიმდევრობით): ტყის გაჩეხვა, ძოვება, ნადირობა, სხვა სამართლებრივი დარღვევები, თევზაობა და თევზაობის წესების დარღვევა [11]. პრობლემად რჩება ასევე დანაგვიანება ტურისტების მიერ დატოვებული ნარჩენებით, ადგილზე განხორციელებული მშენებლობების მინისა და კლდოვანი ქანების ნაყარით და სხვა. უფრო მძიმე შედეგები მოაქვს გაუფრთხილებლობით ან ხელოვნურად გაჩენილ ხანძრებს, რაც მოხდა, მაგალითად, ბორჯომ-ხარაგაულის ტერიტორიაზე 2008 წლის აგრესიის შედეგად, ნალვერში 2017 წლის 26 ივნისს, დამსვენებელთა და ადგილობრივი მოსახლეობის გაუფრთხილებლობით. მსგავსი პრობლემების დაძლევა დაკავშირებულია დამატებითი ხარჯების განწევასთან ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა: დასუფთავების სამუშაოების ორგანიზება, ნაგავსაყრელების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეგულირებების მიღება და კონტროლის დანესება, ტურისტთა ქცევის კულტურის ამაღლების საინფორმაციო აქციების ჩატარება და სოციალური რეკლამების გამოშვება. უფრო მძიმე ეკოლოგიური შედეგების აღმოფხრა, როგორცაა, მაგალითად, ტყის ხანძრების შედეგები, დაკავშირებულია მრავალწლიან სამუშაოებთან. ეს გარემოება ზრდის დაცული ტერიტორიების დაფინანსების მნიშვნელობას. ფინანსურ უზრუნველყოფას, ძირითადად ახორციელებენ სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა არაკომერციული დაწესებულებები. ამასთან, თავისი როლი შეიძლება შეასრულოს კომერციული ტურიზმის

განვითარებამაც, როგორც დაცული ტერიტორიებს თვითდაფინანსების ერთადერთმა წყარომ. დაფინანსებაში ასეთი თანამონაწილეობა, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი გარემოებაა ეკონომიკურად არამომგებიანი და იმავდროულად ხარჯიანი ობიექტებისთვის. ამასთან, ტურიზმის განვითარებას შეიძლება ჰქონდეს სხვა სოციალური და ეკონომიკური სარგებელიც. მაგალითად, ექსპერტების განცხადებით, მარტვილის კანიონის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე დაიხარჯა 1 200 000 ლარი, რამაც სულ 4 თვეში მოიზიდა 70 000-ზე მეტი ტურისტი და მოიტანა 700 000 ლარი შემოსავალი, მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლეობამ გახსნა მალაზიები, კვების ობიექტები და საოჯახო სასტუმროები. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გიდობა და ტურების დაგეგმვა დაიწყეს“ [13]. მათივე ინფორმაციით, ზოგადად, საქართველოში დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის დასაქმება გაიზარდა 28%-ით. [13]. მეორე მსგავსი მაგალითია თუშეთი, სადაც ამჟამად “... 47 საოჯახო სასტუმროა, რომელიც კიდევ ვითარდება და ვიზიტორების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. თუშეთში უკვე 13 000 ვიზიტორი დაფიქსირდა [11].

* * *

ჩატარებული კვლევა წარმოადგენს საქართველოს რეგიონების მაგალითზე, ტურიზმის მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინური მიდგომების გამოყენების პირველ მცდელობას. გამოვლინდა ამ დარგთან დაკავშირებული პრობლემების და რისკების ერთი ჯგუფი. გაანალიზებული იქნა მათი ხილული ასპექტების ურთიერთკავშირი ნაკლებად ხილვად, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებთან. მიღებული შედეგები ცხადყოფს ტრანსდისციპლინური მიდგომების მნიშვნელობას ტურიზმის მიმდინარე პროცესების შესწავლაში და ამ სფეროს რაციონალური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. მსგავსი პრობლემების იდენტიფიცირება შესწავლის პირველი ფაზის ამოცანაა, რომელიც განსაზღვრავს შემდგომი კვლევების მიმართულებებს.

ლიტერატურა:

1. **ადეიშვილი დ.** დღის წესრიგი: მდგრადი განვითარების მიზნები - 2030. 12.10.2015. <http://european.ge/dghis-wesrigi-mdgradi/>
2. **ადეიშვილი დ.** საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისათვის. 28.05.12. <http://european.ge/saqartvelos-mdgradi-ganvitarebis-konceptciistvis/>
3. **ამილახვარი ზ.** ეგზოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების გამოკვლევა საქართველოს ტერიტორიაზე ძიების გეოფიზიკური მეთოდებით. დისერტაცია. თბილისი 2006; <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000059/Disertacia.pdf>
4. **აჭარის სანაპიროს ზღვრითი ნარეცხვის პრობლემა.** Report. EU-Caucasus Environmental NGO Network. 2015. <http://w3.cenn.org/wssl/uploads/Discussion%20Paper-Adjara-FINAL.pdf>

5. **ბათუმის ნაპირგამაგრებისათვის 12 მილიონი ავრო დაიხარჯება.** ბათუმელები. 28.08.16. <http://batumelebi.netgazeti.ge/ambebi/54984/#sthash.9IfB0sl6.yP957NUW.dpbs>
6. **ბუნებრივი საფრთხეები საქართველოში.** <http://drm.cenn.org/paper-atlas/RA-part-3.pdf>
7. **ეკოფაქტი.** <https://ekofact.com/2012/05/25/საქართველოს-დაცული-ტერიტ/>
8. **მდინარე ჭროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმა სანაპირო და გარდამავალი წყლები.** მდინარეთა აუზების საერთაშორისო გარემოსდაცვითი პროექტი კონტრაქტი № 2011/279-666. საქართველოს გარემოს და ბუნების დაცვის სამინისტრო.თბილისი 2016 პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. -ფერი. <http://www.rec-caucasus.org/files/publications/pub-1469445397.pdf>
9. „მთავარი“. აჭარის ტელევიზია. 29.07.2017.
10. **საქართველოს ტურიზმის სტრატეგია.** საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. <http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf>
11. **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი თბილისი 2015.** <http://www.enpi-fleg.org/site/assets/files/2044/law-enforcement-in-protected-areas-forests-training-module-geo-eiec.pdf>
12. **ჭარაია ვ.** - მდგრადი განვითარების შესაძლებლობები საქართველოსა და ევროკავშირში. ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი. N1. თბილისი, 2015 <http://ies.tsu.edu.ge/data/file-db/Journal/Georgian-Journal-for-European-Studies.pdf>
13. **Business Media Georgia.** 19.11.2016; <http://www.bm.ge/ka/article/quotdaculiteritoriebis-mimdebare-mosaxleobis-dasaqmeba-28-it-gaizardaquot/7501>)
14. **Georgian Tourism in Figures.** Structure and Industry Data. GNTA. 2016. <http://gnta.ge/wp-content/uploads/2016/06/2015-eng..pdf>
15. **Hadorn G.,** etc Handbook of Transdisciplinary Research. Springer, 2008.
16. Muhar A., Mitrofanenko T., Transdisciplinarity in Research and Teaching. etc University of Natural Resources and Life Sciences, Vienna (BOKU Transdisciplinarity in Research and Teaching. Teacher Workshop 1 CaucaSusT Project, Yerevan, April 2017.
17. **Travel & Tourism Economic Impact 2015 Georgia.** WTTC. <https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/countries%202015/georgia2015.pdf>

The Importance of Transdisciplinary Studies in Sustainable Development of Tourism

Ioseb Khelashvili

Professor, head of the Department of Tourism and Management

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The concept of sustainable development is focused on rational allocation of limited resources in the long-term. It deals with the inter-related social, economic and ecological processes which are the cornerstones for studying complex tourism-related issues.

While developing the concept, a new trans-disciplinarily approach has emerged. It aims to diminish the gap between theory and practice, and to generate new ways to address complex and interrelated social, economic and ecological issues. These are the explicit and implicit driving forces of many tourism-related problems. Identifying and solving these issues lead to sustainable development.

In Georgia's Black Sea coast, mountainous regions and protected areas, some problems have surged as subjects of the transdisciplinary study. According to the concept's methodology, the first step is identifying such problems. Further steps include problem structuring, followed by phases of problem analysis, and finally bringing results into conclusions, all of which are subject to further studies.

Keywords: Sustainable development; transdisciplinary approach; tourism in Georgia.

JEL Codes: L80, L83, O10

ფინანსური ეკონომიკა MINANCIEL ECONOMICS

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების წარმოშობის მიზეზები

მალხაზ ჩიქობავა,

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მაკროეკონომიკის კათედრის
ასოცირებული პროფესორი*

სტატიაში განხილულია მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები და გლობალური ერთობლივი მოთხოვნის დეფიციტის პრობლემები. გაანალიზებულია ზოგიერთი ევროპული ქვეყნისა და იაპონიის მონეტარული ხელისუფლებების მიერ ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შესაძლებლობები.

საკვანძო ტერმინები: ფინანსური კრიზისი; სეკურიტიზაცია; ოპოთეკური დეფოლტი; რაოდენობრივი შერბილება; უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები სადეპოზიტო ოპერაციებზე; რეფინანსირების განაკვეთი; რეპოპერაციები; აშშ-ის ხაზინის ფასიანი ქაღალდები; „გადასაყრელი“ ობლიგაციები.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები

2008 წელს აშშ-ის ეკონომიკამ ფინანსური კრიზისი განიცადა. ამ დროის მოვლენებიდან ზოგიერთი მოგვაგონებდა 1930-იანი წლების მოვლენებს, რის გამოც ანალიტიკოსები შიშობდნენ, რომ ადგილი ექნებოდა ეკონომიკური აქტივობის მორიგ სერიოზულ ვარდნას და უმუშევრობის მნიშვნელოვან ზრდას.

აშშ-ის აკადემიური წრეების (მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის გრეგორი მენქიუს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის ოლივიე ბლანშარის და სხვათა) ოფიციალური ვერსიით, 2008 წლის კრიზისს თავისი წინასტორია გააჩნია. რამდენიმე წლით ადრე საცხოვრებელი სახლების

ბაზარი ბუმით ხასიათდებოდა [1, გვ. 588; 2, 182]. აღნიშნულ ბუმს რამდენიმე წყარო გააჩნდა. კერძოდ, ის გამოწვეული იყო მეტისმეტად დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. როგორც ცნობილია, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შეამცირა საპროცენტო განაკვეთები ისტორიულად უპრეცედენტო დაბალ დონემდე 2001 წლის რეცესიის შემდეგ. დაბალმა საპროცენტო განაკვეთებმა სტიმული მისცა ეკონომიკის გაჯანსაღებას, მაგრამ ამავე დროს ძალზე გაიზარდა იპოთეკური კრედიტით სარგებლობა და საცხოვრებელი სახლების ყიდვა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საცხოვრებელ სახლებზე ფასების ზრდას.

გარდა ამისა, იპოთეკურ ბაზარზე მოვლენების განვითარებამ ძალიან გაუადვილა სუბსტანდარტულ მსესხებლებს - მსესხებლებს დეფოლტის უფრო მაღალი რისკით, გამომდინარე მათი შემოსავლებიდან და საკრედიტო ისტორიიდან - იპოთეკური კრედიტებით სარგებლობა საცხოვრებელი სახლების საყიდლად. ერთ-ერთი მოვლენა იყო სეკურიტიზაცია - პროცესი, როცა ფინანსური ინსტიტუტი (იპოთეკური ორიგინატორი) გასცემდა კრედიტს და შემდეგ მას „ფუთავდა“ სხვადასხვა „ფასიან ქალაქთან, რაც უზრუნველყოფილი იყო უძრავი ქონებით“ [1, გვ. 588]. შემდგომ, აღნიშნული ფასიანი ქალაქები მიეყიდებოდა სხვა ინსტიტუტებს (ბანკებს ან სადაზღვევო კომპანიებს), რომლებსაც არ შეეძლოთ სრულად შეეფასებინათ რისკები, რასაც ისინი ღებულობდნენ. ზოგიერთი ეკონომისტი ამაში ადანაშაულებს აღნიშნული მაღალრისკიანი სესხების არასაკმარის რეგულირებას. სხვებს სჯერათ, რომ პრობლემა მხოლოდ ძალიან მცირე რეგულირება არ ყოფილა, არამედ არასწორი ხედვა: მთავრობის ზოგიერთი პოლიტიკა ასტიმულირებდა აღნიშნულ მაღალრისკიან კრედიტებს, კერძოდ, მისი პოლიტიკა დაბალშემოსავლიანი ოჯახების მიერ ბინების ყიდვის მიზანს უფრო მიღწევადს ხდიდა. ერთობლივად, ამ ძალებმა ზრდისკენ უბიძგა საცხოვრებელ სახლებზე მოთხოვნასა და ფასებს. 1995 წლიდან 2006 წლამდე, საცხოვრებელი სახლების საშუალო ფასები აშშ-ში ორჯერზე მეტად გაიზარდა.

მაგრამ, საცხოვრებელი სახლების ფასები არასტაბილური აღმოჩნდა. 2006 წლიდან 2008 წლამდე სახლებზე ფასები ეროვნული მასშტაბით დაახლოებით 20 %-ით შემცირდა. ასეთი ფასისმიერი რყევები დიდ პრობლემას არ წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაში. ბოლოს და ბოლოს, ფასების დინამიკა სხვა არაფერია, თუ არა ბაზრის მიერ მიწოდებისა და მოთხოვნის განონასწორება. გარდა ამისა, 2008 წელს საცხოვრებელი სახლების ფასები უბრალოდ უბრუნდებოდა დონეს, რომელიც პრევალირებდა 2004 წელს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ფასების შემცირებამ მოახდინა დამატებითი პრობლემების პროვოცირება [2, გვ. 185].

ამ შედეგებიდან პირველი იყო იპოთეკური დეფოლტებისა და დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლებების ჩამორთმევის მნიშვნელოვანი ზრდა. საბინაო ბუმის პერიოდში, მრავალმა ბინათმფლობელმა თავისი სახლი გამოისყიდა, ძირითადად, ნასესხები ფულით და მინიმალური თავდაპირველი შენატანით. როდესაც ფასები სახლებზე შემცირდა, აღნიშნული ბინათმფლობელები აღმოჩნდნენ შემდეგი ფაქტის წინაშე: მათ უფრო მეტი მართებდათ თავიანთ იპოთეკურ სესხებზე ბანკ-

ბის მიმართ, ვიდრე მათი სახლი ღირდა. მრავალმა მათგანმა საერთოდ შეწყვიტა საკუთარი სესხის დაფარვა. ბანკებმა, რომლებიც ემსახურებოდა იპოთეკურ კრედიტებს, დეფოლტებზე უპასუხეს იმით, რომ გირაოს გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევით მიიღეს სახლები და დაიწყეს მათი გაყიდვა. ბანკების მიზანი იყო ამოეღოთ იმდენი თანხა, რამდენსაც შეძლებდნენ. მაგრამ, გასაყიდად გატანილი სახლების რაოდენობის ზრდამ კიდევ უფრო გაამწვავა ბინებზე ფასების სპირალისებური ვარდნის პროცესი.

მეორე შედეგი იყო ფინანსური ინსტიტუტების ძალიან დიდი დანაკარგები, რომლებიც ფლობდნენ იპოთეკით უზრუნველყოფილ ფასიან ქალაქებს. მაღალრისკიანი იპოთეკური კრედიტების საყიდლად მსხვილი თანხების სესხებით, აღნიშნული კომპანიები ფსონს დებდნენ იმაზე, რომ შენარჩუნდებოდა სახლებზე ფასების ზრდა; როდესაც აღნიშნული ფსონი მცდარი აღმოჩნდა, ისინი უკვე გაბანკოტებული იყვნენ ან ძალიან ახლოს იყვნენ ბანკოტობასთან. თვით ჯანსაღმა ბანკებმაც კი შეწყვიტეს ერთმანეთის მიმართ ნდობა და დაიწყეს თავის არიდება ბანკთაშორისი დაკრედიტებისგან, რადგანაც ძალიან რთული იყო იმის განჭვრეტა, თუ რომელი ინსტიტუტი იქნებოდა ბიზნესიდან გასვლის (ბანკოტობის) რეალური კანდიდატი. ფინანსურ ინსტიტუტებში სწორედ ამ დიდი დანაკარგების, ფართოდ გავრცელებული შიშისა და უნდობლობის გამო, ფინანსური სისტემა უუნარო აღმოჩნდა მოეხდინა გადახდისუნარიანი კლიენტების დაკრედიტებაც კი.

მესამე შედეგი საფონდო ბაზრებზე ფასიანი ქალაქების კურსის ძლიერი ვარდნა იყო. კომპანიები, როგორც წესი, ეყრდნობიან ფინანსურ სისტემას ბიზნესის გასაფართოებლად საჭირო ფინანსური რესურსის მისაღებად ან საკუთარი მოკლევადიანი ფულადი ნაკადების სწორი მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად. იმ ფინანსურ სისტემაში, რომელიც ნაკლებად უნარიანია შეასრულოს თავისი ჩვეულებრივი ოპერაციები, მრავალი კომპანიის რენტაბელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. რადგანაც რთული იყო იმის გაგება, თუ რამდენად გაუარესდებოდა სიტუაცია, საფონდო ბაზრის ვოლატულობამ მიაღწია იმ დონეებს, რომელიც 1930-იანი წლების შემდეგ არავის უნახავს.

უფრო მაღალი ვოლატულობა, თავის მხრივ, იწვევს მომხმარებელთა ნდობის შემცირებას. გაურკვეველობის გამო, შინამეურნეოები იწყებენ ხარჯების გეგმების გადავადებას, გრძელვადიანი გამოყენების საქონლებზე დანახარჯები მკვეთრად მცირდება. საბოლოოდ, ეკონომიკა განიცდის ერთობლივი მოთხოვნის მასშტაბურ ვარდნას.

აშშ-ის მთავრობამ ძალზე ენერგიული ნაბიჯები გადადგა, როგორც კი კრიზისი გაღრმავდა: პირველი, ფედ-მა შეამცირა ფედერალურ ფონდებზე განაკვეთი, 2007 წლის სექტემბერში არსებული 5.25%-დან, თითქმის ნულამდე 2008 წლის დეკემბრისათვის. მეორე, კიდევ უფრო უჩვეულო ნაბიჯი გადაიდგა კონგრესის მიერ 2008 წლის ოქტომბერში, როცა მან დაახლოებით 800 მლრდ დოლარი გამოუყო ხაზინას იმისთვის, რომ გადარჩენილიყო ფინანსური სისტემა [1, გვ. 589]. ამგვარად,

ბაზინამ ფონდები განათავსა საბანკო სისტემაში, რომელთა გამოყენება ბანკებს სესხების გასაცემად შეეძლოთ; ამ ფონდების სანაცვლოდ, აშშ-ის მთავრობა ბანკების თანამფლობელი გახდა, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მაინც. გადარჩენის მიზანი (ანუ „კატაპულტირება“, როგორც ამას ზოგჯერ უწოდებენ) იყო უოლ-სტრიტზე ფინანსური კრიზისის შეჩერება და ტოტალური დეპრესიის პროვოცირების აღმოფხვრა. საბოლოოდ, როცა ბარაკ ობამა გახდა პრეზიდენტი 2009 წლის იანვარში, ერთობლივი მოთხოვნის გასაფართოებლად მისი პირველი წინადადება სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა იყო.

თუმცა, ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, სამთავრობო ხარჯების ზრდის შედეგად განვითარებული ქვეყნების ეროვნულმა ვალმა ბოლო 10 წლის განმავლობაში ასტრონომიულ რიცხვებს მიაღწია. მაგალითად, აშშ-ის ეროვნული ვალი 2008 წელს არსებული 10 ტრლნ დოლარიდან დღეისათვის დაახლოებით 20 ტრლნ დოლარამდეა გაზრდილი, ხოლო მისი მთლიანი ვალი 67 ტრლნ დოლარს აჭარბებს. მიუხედავად ამისა, გლობალური ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობა გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

გლობალური ერთობლივი მოთხოვნის დეფიციტის აღმოფხვრის ცდები უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დაწესებით

რეალურ სექტორში ინვესტიციების ნახალისების მიზნით წამყვანი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა ისტორიულად უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგეს. კერძოდ, 2016 წლის თებერვლიდან იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა დეპოზიტებზე უარყოფითი პროცენტების დარიცხვა დაიწყო. მის მიერ განსაზღვრული საბაზისო საპროცენტო განაკვეთი ამჟამად შეადგენს -0,1%-ს. მასმედია ამას წარმოაჩენს, როგორც სენსაციას. სინამდვილეში არავითარ სენსაციას არ აქვს ადგილი. „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების ცენტრალური ბანკების გადასვლა მინუსიან ზონაში პასიური ოპერაციების მიხედვით, ჯერ კიდევ 2011 წლიდან დაიწყო (იხ. ცხრილი).

ზოგიერთი ცენტრალური ბანკის გადასვლა უარყოფით საპროცენტო განაკვეთებზე სადეპოზიტო ოპერაციების მიხედვით [3, გვ. 305]

ცენტრალური ბანკი	დრო, როცა პირველად იქნა შემოღებული უარყოფითი განაკვეთი	განაკვეთი მიმდინარე პერიოდში, %
შვედეთის ცენტრალური ბანკი (რიკსბანკი)	ივლისი 2009 წ.	-0,35
დანის ეროვნული ბანკი	ივლისი 2009 წ.	-0,75
შვეიცარიის ეროვნული ბანკი	დეკემბერი 2014 წ.	-0,75
ევროპის ცენტრალური ბანკი	ივნისი 2014 წ.	-0,30
იაპონიის ბანკი	თებერვალი 2016 წ.	-0,10

დეპოზიტების მიხედვით უარყოფითი საპროცენტო განაკვეთზე გადასვლის მოტივაცია და დასაბუთება რამდენადმე განსხვავებული იყო ცენტრალური ბანკებისათვის. შვედეთის ცენტრალურმა ბანკმა და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა თავიანთი გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, ახსნეს იმით, რომ შვედეთისა და ევროზონის ეკონომიკებში დეფლაციის საშიშროება წარმოიშვა. მათი აზრით, უარყოფითი განაკვეთი ფულს უფრო ხელმისაწვდომს გახდის და შეძლებს შექმნას მინიმალური ინფლაცია თუნდაც. შვეიცარიისა და დანიის ეროვნულმა ბანკებმა წინა პლანზე დააყენეს თავიანთი ეროვნული ფულადი ერთეულების (შვეიცარიული ფრანკისა და დანიური კრონის) კურსის ძლიერი ზრდის საშიშროება. ასეთი საშიშროება წარმოიქმნა ევროზონაში კრიზისული პროცესების, ინვესტორების მიერ ევროს მიმართ მზარდი უნდობლობისა და ევროზონიდან შვეიცარიისა და დანიის საბანკო სისტემაში კაპიტალის მკვეთრად გაძლიერებული მიდინების გამო. ყოველ შემთხვევაში, ოთხი ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები აცხადებდნენ ასევე იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, ხოლო ამისათვის არ უნდა ყოფილიყო ნახალისებული თავისუფალი კაპიტალის განთავსება ბანკების დეპოზიტებზე. ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დანესება მოწოდებულია იმისკენ, რომ კომერციული ბანკები მიუბრუნდნენ ეკონომიკის რეალურ სექტორს.

უარყოფითი განაკვეთებისადმი გადასვლის ეფექტი ძალზე მოკრძალებული იყო. მაგალითად, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა 2014 წლის ზაფხულში დაანესა განაკვეთი $-0,10\%$ -ის დონეზე. ამ დონისძიებამ ვერ შეამცირა დეფლაციის საშიშროება ევროზონის ქვეყნებში, ამიტომ, ევროპის ცენტრალურ ბანკს მოუწია განაკვეთის კიდევ უფრო შემცირება. ბოლო შემცირება შედგა 2015 წლის დეკემბერში, როცა განაკვეთი დაწესდა მინუს $0,30\%$ -ის დონეზე. ჯერ კიდევ 2015 წლის ზაფხულში, ევროპის ცენტრალური ბანკის მეთაური მარიო დრაგი აცხადებდა, რომ მინუს $0,20\%$ -ის ქვემოთ განაკვეთი არასოდეს დაეშვებოდა. დაახლოებით იგივე ხდებოდა სხვა ცენტრალურ ბანკებში. შვეიცარიის ცენტრალურმა ბანკმა 2014 წლის დეკემბერში დაიწყო $-0,25\%$ -იანი განაკვეთით, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ის უკვე დავიდა $-0,75\%$ -მდე. შვედეთის ცენტრალური ბანკი 2015 წლის ზაფხულში იძულებული გახდა დამატებით შეემცირებინა საპროცენტო განაკვეთი. ეს იყო შვედური კრონის კურსის ზრდის მიმართ რეაქცია. კურსის ზრდა კი, თავის მხრივ, განპირობებული იყო საბერძნეთის ირგვლივ არსებული მოვლენებით (მოსალოდნელი დეფოლტით და ევროზონის კრიზისით), რამაც გააძლიერა კაპიტალის გაქცევა ევროზონიდან მეზობელ ევროპულ ქვეყნებში [3, გვ. 307].

იაპონიის ბანკი „უარყოფითი განაკვეთების“ კლუბის მესუთე წევრი გახდა. დასავლეთის მთელი რიგი ცენტრალური ბანკები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების ექსპერიმენტს. იმავე ინგლისის ბანკმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, მიბადოს კონტი-

ნენტური ევროპის ცენტრალური ბანკების მაგალითს. ის შეიძლება გახდეს კლუბის მეექვსე წევრი. მეშვიდე პოტენციურ წევრად ექსპერტები მიიჩნევენ ნორვეგიის ცენტრალურ ბანკს.

რასაკვირველია, ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება გარდაუვალად აისახება ეკონომიკის ფულად-საკრედიტო და ფინანსური სფეროს ყველა სხვა პარამეტრზე.

პირველი, თითქმის სინქრონულად, სადეპოზიტო განაკვეთის შემცირებასთან ერთად, ადგილი აქვს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ცენტრალური ბანკების აქტიური (საკრედიტო) ოპერაციების მიხედვით. ეს არის რეფინანსირების განაკვეთები, რეპო-ოპერაციებზე განაკვეთები და ა.შ.. ზოგიერთი ცენტრალური ბანკი საერთოდ უფასოდ თავაზობს კომერციულ ბანკებს ფულს. აი, როგორ გამოიყურებოდა სურათი 2015 წლის ბოლოსათვის: ევროპის ცენტრალური ბანკი - 0,05% (რეფინანსირების ძირითადი განაკვეთი); დანიის ეროვნული ბანკი - 0,50% (ლიკვიდობის დეფიციტის დაფინანსების განაკვეთი); შვეიცარიის ეროვნული ბანკი - 0,05% (დაკრედიტების განაკვეთი). შვედეთის ცენტრალურ ბანკს რეპოოპერაცი-აზე ჰქონდა უარყოფითი განაკვეთიც კი - მინუს 0,35%. მარტივად რომ ვთქვათ, ფული ხდება იაფი და თითქმის უფასოც კი კერძო ბანკებისათვის.

მეორე, ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების კვალდაკვალ მცირდება განაკვეთები კომერციული ბანკების დეპო-ზიტებზე უარყოფითი განაკვეთების დანესებამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომერციული ბანკები ანესებენ საკომისიო გადახდებს ანგარიშების გახსნასა და წარმოებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის HSBC-ის (The Hongkong and Shanghai Banking Corporation) განცხადებამ [4]. 2015 წლის ზაფხულში მან გააფრთხილა სხვა ბანკები, რომ იწყებდა საკომისიოს დანესებას დეპოზიტებზე ევროებში, დანიურ და შვედურ კრონებში, ასევე შვეიცარიულ ფრანკებში. ეს ვალუტები იმ ქვეყნებისაა, რომელთა ცენტრალურმა ბანკებმა შემოიღეს უარყოფითი განაკვეთები დეპოზიტებზე. HSBC ჯერჯერობით აწარმოებს გადახდებს მხოლოდ სხვა კომერციული ბანკების ანგარიშების მიხედვით, რაც არ ეხება ინდივიდუალურ და კორპორაციულ კლიენტებს. HSBC-მდე უარყოფითი განაკვეთები შემოიღეს შვეიცარიულმა ბანკებმა. ისინი იღებდნენ საკომისიოს ზოგიერთი ინსტიტუციური ანგარიშებიდან, მაგრამ არა ჩვეულებრივი საცალო ანაბრებიდან. 2016 წლის ზაფხულში გერმანიისა და დანიის მთელმა რიგმა მცირე კომერციულმა ბანკებმა განაცხადეს, რომ შეუძლიათ ფასიანი გახადონ დეპოზიტები საცალო კლიენტებისათვის. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში კერძო ბანკები დეპოზიტებზე უარყოფითი პროცენტების შემოღებას (ანუ ფულის შენახვაზე გადახდებს) არამხოლოდ ცენტრალური ბანკების საპროცენტო პოლიტიკით ხსნიან, არამედ იმით, რომ 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ გამკაცრდა საბანკო საქმიანობის რეგულირება. კერძოდ, ამერიკული ბანკი JP Morgan

აცხადებდა, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო იწყებდა საკომისიოს დაწესებას ზოგიერთი თავისი უმსხვილესი კლიენტების დეპოზიტებიდან.

მესამე, ცენტრალური ბანკების საპროცენტო პოლიტიკა ახდენდა და ახლაც ახდენს ძლიერ გავლენას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. კერძოდ, თავდაპირველად მოხდა ასეთ ქაღალდებზე შემოსავლიანობის შემცირება, შემდეგ მათი ნაწილი გადავიდა მინუსიან ზონაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთის ასეთი მოძრაობა ნაწილობრივ განპირობებულია საბაზრო მექანიზმების მოქმედებით (ქაღალდების ბაზარზე და დეპოზიტების ბაზარზე პირობების გამოთანაბრებით). ზოგჯერ სახელმწიფო მიზანმიმართულად ატარებს თავის ქაღალდებზე შემოსავლიანობის შემცირების პოლიტიკას, მაგალითად, იმისათვის, რომ შერბილდეს უცხოელი ინვესტორების მოდინება და აღიკვეთოს ეროვნული ვალუტების მკვეთრი გაძვირება.

მასმედია ძირითად ყურადღებას უთმობდა და უთმობს აშშ-ის სახაზინო ვალდებულებებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც მასზე მოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ძირითადი ნაწილი. ინსტიტუციური ინვესტორების (საივესტიციო ფონდების, საპენსიო ფონდების, სადაზღვევო კომპანიების და ა.შ.) პორტფელების დიდი ნაწილი ასევე შედგება აშშ-ის ხაზინის ფასიანი ქაღალდებისგან, ე. წ. „თრეზურებისგან“ (Treasures). ამ ქაღალდების შემოსავლიანობა ბოლო წლებში განუხრელად მცირდებოდა. მრავალთათვის, როგორც ჩანს, გამოცანად რჩება შემდეგი ფაქტი: რატომაა, რომ ცენტრალური ბანკები, სუვერენული ფონდები, სხვა ინსტიტუციური ინვესტორები ყიდულობენ ამერიკულ ფასიან ქაღალდებს წმინდა სიმბოლური პროცენტებით? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ სხვა მრავალ სახაზინო ვალდებულებებზე ის კიდევ უფრო დაბალი ან სულაც უარყოფითია. პირველი სახაზინო ვალდებულებები უარყოფითი პროცენტებით გამოჩნდა ევროპაში ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ. მაშინ ეს ეგზოტიკა იყო, დღეს კი - ნორმაა.

გასულ წელს ბანკმა - JP Morgan, გამოაქვეყნა ზოგიერთი მონაცემი იმის შესახებ, რომ ევროკავშირის ქვეყნების დაახლოებით 1,7 ტრლნ დოლარის ღირებულების ობლიგაციებს, 1 წელზე მეტი დაფარვის ვადით, გააჩნიათ უარყოფითი შემოსავლიანობა. ამას უნდა დაემატოს შვედეთის, შვეიცარიისა და დანიის 1 ტრლნ დოლარის ღირებულების ანალოგიური ობლიგაციები. საბოლოოდ, ფინანსურ ბაზრებზე ერთი წლით ადრე მიმოიქცეოდა იაპონური ობლიგაციები უარყოფითი შემოსავლიანობით 1,8 ტრლნ დოლარის ოდენობით. გასულ წელს პირველად ბაზარზე „უარყოფითი“ ფასიანი ქაღალდებით გამოვიდა ფინეთი [3, გვ. 307].

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, სახელმწიფო ობლიგაციები მინუსი ნიშნით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მსოფლიო მოცულობის მხოლოდ 6,8%-ს შეადგენდა, ხოლო 2016 წლის 1 თებერვლისათვის, Deutsche Bank-ის შეფასებით, უარყოფითი შემოსავლიანობის მქონე ობლიგაციების წილი 25%-მდე გაიზარდა. თუ

დღეისათვის აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებს 2 წლამდე დაფარვის ვადით გააჩნია შემოსავლიანობა პლუს 0,72%-ის ოდენობით, ანალოგიურ ქაღალდებს გერმანიაში გააჩნია მინუს 0,50%, იაპონიაში - მინუს 0,17%.

მეოთხე, უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების ეპიდემია გავრცელდა კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. დავოსის 2016 წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაჟღერდა Bank of Amerika Merrill Lynch-ის (BAML) საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მონაცემები. BAML-ის შეფასების თანახმად, ევროპული კორპორაციული ობლიგაციები დაახლოებით 65 მლრდ ევროს (71 მლრდ დოლარის) ოდენობით იყიდება უარყოფითი შემოსავლიანობით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტორები, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული ფასიანი ქაღალდები, ფულს კარგავენ. ასეთი ფულით მუშაობას ამჯობინებენ კონსერვატიული ინვესტორები, რომელთათვისაც საიმედოობა და უსაფრთხოება უფრო მაღლა დგას, ვიდრე შემოსავლიანობა. ასეთი ფასიანი ქაღალდის კლასიკური მაგალითია ცნობილი შვეიცარიული კომპანია Nესტლე-ს კორპორაციული ობლიგაციები. კომპანიის ხელმძღვანელები თვლიან, რომ მათი ობლიგაციები არაფრით ჩამორჩება დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სახაზინო ფასიან ქაღალდებს და მათ პრეტენზია აქვთ ჩართულ იქნეს აღნიშნული ობლიგაციები სოლიდური ინსტიტუციური ინვესტორების პორტფელში [5].

მეხუთე, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ხარისხიან ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენციას ეწინააღმდეგება სხვა ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების ამაღლება. ძლიერდება საპროცენტო განაკვეთების პოლარიზაცია: ერთ პოლუსზე იმყოფება ხარისხიანი კორპორაციული ქაღალდები, დაბალი ან სულაც უარყოფითი განაკვეთებით; მეორე პოლუსზე, როგორც თოვლის გუნდა, ისე იზრდება სპეკულაციური კორპორაციული ქაღალდების მოცულობა, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოდ „გადასაყრელთა“ თანრიგს. სპრედი (სახელმწიფო სესხების განაკვეთის პროცენტზე დანამატი), რომელსაც იხდიან „გადასაყრელი“ ობლიგაციების ემიტენტები, თითქმის 3,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 2015 წლის მარტიდან. დღეისათვის განსხვავება თითქმის ისეთივეა, როგორც იყო 2011 წელს ევროს კრიზისის დროს, თუმცა სანახევროდ ნაკლებია, ვიდრე 2008 წელს Lehman Brothers-ის კოლაპსის შემდეგ. ამასთან, განაკვეთები, რომლის მიხედვითაც დაბალხარისხიანი, ანუ „გადასაყრელი“ ობლიგაციების ემისია ხდებოდა, 2015 წელს სწრაფად იზრდებოდა. „გადასაყრელი“ (ანუ „ტოქსიკური“) ობლიგაციების ნილმა, რაც ხდებოდა „მაღალრისკიანების“ კატეგორიაში (რომლებზეც შემოსავლიანობა 10 პროცენტული პუნქტით მაღალია, ვიდრე სახაზინო ობლიგაციებზე), 2016 წლის დასაწყისში 29,6%-ს მიაღწია, ერთი წლის წინანდელ 13,5%-თან შედარებით. სარეიტინგო სააგენტო S&P-ის მონაცემებით, ეს „ტოქსიკური“ ბაზრის ყველაზე მაღალი დონეა 2009 წლიდან [5].

* * *

უნდა აღვნიშნოთ, რომ „გადასაყრელი ობლიგაციების“ მოცულობის ზრდას ფინანსურ ბაზრებზე ხელი შეუწყო არამხოლოდ ცენტრალური ბანკების საპროცენტო პოლიტიკამ, არამედ ე.წ. „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკამაც. აშშ-ის ფედ-ი და ინგლისის ბანკი ამცირებდნენ თავიანთ საპროცენტო განაკვეთებს, მაგრამ მათ ის მაინც არ დაუყვანიათ მინუსებად. თუმცა, სწორედ ამ ორმა ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა რაოდენობრივი შერბილების ყველაზე მასშტაბური პროგრამების რეალიზაცია. მითითებული პროგრამები წარმოადგენდა ცენტრალური ბანკების მიერ სახელმწიფო ობლიგაციების (სრულიად სხვადასხვა ხარისხის) შესყიდვას, რამაც შეამცირა მათი შემოსავლიანობა. აშშ-ის სამთვიანი სახაზინო ვალდებულებების შემოსავლიანობა 2015 წელს დაეცა ნულოვან დონემდეც კი. მსგავს სიტუაციაში მრავალ ინვესტორს არ დარჩა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ გადართულიყვნენ მცირეშემოსავლიანი ან „ნულოვანი“ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან კორპორაციულ ფასიან ქაღალდებზე. საბოლოოდ, ცენტრალურმა ბანკებმა მოახდინეს არც ისე მაღალი ხარისხის კორპორაციულ ობლიგაციებზე მოთხოვნის სტიმულირება, ხოლო მათ შორის ზოგიერთი, მოხვდა რა კერძო ინვესტორების პორტფელში, მალე „გადასაყრელი“ აღმოჩნდა. რალაც მომენტში „გადასაყრელი“ ქაღალდების მფლობელებს შეიძლება ნერვებმა უმტყუნონ და დაიწყონ ამ ქაღალდების მასობრივი, არაკონტროლირებადი თავიდან მოშორება...

ამგვარად, დასავლეთის ცენტრალური ბანკების პოლიტიკამ საპროცენტო განაკვეთის შემცირების მხრივ, „რაოდენობრივ შერბილებებთან“ ერთად, შექმნა ყველა პირობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მეორე ტალღის დასაწყებად.

ლიტერატურა:

1. Mankiw N. Gregory, Macroeconomics, 9th edition, Harvard University, Worth publishers, 2016
2. Blanchard O., Johnson R. David, Macroeconomics, 6th edition, Pearson, 2013
3. Караонов В. Ю. Смерть денег. Куда ведут мир `хозяйева денег~. Метаморфозы долгового капитализма. – М.: Книжный мир, 2016.
4. <http://www.wsj.com/articles/the-upside-down-world-of-negative-interest-rates-1460643111>
5. <http://www.fondsk.ru/news/2016/02/06/procentnoe-zazerkale-centrobankov-sozdalo-uslovija-dlja-vtoroj-volny-mirovogo-finansovogo-krizisa-38462.html>

Causes of the Emergence of Negative Interest Rates in Some

Malkhaz Chikobava,

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The paper discusses the possibility of overcoming the current economic crisis in the developed countries through the use of negative interest rates. A series of economic and financial crises of the last few decades, and the slowdown of the world economy forced the monetary authorities of many countries to introduce new tools to stimulate economic growth.

The paper emphasizes that the policy of the Central Banks of the West is to reduce interest rates, coupled with “quantitative easing“ created all conditions for the beginning of the second wave of the global financial crisis.

Keywords: Financial crisis; securization; optical default; quantitative mitigation; negative interest rates on deposit operations; refinancing rate; repositories; US treasury securities; junk bonds

JEL Codes: E40, E43, E44

ოფციონები თანამედროვე გლობალურ საფონდო ბაზარზე

მაია გომიხია

ეკონომიკის დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ლექტორი

სტატიის მიზანია თანამედროვე საფონდო ბაზრებზე ფართოდ გამოყენებადი ვადიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის - ოფციონური კონტრაქტის ძირითადი ნიშნების (რეალიზაციის ფორმა, შესრულების დრო და პირობები, შინაგანი და დროითი ღირებულება) და ოფციონურ პოზიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი რისკის (საბაზისო აქტივის ფასის არახელსაყრელი მოძრაობის, რთული ოფციონური სქემების) წარმოჩენა, ოფციონების ღირებულების შეფასებისა და სხვადასხვა ოფციონური სტრატეგიის განხილვის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ოფციონი; მარჟა; დელტა; ჰეჯერების სტრატეგია; სპეკულანტების სტრატეგია; სტრედლი.

ოფციონების მახასიათებლები

ფინანსური კონტრაქტები ისევე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. ცნობილია, რომ მიწის ყიდვის გარიგებები თარიღდება 2800 წ წინ ერაყში. ჰამურაბის კანონები (1800 წ ძველი წელთაღრიცხვით) არეგულირებდა დაკრედიტების პირობებსაც. მასში გათვალისწინებული იყო და საკმაოდ გავრცელებულს წარმოადგენს კონტინგენტური კონტრაქტები, რომელიც შეიცავდა ამა თუ იმ გარემოებაზე დამოკიდებულებას. ამ კანონების თანახმად მოსავლის დაკარგვა ქარიშხლის ან გვალვის გამო წარმოადგენდა საფუძველს მიწის ვალზე წლიური პროცენტის გადახდის გასაუქმებლად. ოფციონებით პირველი ვაჭრობა, შესაძლოა გაჩნდა ასეთ-სავე ძველ დროს. [1, გვ.327]

თუმცა, სერიოზულ მნიშვნელობას ის იძენს 1973 წლიდან, როდესაც ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟამ დააფუძნა ჩიკაგოს ოფციონების ბირჟა (Chicago Board Options Exchange, CBOE), სადაც დაიწყო სავაჭრო ოპერაციები ოფციონებით ჩვეულებრივ

აქციებზე. სანყისმა წარმატებებმა ოპერაციების გაფართოებაში CBOE-ზე განაპირობა ბაზრის გაზრდა, სავაჭრო ოპერაციები უკვე ხორციელდებოდა ოფციონებით ფასიან ქალაქებზე ფიქსირებული შემოსავლებით, უცხოურ ვალუტაზე, აქციებისა და ობლიგაციების საინდექსო კონტრაქტებსა და ასევე, სხვადასხვა საქონელზე [2, გვ 347].

დღეისათვის ოფციონი, ანუ ოფციონური კონტრაქტი ფინანსურ ბაზრებზე ერთ-ერთი პოპულარული ფასიანი ქალაქდთაგანია. იგი წარმოადგენს ორ მხარეს (ოფციონის გამყიდველსა და მყიდველს) შორის შეთანხმებას წინასწარი განსაზღვრული პირობებით რაიმე ფინანსური ინსტრუმენტის ან საქონლის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. ოფციონის მფლობელს (მყიდველს) უფლება აქვს მომავალში, წინასწარ განსაზღვრულ დროს, ანუ ოფციონის აღსრულების (განაღების) დროს იყიდოს ან გაყიდოს აქცია (ან კონტრაქტის სხვა საგანი) წინასწარ შეთანხმებულ ფასად, რომელსაც შეთანხმების ფასი (შესრულების ფასი ან სტრაიკ ფასი - exercise price, strike) ეწოდება. ოფციონის გამყიდველი (ემიტენტი), ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს ოფციონური კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები. ევროპული ოფციონის მფლობელს შეუძლია მისი განაღდება ოფციონის სიცოცხლის პერიოდის მხოლოდ ბოლო მომენტში. ამისგან განსხვავებით, ამერიკული ოფციონის მფლობელს შეუძლია მისი განაღდება ოფციონის სიცოცხლის პერიოდის ნებისმიერ შემთხვევით მომენტში. ბუნებრივია, ამერიკული ოფციონი ევროპულზე უფრო მიმზიდველია [3; გვ. 145].

ამრიგად, ოფციონი იძლევა ყიდვის ან გაყიდვის უფლებას და არა ვალდებულებას. იმ ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვის უფლება, რაც დევს ოფციონური კონტრაქტის საფუძველში, იწოდება ქოლ (call) ოფციონად, ხოლო გაყიდვის უფლება - ფუთ (put) ოფციონად. არჩეული აქტივის ყიდვის ან გაყიდვის უფლება ეკუთვნის ოფციონის მფლობელს ანუ ტრეიდერს, რომელიც იკავებს გრძელ პოზიციას. ტრეიდერი, რომელმაც გამოწერა ოფციონი, ანუ დაიკავა მოკლე პოზიცია, იწოდება ოფციონის გამყიდველად (writer). ტრეიდერი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ოფციონის ყიდვით ან გაყიდვით ოფციონების ბაზარზე საკუთარი ღია პოზიციის დაცვის გარეშე. ამგვარი პოზიცია (ოფციონი) იწოდება დაუფარავად (naked option). ამავდროულად, კომბინაცია ოფციონების ბაზრისა და მის საფუძველში ჩადებული საბაზისო აქტივის ბაზრისა, ხშირად შესაძლებლობას იძლევა საგრძნობლად შემცირდეს დანაკარგების რისკი. ამ შემთხვევაში მსჯელობენ დაფარულ ოფციონზე (covered option) და ჰეჯირებულ პოზიციაზე არასასურველი დანაკარგებისაგან.

ოფციონის ფასი შინაგანი ღირებულებისა (intrinsic value) და დროითი ღირებულების (time value) ჯამია. ოფციონის შინაგანი ღირებულება (მას ხშირად უწოდებენ ოფციონის მოგებას - (in-the-moneyness) - ეს არის ოფციონის ღირებულება მისი დაუყოვნებლივი რეალიზაციის პირობით. ოფციონი ითვლება მომგებიანად (in-the-money), თუ მისი ღირებულება დაუყოვნებლივი შესრულებისას დადებითია. შინაგან ღირებულებას ფლობს მხოლოდ მომგებიანი ოფციონები. შესაბამისად ოფ-

ციონი ნამგებიანია (out-of-the-money), თუ მისი ღირებულება დაუყოვნებლივ შესრულებისას უარყოფითია და არავისი (at-the-money), თუ მისი შესრულების ფასი საბაზისო აქტივის საბაზრო კურსის ტოლია. ოფციონის დროითი ღირებულება - ეს არის მისი პოტენციური მომავალი ღირებულება.

როდესაც გამოიწერება დაუფარავი ქოლოფციონი, ანუ რაიტერი არ ფლობს საბაზისო აქტივს, ამოქმედდება მარჯვის წესები. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ორი მნიშვნელობა გამოითვლება:

- პირველი, ოფციონის პრემია პლუს საბაზისო აქტივის საკურსო ღირებულების 20%, მინუს დელტა სტრაიკ ფასსა და საბაზისო აქტივის საბაზრო კურსს შორის, თუ უკანასკნელი სტრაიკ ფასზე ნაკლებია;

- მეორე, ოფციონის პრემია პლუს საბაზისო აქტივის საკურსო ღირებულების 10%.

მარჯის შედარების რომელი მეთოდიც მეტ სიდიდეს მოგვცემს, სწორედ ეს სიდიდე იქნება საგირავნო უზრუნველყოფა და ბროკერი გაყინავს ტრეიდერის დეპოზიტზე აღნიშნულ თანხას.

ოფციონების ღირებულების შეფასება

ოფციონური ტრეიდერისთვის დრო თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს. ოფციონის მფლობელი დღითიდღე კარგავს ოფციონის დროითი ღირებულების ნაწილს. ოფციონის გამყიდველს, პირიქით, დრო ხელს უწყობს, რადგან ოფციონებს, რაც მან გაყიდა, აქვს დიდი შანსი საგრძნობლად დაიკლოს ფასში. დროის გარდა ოფციონის ღირებულების შეფასებისას მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საბაზისო აქტივის ბაზრის ვოლატილობა, რომელიც ახასიათებს ფასის ან შემოსავლიანობის რყევის ამპლიტუდას.

ოფციონის ოპტიმალური ფასი გამოითვლება რთული მათემატიკური ფორმულით, რომელშიც გაითვალისწინება: საბაზისო აქტივის მიმდინარე ფასი, ოფციონის შესრულების ფასი, საბაზისო აქტივის ბაზრის ვოლატილობა და საპროცენტო განაკვეთი. ოფციონებით ვაჭრობისას არ არის ფასდადების სტანდარტული მოდელი. ნიჭიერი ტრეიდერი ხშირად იყენებს საკუთარ საიდუმლო ფორმულებს [4, გვ. 621]. ამასთან, ოფციონური ტრეიდერების უმეტესობა იყენებს ოთხი პოპულარული მოდელიდან ერთ-ერთს (იმიტაციური მოდელი „მონტე-კარლო“, „ბლეკ-შოულზის“ მოდელი, ფასდადების ბინომური მოდელი და ნახტომისებ-დიფუზიური მოდელი).

ოფციონების ოპტიმალური ფასის გამოსათვლელ ფორმულებს შეაქვს ობიექტურობის ელემენტი ოფციონების ბაზარზე მდგომარეობის ანალიზში, აგრეთვე, გამოიყენება სავარაუდო ვოლატილობის და რისკის ხარისხის, ანუ, პირველ რიგში, დელტას გაანგარიშებისათვის.

დელტა (delta) - ახასიათებს ოფციონის ფასის ცვლილებას ხარისხს საბაზისო ინსტრუმენტის ფასის ერთეულის ცვლილებისას. ეს შეიძლება გამოვითვალოთ ფორმულით:

$$\Delta = \Delta C / \Delta P$$

სადაც Δ - ოფციონის დელტაა,

ΔC - ოფციონის ფასის ცვლილება დროის მოკლე ინტერვალზე,

ΔP - საბაზისო აქტივის ფასის ცვლილება ამავე პერიოდისათვის.

მაგალითად, ბლექ-შოულზის მოდელი შესაძლებლობას იძლევა უშუალოდ გამოითვალოს ოფციონის დელტა, რომელიც მნიშვნელოვანია, ვინაიდან: 1) დელტა ახასიათებს იმის ალბათობას, რომ ოფციონის ვადის ამონაწერისათვის მას ექნება შინაგანი ღირებულება, 2) ეს არის ოფციონის პრემიის საზომი საბაზისო აქტივის ფასის ერთეულის ცვლილებისას, 3) ამ პარამეტრის მნიშვნელობა შეიძლება ახასიათებდეს საბაზისო ინსტრუმენტების თეორიულ რაოდენობას, რომელთა მფლობელიც, თუ ეს ქოლოციონია, იკავებს გრძელ პოზიციას, ხოლო თუ ეს ფუთოფციონია - მოკლე პოზიციას.

შემდეგი კოეფიციენტი, რომელიც აფასებს ოფციონური პოზიციის რისკის ხარისხს და ოფციონის ფასს არის ტეტა (Θ). ის ახასიათებს ოფციონის პრემიის ცვლილების სიდიდეს ოფციონის შესრულების ვადის შემცირებისას ერთი დღით (სხვა თანაბარ პირობებში):

$$\Theta = \Delta C / \Delta T$$

სადაც ΔC - ოფციონის ფასის ცვლილებაა,

ΔT - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ეს ცვლილება მოხდა.

თუ Θ -ის მნიშვნელობა მაღალია, მაღალია ოფციონის გაუფასურების ალბათობა მისი შესრულების ვადის მომენტისათვის.

ობლიგაციებსა ან ფიუჩერსებზე ოფციონის თეორიული ფასის გამოსათვლელად მნიშვნელოვანია RhO კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს ოფციონის ფასის ცვლილებების გამოძახილს საპროცენტო განაკვეთის შესაბამის ცვლილებაზე.

ბევრი საბაზისო აქტივისათვის ოფციონებს მათ ფიუჩერსებზე ხშირად უწოდებენ რთულ ოფციონებს, ანუ ოფციენებს ოფციონებზე. ბოლო დროს დიდი პოპულარულობით სარგებლობს ოფციონები, რომლის საბაზისო აქტივია სხვადასხვა ინდექსები (მაგ., S&P 100).

ოფციონური სტრატეგიები

ჰეჯერების ოფციონური სტრატეგია ვადიანი კონტრაქტების ბაზარზე არის ის, რომ იძენს რა შესაბამის ოფციონს (ქოლ, ფუთ ან მათი კომბინაცია) შეინარჩუნოს ღია პოზიცია ოფციონის მიხედვით ფასიანი ქაღალდების მინოდების მომენტამდე.

ქოლოფციონის ყიდვის შემთხვევაში:

- მიყიდვისათვის არახელსაყრელი განვითარებისას, რაც გამოიხატება საბაზრო აქტივის ღირებულების ზრდით, ჰეჯერი იყენებს თავის უფლებას ოფციონის მიხედვით, იძენს რა ფასიან ქაღალდებს ოფციონის შესრულების ფასით;

- მყიდველისათვის ხელსაყრელი სიტუაციისას, როდესაც ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ღირებულება დაბალია, ჰეჯერი იძენს მათ საფონდო ბაზარზე, თუმცა, ამით კარგავს ფულადი სახსრების ნაწილს, რომელიც ოფციონს შესაძენად გადაიხდა.

ფუტ ოფციონის შემთხვევაში:

- გამყიდველისთვის ხელსაყრელი სიტუაციისას, როდესაც აქციები საფონდო ბაზარზე ძვირია, ჰეჯერი ყიდის ფასიან ქაღალდებს, კარგავს რა მოგების ნაწილს, გადახდილს ოფციონის შესაძენად;

- მისთვის ხელსაყრელი სიტუაციისას კი, როცა ბაზარი სუსტია, ჰეჯერი იყენებს თავის უფლებასაც ოფციონის მიხედვით, ყიდის რა საბაზისო ინსტრუმენტებს ოფციონის შესრულების ფასით.

სპეკულანტი კი, მუშაობს რა ვადიანი კონტრაქტების ბაზარზე, თვალყურს მიადევნებს არამხოლოდ ოფციონის შესრულების ღირებულების მოძრაობას, არამედ მის პრემიასაც [5, გვ. 208]. ვთქვათ, სპეკულიანტმა გაყიდა ოფციონი მინოდებაზე, მისთვის ხელსაყრელია იყიდოს ოფციონი და დახუროს თავისი პოზიცია, როდესაც:

- ოფციონის პრემია არ შეცვლილა, მაგრამ ფასიანი ქაღალდების (საბაზისო აქტივი) ღირებულება შემცირდა იმ მნიშვნელობამდე, როდესაც არის საფრთხე აღმოცენდეს სიტუაცია, სპეკულანტი იძულებული იქნება შეასრულოს ვალდებულება ოფციონის მიხედვით;

- ოფციონის საბაზისო აქტივის ღირებულება არ შეცვლილა, მაგრამ პრემია შემცირდა. სპეკულანტისთვის ხელსაყრელია იყიდოს იაფი ოფციონი, იღებს რა სპეკულაციურ მოგებას და დახუროს თავისი ვალდებულებები ოფციონის მიხედვით.

ამგვარად, სპეკულაციური მოგება მიიღება ოფციონური კონტრაქტის უფრო მაღალი ფასით გაყიდვისას, ვიდრე შეძენის ფასია.

უფრო რთულ ოფციონურ სტრატეგიებად მიჩნეულია კომბინაციები და სპრედები. ყველაზე გავრცელებული კომბინაციაა სტრედლი (straddle). სტრედლი პოზიციაა, რომელიც მოიცავს ოფციონქოლს და ოფციონფუტს ერთი და იმავე საბაზისო აქტივზე ერთნაირი სტრაიკებით და კონტრატის ამონურვის ვადებით. ეს კომბინაცია წარმოადგენს კერძო შემთხვევას უფრო საერთო კომბინაციისა სტრენგლ (strangle), როდესაც ქოლ და ფუტოფციონის სტრაიკ ფასები განსხვავებულია, ხოლო ამონურვის ვადები ერთნაირი. ზემოთ აღნიშნული სტრატეგიების კომბინაციით მიიღება უფრო რთული კომბინაციები, მაგალითად, სტრეპი - როდესაც სტრედლი ძლიერდება კიდევ ერთი ქოლოფციონის ყიდვით ამონურვის იმავე ვადით და ნებისმიერი სტრაიკით (ტრეიდერი ვარაუდობს საბაზისო აქტივის კურსის ძლიერ მოძრაობას უფრო ზრდის მიმართულებით) და კომბინაცია სტრიპი, როდესაც ტრეიდერი უფრო იხრება საბაზისო ინსტრუმენტის კურსის დაცემისკენ - ის ძლიერებს სტრედლს კიდევ ერთი ფუტოფციონის ყიდვით, კონტრაქტის ამონურვის იმავე თარიღით და შესრულების ფასით.

* * *

დასასრულს დასკვნის სახით, აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის ეკონომიკურად მაღალგანვითრებულ ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების მიერ შეთავაზებული ფინანსური ინსტრუმენტები მრავალფეროვანია, მათ შორისაა ფასიანი ქაღალდების დიდი არჩევანიც, რაც ხელს უწყობს დანაზოგების ზრდას, რისკების შემცირებას, განსაზღვრავს საინვესტიციო შესაძლებლობებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ამოღება, ასევე, დეპოზიტარული და საკლირინგო ქსელის განვითარება, ვაჭრობის უახლესი ტექნოლოგიების, ბირჟის მიერ დერივატივებით გარიგებების განხორციელების წესების უზრუნველყოფა და სხვა.

ლიტერატურა

1. Ингерсолл Джонатан. Теория оценки опционов (Jonathan E., Ingersoll Jr, Option Pricing Theory), в книге Финансы, под ред. Дж. Итуэла, М. Милгейта, П. Ньюмана, пер. с англ., М., 2008.
2. Мертон Роберт С. Опционы (Robert C. Merton, Options), Финансы, под ред. Дж. Итуэла, М. Милгейта, П. Ньюмана, пер. с англ., М., 2008.
3. დოჭვირი თ., დოჭვირი ბ., ფინანსური მათემატიკის საფუძვლები „უნივერსალი“, თბ., 2011
4. Якимкин В., Сегментация финансового рынка, М., 2006
5. Киячков А.А. Чалдаева Л.А., Рынок ценных бумаг и биржевое дело, М., Юристь, 2000

Options on the Modern Global Securities Market

Maya Gogokhia,

Doctor of Economics,

Lecturer, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The paper discusses the main features of one of the most popular securities on the modern financial markets – option contracts, such as, for example, intrinsic value and time value. Also, for the purpose of evaluating options, formulas of estimating optimal price of options are given and different option strategies are displayed.

Keywords: Options; margin; delta; hedgers strategy; operators' strategy; straddle

JEL Codes: E44, K22, O16

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება 2008 წლის გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში

ნათია ჰიბლაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
natajibladze@yahoo.com*

მსოფლიოს უახლესი ისტორიის, XXI საუკუნის გლობალური ეკონომიკური კრიზისი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა მასშტაბის ნეგატიური შედეგების მოტანა შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა თუ ტენდენციების დაგვიანებულ, არასწორ და არაადეკვატურ შეფასებას, რაც, თავის მხრივ, აღარ უტოვებს არანაირ ბერკეტს კრიზისის პირას მყოფ ქვეყანას, რომ მოახდინოს ლავირება და კრიზისის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციის მიზნით ეფექტიანი და დროული გამოსავალი მოახსოს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება ყველაზე დაბალრისკიან და მაღალი უზრუნველყოფის მქონე დაკრედიტების სპექტრში მოიაზრება, გლობალურმა კრიზისმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა აღნიშნულ სექტორს და მნიშვნელოვნად დააზარალა საერთაშორისო ვაჭრობა.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება, ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოები და საერთაშორისო ინსტიტუტები აქტიურად არიან ჩართული კრიზისების პრევენციის გზების ძიებაში და ამ თვალსაზრისით საინტერესოა კრიზისის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით არსებული გამონვევების ძიება და მათი გათვალისწინება.

სტატიაში ეკონომიკური ლიტერატურისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევების მიმოხილვის საფუძველზე განალიზებულია გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების წინაშე არსებული გამონვევები და მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება; ექსპორტის დაკრედიტება; გარანტიები.

განვლილი გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილებიდან გამომდინარე, დღეს საკმაოდ აქტიურად განიხილება ფინანსური კრიზისის პირობებში ცენტრალური ბანკების, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლი და ფუნქციები, საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ორგანოები ცდილობენ გაითვალისწინონ ბაზელის სტანდარტებში მოცემული რეკომენდაციები და საბანკო ზედამხედველობისა და საკანონმდებლო რეგულირების საუკეთესო პრაქტიკები, თუმცა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: არის კი მსოფლიო მზად, რომ მომავალი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი შეაჩეროს? შესაძლებელია კი წინასწარ პროგნოზირება მოსალოდნელი რეცესიების და საერთოდ, რამდენად მოზილიზებული არიან თუნდაც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები მინიმალური დანაკარგებით გაუმკლავდნენ მსგავსი ტიპის კრიზისებს მომავალში და შეძლონ დაკრედიტების ყველაზე დაბალრისკიანი მიმართულების - ვაჭრობის დაფინანსების სრული კრახის თავიდან არიდება?

სტატის **მიზანია** გარკვეული წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე კრიზისის ნეგატიური მოვლენების პრევენციისა და მინიმიზაციის მიმართულებით და გააანალიზოს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების გამონვევები გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში. მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი **ამოცანები**:

- თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის თავისებურებების შესწავლა;
- საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში დაფინანსების როლის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;
- საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების გამონვევების ანალიზი თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში.

კვლევის ბაზად შესაბამის თემატიკაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, კვლევები და სტატისტიკური მონაცემებია არჩეული. კვლევის **მეთოდს** წარმოადგენს აღნიშნული წყაროების სისტემატიზაცია, ანალიზი, სინთეზი.

თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის თავისებურებები

თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა გლობალიზაციის სულ უფრო მზარდი ტემპებით ხასიათდება. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გლობალიზაცია ხშირ შემთხვევაში ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრირების პარალელურად თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისისათვის ე.წ. „ვირუსული ხასიათის“ გამომწვევ მიზეზადაც გვევლინება. დღესდღეობით საკმაოდ აქტიურია განვლილი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების თავისებურებე-

ბის ანალიზი, რადგან მასზე დაყრდნობით შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა ნებისმიერ სახელმწიფოს მისცემს საშუალებას, შექმნას ქვეყნის განვითარების ისეთი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.

დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ არაერთგვაროვანია მეცნიერებისა თუ ეკონომისტების მოსაზრებები გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების თავისებურებებსა თუ მისი პრევენციის გზებთან დაკავშირებით. არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომელიც ცალსახა და სწორხაზოვან მიმართულებას მისცემს ქვეყნებს, თუ როგორ უნდა დაგეგმონ და განახორციელონ არსებული გარემოების ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა და თავიდან აირიდონ დიდი მასშტაბის „დეპრესიები“. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ცნობილი მეცნიერი თუ ეკონომისტი იკვლევდა და იკვლევს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საკითხებს, ბოლო პერიოდში განვითარებულმა გლობალურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა ეკონომიკური თეორიის სერიოზული ხარვეზები და ჩავარდნები [14, გვ.17].

საერთაშორისო ექსპერტების უმეტესობის აზრით, 2007 წელს დასავლეთში დაწყებული გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც მოგვიანებით ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა, ყველაზე მძიმე იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში წარმოქმნილ კრიზისებს შორის [18]. ექსპერტთა გაანგარიშებით, კრიზისით გამოწვეული ჯამურმა დანაკარგებმა ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ჩათვლით 4 ტრლნ 700 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მსოფლიო ბაზრის კაპიტალიზაცია 26 ტრლნ 400 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა [9, გვ.119].

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის სრული კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა იყო გლობალური ფინანსური დისბალანსის წარმოშობის მიზეზი. ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ იყო მნიშვნელოვანი პრობლემები რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში და ამჟამად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ხდება სწორედ ამ კუთხით (საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მესამე შეთანხმება კაპიტალის ადეკვატურობის, სტრეს-ტესტირებისა და ლიკვიდობის რისკების სტანდარტების შესახებ). რაც შეეხება კრიზისის გამომწვევ ეკონომიკურ მიზეზებს, ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი: ერთ-ერთი ინტერპრეტაციით, 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა იყო კრიზისის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი [22; 24], ხოლო მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით, გლობალური ფინანსური დისბალანსისა და მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდა იყო კრიზისის გამომწვევი და მსოფლიო მასშტაბით გავრცელების ძირითადი მიზეზი [8, გვ. 584-588, 15]. რიგი ავტორები მიიჩნევენ, რომ კრიზისის სწრაფი და მწვავე გავრცელება ზემოხსენებული ორივე მიზეზის ერთობლიობის შედეგია [17, გვ. 3]. თუმცა, პრაქტიკულად

არც ერთი კვლევა არ შეისწავლის ემპირიულად ამ ფაქტორების წვლილს კრიზისის განვითარებაში ზუსტად და კვლევების შედეგები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიცაა [1].

ექსპერტების აზრით, კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან. აშშ-ის უმსხვილესი იპოთეკური კომპანიების Fannie Mae-სა და Freddie Mac-ის გაუაზრებელმა, ხშირ შემთხვევაში, არაპროგნოზირებადმა მოქმედებამ (ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა, პროცესის გაუმჭვირვალობა, საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების შერწყმა-არევა) გაამარტივა მომხმარებლისთვის იპოთეკური კრედიტების აღება. რეგულაციების შესუსტებამ ეტაპობრივად შექმნა სტიმული, რომ მასობრივად გაცემულიყო სესხები დაბალშემოსავლიან მსესხებლებზე საკმაოდ მაღალი ან ცვლადი (LIBOR) განაკვეთებით. შედეგად, უპრეცედენტოდ გაიზარდა როგორც უძრავი ქონების ფასები, ასევე ე.წ. გაპრობლემებული სესხების მოცულობაც.

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ მხოლოდ უძრავი ქონების სექტორის კრიზისი არ იქნებოდა ისეთი სავალალო შედეგების მომტანი, რომ არა ის ფინანსური ინოვაციები, რაც ამ პერიოდში განხორციელდა აშშ-ში: იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა (mortgage-based securities, MBS) და მათი ნაირსახეობა – სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაცია (collateralized debt obligation, CDO). MBS და CDO ობლიგაციები მაღალი რეიტინგისა და უსაფრთხოების გარდა ასევე მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდა ინვესტორებს, რამაც გამოიწვია მათზე მოთხოვნის ზრდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ წარმოიქმნა ე.წ. ბუშტი. კრიზისი გასცდა უძრავი ქონების სექტორს და 2007 წელს გაკოტრება დაიწყო ჰეჯ-ფონდებმაც, რომელთა პორტფელებში მაღალი იყო იპოთეკებთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების წილი. პანიკამ განაპირობა ბანკებიდან დეპოზიტების სწრაფი გადინება, რაც ბანკების (ბრიტანეთში) ნაციონალიზაციის საფუძველი გახდა [1].

დაფინანსების როლი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში

კრიზისის ცნება ახალი არ არის და კაცობრიობის ისტორიას არაერთი ლოკალური თუ გლობალური ხასიათის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ახსოვს, თუმცა სქემა, რომლითაც იგი განვითარდა და გავრცელდა კონტინენტიდან კონტინენტზე, მოჰყვა სწორედ მსოფლიო ფინანსურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ კრიზისის ნეგატიური ეფექტები აისახა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება. შესაბამისად, კვლავ აქტუალურია საკითხი, რამდენად ადეკვატურად და მოქნილად იმოქმედეს წარმოქმნილი პრობლე-

მების დასაძლევად საერთაშორისო თუ ადგილობრივმა საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციის და ზოგადად საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დოკუმენტური ოპერაციების წარმოებისა და ზოგადად რისკების ჰეჯირების საკითხებზე ინტენსიური მუშაობის საშუალებით.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში, ფაქტობრივად კონსესუსია მიღწეული ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) უდავო როლზე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საქმეში. ვაჭრობის დაფინანსების როლთან დაკავშირებით არაერთ არგუმენტს ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში: Hollensen (2007) მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ვაჭრობისა და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე კრიტიკული ბარიერს სწორედ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე წარმოადგენს [10]. როგორც AUBOIN, M. (2009) აღნიშნავს, მსოფლიო ვაჭრობის 80-90% დამოკიდებულია და აქტიურად იყენებს ვაჭრობის დაფინანსების რომელიმე ფორმას მაინც [5]. სწორედ ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა განაპირობებს კომპანიების წარმატებას საექსპორტო საქმიანობაში (U.S. Comptroller of the currency, 1998). ვაჭრობის დაფინანსება გარკვეულწილად უზრუნველყოფს ე.წ. „სავაჭრო გეპის“ (trade gap), ანუ ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული სხვაობის ამოვსებას, რაც გამომწვეულია იმით, რომ ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ხშირად გამოყენებულია იმპორტის დასაფინანსებლად [2]. Anne-Gaël Vaubourg მიმოიხილავს ვაჭრობის გარე დაფინანსების გავლენას კონკურენტულ უპირატესობაზე საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების ქრილით. ჰეკ-შერ-ოლინ-სამუელსონის თეორიის მიხედვით, ორი ქვეყნისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაში არსებული განსხვავება მნიშვნელოვნად ზრდის შეფარდებით უპირატესობას და ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს სხვა თანაბარი რესურსებისა და ტექნოლოგიების პირობებში [4]. Bardhan და Kletzer თავის მოდელში ფოკუსირებას ახდენენ ფინანსური სისტემების უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე, რომელიც გულისხმობს ფინანსური რესურსებისა და დანაზოგების მობილიზებას. ავტორების აზრით, დაბალგანვითარებული საფინანსო სისტემისგან განსხვავებით, მაღალგანვითარებულ საფინანსო სისტემას აქვს შესაძლებლობა უფრო ეფექტიანად დააფინანსოს საბრუნავი კაპიტალი, რადგან ფლობს კონკურენტულ უპირატესობას საბოლოო პროდუქტის წარმოების კუთხით [6]. აღნიშნულ თეორიას განავრცობს Beck და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორი სექტორი დამოკიდებულია დაფინანსების გარე წყაროებზე, ვაჭრობის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური განვითარების დონეებში განსხვავებულობა [7].

ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით ვაჭრობის დაფინანსების როლის ხაზგასასმელად ავტორთა გარკვეული ჯგუფი ანალიზებს პერუს ბანკებიდან ექსპორტიორი კომპანიების დაკრედიტების მაჩვენებლებს (2007-2009წწ) და შედეგად დგინდება, რომ კრედიტების მიწოდების 10%-იანმა კლებამ გამოიწვია ექსპორტის ნლიური მოცულობის

შემცირება 2.3%-ით, ხოლო დაკრედიტების 10%-იანმა მატებამ განაპირობა საექსპორტო ოპერაციების წარმოების ალბათობის 3.6%-იანი ზრდა [19].

ვაჭრობის დაფინანსების როლზე მსჯელობისას ცალსახაა, რომ გლობალური საფინანსო ეკონომიკური კრიზისი და მისი თანმხლები დაკრედიტების შემცირება, უკვალოდ არ ჩაივლიდა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებასა და მის განვითარებაზე.

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების გამოწვევები თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში

2008-2009 წლის გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისმა სერიოზული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ბანკების ლიკვიდობის შემცირების პარალელურად ვაჭრობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის კლება განაპირობა მსოფლიო ვაჭრობის მაჩვენებლების მკვეთრი ვარდნა, თუმცა, არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კრიზისის პერიოდში მომსახურებით ვაჭრობა იყო უფრო მოქნილი ნეგატიური ეფექტებისადმი, ვიდრე საქონლით ვაჭრობის სექტორი. მსოფლიო ექსპორტის 3,98%-ით შემცირებამ 2008-2012 წლებში გავლენა მოახდინა განვითარებული ქვეყნების იმპორტის კლებაზე და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ექსპორტის შენელებულ ტემპებზე [23. გვ. 584-588].

მსოფლიო ვაჭრობის 80-90% დამოკიდებულია ვაჭრობის დაფინანსების ეფექტიანობაზე, სწორედ ამიტომ რეალური ეკონომიკის სექტორთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური საფრთხე მნიშვნელოვნად ამცირებს ვაჭრობის დაფინანსების მოცულობას. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო მინოდების სისტემის აწყობა განაპირობებს ვაჭრობის დაკრედიტების გლობალიზაციას და შესაბამისად იზრდება აღნიშნული სექტორის გლობალურ კრიზისებში ჩართულობის რისკი, საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ტიპის ოპერაციების ანალიზი, როგორცაა ვაჭრობის დაკრედიტება, გარანტიები, დაზღვევები და ა.შ. [25].

კვლავ ღიად რჩება 2008 წლის გლობალური კრიზისის დროს მოკლევადიანი დაკრედიტების შემცირების გამომწვევი დომინანტი ფაქტორის განსაზღვრის საკითხი. სანამ საერთაშორისო საზოგადოებრივი ინსტიტუტები ჰიპოთეზების ძიებაში იყვნენ, საბანკო სექტორი არაადეკვატური პროდუქციული ზედამხედველობის, ცენტრალური ბანკების არასწორი მითითებების და რაც მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობის გამო კოლაფსის რეალობის წინაშე დადგნენ. მასობრივმა მცდელობამ, გაეთვალისწინებინათ „აზიური კრიზისის“ გაკვეთილები, გამოიწვია საერთაშორისო ბანკების ე.წ. „ჯოჯური ქცევა“ - ბანკებმა ფაქტობრივად შეწყვიტეს განვითარებად ბაზრებზე ნებისმიერი სახის აქტივობა მიუხედავად დაკრედიტების და რისკის ტიპისა. შედეგად, ვაჭრობის დაკრედიტება საერთოდ გაჩერდა. ამას თან დაერთო არაადეკვატური ინფორმაცია და ექსტრაპოლაციური

მოლოდინები ვალუტის კურსთან დაკავშირებით, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა ბაზარზე [16].

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ ფინანსური კრიზისის თანმდევი რისკებისა და არასაკმარისი ლიკვიდობის მაპროგნოზირებელ ძირითად მიზეზად განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობის დაკრედიტების სიმწირე დაასახელა, რამაც თავის მხრივ ბიძგი მისცა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ინსტიტუტებს, გამოსულიყვნენ კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნის ინიციატივით [15].

საერთაშორისო ვაჭრობაზე თანამედროვე გლობალური კრიზისის გავლენის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ის პრობლემები, რომლებიც ვაჭრობის დაფინანსების სისტემას შეექმნა გლობალური კრიზისის შემდგომ:

○ **ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემები.** ვაჭრობის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაფინანსების სანდო, ადეკვატურ და რენტაბელურ წყაროზე, რადგანაც საერთაშორისო ვაჭრობაში არის დროის საკმაოდ დიდი შუალედი წარმოებას, გადაზიდვასა და საბოლოო ანგარიშსწორების პერიოდებს შორის. ფინანსურმა კრიზისმა კი გარკვეული უნდობლობა გამოიწვია კონტრაგენტებს შორის.

○ **საექსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები** - ამგვარი რისკების გადაზღვევა ხდება როგორც ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოების (ECAs), ასევე კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ, თუმცა პოსტკრიზისულ პერიოდში კერძო სადაზღვევებისათვის ნაკლებად მიმზიდველი გახდა ამ ტიპის რისკების გადაზღვევა.

○ **ფინანსურმა პრობლემებმა განაპირობა მოთხოვნის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე**, რაც საბოლოო ჯამში აისახა საერთაშორისო ვაჭრობაზე და ფინანსური კრიზისი გადაიზარდა ეკონომიკურ კრიზისში.

○ **საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის არასასურველი გვერდითი ეფექტები** - ექსპორტიორები უფრო მყარად შეხვდნენ კრიზისს, რადგან მათ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე იმპორტიორებისაგან. რამაც იძულებული გახადა იმპორტიორი გაემკაცრებინა დაკრედიტების პოლიტიკა.

○ **ვაჭრობის დაფინანსების შეზღუდულობა** - ლიკვიდურობის შემცირებამ და რისკების ზრდამ განაპირობა კრედიტების გაძვირება ბევრ ქვეყანაში. ამას დაემატა, ექსპორტიორების უფრო მეტი ინფორმირებულობა სავაჭრო ოპერაციების თანმდევი რისკების შესახებ, მათი ფრთხილი პოზიცია, ტვირთები თვეობით ყოვნდებოდა, სანამ ექსპორტიორი არ დარწმუნდებოდა მყიდველის გადახდისუნარიანობაში, რის გამოც შენელდა საერთაშორისო ვაჭრობის პროცესები, სავაჭრო ფინანსირებასთან დაკავშირებულ საბანკო პროდუქტებზე გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, საკომისიოები და შემცირდა ვაჭრობის დაკრედიტებაზე ხელმისაწვდომობა.

○ Lehman Brothers-ის და სხვა ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრებით დაი-
კარგა საერთაშორისო ვაჭრობის ფინანსირების სტარტეგიული პარტნიორები.

○ გაიზარდა სავაჭრო ფინანსირების პროდუქტებზე (გარანტიები, აკრედი-
ტივები) ბანკის მხრიდან „დაუარებული“ განაცხადების რაოდენობები.

○ ბაზელის კაპიტალის ადეკვატურობის ახალი მოთხოვნები **ნეგატიურად**
აისახა საერთაშორისო ვაჭრობის დაკრედიტებაზე.

კრიზისის თანმდევ ნეგატიურ ეფექტებს არაერთი ანალიტიკური კვლევა მი-
ეძღვნა. საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) კვლევამ 2009 წლიდან პერმანენ-
ტული ხასიათი მიიღო. აღნიშნული კვლევის მიხედვით [21], მსოფლიოს მთლიანი
შიგა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელი კრიზისის პერიოდის მკვეთრი რყევებისგან
განსხვავებით (2009 წელს მსოფლიო მშპ შემცირდა 1,7%-ით ხოლო განვითარე-
ბადი ქვეყნების მშპ 5,8%-დან დაეცა 2,1%-მდე) [12], 2013-2014 წლებში ნაკლე-
ბი დინამიკურობით გამოირჩეოდა და 2,5%-დან მხოლოდ 2,6%-მდე გაიზარდა.
ფაქტია, რომ როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს ჯერ კიდევ
თან სდევთ კრიზისის შემდგომი ნეგატიური ეფექტები, ამიტომ, ჯერ კიდევ ბევ-
რი შესაძლებლობებია გამოსაყენებელი მსოფლიოს კრიზისული მდგომარეობიდან
საბოლოოდ გამოყვანის მიმართულებით. განვითარებული ქვეყნების მხრიდან აქ-
ცენტი უნდა გაკეთდეს ინვესტირებაზე ინფრასტრუქტურულ პროექტებში სამუშაო
ადგილების შექმნის მიზნით და ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდი-
ნირებულ მოქმედებაზე. განვითარებად სამყაროს სრულიად სხვა გამოწვევა აქვს:
კაპიტალის ნაკადების შემცირებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ვალუტის გაუფასუ-
რებაზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ექსპორტის გაძლიერებას. შესაბამისად, სა-
ჭირო იქნება ცენტრალური ბანკების მიერ ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის
გატარება ინფლაციის დონის დასტაბილურების მიზნით [13].

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, 2008 წლის გლო-
ბალური კრიზისის შემდგომ აღირიცხა ვაჭრობის შემზღუდავი 1360 რეგულაცია,
საიდანაც ბოლო 7 წლის განმავლობაში გაუქმდა მხოლოდ 329 ნორმა. დღემდე აქ-
ტიურად იბრძვის WTO, რომ მოხდეს პროტექციონისტული ნორმებისა და არასატა-
რიფო ბარიერების მაქსიმალურად შემცირება. მოლოდინის მიუხედავად, მსოფლიო
სავაჭრო ურთიერთობები ინარჩუნებს შენელებულ ტემპს, რომლის გასააქტიურებ-
ლად მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავება და თავისუფალი ვაჭრო-
ბის შემზღუდავი ნორმების მინიმიზაცია უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

რაც შეეხება ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების პროცესუალურ ნაწილს, თა-
ნამედროვე ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კლირინგული სის-
ტემების მოქნილ ფუნქციონირებას. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს
ასრულებს ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბანკთაშორის საზოგადო-
ება (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication-SWIFT), რომელიც
ანარმოებს საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშსწორების ოპერაციებს მონაცემთა

დისტანციური გადაცემის სისტემის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ანგარიშსწორების სისწრაფეს, მოქნილობას, ოპერაციათა რაციონალიზაციასა და საიმედოობას. უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისამდელ პერიოდში საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების 80-85%-ის შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ღია ანგარიშის მეშვეობით. ანგარიშსწორების ეს ფორმა არ იყენებს SWIFT-ის „სავადამბდელი შეტყობინებებს“, აქედან გამომდინარე ანგარიშსწორების დარჩენილი 15-20% მეთოდებისა (დოკუმენტური ბიზნესი, გარანტიები, აკრედიტივები) შესაძლოა გაანალიზდეს SWIFT-ით განხორციელებული ტრანზაქციების სტატისტიკის საფუძველზე. 2007 წლის მონაცემებით, გამოკითხულ ფინანსურ ინსტიტუტთა 80% საბანკო აკრედიტივების 90%-ს, ხოლო გამოკითხულთა 20% - საბანკო აკრედიტივების 50%-ს ახორციელებდა SWIFT-ის სისტემის მეშვეობით. SWIFT-ის ტრანზაქციების მაჩვენებელმა პიკს 2007 წელს მიაღწია (48 მლნ ტრანზაქცია) და 2008 წლის კრიზისის პერიოდში 46 მლნ ტრანზაქციამდე შემცირდა [12]. მოკლევადიანი აღმავლობის მიუხედავად, 2010 წლიდან კლება დაიწყო აღნიშნულმა მაჩვენებელმა და 2014 წელს სვიფტით განხორციელებული ტრანზაქციები შემცირდა 1,79%-ით, თუმცა 2015 წელი ყველაზე დამაფიქრებელი შედეგით გამოირჩევა, რადგან SWIFT-ით განხორციელებული ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციები შემცირდა 5%-ით, რაც ბევრად მაღალია, ვიდრე 2014 წლის მაჩვენებელი (1.79%). მათ შორის, დოკუმენტური ინკასოს შეტყობინებები - კატეგორია 4 შემცირდა 6.79%-ით, ხოლო კატეგორია 7 (შეტყობინებები აკრედიტივებისა და გარანტიებისათვის) - შემცირდა 4.49%-ით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს MT700-ის მოცულობითი მაჩვენებლები თითქმის მიუახლოვდა 2009 წლის პოსტ-კრიზისულ მდგომარეობას [11]. საყურადღებოა მოცემული სტატისტიკა და ცალსახად საჭიროებს მიზეზების დეტალურ ანალიზს და ეფექტური სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

SWIFT-ის საანგარიშსწორებო სისტემით განხორციელებული ოპერაციებისგან განსხვავებით, 2014 წელი გლობალური ფაქტორინგული ინდუსტრიისათვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები შენედა რიგი მიზეზის, მათ შორის სამომხმარებლო ფასების დაწევის, სავალუტო კურსის ცვალებადი გარემოსა თუ არამდგრადი ეკონომიკური პროცესების გამო, ფაქტორინგული ინდუსტრია 2014 წელს გაიზარდა 6,3%-ით და მისმა წლიურმა მოცულობამ გადააჭარბა 2,35 ტრლნ ევროს. ზრდის მაჩვენებელი დომინანტურად გამოვლინდა ევროპასა და ა.შ.შ-ში (8%-იანი ზრდა თითოეულის შემთხვევაში), რომელთაც მსოფლიო ფაქტორინგული ინდუსტრიის 71% უკავიათ. 2008-2009 წლის კრიზისის შემდგომ, ფაქტორინგის მოცულობა ინტენსიურად იზრდება (1 ტრლნ ევროს მოცულობით წელიწადში) და ასეთი თვალსაჩინო პროგრესი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ სრულიად ახალი ერა დაიწყო ფაქტორინგისთვის აშშ-ში. ტრანსასაზღვრო ფაქტორინგის ინტენსიური ზრდა განპირობებული იყო ღია ანგარიშით ვაჭრობის ზრდი-

თა და ფაქტორინგის მიერ ტრადიციული აკრედიტივის ალტერნატიული ფუნქციის შეთავსებით [21].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში, როგორცაა მაგალითად აშშ და ბრაზილია, ფაქტორინგის ინდუსტრიას არ გააჩნია რეგულაციები, რაც საშუალებას აძლევს ბევრ არა საბანკო დაწესებულებას, ჩაერთოს აღნიშნულ ინდუსტრიაში. ასეთი ინტენსივობა, განსაკუთრებით თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, განაპირობა ბაზელ II/III-ის რეკომენდაციების გათვალისწინებამ, მომატებულმა რისკებმა, რამაც თავი იჩინა არაუზრუნველყოფილი დაკრედიტების ფორმებით და ზოგადად ფაქტორინგის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და სანდო პროდუქტის პოზიციონირებამ ბაზარზე, რომელიც უზრუნველყოფს SME სექტორის ლიკვიდობას და ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.


რაც შეეხება ბაზელ II-ის სტანდარტს, რომელსაც საკმაოდ კრიტიკულად მიუდგინ 2008 წლის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გაანალიზებისას, აღნიშნულ რეგულაციებში საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები დაფიქსირდა. აღმოჩნდა, რომ ბაზელის სტანდარტი სრულად უქრობდა ბანკებს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მოტივაციას და კაპიტალის ადეკვატურობისადმი გაზრდილი მოთხოვნები არახელსაყრელი იყო განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიკრო და მცირე ბიზნესის დაკრედიტებისთვის.

თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალურია პროცესების ოპტიმიზაცია, რაც მათი გაციფრულებით, ე.წ. დიჯიტალიზაციით (digitalisation) მიიღწევა. ეს გამოწვევა ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებითაც დგას, თუმცა, ჯერ კიდევ განვითარების სანყის ეტაპზეა. გამოკითხულთა მხოლოდ 7.4% მიიჩნევს, რომ ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციების გაციფრულება აქტიურად მიმდინარეობს. 27.8%-ის აზრით, მცირე დოზით დაწყებულია ტრანზაქციების დიჯიტალიზაცია. 43.2% კი თვლის, რომ უზნიშნელო ძვრები შეინიშნება ამ მიმართულებით, ხოლო 21.6% ფიქრობს, რომ ამ საკითხს არ ექცევა ყურადღება [11]. პროცესების „დიჯიტალიზაციის“ მიმართულებით უახლესი მიღწევაა 2016 წელს 7 ევროპული ბანკის მიერ (Rabobank, Deutsche Bank, HSBC, KBC, Natixis, Société Générale and UniCredit) გაფორმებული მემორანდუმი სავაჭრო ტრანზაქციების საბანკო მომსახურების დისტანციური სერვისის შექმნასთან დაკავშირებით (Digital Trade Chain- DTC), რომელიც მობილური აპლიკაციით ერთმანეთთან აკავშირებს სავაჭრო ტრანზაქციებში ჩართულ ყველა მხარეს (მყიდველს, მყიდველის ბანკს, გამყიდველს, გამყიდველის ბანკს და ტრანსპორტიორ კომპანიას). აღნიშნული პროდუქტი ამარტივებს საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების მართვის პროცესს და ამცირებს იმ რისკებს, რისთვისაც დოკუმენტურ კრედიტს იყენებს მსოფლიო სავაჭრო ბიზნესი. ახალი პლატფორმა უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, რისკების მინიმიზაციას და დოკუმენტების გაფორმებასთან დაკავშირებული ზედმეტი ბიუროკრატიის გაუქმებას, რაც საუკეთესო საშუალებაა იმ კომპანიებისათვის, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ღია ანგარიშით ანგარიშსწორებას. თუმცა მიზანშეწონილია, რომ პროცესების ოპტიმიზაცია

განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რაც ხელს შეუწყობს რისკების ადეკვატურ შეფასებას და მაქსიმალურად დააზღვევს ამ ფორმატით დაკრედიტებული საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტების კრიზისულ სიტუაციებში მოხვედრის ალბათობას, შედეგი კი ცალსახად დადებითად აისახება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე.

რაც შეეხება ექსპორტის დაფინანსების პროდუქტებზე ფასნარმოქმნის საკითხს, ICC-ის 2009 წლის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა დაახლოებით 40%-მა დაფიქსირა, რომ კრიზისის პერიოდში ვაჭრობის დაფინანსების ინსტრუმენტები მნიშვნელოვნად გაძვირდა, რაც გამომწვეული იყო სუბსიდირების მაღალი დანახარჯებით, კაპიტალის შეზღუდულობით, ვალდებულების დაუბრუნებლობის მომატებული რისკიანობითა და დაკრედიტების პირობებით, რომელიც გამსესხებელს აძლევდა საშუალებას ბევრად მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაენესებინა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე.

ამ მხრივ სიტუაცია შეცვლილია და 2016 წლის კვლევის მიხედვით, ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკომისიოებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი მოლოდინები: რესპონდენტთა დაახლოებით 51% თვლის, რომ საკომისიოების ზრდა არ განხორციელდება, თუმცა 31% მიიჩნევს, რომ მოსალოდნელია საკომისიოების ზრდა, ხოლო 18% შემცირებას ელოდება (ნახ. 1).



ნახ. 1. მოლოდინი ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების საკომისიოებთან დაკავშირებით [26].


ასევე გასათვალისწინებელია, რომ კრიზისის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს ახასიათებს ტურბულენტობა და არასტაბილური საფინანსო გარემო დიდ დაბრკოლებებს ქმნის ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების ჰეჯირების მიმართულებით და იზრდება ალბათობა, რომ ამ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები მხოლოდ

გაზრდილი საკომისიოების გამო აიღებენ საკუთარ თავზე მნიშვნელოვნად მომატებულ რისკებს. აღნიშნული პრობლემა საკმაოდ საყურადღებოა, რადგან დაბალი ფასები ცალსახა უპირატესობაა კონკურენტულ ბაზარზე იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად არაერთი საინტერესო ალტერნატივა არსებობს.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის დაფინანსების საშუალებათა ფას-წარმოქმნაში ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს ბაზელ III-ის რეგულაციებიც, რომელიც უკვე დანერგა და შესაბამისად ფასშიც ასახა გამოკითხული საფინანსო ინსტიტუტების 35%-მა. 2019 წლისთვის (ბაზელ III-ის რეგულაციების სრული იმპლემენტაციის ბოლო თარიღი), სავარაუდოდ ფინანსური ინსტიტუტების უმრავლესობის ფასწარმოქმნაში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული რეგულაციით გამოწვეული ფასნამატი, შესაბამისად შეიქმნება ძალიან საინტერესო სურათი კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ფასის, ტრანზაქციების სისწრაფის და მოქნილობის გათვალისწინებით.

საბანკო გარანტიებისა და „სტენდბაი“ აკრედიტივების ძირითადი უპირატესობაა მათი დამოუკიდებლობა და სანდოობა, რაც გამოხატულია გადაუხდელობის რისკის საკუთარ თავზე აღებით. 2016 წლის კვლევის მიხედვით, ამ პროდუქტების ძირითადი სირთულეებია ის რომ: გაზრდილია საჩივრები და სასამართლო დავები საბანკო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული თაღლითობების გამო. 14%-იანი დაგვემილი კლების ნაცვლად, 2016 წელს რესპონენტთა 21.5%-მა დააფიქსირა პრეტენზიების ზრდა, რაც განაპირობა საერთაშორისო ბაზრებზე არსებულმა მერყევმა გარემომ. 65.6% მიიჩნევს, რომ არ შეცვლილა პირველივე წარდგენისას უარყოფილი დოკუმენტების რაოდენობა, ხოლო 18.7%-ის აზრით, ეს მაჩვენებლები შემცირებულია. თუმცაღა, რთულია უარყოფის მიზეზების იდენტიფიცირება, რადგან ის დამოკიდებულია როგორც ბანკზე, ასევე წარდგენილი დოკუმენტური პაკეტის სისწორეზე (ნახ. 2).

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მსოფლიო კრიზისების გაზრდილმა ინტენსივობამ განაპირობა დაზღვევის საკითხების აქტუალურობა კრიზისის ნეგატიური ეფექტების მინიმიზაციის თვალსაზრისით. 2014 წლის მდგომარეობით, საკრედიტო და საინვესტიციო მზღვეველთა საერთაშორისო გაერთიანება Berne Union-ის მიერ ექსპორტის დაკრედიტების დაზღვევის მოცულობა გაიზარდა 4%-ით და 1,875 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ Berne Union-ის მიერ ანაზღაურდა დაახლოებით 28 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ზარალი [13]. სადაზღვეო კომპანიების ასეთი მოქნილობა რისკების დაზღვევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციებისა და ზოგადად ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის საქმეში.



ნახ. 2. გარანტიებთან დაკავშირებული პრეტენზიები, სასამართლო დავები და თაღლითობები [26].

* * *

პრობლემის შესწავლა-განალიზების საფუძველზე წინა პლანზე წამოიწია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების წინაშე მდგარმა გამოწვევებმა. შესაბამისად შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაჯანსაღებისა და კრიზისების პრევენციაში:

- o საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ვაჭრობასთან დაკავშირებული ბარიერების მინიმინზაცია, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მასობრივმა დერეგულირებამ კვლავ არ წარმოშვას ახალი კრიზისის საფრთხე;

- o ეკონომიკური კრიზისების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის სათანადო ზედამხედველობა და რისკების დროული შეფასება ეროვნული ბანკების მიერ, თუმცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს ვაჭრობის დაფინანსების გაუაზრებელი “შეზღუდვა”. კრიზისმა აჩვენა, რომ არასათანადო მითითებების გამო ბანკებმა, ფაქტობრივად, შეწყვიტეს ვაჭრობის დაფინანსება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკი ფლობდეს და ეფექტიან ახორციელებდეს საზედამხედველო ფუნქციას, რათა თავიდან აიცილოს კრიზისული სიტუაციები და არ გახდეს საჭირო მისი როგორც ბოლო ინსტანციის, კრედიტორის როლის გამოყენება;

- o ღია ანგარიშით ანგარიშსწორება, მოქნილ და მიმზიდველ პირობებთან ერთად, არსებითად ზრდის ექსპორტიორისათვის თანხის გადაუხდელობის რისკს. სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია ის გამოყენებული იქნეს მხოლოდ მაღალი ნდობისა და კონტრაგენტებს შორის ხშირი სავაჭრო ურთიერთობების პირობებში;

o საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემის (SWIFT) მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების სისწრაფისა და სიზუსტის კუთხით უნდა იქნეს გამოყენებული ყველა საანგარიშსწორებო ფორმის შემთხვევაში, ასევე მიზანშეწონილია მოხდეს SWIFT-ით განხორციელებული ტრანზაქციების კრიზისის პერიოდისთვის არსებულ მაჩვენებელამდე შემცირების მიზეზები და შემუშავდეს ეფექტიანი სამოქმედო გეგმა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად;

o მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებთან დაკავშირებული საჩივრების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ბანკებმა უნდა მოახდინონ თაღლითობის ყველა შესაძლო ვერსიის იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, რათა არ მოხდეს ამ პროდუქტების სანდოობის სტატუსის შელახვა;

o ტექნოლოგიური განვითარების ერაში პროცესების ოპტიმიზაციის და გაციფრულების მიმართულებით სანტერესო ახალი პლატფორმის Digital Trade Chain – DTC წინაშე მდგარი გამოწვევები, თუმცა მიზანშეწონილია, რომ პროცესების ოპტიმიზაცია განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რაც ხელს შეუწყობს რისკების ადეკვატურ შეფასებას და მაქსიმალურად დააზღვევს ამ ფორმატით დაკრედიტებული საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტების კრიზისულ სიტუაციებში მოხვედრის ალბათობას, შედეგი კი ცალსახად დადებითად აისახება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე;

o კრიზისის პერიოდში შესაძლებელია მატულობს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების გადაზღვევის შიში. უმჯობესი იქნება, თუკი სადაზღვევო კომპანიები ასევე დეტალურად გაანალიზებენ კრიზისის პერიოდში წარმოშობილ რისკებს და მაქსიმალურად ოპტიმალურ სადაზღვევო პაკეტებს შექმნიან, რაც ორმხრივსარგებლიანი და ნაკლები ზარალის მომტანი იქნება უშუალოდ სადაზღვევო კომპანიებისათვის;

o იქიდან გამომდინარე, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში თვალსაჩინო გახდა ბაზელის რეკომენდაციების ნეგატიური გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე, აუცილებლად უნდა მოხდეს ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების გადახედვა და ბალანსის დაცვა, რათა, კრიზისის პრევენციის მიზნით შექმნილი რეგულირებები არ აღმოჩნდეს ეკონომიკის საკვანძო მნიშვნელობის მქონე სექტორის შეფერხების საფუძველი.

აღნიშნული კვლევის შემდგომი განვითარების მიმართულებით დაგეგმილია საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ანალიზი ინსტიტუციური წრილით და ამ მიზნით ქვეყანაში მოქმედი ექსპორტიორი კომპანიების, კომერციული ბანკებისა და ვაჭრობის დაფინანსების პროგრამების წარმომადგენელთა კვლევის განხორციელება საკითხთან დაკავშირებული მკაფიო ანალიზის დასადგებად.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე გ. „2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები“, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი #2, 2014. გვ 5-26.

2. Abegglen, J.C. & Hout, T.M. Facing up with the trade gap with Japan. *Foreign Affairs*, 57 (1). 1978. pp. 146-168.
3. Acharya V. and Richardson M., "Restoring Financial Stability: How to Repair a Failed System", Wiley; 2009.
4. Anne-Gaël Vaubourg, "Finance and international trade: A review of the literature", 2016, pp. 2-11.
5. Auboin, M. Restoring trade finance during a period of financial crisis: stock-taking of recent initiatives. *Staff Working Paper 2009-16*. 2009).
6. Bardhan, P. and Kletzer, K. Credit markets and patterns of international trade. *Journal of Development Economics* 27: (1987). pp. 57-70.
7. Beck, T. Testing the trade credit and trade link: evidence from data on export credit insurance. *Journal of International Economics* 57. (2002) pp. 107-130.
8. Caballero R. J., Krishnamurthy A., , "Global Imbalances And Financial Fragility", *American Economic Review*; 2009.
9. Cecchetti S.G., Kohler M., Upper C. *Financial Crisis and Economic Activity // NBER Working paper, 2009, #15379*.
10. Hollensen, S. *Global marketing: A decision-oriented approach*. 4th edition. Prentice Hall. 2007.p.752.
11. ICC Global Trade and Finance Survey, 2016. <http://store.iccwbo.org/content/uploaded/pdf/ICC-Global-Trade-and-Finance-Survey-2016.pdf>
12. International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , *Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey 2009, ICC Document No. 470-1120 TS/WJ 31 March 09*.
13. International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , *Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey, 2015*.
14. Krugman P. *How did Economist Get It So Wrong?* // *The New York Times*. 2009, Sept. 2.
15. Marc Auboin, Moritz Meier-Ewert*, „Improving the Availability of Trade Finance during Financial Crises“, <https://www.wto.org/english/res-e/booksp-e/dis02-e.pdf>;
16. Marc Auboin, Moritz Meier-Ewert, „Improving the Availability of Trade Finance during Financial Crises“, WTO, 2003, Monetary Policy Institute Working Paper No. 3.
17. Obstfeld M., Rogoff K., "Global Imbalances and the Financial Crisis: Products of Common Causes", *CEPR Discussion Paper 7606*; 2009.
18. Onwuamaegbu, U; Sauvart, P, "FDI, the Global Crisis and Sustainable Recovery", *Transnational Corporations, UNCTAD: 20(1)*. (2011).
19. Paravisini, D., Rappoport, V., Schnabel, P. and Wolfenson, D. "Dissecting the effect of credit supply on trade: evidence from matched credit-export data. *NBER Working Paper 16975*".(2011).
20. Portes, R., 2009, "Global Imbalances", mimeo, London Business School, January 2009.
21. *Rethinking Trade and Finance*, <http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Trade-facilitation/ICC-Global-Survey-on-Trade-Finance>. 2015.
22. Taylor, J. B., "Housing and Monetary Policy", *Federal Reserve Bank of Kansas City, 2007 Symposium*; 2007.

23. UNCTAD figures on the volume of exports of goods; based on the World Economic Outlook (International Monetary Fund - IMF - estimates for 2012). Vol. 99. No2.
24. White, W. R., "Should Monetary Policy "Lean or Clean"?, Federal Reserve Bank of Dallas Globalization and Monetary Policy Institute Working Paper No. 34. 2009.
25. WTO, Challenges of trade financing, <https://www.wto.org/english/thewto-e/coher-e/challenges-e.htm>
26. ICC Global Survey on Trade Finance 2016

The Challenges of International Trade Financing after the Global Financial-Economic Crisis

Natia Jibladze,

Doctoral Student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

natajibladze@yahoo.com

The global economic crisis of the 21st century is one more clear example what a scale of negative impacts are caused by the late or inadequate estimation of economic events or trends and the negative results no longer leave any leverage for the crisis-hit countries to lift up and find an effective ways to minimize the adverse consequences of the crisis.

In spite of that the international trade financing is considered to be the low-risk and high-secured lending area, the global crisis has significantly damaged international trade. Due to the actuality of the issue, world scientific society, governments, local and international institutions are actively involved in the search of ways for crisis prevention. In this regard, it is important to look for and take into consideration the challenges of the international trade finance.

The work is dedicated to the challenges of international trade finance after the global financial-economic crisis. Peculiarities of modern financial-economic crisis, the role of trade finance for developing international trade and the challenges revealed based on the analysis of the impacts of global crisis on international trade finance are represented in the following work. Furthermore, the question is analyzed on the basis of scientific papers and the reports of international organizations. The problems of international trade finance are identified and author's points of views about prevention of these problems are expressed in the work.

Keywords: The global financial-economic crisis; financing of international trade; financing of export; guarantees

JEL Codes: F14, F16, F40

საკუალტრო აღრიცხვა და აუდიტი ACCOUNTING AND AUDIT

სატარიფო რეგულირების პირობებში აღრიცხვის ზოგიერთი საკითხი

ლევან საბაშვილი,

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი*

2014 წლის დასაწყისში ფასს საბჭომ გამოუშვა შუალედური სტანდარტი ფასს (IFRS) 14 „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშები“. სტანდარტის შემუშავების მიზანს წარმოადგენდა ფასს-ზე გადასვლის გამარტივება იმ საწარმოებისათვის, რომლებიც საქმიანობენ სატარიფო რეგულირების პირობებში. ახალი სტანდარტი ასეთ კომპანიებს საშუალებას მისცემს არ შეცვალონ სააღრიცხვო პოლიტიკა გადავადებული სატარიფო კორექტირებების ნაწილის აღრიცხვაში და გამოიყენონ ასეთი აღრიცხვა ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად ფასს-ის მიხედვით ანგარიშგების მომზადების დროს.

მოცემული სტატიის ფარგლებში განვიხილავთ ფასს (IFRS) 14 „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშები“, გამოყენების ძირითად პირობებს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების დროს.

ტარიფების კორექტირება - ეს არის თანხა, რომლის მიხედვითაც ტარიფების მარეგულირებელი ცვლის საწარმოს (კომპანიის) მიერ გასაყიდად გამიზნული საქონლის და მომსახურების ფასს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების 4.8-4.19 პუნქტების შესაბამისად. ასეთი კორექტირების თანხები არ წარმოადგენს არც აქტივებს და არც ვალდებულებებს. ამავდროულად, კორექტირების მოცემული თანხები შედიოდა ფასში (ტარიფში) ან, სავარაუდოდ, მომავალში იქნება შეტანილი იმ ფასში (ტარიფში), რომლითაც მოხდება საქონლის რეალიზაცია (მომსახურების განწევა).

საკვანძო სიტყვები: აღრიცხვა; სატარიფო რეგულირება; შუალედური სტანდარტი ფასს (IFRS).

ფასს (IFRS) 14- გამოყენების არეალი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გარკვეული დარგები (მაგალითად, კომუნალური ან სატრანსპორტო მომსახურება) ექვემდებარება სახელმწიფოს ან მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან სატარიფო რეგულირებას. ისინი უნესებენ ასეთი დარგის კომპანიებს შეზღუდვებს მინოდების მოცულობასა და მომხმარებლებისათვის დასანესებელ ფასებზე.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებს არაერთხელ გასჩენიათ კითხვა-პასუხობს თუ არა ანგარიშგებაში მოცემული აქტივები და ვალდებულებები შესაბამის განსაზღვრებას ფასს-ს კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით? პასუხი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების პრობლემა დაბრკოლებას წარმოადგენდა ფასს-ს გამოყენებისათვის.

მოცემული პრობლემის აღმოფხვრისათვის შემოღებულია ფასს (IFRS) 14, რომელმაც საშუალება მისცა გარკვეული რაოდენობისა და კონკრეტული დარგების კომპანიებს გამოყენებინათ ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნულ სტანდარტებზე დაფუძნებული სააღრიცხვო პოლიტიკა სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების, შეფასებისა და გაუფასურების ნაწილში. ფასს (IFRS) 14-ის მოქმედების სფერო ვინროა და ვრცელდება მხოლოდ იმ სწარმოებზე, რომლებიც ერთობლიობაში აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- პირველად იყენებენ ფასს;
- ახორციელებენ საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას;
- აღიარებენ თანხებს, რაც ადრე საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში კვალიფიცირებულია, როგორც ნაშთი გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშზე;
- ითვალისწინებენ გადავადებულ სატარიფო კორექტირებას აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

ფასს-ის პირველი გამოყენება. პირველი კრიტერიუმიდან გამომდინარე, კომპანიებს, რომლებიც პირველად მოამზადებენ ანგარიშგებას, შეუძლიათ გამოიყენონ ფასს (IFRS) 14. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის კომპანიები, რომლებიც უკვე გადავიდნენ ფასს-ზე და შეადგინეს განვლილი პერიოდების ფინანსური ანგარიშგება ფასს-ს მიხედვით, ვერ შეძლებენ ფასს (IFRS) 14 გამოყენებას.

საქმიანობა რეგულირებადი ტარიფებით. ფასს (IFRS) 14 გამოყენებისათვის აუცილებელი კრიტერიუმი იხეი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ტარიფების (ფასების) რეგულირებას ექვემდებარება. რა მიეკუთვნება რეგულირებადი

ტარიფებით საქმიანობას? ფასს (IFRS) 14-ის „ა“ დანართის თანახმად, ტარიფებით რეგულირებად ითვლება ფასების დადგენის წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მყიდველებისათვის საქონლის და მომსახურების მიყიდვა, და ეს წესი კონტროლირდება და/ან დამტკიცებულია ტარიფების მარეგულირებლის მიერ. ტარიფების მარეგულირებელი - ეს უფლებამოსილი ორგანოა, რომელიც კანონის ან ნორმატიული აქტის შესაბამისად ადგენს ფასს (ტარიფს) ან „ფასების დერეფანს“ კომპანიებისათვის.

თეორიულად, ტარიფების მარეგულირებლის როლში შეიძლება მოგვევლინოს როგორც კომპანიის დაკავშირებული მხარეები, ასევე გარეუბი (რომლებიც არ არიან დაკავშირებული კომპანიასთან) ორგანოები, თუ მათ კანონის ან ნორმატიული აქტის შესაბამისად უნდა დაანესონ ტარიფები, რომლებიც მოემსახურება როგორც მყიდველის ინტერესებს, ასევე კომპანიის ფინანსურ მდგრადობას.

როგორც წესი, ტარიფების მარეგულირებლებია გარე ორგანოები. შიდა ორგანოები (დაკავშირებული კომპანიების სამეთვალყურეო და მაკონტროლებელი ორგანოების ჩათვლით) ასრულებენ მარეგულირებლის ფუნქციას მხოლოდ მაშინ, თუ ის მათ „მემკვიდრეობად“ ერგოთ მესაკუთრის უფლებამოსილების დელეგირების დროს.

ბევრ ქვეყანაში ხორციელდება ფასების (ტარიფების) სახელმწიფო რეგულირება. საქართველოს ტერიტორიაზე ფასები რეგულირდება სახელმწიფოს მიერ ბუნებრივი მონოპოლიების და სოციალურად მნიშვნელოვანი საქონლის, სამუშაოების და მომსახურების მიმართ.

აქედან გამომდინარე, მოცემული სტანდარტის ძირითადი მომხმარებლები იქნებიან ენერგეტიკის, გაზის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის დარგების სანარმოები იმ პირობით, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან გადასული ფასს-ზე და არა აქვთ შედგენილი განვლილი პერიოდების ფინანსური ანგარიშგება.

გადავადებული სატარიფო განსხვავებების მიმდინარე აღრიცხვა.

ზოგიერთი ქვეყნის (რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი) ტერიტორიაზე მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები არ შეიცავს გადავადებული კორექტირებების აღრიცხვის მარეგულირებელ წესებს. ამავდროულად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკა საშუალებას აძლევს კომპანიებს გამოიყენონ აღრიცხვის დამოუკიდებლად შემუშავებული მეთოდები, თუ ის არ არის ეროვნულ სტანდარტებში მოცემული.

პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ცალკეული კომპანია მეთოდების შემუშავებას საფუძვლად უდებს US GAAP ASC 980 „Regulated Operations“, რომელშიც სატარიფო კორექტირებების აღრიცხვა განერილია შედარებით დეტალურად. სხვა კომპანიები კი საერთოდ არ სცნობდნენ აღრიცხვაში სატარიფო კორექტირებებს ფინანსურ შედეგებზე მათი გავლენის აღიარების მომენტამდე.

სანარმოებს ეკრძალებათ შეცვალონ სააღრიცხვო პოლიტიკა გადავადებულ სატარიფო კორექტირებებთან დაკავშირებით მომდევნო პერიოდების ანგარიშგების მომზადების დროს. გამონაკლისია იშვიათი შემთხვევა, როდესაც ასეთი ცვლილებები საშუალებას იძლევა მომზადდეს შედარებისათვის უფრო მოსახერხებელი, მაგრამ არანაკლებ სანდო ანგარიშგება, ან უფრო სანდო და შედარებისათვის არანაკლებ მოსახერხებელი (ფასს 14 პ. 13-14).

ფასს (IFRS) 14-ის გამოყენების უპირატესობები

პირველ ყოვლისა, ფასს (IFRS) 14 საშუალებას მისცემს სანარმოებს გამოიყენონ ეროვნული სტანდარტების სააღრიცხვო პრინციპები აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და გადავადებული სატარიფო კორექტირებების აღიარების შეწყვეტის ნაწილში ფასს-ით ანგარიშგების მომზადების დროს. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ შემდგომი სხვაობები ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებასა და ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებას შორის. კიდევ ერთხელ მივამხილოთ ყურადღება, რომ, თუ კომპანიას არ გამოუყენებია სატარიფო კორექტირებების აღრიცხვა ფასს-ის პირველი გამოყენების წინა პერიოდში, ისევე, როგორც ეროვნულ აღრიცხვაში სატარიფო კორექტირებების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების არარსებობის დროს, ფასს 14 არ გამოიყენება.

ზოგადად, თუ ოპერაციების აღრიცხვის წესი არ არის დარეგულირებული ფასს-ის მიხედვით, კომპანიებმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაონ აღრიცხვის მეთოდი (ფასს 8 პ.10 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“). აღრიცხვის მეთოდის შემუშავების დროს კომპანიამ უნდა განიხილოს ფასს-ის სხვა სტანდარტები აღრიცხვის მეთოდის არსებობაზე ანალოგიურ ან დაკავშირებულ საკითხებზე და განიხილოს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრის, აღიარებისა და შეფასების მეთოდები, რომლებიც მოცემულია კონცეპტუალურ საფუძვლებში (ფასს 8 პ.11). მაგრამ, როგორც ზემოთ განვიხილეთ, კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, სატარიფო კორექტირებები არ წარმოადგენს არც აქტივებს და არც ვალდებულებებს. მოცემული წინააღმდეგობის გადასაწყვეტად ფასს 14 9-10 პუნქტებში მოცემულია მითითება იმის თაობაზე, რომ დასაშვებია არ იქნეს გამოყენებული ფასს 8 პუნქტი 11, რომელიც ადგენს კონცეპტუალური საფუძვლებით განსაზღვრული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების კრიტერიუმების გამოყენების პრიორიტეტს.

ამავე დროს, ფასს 14-ის გამოყენება გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას. კერძოდ, სანარმოებმა გადავადებული სატარიფო ანგარიშები უნდა წარმოადგინონ ცალკე სტრიქონით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მათი ცვალილებები ცალკე სტრიქონით გამოყონ მოგებისა და ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლების ანგარიშგებაში. უფრო მეტიც,

კომპანიებმა უნდა მოიყვანონ ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული სატარიფო რეგულირებისა და რისკების ხასიათის სპეციალური განმარტებები, რამაც გამოიწვია ბალანსში ასახული ტარიფების კორექტირებებით გამოწვეული თანხების წარმოშობა.

თუ კომპანია ამყოფილებს ჩამოთვლილ მოთხოვნებს და მიიღო ფასს 14 გამოყენების გადანყვებილება, ფინანსური ანგარიშგება მან უნდა შეადგინოს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში სადებეტო და საკრედიტო გადავადებული სატარიფო კორექტირებები არ ითვლება/გათვალისწინება, არამედ ხდება მათი წარმოდგენა გავრცობილად, ცალ-ცალკე აქტივებსა და ვალდებულებებში. ამასთან, გადავადებული კორექტირებების დაყოფის წინ აუცილებელია ქვეჯამის გამოყვანა (ფასს 14 პ. 20-21);

მოგებისა და ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლების ანგარიშგების განყოფილებაში - „სხვა ერთობლივი შემოსავლები,“ წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა იმ გადავადებული სატარიფო კორექტირების ნეტო-შეფასება, რაც მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდში სხვა ერთობლივ შემოსავლებში ასახულ მუხლებს. ამასთან, მუხლები, რომლებიც შემდგომში სხვა ფასს-ის შესაბამისად რეკლასიფიცირებულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ნაჩვენები უნდა იქნეს იმათგან განცალკევებით, რომლებიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას (ფასს 14 პ. 22).

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების შემადგენლობაში ცვლილებების დარჩენილი ნაწილი აისახება ყველა გადავადებული სატარიფო კორექტირების თანხების შემცირებით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ამისათვის ჩართულია ცალკე სტრიქონი, რომლის ზევითაც ხდება ნეტო-მოდრობამდე მოგებისა და ზარალის სიდიდის ქვეჯამის გამოყვანა გადავადებული სატარიფო კორექტირებების აღრიცხვის ანგარიშების მიხედვით (ფასს 14 პ. 23).

განმარტებითი შენიშვნები და რეკომენდაციები

კომპანიებმა, რომლებმაც გადანყვიტეს ფასს 14 გამოყენება, ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია (ფასს 14 პ. 27):

- ტარიფების რეგულირების ხასიათი;
- საწარმოს მიერ საქონელსა და მომსახურებაზე თავისი კლიენტებისათვის დადგენილი ფასების ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული რისკები;
- საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე ტარიფების რეგულირების გავლენის შედეგი.

სატარიფო რეგულირების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების განმარტებისთვის კომპანიას მოჰყავს (ფასს 14 პ. 30):

- იმ საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის მოკლე აღწერა, რომელიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას;

- ტარიფების გაანგარიშების წესის მოკლე აღწერა;

- ორგანოს დასახელება, რომელიც უფლებამოსილია და ახორციელებს მარეგულირებლის ფუნქციას;

აღიარებულ გადავადებულ სატარიფო კორექტირებებზე (კორექტირების ყველა ჯგუფზე) ტარიფების გათვლასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გავლენის ეფექტი. ასეთ რისკებია:

1. მოთხოვნის ცვლილების რისკი (გამოყენებისადმი მიდგომის ცვლილება, ალტერნატიული საქონლის, მომსახურების ხელმისაწვდომობა ან კონკურენციის დონე);

2. ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული რისკები (მარეგულირებლის მიერ ტარიფების გათვლის წესის ხელმოწერა ან დამტკიცება ან სანარმოს მიერ სატარიფო მარეგულირებლის სავარაუდო ქმედებების შეფასება);

3. სხვა რისკები (სავალუტო ან საბაზრო რისკები და სხვ.).

ფასს (IFRS) 14 შეიცავს გარკვეულ მოთხოვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის განმარტებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ტარიფების რეგულირების ხასიათზე, რომელიც ადგენს შეზღუდვებს ფასებზე მომხმარებლებისათვის და მასთან დაკავშირებულ რისკებზე;

- ტარიფების რეგულირების გავლენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაზე და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების დროს უნდა მოხდეს აღიარებული თანხების დეტალური ახსნა. ასე, მაგალითად, „გადავადებული სატარიფო განსხვავებების“ თითოეულ ანგარიშზე უნდა განიმარტოს თავდაპირველი და შემდგომი აღიარებისა და შეფასების საფუძვლები გაუფასურების ინფორმაციის ჩათვლით. სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული საქმიანობის თითოეული სახისათვის „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშების“ ნაშთების თითოეულ ჯგუფზე განმარტებითი შენიშვნების სახით წარგენილი უნდა იყოს:

- საბალანსო ღირებულების შეჯერება პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის (სასურველია ცხრილის სახით);

- შემოსავლიანობის ნორმა ან დისკონტირების განაკვეთი;

- დარჩენილი პერიოდები, რომელთა განმავლობაში კომპანია ელოდება გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშის ყოველ ჯგუფზე საბალანსო ღირებულების ანაზღაურებას (ან ამორტიზებას), ან გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშზე საკრედიტო ნაშთების ყოველი ჯგუფის აღდგენას.

ანგარიშგებაში აღიარებული სატარიფო კორექტირებების თანხების შესახებ განმარტებით შენიშვნებში კომპანია წარადგენს სააღრიცხვო პრინციპებს, რომლის თანახმადაც არის ასახული გადავადებული სატარიფო კორექტირება, კერძოდ, აღიარება, აღიარების შეწყვეტა, თავდაპირველი და შემდგომი შეფასება, შემონმება გაუფასურებაზე, გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის გადანაწილება (ფასს 14 პ. 32).

გარდა ამისა, კორექტირების ყოველი კლასისათვის კომპანია განმარტავს (ფასს 14 პ. 33):

- მიმდინარე ღირებულების შემონმებას პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის (სასურველია ცხრილის სახით). განმარტებების დეტალიზაციის (დონის) განსაზღვრის დროს საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

1. თანხები, რომლებიც მიმდინარე პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული იყო, როგორც გადავადებული სატარიფო კორექტირებები;

2. თანხები, რომლებიც აღიარებული იყო მოგებისა და ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლების ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდში კომპენსაციის (ამორტიზაციის) ან აღდგენის სახით;

3. სხვა თანხები, რომლებიც გავლენას ახდენს გადავადებული სატარიფო კორექტირებების აღრიცხვის ანგარიშების ნაშთზე, როგორიცაა გაუფასურება; შექენილი ან საწარმოთა გართიანების შედეგად წარმოქმნილი მუხლები; გასული მუხლები; გაცვლითი კურსების ან დისკონტირების განაკვეთების ცვლილების შედეგები და ა.შ.

- ფულის ღირებულების ასახვისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი ან მოგების ნორმა გადავადებული რეგულირებადი ანგარიშების ყოველი კლასის ქრილით;

- დარჩენილი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც, სავარაუდოდ, საწარმო აინაზღაურებს (ან აღადგენს) ნაშთებს რეგულირებად გადავადებულ კორექტირებებზე.

გარდა ამისა, კომპანია განმარტებით შენიშვნებში მიუთითებს ინფორმაციას გადასახადების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც განეკუთვნება კორექტირების ანგარიშებს, ასევე ნაშთებს, რომლებიც განეკუთვნება შვილობილ და/ან ერთობლივ კომპანიაში მონაწილეობის ნილს (ფასს 14 პ. 34-36).

ამით გადავადებულ სატარიფო კორექტირებებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენის ძირითადი მოთხოვნები ამოიწურება.

როგორც ვხედავთ, სტანდარტი არ ინვესს ანგარიშგებაში განმარტებითი შენიშვნების კომპონენტში ინფორმაციის მომზადებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ფასს-ს მიხედვით, სპეციალისტის ძირითადი ამოცანაა განსაზღვროს, შეუძლია

თუ არა სანარმოს გამოიყენოს მოცემული სტანდარტი და მოახდინოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დახარისხება ფასს 14 მოთხოვნათა შესაბამისად.

ფასს (IFRS) 14-ის გამოყენების შემთხვევაში კომპანიამ ცალკე უნდა აღრიცხოს აქტივები და ვალდებულებები „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშებზე“. ამასთან, „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშები“, ასევე შესაბამისი ზეგავლენა მოგებასა და ზარალზე, აისახება ფინანსური ანგარიშგების სხვა მაჩვენებლებისგან განცალკევებულად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული აღრიცხვის წესის გამოყენებით ხდება მათი ფინანსური ანგარიშგების შედარება სხვა ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებასთან იმ მიზნით, რომ ყველა მაჩვენებელი და შუალედური შედეგი გამოირიცხავს გადავადებული სატარიფო განსხვავებების ზეგავლენას.

ინფორმაცია ფასს (IFRS) 14-ის შესაძლო კავშირის შესახებ მისი გამოყენების შედეგად ზოგიერთ სხვა სტანდარტთან წარმოდგენილია ფასს (IFRS) 14-ის მე-16–მე-17 პუნქტებში (დანართი “ბ”) და შეეხება სააღრიცხვო პოლიტიკაში ადაპტაციას ეროვნული სტანდარტების მიხედვით.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ფასს (IFRS) 14 არ შეიცავს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკურ მოთხოვნებს. კომპანიებისათვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს, ხელმისაწვდომი იქნება ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ (შემდგომში – ფასს (IFRS) 1) მოთხოვნებისაგან გათავისუფლება, კერძოდ, ადრე გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული წესების მიხედვით ფორმირებული მიმდინარე სალდოს, როგორც ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების პირობითი ღირებულების, გამოყენების ჩათვლით.

ლიტერატურა:

1. <http://www.accaglobal.com/us/en/technical-activities/technical-resources-search/2014/february/ifrs-14.html>
2. <http://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/ifrs-14-regulatory-deferral-accounts/>
3. IFRS AT A GLANCE IFRS 14 Regulatory Deferral Accounts BDC 2016.
4. IFRS First Impressions: Regulatory Deferral Accounts KPMG 2014,p.13.
5. Applying IFRS for IFRS 14 Regulatory Deferral Accounts November 2014,p.5.
6. IFRS 14 REGULATORY DEFERRAL ACCOUNTS FACT SHEET CPA Australia 2015,p.3.
7. IFRS 8 Operating segments Implementation guidance; Ernst&Young-2009,p.6.
8. A Review of the Conceptual Framework for Financial Reporting; Ernst&Young – 2015.pp. 68-72.

Some Issues of Accounting in Tariff Regulation Conditions

Levan Sabauri,

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

In early 2014, the International Financial Reporting Standards Board (IFRS) issued IFRS 14 *Regulatory Deferral Accounts* (the interim standard or IFRS 14) to ease the adoption of the IFRS for rate-regulated entities. The new standard will enable such companies not to change the accounting policy in the accounting of the deferred tariff corrections and to use such accounting in accordance with the National Accounting Standards according to the IFRS during the preparation of reports.

Within the framework of this article, we consider the basic conditions for the use of 14 “deferred tariff differences reports“ in the IFRS report when disclosing information in the financial statements and its explanatory notes.

What is the tariff correction? This is the amount according to which the tariff regulator corrects the price of goods and services intended for sale by the enterprise (the company). In accordance with Section 4.8-4.19 of the conceptual basis of financial account, such adjustments funds are not assets or obligations. At the same time, the given amounts of correction were included in the price (tariff), or, supposedly, in the future, will be included in the price (tariff) in which the sale of goods (service) will be made.

Keywords: Accounting; tariff regulation; conceptual basis of financial account.

JEL Codes: M40, M48, M49

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის მონიტორინგი საქართველოში

ლალი ბუჩუკური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი,
l.buchukuri@rs.ge

გამჭვირვალე და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საქართველოს სწრაფვა - გახდეს ევროკავშირის წევრი, მოითხოვს ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. თავის მხრივ, ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია მართვის ორგანიზაციის დონეზე, სტრუქტურასა და ფინანსური ინფორმაციის სანდოობის ხარისხზე, რომლის მიღწევაც შეუძლებელია აუდიტის სფეროს სრულყოფილი რეგულაციის გარეშე. სტატიაში გადმოცემულია საქართველოში მოქმედი აუდიტორული კომპანიების განვითარების ტენდენციები, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის მონიტორინგისა და სამართლებრივი ბაზის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები: აუდიტორული საქმიანობა; აუდიტის სამართლებრივი ბაზის ფორმირება; აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი.

აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის განვითარება

საქართველოში აუდიტორული ფირმების შექმნა ჯერ კიდევ XX ს-ის 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო. აუდიტური ფირმების საქმიანობა თავდაპირველად საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, ვინაიდან არ არსებობდა ორგანო, რომელიც რეგულირებას გაუწევდა აუდიტორულ საქმიანობას, მოახდენდა აუდიტორ-

თა სერთიფიცირებასა და ლიცენზირებას. მოქმედი აუდიტორები არ ფლობდნენ (აკმაყოფილებდნენ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და რაც მთავარია, მათ საქმიანობას არ აღიარებდნენ უცხოელი ინვესტორები. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენდა საკანონმდებლო აქტის მიღება აუდიტორული საქმიანობის წესების განსაზღვრისთვის, ასევე მარეგულირებელი ორგანოს შექმნა, რომელიც აუდიტორებს გაუწევდა თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას და მიაწვდიდა რეკომენდაციებს.

აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებისათვის 1995 წლის 7 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, ხოლო 1995 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს დებულება“, რომლის ფუნქციად განისაზღვრა დადგენილებებისა და განკარგულებების მიღება, ასევე საატესტაციო კომისიების ჩამოყალიბება.

აღნიშნული კანონითა და დებულებით ქვეყანაში შეიქმნა აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა და საფუძველი ჩაეყარა საკმაოდ ძლიერი ფუნქციების მქონე აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს – აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სახით.

აღნიშნული კანონის შესაბამისად აუდიტის ჩატარების ვალდებულება დაეკისრა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სუბიექტების უდიდეს ნაწილს.

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მიღებული (1995 წ.) კანონი უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო აუდიტორული საქმიანობის განვითარებისთვის, მაგრამ პრაქტიკამ კანონის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგიც გვიჩვენა. „სამეურნეო სუბიექტების დიდმა ნაწილმა სათანადოდ ვერ შეაფასა აუდიტის როლი და მნიშვნელობა და იგი ზედმეტ ფინანსურ ტვირთად მიიჩნია“. [1. გვ 76].

დღის წესრიგში დადგა ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. 2012 წლის 29 ივნისს მიღებული ახალი კანონით **„საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“** წარმოადგენს მეორე ეტაპს აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის განვითარებისა. აღნიშნული კანონის მიღებით გაუქმდა მანამდე მოქმედი ორი კანონი: „საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ და „საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“.

მანამდე მოქმედი კანონით, აუდიტორულ საქმიანობას არეგულირებდა სახელმწიფო, რაც გულისხმობდა აუდიტორთა საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფას, აუდიტორთა ატესტაციასა და აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირებას, რომელსაც სახელმწიფო ფუნქციების შესრულების მიზნით ახორციელებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების ერთიანი რეესტრის წარმოება, აუდიტო-

რების/ აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლი და ინდივიდუალური აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშების ანალიზი.

ახალი კანონმდებლობით აღნიშნული ფუნქციების შესრულება დაეკისრა აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების ფუნქციებში არ შედიოდა აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება, ვინაიდან 2005 წლიდან გაუქმდა სავალდებულო ლიცენზირება და აღნიშნულს არ ითვალისწინებდა ახალი კანონი.

„საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, 2013 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები ძალადაკარგულად გამოცხადდა, რაც შეეხება საბჭოს მიერ გაცემულ სერთიფიკატებს მათი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის იანვრიდან 5 წლის ვადით.

საქართველოს სწრაფვა - გახდეს ევროკავშირის წევრი, მოითხოვს ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად სრულყოფას, საინვესტიციო და ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობას, რაც აუცილებელი პირობაა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. 2013 წლის ნოემბერში ქ. ვილნიუსის სამიტზე მიღებული „**ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ასოცირების ხელშეკრულებით**“ (შემდეგში-ასოცირების ხელშეკრულება) ქვეყანამ აიღო ვალდებულება ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის კანონებისა და ნორმატიული აქტების კრებულით დადგენილ განსაზღვრულ ვადებში სტანდარტების ეტაპობრივად დანერგვით დაუახლოვდეს საერთაშორისო კანონმდებლობას, რათა გააძლიეროს თანამშრომლობა ევროპასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში.

საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2016 წლის 8 ივნისს მიღებული იქნა ახალი კანონი „**საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ**“, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სიახლეებს აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების კუთხით, კერძოდ:

➤ კანონის შესაბამისად აუდიტორული საქმიანობა **თვითრეგულირებიდან** გადადის ისევ **სახელმწიფო რეგულირებაზე**.

უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობს, რომ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება, პროფესიული სერტიფიცირება, აგრეთვე აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელება და მისი ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას.

➤ კანონის მიხედვით საფუძველი ჩაეყარა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ სამსახური) შექმნას, რომელიც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საქვეუნეებო დანესებულებას და უზრუნველყოფს ამ სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას. ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საბჭოს (შემდგომ საბჭო) ფორმირებას, რომლის კომპეტენციაშია ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

➤ კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც მანამდე არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შეეხება სანარმოების დაყოფას კატეგორიებად სავალდებულო და საინიციატივო აუდიტის ჩატარების მიზნით.

საქართველოს კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ გათვალისწინებულ იქნა ევროდირექტივების მოთხოვნები აუდიტორულ საქმიანობასა და მის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით, თუმცა, რჩება რიგი საკითხი, რაც შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკაში, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი მარეგულირებელი ორგანოების შესწავლის საგანს წარმოადგენს. საერთაშორისო პრაქტიკაში აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა მოიცავს სამ კომპონენტს: სტანდარტებს, ეთიკის პრინციპებსა და აუდიტის ხარისხის შიდა და გარე შემოწმებას. სისტემა აერთიანებს მარეგულირებელი ორგანოების, სტანდარტების შემმუშავებლისა და ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებულ საჯარო პროფესიული გაერთიანებების საქმიანობას.

ტერმინი „აუდიტის ხარისხი“ ხშირად არის განხილვის საგანი დაინტერესებულ მხარეებს, მარეგულირებელ ორგანოებს, სტანდარტების შემმუშავებლებსა და აუდიტორულ ფირმებს შორის. აუდიტის ხარისხი კომპლექსური საკითხია და არ არსებობს განმარტება, რომელიც საყოველთაოდ არის გავრცელებული. შესაძლებელია ზოგადად ჩამოვაცალიბოთ აუდიტის ხარისხის ძირითადი დაშვებები:

1. აუდიტი ჩატარებულ უნდა იქნეს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების შესაბამისად;
2. საჭიროა კლიენტის ბიზნესისა და ფინანსური გარემოს საფუძვლიანი შესწავლა, რომელშიც ისინი მოქმედებენ;
3. მომსახურება უნდა იყოს თანმიმდევრული და საიმედო;
4. შეესაბამებოდეს სამართლებრივ რეგულაციებს.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხის კონტროლს ორი სტანდარტი არეგულირებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს) 1 - „ხარისხის კონ-

ტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“ და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 220 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“.

სანამ უშუალოდ განვიხილავთ ხარისხის კონტროლის თავისებურებებს საქართველოში, გავეცნოთ აუდიტორული ფირმების შესახებ მონაცემებს ქვეყნის მასშტაბით 2005 და 2015 წლებში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მონოდებული ინფორმაციით, 2005 წლის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ფუნქციონირებდა 134 აუდიტორული ფირმა და 38 დამოუკიდებელი აუდიტორი. 2010 წლისთვის – 318 აუდიტორული ფირმა და 15 დამოუკიდებელი აუდიტორი, ხოლო 2015 წლისთვის – 569 აუდიტორული ფირმა და 48 დამოუკიდებელი აუდიტორი, ქვეყნის აუდიტორთა კორპუსის საქმიანობა საბანკო, სადაზღვევო, საბირჟო და საინვესტიციო სფეროების აუდიტი. აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორების რეგიონების მიხედვით გადანაწილების წილობრივი მონაცემების განსაზღვრის მიზნით დამუშავებულ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზა. მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა 1,2):

აუდიტორული ფირმების გადანაწილება რეგიონების მიხედვით (2005 წ.)¹


დიაგრამა 1



1 ინფორმაცია დამუშავებულია ავტორის მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზების მეშვეობით

აუდიტორული ფირმების გადანაწილება რეგიონების მიხედვით (2015 წ.)

დიაგრამა 2



აუდიტორული ფირმების ძირითადი ბირთვი დედაქალაქშია თავმოყრილი, რაც განპირობებულია იმით, რომ დღევანდელი ეკონომიკის წამყვანი დარგები ძირითადად თბილისშია განლაგებული. აუდიტორული საქმიანობის ბაზარი დღეს მოიცავს ქვეყნის ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს, პრაქტიკულად ყველა მსხვილ სოციალურად მნიშვნელოვან ეკონომიკურ სუბიექტს, რაც იმის მანიშნებელია, რომ აუდიტორული საქმიანობა ხასიათდება რაოდენობრივი ზრდის ტენდენციით.

საქართველოში მოქმედ აუდიტორულ ფირმათა გარკვეული ნაწილი ძლიერ ეკონომიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბდნენ. მათ უნარი აქვთ ჩაატარონ აუდიტი იმ მოთხოვნების დაცვით, რასაც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს: სრულყოფილად გააანალიზონ საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, გასწიონ წერილობითი და ზეპირი კონსულტაციები ბუღალტრული აღრიცხვის, დაბეგვრის, ეკონომიკური სუბიექტების რეკონსტრუქციის საკითხებზე.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლს 1995 წლიდან 2012 წლამდე აუდიტორული საქმიანობის საბჭო ახორციელებდა. ხარისხის კონტროლის განმახორციელებელ პირებს ირჩევდა და ამტკიცებდა კომისია. ასეთ პირებად შესაძლებელი იყო დანიშნულიყვნენ ატესტირებული აუდიტორები, რომელთაც დამოუკიდებლად ან აუდიტორულ ფირმებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება გააჩნდათ. განისაზღვრა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოთხოვნების უპირობო შესრულება. შემომწმების დასრულების შემდეგ შემომწმებელს კომისიისთვის უნდა წარედინა ანგარიში შემომწმების შედეგებზე, რომელშიც ნათლად და გასაგებად უნდა ყოფილიყო ასახული შემომწმების პროცესში გამოვ-

ლენილი დარღვევები, დასკვნები შემონმების საგნის ცალკეულ ასპექტებზე, რათა უზრუნველყოფილიყო დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ კომისია შეძლებდა ხარისხის გაუმჯობესების სათანადო ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, ან საჭირო შემთხვევაში დისციპლინარული ზომების გატარებას.

2012 წლიდან, როდესაც აუდიტორული საქმიანობა სახელმწიფო რეგულირებიდან გადავიდა თვითრეგულირებაზე ინდივიდუალური აუდიტორის, აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება დაევალა იმ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც განეწიანებული იყო ეს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა. ხარისხის კონტროლის მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო 3 წელიწადში ერთხელ.

2014 წლის 1 მაისს ბაფის აუდიტის რეგულირების კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება“, რომლის შემდგომ 2015 წლიდან გამიზნული იყო ყოველწლიურად 20 აუდიტორული ფირმის შემონმება აუდიტორული საქმიანობის ხარისხისთან დაკავშირებით. თუმცა, 2015 წელს მოხერხდა მხოლოდ 6 აუდიტორული ფირმის შემონმება, რომელთაგან 5 მოხვდა I კატეგორიაში, ხოლო ერთი – III კატეგორიაში. იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლისთვის საქართველოში მოქმედი აუდიტორული კომპანიების რიცხვი რამდენიმე ასეულს აჭარბებს შემონმებული ფირმების რაოდენობა მინიმალურია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო პირველი ეტაპი ფირმების შემონმებისა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავების შემდეგ.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას 2016 წლის 24 ივნისის კანონის – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საფუძველზე იქმნება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. ამ სამსახურით საფუძველი ეყრება აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო მაკონტროლენელი ორგანოს შექმნას, რომლის კომპეტენციაში შედის აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის განხორციელება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, 08 ივნისი 2016 წ.
2. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, 29 ივნისი 2012 წ.
3. საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, 07 თებერვალი 1995 წ.
4. ი. მესხია „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი“, UNDP, თბილისი 2008 წ.
5. ნ. ქებაძე, „აუდიტის საფუძველები“, თბილისი, 2005 წ.
6. ჭუმბურიძე ლ; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება; თბილისი 2014 წ.

7. DIRECTIVE 2014/56/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 16 April 2014.
8. Directive 2006/43/EC on statutory audits of annual accounts and consolidated accounts
9. THE IAASB's WORK PLAN FOR 2017–2018: ENHANCING AUDIT QUALITY
<https://www.ifac.org/system/files/publications/files/IAASB-Work-Plan-for-2017-2018-Enhancing-Audit-Quality.pdf>

Monitoring of Quality Control of Audit Activities in Georgia

Lali Buchukuri,

Doctoral student

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

l.buchukuri@rs.ge

The given article discusses the issue relating to improvement of audit firms and control of their quality. Georgia's aspiration to EU membership requires development of investment and business environment to be promoted that is a necessary condition for improvement of Georgia's economy. Successful functioning of business depends on the management organizational level and structure, as well as on the reliability quality of financial information for external customers. This could be achieved without perfect regulation of audit. Therefore, quality control of audit activities has a great importance.

Keywords: Auditing activities, auditing activities legislation, quality control of audit activity.

JEL Codes: M40, M42, M48

საჯარო სამსახურის მოხელეების მოტივაციის საკითხები

სალომე საყვარელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
salisakvarelidze@gmail.com

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების აუცილებელი პირობაა მოტივირებული თანამშრომელი, რომლის ინდივიდუალურ მოტივაციაზე სხვადასხვა ბიოლოგიური, ინტელექტუალური, სოციალური და ემოციური ფაქტორი ახდენს გავლენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საჯარო უწყებებში დასაქმებულმა მენეჯერებმა, სხვადასხვა სახის სამუშაოს მაღალი ხარისხის შესრულების მიზნით, თანამშრომლებში გარკვეული მოტივაციები უზრუნველყონ.

დღესდღეობით საჯარო მოსამსახურეებს აქვთ ბევრი ისეთი გამოწვევა, როგორცაა, მაგალითად: ცოდნის, გამოცდილებისა და პოზიციის შეუსაბამობა, ასევე მძიმე და მსუბუქი სამუშაო გრაფიკი, რაც ზეგავლენას ახდენს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე. შესაბამისად, სპეციალისტები გათვითცნობიერებულნი უნდა იყვნენ თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მეთოდების შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებით.

სტატიაში განხილულია საჯარო მოხელეთა მოტივაციის (PSM) ზოგიერთი თეორია. წარმოდგენილია მნიშვნელოვანი კვლევების შედეგები, რომელთა გათვალისწინებაც სახელმწიფო უწყებების მიერ მიზანშეწონილია.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; მოტივაცია; საჯარო სამსახური; საჯარო მოხელე; ნახალისების სისტემები.

საჯარო სამსახური არის დამოკიდებულების, პასუხისმგებლობის გრძნობისა და მორალის ერთიანობა [6, გვ. 368]. შესაბამისად, საჯარო მოხელეთა მოტივაცია (PSM) მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის [2, გვ. 16]. დღესდღეობით კი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში საჯარო სექტორში თანამშრომელთა მოტივაცია, ხელმძღვანელობის მიმართ ნდობა, სამსახურებრივი ვალდებულება, პროფესიული კმაყოფილება და ეთიკური გარემო

თანდათანობით ქვეითდება [2,გვ.1]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოტივაციის ხელისშემწყობი რესურსები საჯარო უწყებებში ყოველთვის იყო და იქნება შეზღუდული რაოდენობით.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ საჯარო სექტორის თანამშრომლების ძირითადი დემოტივატორებია ავტონომიისა და მრავალფეროვნების ნაკლებობა, დაბალი ხელფასი, ორგანიზაციის პოლიტიკა და არაეფექტიანი კომუნიკაცია. ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ OECD-ის წევრი ქვეყნების საჯარო სამსახურის მოხელეების 83% სამუშაოთი უკმაყოფილებას, ხოლო 84% ხელმძღვანელობის მიმართ მზარდ უნდობლობას გამოხატავდა. საჯარო სამსახურში სამუშაოს მიმართ ვალდებულება, ნდობა და ერთგულება მცირდება და ამასთან ერთად, ქურდობისა და თაღლითობისა ფაქტები მატულობს [2,გვ.2]. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად მკვლევარები თვლიან, რომ მთავრობამ უნდა დაიწყოს დაბალხარჯიანი საბაზისო სექტორების შემუშავება, რაც გულისხმობს მაგალითად, საჯარო სექტორის თანამშრომლებისთვის შეღავათიანი სესხის გაცემის პროგრამის დანერგვას [2,გვ.2].

ძლიერი მოტივები მნიშვნელოვანია საჯარო, საზოგადოებრივი და სოციალური მომსახურების გასახორციელებლად [1,გვ.6]. თანამშრომლებში საჯარო სამსახურის მოტივაციის მაღალი მაჩვენებელი ინდივიდების მიერ შესრულებულ სამუშაოზე აისახება, ნაკლებად არის დამოკიდებული ნახალისების მექანიზმზე და იწვევს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში განევრიანების სურვილს [1,გვ.5].

საჯარო პოლიტიკის სტრატეგიების მიმზიდველობა, საზოგადოებრივი ინტერესების და სამოქალაქო მოვალეობის მიმართ ვალდებულება, თავგანწირვა და თანაგრძნობა არის ძირითადი ფაქტორები, რაც იწვევს საჯარო მოხელეების მოტივაციას [2,გვ.6].

დადგინდა, რომ საჯარო მოხელეებში მოტივაცია დაკავშირებულია როგორც კმაყოფილების შეგრძნებასთან, ასევე სამუშაო სტრესთან. საჯარო მოხელეთა მოტივაციის (PSM) თეორიის თანახმად, დადებით ემოციებთან დაკავშირებულმა მოტივაციამ, როგორცაა მაგალითად, კმაყოფილების შეგრძნება, შეიძლება იმედგაცრუებისა და გალიზიანების რისკი წარმოქმნას [3,გვ.137].

საჯარო სამსახურის მოტივაცია ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული გენდერთან, განათლებასთან, მენეჯმენტსა და ინდივიდუალურ ფულადი დაჯილდოების პრიორიტეტებთან. კვლევების თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებულებთან შორის მაღალი მოტივაციით გამოირჩეოდნენ მენეჯერი ქალები - მეტი განათლებითა და ფულადი დაჯილდოების ნაკლები სურვილით [1,გვ.15]. ამასთან ერთად, ქალებს ჰქონდათ ორგანიზაციის პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავებისა და თანაგრძნობის მაღალი მაჩვენებელი [1,გვ.16], ხოლო მამაკაცებს საზოგადოებრივი ინტერესებისა და თავგანწირვის სურვილი [1,გვ.16].

საჯარო სამსახურის მოხელეებში მოტივაციის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს ორგანიზაციის იერარქიული წყობა და წითელი ფირები (წესები, რეგულაციე-

ბი და პროცედურები). აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში მუშაობის პერიოდი ასევე ახდენს მოტივაციაზე გავლენას.

პირები, რომლებსაც აქვთ მაღალი სახალხო ინტერესი, უფრო მეტად ირჩევენ საჯარო სამსახურს [5, გვ. 41]. გარდა ამისა, ინდივიდები, მაღალი საჯარო სამსახურის მოტივაციის მაჩვენებლით, უფრო მეტად არიან მზად, დაიცვან საზოგადოებრივი ინტერესები, გამოავლინონ ორგანიზაციის მიმართ მაღალი ვალდებულების და სამსახურის მნიშვნელობის შეგრძნება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სამუშაოს შესრულების მაღალ მაჩვენებელსა და კმაყოფილებას. შესაბამისად, დაკავებული თანამდებობების დატოვების მცდელობა მინიმუმზე უფროა [5, გვ. 41].

მკვლევარები ასევე ვარაუდობენ, რომ საჯარო მოხელეების ძირითადი მოტივი საჯარო სამსახურში პატრიოტიზმია [6, გვ. 369].

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ საჯარო სამსახურის მოტივაციის მაჩვენებელზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახის სოციალიზაცია, რელიგიური საქმიანობა და გამოცდილება [1, გვ. 18].

საჯარო მოხელეებისთვის პოლიტიკის ფორმულირების პროცესში მონაწილეობა საინტერესო, დრამატული და ინდივიდუალური იმიჯის თვითგამორკვევის საშუალებას წარმოადგენს [6, გვ. 368]. შესაბამისად, საჯარო სამსახურის მოტივაციის მართვა და კონტროლი არამარტო მოტივაციის, არამედ პროდუქტიულობის, გაუფრთხილებელი მართვის პრაქტიკის, ანგარიშვალდებულების და ხელისუფლების მიმართ ნდობის წარმოქმნას განაპირობებს [5, გვ. 40].

მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულები უფრო აქტიურები და სოციალური კაპიტალის აშენების მაღალი სურვილის მატარებლები არიან.

აღსანიშნავია, რომ ავტონომია, ამოცანის იდენტიფიკაცია და აღქმული ამოცანების მნიშვნელობა ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას. თანამშრომლები უფრო მეტად მოტივირებულები იქნებიან, როდესაც თავიანთი სამუშაოს მნიშვნელოვნებას გაიაზრებენ და გაუჩნდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა შესრულებული ამოცანების მიმართ [6, გვ. 371].

2010 წელს ჰოლანდიაში ჩატარებული კვლევების თანახმად, 10-დან მხოლოდ 1 მოქალაქის აზრით, საჯარო მოსამსახურეები მუშაობდნენ ეფექტურად. ასევე გამოკითხულთა 45% მიიჩნევდა, რომ საჯარო სამსახურში იმავე სამუშაოს შესრულება ნაკლები თანამშრომლითაც იყო შესაძლებელი. გამოკითხულთა ნაწილი საჯარო მოხელეებს მოაზროვნე სტრატეგიულ ფიგურებად მიიჩნევდნენ [3, გვ. 34]. 2013 წელს დიდ ბრიტანეთში გამოკითხული 1000-მდე საჯარო მოხელის დაახლოებით 70%-ის მოტივაციის შეგრძნება იყო დაბალი. ამასთან ერთად, რესპოდენტების 80% მომდევნო სამი წლის განმავლობაში ფიქრობდა სამსახურის დატოვებას. აღნიშნულის მიზეზად შემცირებული ხელფასი და სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო შესაბამისი ტექნიკის არარსებობა სახელდებოდა [2, გვ. 5].

ხელფასი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუნდაც უინტერესო საქმის წარმატებით და ეფექტიან შესრულებაში, რაც აძლიერებს გარეგან მოტივაციას და ასუსტებს შინაგანს [1, გვ. 19-20]. აღსანიშნავია, რომ კომპენსაცია არ არის მარტო ფული. კომპენსაცია შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც შემდეგ ფულად გარდაიქმნება. გასათვალისწინებელია, რომ წახალისების ყველა მექანიზმი არ მუშაობს. ეფექტიანი ფინანსური და არაფინანსური წახალისების პაკეტი უნდა იყოს სამართლიანი, რეალისტური და მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებით, რაც ასახავს თანამშრომელთა საჭიროებებს. ამასთან, ხშირად ფულადი წახალისების გამოყენება არ ზრდის თანამშრომლის მოტივაციას [2, გვ. 14]. მნიშვნელოვანია შეიქმნას და ადმინისტრირება გაეწიოს კომპენსაციის გეგმებს [4, გვ. 84-85]. მსგავსი ქმედებები ხელს შეუწყობს თანამშრომელთა წახალისების უზრუნველყოფას მათი ორგანიზაციაში დარჩენის მიზნით [2, გვ. 16]. შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:

- ინდივიდუალური კომპენსაცია, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდების შედეგებზე და აქვს დადებითი ეფექტი მისი სამართლიანად აღქმის შემთხვევაში;
- ჯგუფური კომპენსაცია, რომელიც არის ეფექტური მექანიზმი, ვინაიდან ჯგუფს აქვს ერთი საერთო მიზანი;
- ხარისხზე დაფუძნებული კომპენსაციის გამოყენებაა შესაძლებელი, რომელიც ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შესრულებული სამუშაოს ხარისხით განისაზღვრება.

საჯარო სამსახურის თანამშრომლები, რომლებსაც ორგანიზაციები სთავაზობენ შინაგან წახალისებას, სავარაუდოდ, დარჩებიან ორგანიზაციაში და იქნებიან მეტად პროდუქტიულები, რაც ორგანიზაციისთვის მომგებიანია. შესაბამისად, აღნიშნულის მისაღწევად მიზანშეწონილია მენეჯერების მხრიდან თანამშრომლების მხარდაჭერა ორგანიზაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნების გაცნობითა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების მინიჭებით [2, გვ. 16].

* * *

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არის მმართველობითი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების მიღწევაში. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალიზაცია, ტექნოლოგიები, დემოგრაფიული ცვლილებები და ეკონომიკური გამოწვევები. ვინაიდან ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მთავარი ფიგურა ორგანიზაციებში ადამიანია, ამ ადამიანთა ძალისხმევის ეფექტიანობაზე დამყარებული ერთობლივი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო ხდება ეფექტიანი მმართველობითი პროცესის შექმნა, ანუ მენეჯერებმა უნდა შეძლონ საჭირო დროსა და საჭირო ადგილას შესაბამისი რაოდენობისა და უნარების მქონე ადამიანების მობილიზება, რაც სწორი გამოყენების შემთხვევაში კომპანიებს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში დაეხმარება. შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს

უნყებებში დასაქმებულებზე ზრუნვა უნდა წარმოადგენდეს. მსოფლიო მასშტაბით საჯარო მოხელეებთან ურთიერთობა კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა შექმნას მოხელეებისთვის ოპტიმალური პირობები. ამისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ სწორად გაანალიზოს ფინანსური რესურსები, მისი რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვის მიზნით.

ლიტერატურა:

1. Belle, N., Cantarelli, P. (2010). Public Service Motivation: The State of the Art. Retrieved May 23,2017, <https://www.researchgate.net>.
2. Global Center For Public Service and Excellence. (2014). Motivation of Public Service Officials, Insights for Practitioners. UNDP: Singapore.
3. Loon, M.N. (2015). The role of public service motivation in performance, Examining the potentials and pitfalls through an institutional approach. Retrieved May 23,2017, <https://dspace.library.uu.nl/handle/1874/318812>.
4. McKee, A. (2011). Management A focus on Leaders. New Jersey: Prentice Hall.
5. Moynihan, P.D., Pandey, S. (2007). The Role of Organizations in Fostering Public Service Motivation. Public Administration Review, 40-53.
6. Perry, L.J., Wise. R. L. (1990). The Motivation Bases of Public Service. Public Administration Review, 50(3): 367-373.

The Motivation Aspects of Public Servants

Salome Sakvarelidze,

Doctoral Student

Iv. Javakishvili Tbilisi State University

salisakvarelidze@gmail.com

In a modern world, the motivated employee plays an important role for an organization. Individual motivation has different biological, intellectual, social and emotional factors. Based on this, it is recommended that managers employed in the public agencies to ensure creation of a certain motivation to achieve a high degree of performance.

Nowadays public servants face many challenges, such as: incompatibility of knowledge, experience and position, as well as hard and lightweight work that affect their work quality. Consequently, human resources management specialists should be aware of the ability of modern human resource management methods that can be used in effective and efficient ways.

The article discusses the motivation of public servants (PSM). The research results conducted by various researches are presented, which must be taken into consideration by the State Agencies.

Keywords: Human resource management; motivation; public service; public servant encouragement systems.

JEL Codes: H83, J45, L80

К памяти ученого

Из Москвы пришла скорбная весть ...

Ушёл из жизни видный ученый–экономист Всеволод Всеволодович Куликов, профессор кафедры политической экономии Московского государственного университета имени Михаила Васильевича Ломоносова. Всеволод Всеволодович Куликов всегда был большим организатором экономической науки как в Академии наук России, так и вне её.

Профессор Всеволод Всеволодович Куликов всегда был и остаётся коллегой и другом грузинского экономического сообщества, ему принадлежит большая роль в воспитании молодых экономистов Грузии.

Пусть земля ему будет пухом ...

Доктор экономических наук, профессор,
Декан факультета экономики и бизнеса
Тбилисского государственного университета
Теймураз Беридзе

Доктор экономических наук, профессор,
Президент Академии экономических наук Грузии
Михаил Джибути

გამოცემაზე მოპაობდნენ:

ნათია დვალი

ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge